რომან ლოლუა

კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი

კავკასიის ალბანური ენის
გრამატიკული ანალიზი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Roman Lolua

Grammatical Analysis of the Caucasian Albanian

The monograph was carried out by the financial support
of Shota Rustaveli National Science Foundation (Grant Project № YS-2016-45)

Tbilisi

2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

რომან ლოლუა

კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: YS-2016-45)

უნივერსიტეტის გამომცემლობა

მონოგრაფიაში წარმოდგენილია კავკასიის ალბანური ენის თითოეული უბნის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა) ვრცელი ანალიზი. ენობრივი ფაქტების აღწერის გარდა, სისტემურად შედარებულია კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურული თავისებურებები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან. შედარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მოხმობილია უდიურისა და სხვა ლეზგიური ენების მონაცემები, ხოლო საჭიროებისამებრ – სხვა მონათესავე ენების მასალაც. წარმოდგენილია კავკასიის ალბანურსა და მონათესავე ენებს შორის არსებული ბგერათშესატყვისობანი, რაც აქამდე არ ყოფილა. რიგი საკითხებისა მონოგრაფიაში ახლებურადაა გაანალიზებული. მათ შორისაა – კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, ალბანური ტექსტის სიტყვაფორმებზე დაყოფის, სიტყვაფორმების სეგმენტაციისა და სხვა საკითხები. ამას გარდა, დასუზტდა ბრუნვათა სისტემა, როგორც ბრუნვათა რაოდენობის, ისე მათი ფუნქციების თვალსაზრით, ახლებურად გაანალიზდა ზოგიერთი მორფოლოგიური კატეგორია (მაგ., კლასის). პირველად აღიწერა ზმნისართი, სინტაქსური ურთიერთობები წინადადების წევრებს შორის და ზოგიერთი სხვა საკითხი.

წიგნი განკუთვნილია კავკასიოლოგებისთვის, ლინგვისტთა და მომიჯნავე დარგების სპეციალისტთათვის, კავკასიურ ენათა სპეციალობის სტუდენტებისა და კავკასიური ენებით დაინტერესებული

რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვ. შენგელია

რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნ. არდოტელი

გამოცემის მენეჯერი მარიკა ერქომაიშვილი
გარეკანის დიზაინერი ნინო ებრალიძე

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-13-896-6 (pdf)

სარჩევი

შესავალი 13

0.1. მოკლე ცნობები კავკასიის ალბანური ენის შესახებ; კავკასიის ალბანეთისა და ალბანელთა სახელწოდებანი ………………………………………………….. 13

0.2. ლინგვისტური წყაროების მოკლე მიმოხილვა …………………………………… 14

0.3. შესწავლის ისტორიის მოკლე მიმოხილვა ………………………………………… 22

თავი I

ფონეტიკა 24

1.1. საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი ……………………………………………………………………………... 24

1.2. ვოკალიზმი ……………………………………………………………………….. 30

1.2.1. მარტივი ხმოვნები ………………………………………………………………. 35

1.2.2. ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხი …………………………………….. 36

1.3. კონსონანტიზმი ………………………………………………………………….. 46

1.3.1. სიბილანტები …………………………………………………………………….. 48

1.3.1.1. სიბილანტების მეორე რიგის საკითხი ……………………………………... 54

1.3.2. ხშულ-მსკდომი თანხმოვნები ………………………………………………….. 61

1.3.3. სპირანტები ………………………………………………………………………….. 63

1.3.4. სონორები ………………………………………………………………………………. 63

1.4. ფარინგალიზაციის აღნიშვნა კავკასიის ალბანურ ანბანში ……………………… 67

1.5. კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ნიშანთა ფონემური ღირებულება …………. 70

1.6. ძირითადი ფონეტიკური პროცესები ………………………………………………. 113

1.6.1. ხმოვანთა რედუქცია (შეკუმშვა) ………………………………………………….. 113

1.6.2. ხმოვანთა შეკვეცა …………………………………………………………………... 114

1.6.3. ხმოვანთა ასიმილაცია ……………………………………………………………... 114

1.6.4. დიფთონგიზაცია …………………………………………………………………… 115

1.7. ზოგადი დასკვნები ………………………………………………………………… 115

თავი II

მორფოლოგია 120

2.1. ზოგადი ……………………………………………………………………………… 120

2.2. არსებითი სახელი ………………………………………………………………….. 122

2.2.1. არსებითი სახელი აგებულების მიხედვით. სიტყვაწარმოება …………………... 122

2.2.2. არსებით სახელთა ბრუნება ………………………………………………………. 125

2.2.2.1. ბრუნვის კატეგორია ……………………………………………………………... 125

2.2.2.2. რიცხვის კატეგორია ……………………………………………………………... 146

2.2.2.3. გრამატიკული კლასის კატეგორია ……………………………………………. 148

2.3. ზედსართავი სახელი ………………………………………………………………. 151

2.3.1. ზოგადი ……………………………………………………………………………… 151

2.3.2. ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხები ………………………………….. 152

2.3.3. ზედსართავი სახელი აგებულების მიხედვით ……………………………………. 153

2.4. ნაცვალსახელი …………………………………………………………………………. 155

2.4.1. პირის ნაცვალსახელი ………………………………………………………………. 155

2.4.2. ჩვენებითი ნაცვალსახელი ………………………………………………………… 157

2.4.3. უკუქცევითი ნაცვალსახელი ……………………………………………………... 157

2.4.4. საურთიერთო ნაცვალსახელი ……………………………………………………. 158

2.4.5. კითხვითი ნაცვალსახელი ………………………………………………………… 159

2.4.6. მიმართებითი ნაცვალსახელი ……………………………………………………. 159

2.4.7. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ………………………………………………... 160

2.4.8. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ………………………………………….. 160

2.5. რიცხვითი ნაცვალსახელი ………………………………………………………… 161

2.5.1. ზოგადი ……………………………………………………………………………… 161

2.5.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი ………………………………………………. 161

2.5.3. რიგობითი რიცხვითი სახელი …………………………………………………… 164

2.5.4. ჯერობის რიცხვითი სახელი ……………………………………………………… 165

2.5.5. განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელი ……………………………………... 165

2.6. ზმნა ………………………………………………………………………………….... 166

2.6.1. ზოგადი ……………………………………………………………………………… 166

2.6.2. ზმნური სიტყვაფორმის სტრუქტურა …………………………………………… 166

2.6.2.1. მარტივი აგებულების ზმნები …………………………………………………….. 166

2.6.2.2. რთული აგებულების ზმნები ………………………………………………………….. 167

2.6.2.3. მეშველი ზმნები ………………………………………………………………………. 169

2.6.2.4. პრევერბი …………………………………………………………………………….. 170

2.6.3. პირისა [რიცხვის] და კლასის კატეგორიები ………………………………………. 171

2.6.4. დრო-კილოთა წარმოება ……………………………………………………………... 175

2.6.4.1. ზოგადი ………………………………………………………………………………. 175

2.6.4.2. საწარმოებელი ფუძე ………………………………………………………………….. 176

2.6.4.3. დრო …………………………………………………………………………………….. 179

2.6.4.3.1. აწმყო …………………………………………………………………………………. 179

2.6.4.3.2. იმპერფექტი (ნამყო-უწყვეტელი) ……………………………………………………. 180

2.6.4.3.3. ნამყო …………………………………………………………………………………. 180

2.6.4.3.4. პლუსკვამპერფექტი …………………………………………………………………... 181

2.6.4.4. კილო …………………………………………………………………………………… 181

2.6.4.4.1. კავშირებითი კილო (კონიუნქტივი/სუბიუნქტივი) ………………………………. 181

2.6.4.4.2. პირობითი კილო (კონდიციონალი) …………………………………………………... 182

2.6.4.4.3. ბრძანებითი კილო (იმპერატივი) ……………………………………………………. 183

2.6.4.4.4. ჰორტატივ-ოპტატივი ………………………………………………………………… 184

2.6.4.4.5. პროჰიბიტივი ………………………………………………………………………….. 185

2.6.4.4.6. სხვა კილოები ………………………………………………………………………….. 186

2.6.5. უარყოფა ზმნაში ……………………………………………………………………… 187

2.7. სახელზმნური ფორმები ……………………………………………………………... 189

2.7.1. ზოგადი ………………………………………………………………………………… 189

2.7.2. მასდარი ………………………………………………………………………………. 189

2.7.2.1. მარტივმაწარმოებლიანი მასდარი ……………………………………………….. 191

2.7.2.2. რთულმაწარმოებლიანი მასდარი ………………………………………………... 193

2.7.3. მიმღეობა ……………………………………………………………………………….. 193

2.8. ფორმაუცვლელი სიტყვები ………………………………………………………….. 196

2.8.1. ზმნისართი …………………………………………………………………………….. 196

2.8.2. თანდებული …………………………………………………………………………… 197

2.8.3. ნაწილაკი ……………………………………………………………………………….. 198

2.8.4. კავშირი ……………………………………………………………………………….. 199

თავი III

სინტაქსი 200

3.1. ატრიბუტული სინტაგმის ანალიზი …………………………………………………... 200

3.2. პრედიკატული სინტაგმის ანალიზი ………………………………………………….. 201

3.2.1. პრედიკატული სინტაგმის კონსტრუქციები ……………………………………… 202

3.2.2. პრედიკატი …………………………………………………………………………….. 205

3.2.3. რეალური სუბიექტი ………………………………………………………………….. 206

3.2.4. რეალური ობიექტი ………………………………………………………………… 209

3.3. პრედიკატული სინტაგმის წევრთა მართვა-შეთანხმების საკითხი ……………. 210

3.3.1. მართვა ………………………………………………………………………………….. 210

3.3.2. შეთანხმება …………………………………………………………………………... 211

3.4. კლიტიკა …………………………………………………………………………... 211

3.4.1. პროკლიტიკა ……………………………………………………………………... 213

3.4.2. ენკლიტიკა ………………………………………………………………………... 214

თავი IV

ლექსიკა 216

4.1. ძირეული ლექსიკა ……………………………………………………………… 216

4.2. ნასესხები ლექსიკა ……………………………………………………………… 243

4.3. ონომასტიკა ……………………………………………………………………… 246

თავი V

კავკასიის ალბანური ენის ადგილი მონათესავე ენათა შორის 252

5.1. კავკასიის ალბანური და უდიური ენების ურთიერთობები …………………….. 252

5.2. ბგერათშესატყვისობანი კავკასიის ალბანურსა და მონათესავე ენებს შორის … 259

5.2.1. ხმოვნები ………………………………………………………………………….. 259

5.2.2. თანხმოვნები ……………………………………………………………………... 278

5.2.2.1. ხშულ-მსკდომები ………………………………………………………………... 278

5.2.2.2. აფრიკატები ……………………………………………………………………… 291

5.2.2.3. სპირანტები ……………………………………………………………………….. 310

5.2.2.4. სონორები 326

5.3. გლოტოქრონოლოგია 336

ლიტერატურა 345

შესავალი

0.1. მოკლე ცნობები კავკასიის ალბანური ენის შესახებ; კავკასიის ალბანეთისა და ალბანელთა სახელწოდებანი.

კავკასიის ალბანური – ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში (XI-XII სს.-მდე) გავრცელებული ენის პირობითი სახელწოდებაა, რომელიც შემოგვრჩა ორ პალიმფსესტსა (**N/Sin 13** და **N/Sin 55**)[1] და რამდენიმე ეპიგრაფიკულ ძეგლში. ალბანელთა ავტოეთნონიმი ცნობილი არ არის, ხოლო ამ ხალხის აღმნიშვნელი სახელწოდება ბერძნულ-რომაულ წყაროებში დადასტურებულ **ალბან** ფორმას ეყრდნობა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრება „კავკასიის“ ბალკანეთის ალბანურისაგან განმასხვავებლად გამოიყენება. კავკასიის ალბანეთი და ალბანელები ანტიკურ წყაროებში ქრისტეს შობამდე II საუკუნიდან იხსენიებიან[2] (ბერძნ. Ἀλβανία, რომ. Albania. შედარებით გვიანდელი სომხური Աղուն-ք იმავე ფუძისაგან უნდა მომდინარეობდეს). ქართულ წყაროებში ამ ქვეყანას რანი (მტკვრის მარჯვენა სანაპირო), მოვაკანი (მტკვრის მარცხენა სანაპირო) და, შესაძლოა, ჰერეთი ეწოდებოდა.[3] არაბულსა და სხვა აღმოსავლურ ენებში ასევე الران (ალ-რან) > أران (არ-რან) სახელწოდება დამკვიდრდა.

ალბანური იბერულ-კავკასიური ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება და მისი უშუალო შთამომავალია უდიური ენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ალბანური მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ერთადერთია, რომელსაც მოეპოვება, სავარაუდოდ, თხუთმეტი საუკუნის წინანდელი წერილობითი ძეგლები, კავკასიის ალბანური ენის მონაცემები კავკასიოლოგიისათვის მეტად ფასეულია – მათ შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ

---

[1] ვფიქრობთ, რომ ორივე პალიმფსესტის ქვედა (ალბანური) ტექსტი ერთ ხელნაწერს წარმოადგენს.

[2] თუმცა კავკასიის ალბანელთა ერთ-ერთი ტომი, უტიები, ჯერ კიდევ ჰეროდოტეს “ისტორია”-ში გვხვდება **უიტი**, **უიტიოი** (**οὐιτι**, **οὐιτιοι**) ფორმით.

[3] საინტერესოა, რომ სომხური წყაროებიც ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში **ალუანქ/აღუანქის** გარდა **ლფინქს** და **ბალასაკანს** ათავსებენ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული ვითარების ამსახველ არაერთ მოვლენას.

ამიერკავკასია IV-VI სს.[4]



0.2. ლინგვისტური წყაროების მოკლე მიმოხილვა.

კავკასიის ალბანური მსოფლიოს ერთ-ერთ ორიგინალურ ანბანურ დამწერლობას წარმოადგენს. ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ დაცულია სომხურ საისტორიო მწერლობაში. ამ ცნობების საფუძველზე, XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო დაკარგული კავკასიის ალბანური დამწერლობის ნიმუშთა მოძიება. მრავალჯერ გავრცელდა ცნობა ხელნაწერი ტექსტებისა თუ ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შესახებ, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. მოძიებული „ალბანური დამწერლობის ძეგლები“ სინამდვილეში, როგორც წესი, სომხური კრიპტოგრამის სხვადასხვა სახეობებით იყო შესრულებული, ანდა ბერძნულ თუ ქართულ ეპიგრაფიკულ წარწერებს წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ სომხური კრიპტოგრამით შესრულებულ რამდენიმე ხელნაწერში აღნიშნულიც იყო, რომ ის წარმოგვიდგენს ალბანურ ანბანს, ანდა ალბანურ ტექსტს.[5]

---

[4] წინამდებარე რუქა შედგენილია კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის რ. თომსონის მიერ, იხ.: The Cambridge Ancient History, volume XIV, chapter 22b: 662; ელ. მისამართი: http://en.wikipedia.org/wiki/File:Ancient–countries–of–Transcaucasia.jpg

[5] ილ. აბულაძის აზრით, სიტყვა ალბანური (աղուանից) სინამდვილეში უნდა იყოს „ალავნური“

ასეთ დოკუმენტთა რიგში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ეჩმიაძინის N 2013 და N 3124 ხელნაწერები ფსევდოალბანური ანბანით, რომელიც, როგორც გაირკვა, სომხური კრიპტოგრამით იყო შესრულებული. ერთი ასეთი ხელნაწერი ხელთ ჰქონდა მ. ბროსეს, რომელმაც 1844 წელს მასში გამოყენებული გრაფიკული ნიშნები ასე დაახასიათა: “ეს გახლავთ სომხური ასოების მეტ-ნაკლებად ზუსტი იმიტაცია”.[6]

ნამდვილი ალბანური ანბანის აღმოჩენა თარიღდება 1937 წლის 28 სექტემბრით. იმ დღეს ილ. აბულაძემ ეჩმიაძინის ხელნაწერებს შორის აღმოაჩინა სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო (ეჩმიაძინის N 7117 ხელნაწერი),[7] სადაც, სხვასთან ერთად, წარმოდგენილი იყო რამდენიმე ანბანი (ბერძნული, ლათინური, ქართული, სირიული, კოპტური და არაბული) და მათ რიცხვში იყო 52 ასო-ბგერისაგან შემდგარი კავკასიის ალბანურიც.

მატენადარანის ხელნაწერში წარმოდგენილი ალბანური ანბანი

142r





142v

N 7117-ის დედანი ჩამოტანილია სომხეთში, მეწოფის მონასტერში ყირიმიდან (თეოდოსიიდან) ვინმე განდეგილი ბერის კირაკოსის მიერ. მონასტრის

(աղաւնի), ანუ “მტრედის” (რუს. “голубиный”, ე. ი. საიდუმლო, მტრედების ფოსტისთვის განკუთვნილი) [აბულაძე 1938: 69].

[6] ვიმოწმებთ აკ. შანიძის მიხედვით [შანიძე 1938: 46].

[7] დღეს ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში და სამეცნიერო მიმოქცევაში ცნობილია როგორც „მატენადარანის N 7117 ხელნაწერი“.

წინამძღვარს თომა მეწოფელს მისთვის რედაქცია გაუკეთებია და გადაუცია გადასაწერად თავისი მოწაფისათვის, თომა არჭეშელისათვის [შამიძე 1938: 13].

ხელნაწერი არ არის დათარიღებული, მაგრამ თომა მეწოფელის მონასტრის წინამძღვრობის წლები კარგად არის ცნობილი, აქედან გამომდინარე, უეჭველია, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1411-1446 წლებში [შანიძე 1938: 13-14].

ხელნაწერი პირობითად შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად: პირველი და ყველაზე დიდი სომხური ენის სახელმძღვანელოს წარმოადგენს; მეორეში (გვ. 141-142) მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი ალფაბეტები და ინდური ციფრები (ხელნაწერის მიხედვით "ინდური ასოები"); მესამეში კი (გვ. 143-145) წარმოდგენილია ლოცვები "მამაო ჩვენო", "წმინდაო ღმერთო..."[8] და "დიდება..., აწ და მარადის..." სხვადასხვა ენაზე (ბერძნულად, სირიულად, ქართულად, სპარსულად, არაბულად და მიდიურად; სამწუხაროდ, მათ შორის არ არის ალბანური).

კავკასიის ალბანური ანბანის აღმოჩენით გამოწვეული ეფექტი ძალზე დიდი იყო. ჰრ. აჭარიანი წერდა: "დაუვიწყარი დიდებისა და პატივის ღირსი გახდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი აბულაძე ... რომელმაც ეჩმიაძინის ხელნაწერებს შორის ალბანური ანბანი აღმოაჩინა" [აჭარიანი 1941: 3].

მაშინვე გამოჩდნენ სკეპტიკოსებიც, მაგ., ლ. მელიქსეთ-ბეგს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ანბანი ნამდვილია. მას შეუძლებლად მიაჩნდა მაშინდელი აზროვნებისათვის 52 გრაფემიანი ანბანის შექმნა. ჰრ. აჭარიანმა ასეთი ეჭვები შეადარა "ხანგრძლივად სიბნელეში მყოფი ადამიანის უეცრად სინათლეზე გამოსვლას" [აჭარიანი 1941: 3].

ილ. აბულაძეს ახლადაღმოჩენილი ხელნაწერი თვითონ არ გამოუკვლევია. მან მხოლოდ ცნობა გამოაქვეყნა მისი აღმოჩენის შესახებ [აბულაძე 1938: 69-71] და შესასწავლად თავის მასწავლებელს აკ. შანიძეს გადასცა.

---

[8] აღსანიშნავია, რომ სამწმიდაობის ლოცვას მონოფიზიტური (პეტრე ფულონის ("მკაწვრელი") მიერ გაკეთებული) ჩანართიც ახლავს: "წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, **რომ ჩვენთვის ჯვარს ეცვი**, შეგვიწყალე ჩვენ".

აკ. შანიძემ გამოიკვლია მატენადარანის N 7117 ხელნაწერის ანბანური ნაწილი და ნათლად გვიჩვენა, რომ წყაროში მოცემული ყველა ანბანი ნამდვილია, წარმოდგენილია ძველი ფორმით (არაუგვიანეს XI საუკუნისა) და ამის საფუძველზე დაასკვნა, რომ კავკასიის ალბანურიც ავთენტური უნდა ყოფილიყო [შანიძე 1938: 14-27]. ალბანური ანბანის კრიტიკულად განხილვის შემდეგ, აკ. შანიძე ასკვნის, რომ იგი ძირითადად სწორი უნდა იყოს და მასში მოცემულ ბგერათსისტემას უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა უნდა შეესაბამებოდეს [შანიძე 1938: 27-40]. უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ აკ. შანიძის ეს დებულებები ვერ შეარყია. ასევე, აღსანიშნავია, რომ მკვლევრის მიერ ნავარაუდევი არაერთი ასო-ბგერის ფონემური ღირებულება (N 7117 ხელნაწერისაგან განსხვავებული) დადასტურდა.

აკ. შანიძემ საოცარი წინდახედულობა გამოიჩინა იმის დადგენაშიც, თუ სად იყო შესაძლებელი ალბანური დამწერლობის დაკარგულ ნიმუშთა მოძიება. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, “იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპეციალური ძიებისა და არქეოლოგიური გათხრების საშუალებით აზერბაიჯანში (უპირველეს ყოვლისა ბარდავის მიმდგომ კუთხეებში) აღმოჩნდება წარწერების სახით ალბანური ტექსტები, რომელთა წასაკითხავად გასაღები ნაპოვნია. ამას გარდა, არ არის გამორიცხული ისიც, რომ ოდესმე, სადმე, რომელსამე ბიბლიოთეკაში პალიმფსესტებს შორის აღმოჩნდეს ხელნაწერთა ფრაგმენტები ალბანურ ენაზე” [შანიძე 1938: 65]. როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, აკ. შანიძის ორივე ვარაუდი გამართლდა.

მოგვიანებით აღმოჩნდა კავკასიის ალბანური ანბანის მეორე ნუსხაც, რომელიც წარმოდგენილია არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ აშშ-ში 1956 წ. მოძიებულ XVI ს-ის (დაახლ. 1580 წ.) სომხურ ხელნაწერში. ეს ხელნაწერი, სავარაუდოდ, ეჩმიაძინის N 7117 ხელნაწერის ასლია [ქურდიანი 1956: 80-83] და მატენადარანის ნუსხასთან შედარებით გარკვეულ განსხვავებებს იძლევა როგორც გრაფემათა მოხაზულობის თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაშიც.[9]

[9] N 11 “**ჲუდ**”-ის ნაცვლად გვაქვს “**მუდ**”, N 33 “**შაქ**”-ის მაგივრად “**ჩაქ**”; N 39 “**ჩაჲ**”-ის ნაცვლად “**ჲაჲ**”: სამივე შემთხვევაში მატენადარანის ხელნაწერის ჩვენება სწორია.

ა. ქურდიანის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი გამოიკვლია აკ. შანიძემ, რომელმაც დაადასტურა მისი ავთენტურობა. ამასთან, აკ. შანიძემ განსხვავებული მოსაზრება შემოგვთავაზა ამ ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ. მისი აზრით, "ქურდიანის" ხელნაწერის შემდგენი იგივე დედნით (სავარაუდოდ, X საუკუნის) სარგებლობდა, ოღონდ მატენადარანის ხელნაწერისაგან დამოუკიდებლად [შანიძე 1959: 201-206].

ჩვენი აზრით, ა. ქურდიანის მიერ მოძიებულ ხელნაწერში წარმოდგენილი ალბანური ანბანის დედანი მაინც მატენადარანის N 7117 ხელნაწერის ანბანი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ორივე ნუსხაში იდენტური შეცდომების არსებობა, მაგ., N 2 𐔱 (ბ) გრაფემას ორივეგან "**ოდეთ**" ეწოდება; N 3 𐔲 (გ) – "**ზიმ**"; N 5 𐔴 ე – "**ჲზ**" და ა. შ. არ გვაქვს ერთი შემთხვევაც კი, რომ მატენადარანის ხელნაწერში დადასტურებული რომელიმე ასო-ნიშნის მცდარი სახელწოდება "ქურდიანის" ხელნაწერში სწორი ფორმით იყოს მოცემული. ამასვე ადასტურებს ორივე წყაროში წარმოდგენილ ასო-ნიშანთა მოხაზულობის მსგავსება. თუ გვაქვს განსხვავება, მაშინ "ქურდიანის" ხელნაწერის ნიშნები უფრო დამახინჯებულია პალიმფსესტის გრაფემებთან შედარებით.

1948-1952 წლებში მინგეჩაურთან (აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი) გათხრების შედეგად ერთი ლაპიდარული წარწერა და რამდენიმე გრაფიტი აღმოჩნდა, რამაც ახალი იმპულსი მისცა ალბანოლოგიის განვითარებას. იმ პერიოდში მოძიებულ ეპიგრაფიკულ ნიმუშთა ერთობლიობას ალბანურ წარწერათა კორპუსს (ან მინგეჩაურის წარწერებს) უწოდებენ და მასში შედის: 1. ჯვრის პოსტამენტის წარწერა – 70 გრაფემა; 2. გრაფიტი თიხის შანდალზე N 1 – 50 გრაფემა; 3. გრაფიტი თიხის შანდალზე N 2 – 16-17 გრაფემა; 4. გრაფიტი თიხის შანდალზე N 3 – 8 გრაფემა; 5. გრაფიტი თიხის შანდალზე N 4 – 24 გრაფემა; 6. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე N 1 – 21 გრაფემა; 7. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე N 2 – 5-6 გრაფემა. მთლიანად კორპუსი შედგება 194-196 გრაფემისაგან და მასში დასტურდება კავკასიის ალბანური ანბანის 34 ასო-ნიშანი. ამას გარდა, კავკასიის ალბანური დამწერლობის ცალკეული ნიშნები გვხვდება ქ. დერბენტის გალავანზე.

კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსში ზოგიერთ მეცნიერს შეჰქონდა ე. წ. დერბენტის წარწერა (ს. მურავიოვი) და ზემო ლაბკოს (ზემო ლაბკომახის) ქვის ფილა (ვ. გუკასიანი, გ. კლიმოვი), რაც გასაზიარებელი არ ჩანს.

როგორც აღინიშნა, მინგეჩაურის გათხრებამდე, ანუ ალბანური ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამდე, უკვე მოძიებული იყო კავკასიის ალბანური ანბანი და, აგრეთვე, ცნობილი იყო ის სავარაუდო ენა (უდიური), რომლის საფუძველზეც უნდა წარმართულიყო ძიება. ამან შექმნა ილუზია, რომ მინგეჩაურის წარწერები ადვილად გაიშიფრებოდა, მაგრამ მათი წაკითხვის პროცესი ჩიხში მოექცა.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ 1948 წელს სუდაგილანში (აზერბაიჯანი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქ. მინგეჩაურის მახლობლად) აღმოჩენილი ჯვრის პოსტამენტის ლაპიდარული წარწერის წაკითხვის ცდები:

ა. აბრამიანმა ეს წარწერა შემდეგნაირად წაიკითხა: "ჰერაკლეს [მეფობის] ოცდამეათე [წელს] აღიმართა ტაძარი წმინდა ეღიშეს (ან გისის ეღიშეს) [სახელზე] ... ეპისკოპოს ობელის მოსახსენებლად" [აბრამიანი 1964: 45].

გ. კლიმოვის მიხედვით: "... ოცდამესამე წელს ხოსროსი..." [კლიმოვი 1967, 78].

ს. მურავიოვის მიხედვით: "ეს? ტახტი? // სამსხვერპლო? (ზედმიწ. სისხლიანი? ფილა?) აღმართა? იაკობ (იაკოპ) მღვდელმა, ტომით უდიმ, ძელისათვის (ე. ი. ჯვარისათვის)" [მურავიოვი 1981: 268].

ვ. შულცეს მიხედვით: "კეისარ პიპეს (ფილიპეს) ... ოცდამეშვიდე წელს პოსტამენტი ... გააკეთა ... იოანე ეპისკოპოსს გაუკეთა ..." [შულცე 1982: 291].

დანარჩენი წარწერების შემთხვევაშიც სპეციალისტებმა ერთმანეთისაგან განსხვავებული შედეგები მიიღეს.

პირველმა, ვინც ალბანურ წარწერათა კორპუსის აღმოჩენის შემდეგ გამოთქვა მოსაზრება, რომ მატენადარანის ხელნაწერში შემონახული ანბანი ბევრი შეცდომის გამო (როგორც ასო-ნიშანთა ფონემური ღირებულების, ისე მათი გრაფიკული ფორმის თვალსაზრისითაც) ვერ გამოდგებოდა წარწერათა გასაშიფრად, ხოლო ეპიგრაფიკული კორპუსი დამოუკიდებლად საკმარისი არ

იყო მისი წაკითხვისათვის, იყო კვლავ აკ. შანიძე. მას თვითონ წარწერათა გაშიფვრა აღარც უცდია, რადგან, ამ ვითარებაში ასეთი მცდელობები უნაყოფოდ მიაჩნდა. მისი ძალიან ზუსტი შეფასებით, ეს იგივე იქნებოდა, რომ ამავე მატენადარანის N 7117 ხელნაწერში მოცემული ქართული ანბანით გვეცადა ბოლნისის სიონის წარწერის წაკითხვა, სხვა ცოდნა ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ რომ არ გვქონოდა [შანიძე 1957: 33-44].

კავკასიის ალბანურ ენაზე შესრულებული პირველი გაბმული ვრცელი ტექსტი მოძიებულ იქნა სინას ნახევარკუნძულზე (ეგვიპტე) მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერში. 1975 წ. იქ დაახლოებით 1100 ხელნაწერი აღმოაჩინეს. ახალ კოლექციაში 141 ქართული ხელნაწერი გამოვლინდა (ფურცელთა საერთო რაოდენობაა – 4000-ზე მეტი). მათ შესასწავლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა სინას მთაზე განახორციელა რამდენიმე ექსპედიცია ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით.

მეორე ექსპედიციის დროს, 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზ. ალექსიძემ მიაქცია ყურადღება ორი პალიმფსესტის (**N/Sin 13** და **N/Sin 55**) ქვედა ტექსტს, რომელიც, მკვლევრის თქმით, ერთდროულად ჰგავდა ქართულსაც და სომხურსაც, თუმცა არ იყო არც ერთი მათგანი. საქართველოში დაბრუნებისთანავე მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე გაკეთებულ ანგარიშში ზ. ალექსიძემ განაცხადა, რომ მის მიერ აღმოჩენილი უცნობი დამწერლობით შესრულებული ტექსტი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კავკასიის ალბანური [ალექსიძე 2003: 24].

1996 და 2000 წლებში სინას ნახევარკუნძულზე კიდევ ორი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო, რომლის დროსაც სპეციალურ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გადაიწერა ალბანური ტექსტი, აგრეთვე გადაღებულ იქნა პალიმფსესტების ფოტოსურათები (ულტრაიისფერი განათების ქვეშ).

ქართულ-ალბანური პალიმფსესტების ფურცელთა საერთო რაოდენობა 240-ს აღწევს. დაუზიანებელი ფურცლის ზომაა – 29,5 X 22,5 სმ. თითოეულ ფურცელზე ტექსტი შესრულებულია ორ სვეტად. როგორც წესი, სვეტში 22 სტრიქონია (ზოგჯერ 24). სვეტებს შორის და არშიებზე საკმაოდ დიდი მანძილია

დატოვებული, თავისუფალი ადგილები კი ტექსტთან დაკავშირებული მინაწერების გასაკეთებლადაა გამოყენებული.

ალბანური ტექსტი შესრულებულია საკმაოდ ლამაზი ასომთავრულით. საზედაო ასოები გამოყენებულია მუხლების გამოსაყოფად. ტექსტი თითქმის უწყვეტია, იშვიათად მოკლე მონაკვეთები ერთმანეთისგან გამიჯნულია ორი, თითქმის წერტილის ფორმის მქონე მოკლე პარალელური ხაზებით. ხშირად გამოყენებულია ქარაგმის ნიშანი.

ალბანური ტექსტის მოცულობა დაახლ. 16 ათასი სიტყვაფორმაა (დაახლ. 60 ათასი ნიშანი) და მასში დასტურდება კავკასიის ალბანური ანბანის 48 ასო-ნიშანი. პალიმფსესტების ალბანური ფენა წარმოგვიდგენს ე. წ. ლექციონარსა („კანონი“, „კანონარი“) და იოანეს სახარებას. კავკასიის ალბანური ლექციონარის საკითხავთა სათაურები შესრულებულია ბევრად მცირე ზომის გრაფემებით (რაც ალბანურ ლექციონარს აახლოვებს უძველეს ქართულ და სომხურ ლექციონარებთან). სათაურის დასაწყისი და შემდეგ თითქმის ყველა სიტყვა დაწერილია საზედაო ასოებით (ეს სომხური ლექციონარებისათვისაა დამახასიათებელი). სათაურშივე, ხშირ შემთხვევაში, გვაქვს მოკლე მითითება ტექსტის წაკითხვის შემდეგ ალილუიას, ზოგჯერ კი, ფსალმუნის შესრულების აუცილებლობაზე.

ალბანურ ხელნაწერში გამოსარჩევია ორი ან სამი გადამწერის ხელი [ალექსიძე 2003: 65], რაც ასეთი დიდი მოცულობის ტექსტისათვის გასაკვირი არ არის. სინურ პალიმფსესტთა ალბანური ასო-ნიშნები სიახლოვეს ავლენენ მინგეჩაურის წარწერათა გრაფემებთან. მათი განსხვავება, იმ ბუნებრივ სხვაობას არ სცილდება, რომელიც უნდა იყოს ლამაზად შესრულებულ ხელნაწერსა და ეპიგრაფიკის გრაფემებს შორის.

თავის მხრივ შეინიშნება საკმაო სხვაობა მატენადარანის N 7117 ხელნაწერსა და სინური პალიმფსესტების ნიშანთა შორის. ეს აიხსნება იმით, რომ მატენადარანის ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს სულ მცირე ორჯერ სომეხ გადამწერთა მიერ, რომლებიც, ბუნებრივია, არ იცნობდნენ კავკასიის ალბანურ დამწერლობას. ამან გამოიწვია ასო-ბგერათა უმეტესობის დამახინჯება ან მათი სტილიზაცია სომხურის მიხედვით.

როგორც ჩანს, X ს-ში ალბანური ტექსტი გადაირეცხა (წყაროთა ცნობების მიხედვით, იმ პერიოდში სინას მთაზე იგრძნობოდა პერგამენტის ნაკლებობა[10]) და შემდგომ ზემოდან შესრულდა ქართული ტექსტი (ნუსხა-ხუცურით).

ალბანური ხელნაწერი, შესაძლოა, შესრულებულიყო კავკასიის ალბანეთში: ალბანური ეკლესიის მონოფიზიტურ მრწამზე გადასვლის შემდეგ კი (VIII ს-ის დასაწყისი) მოხვედრილიყო საქართველოში და აქედან სინას მონასტერში, ანდა, გადაწერილიყო პალესტინის ერთ-ერთ ალბანურ მონასტერში და იქიდან მოხვედრილიყო პალესტინის ქართულ წრეში და შემდეგ სინას მთაზე.

ჩვენ მეორე ვარაუდი უფრო მართებულად მიგვაჩნია. მოვსეს კალანკატუაცი იერუსალიმის საპატრიარქოში ასზე მეტ ალბანურ და სომხურ მონასტერს ითვლის (?!) და მხოლოდ იერუსალიმში ასახელებს ათ მონასტერს, რომელიც, მისი თქმით, ალბანელთა მიერაა დაარსებული (თუმცა მათგან მოქმედი სულ რამდენიმე იყო, დანარჩენს კი მაჰმადიანები განაგებდნენ) [კალანკატუაცი 1985: 132-134].

0.3. შესწავლის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

კავკასიის ალბანური დამწერლობისა და ენის პრობლემატიკა სხვადასხვა პერიოდში არაერთი მეცნიერის შესწავლის საგანი გამხდარა. პირველი სამეცნიერო მონოგრაფია [შანიძე 1938: 1-68] და კიდევ რამდენიმე ნაშრომი ალბანურის შესახებ [შანიძე 1957; 1959; 1960] ეკუთვნის აკ. შანიძეს. კავკასიის ალბანური ანბანის ორი ნუსხის ანალიზს და ალბანური დამწერლობის კვლევასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს წარმოგვიდგენს, აგრეთვე, შემდეგი ნაშრომები [აბულაძე 1938, 1940; დიუმეზილი 1940-1941; აჭარიანი 1941; ქურდიანი 1956; ჰევსენი 1956; მელიქსეთ-ბეგი 1957; დიაკონოვი 1961; ქურდიანი 1993, 1995, 1996 და სხვ.].

მინგეჩაურის წარწერების აღმოჩენის შემდეგ 1960-90 წლებში გამოქვეყნდა რიგი ნაშრომებისა, რომლებიც მიეძღვნა ალბანური ეპიგრაფიკის წაკითხვასა და კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სიტემის დადგენას (ამის შესახებ ვრცლად იხ. 1. 1. ქვეთავი) [აბრამიანი 1964; კლიმოვი 1967, 1970, 1972, 1976, 1984, 1990; გუკასიანი 1968, 1969, 1971; მურავიოვი 1981; შულცე 1982 და სხვ.].

[10] ვიმოწმებთ ზ. ალექსიძის მიხედვით [ალექსიძე 2003: 58].

სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ, გამოქვეყნდა ზ. ალექსიძის ნაშრომები, რომლებიც წინასწარ ცნობებს შეიცავს კავკასიის ალბანური ხელნაწერის აღმოჩენის შესახებ [ალექსიძე 1999, 2001 და სხვ.]. კავკასიის ალბანური ენის აღწერის პირველი ცდა კი მოცემულია 2003 წელს თბილისში გამოქვეყნებულ ზ. ალექსიძის მონოგრაფიაში „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“ [ალექსიძე 2003], თუმცა ენობრივი ანალიზი მასში მცირე მოცულობისაა – „ალბანური ენის გრამატიკული აღწერა“ − სულ რამდენიმე გვერს მოიცავს [ალექსიძე 2003: 151-158]. ეს მონოგრაფია კავკასიის ალბანური ტექსტების მცირე ანალიზსაც წარმოგვიდგენს. ზ. ალექსიძის მიერ მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულ იქნა ალბანური ლექციონარის 40-მდე საკითხავის სათაური და იდენტიფიცირებულ იქნა 14 საკითხავი. თითოეული იდენტიფიცირებული საკითხავიდან ზუსტად დადგინდა რამდენიმე მუხლის შესატყვისი საღვთო წერილის ანოლოგიურ ტექსტთან.

2003 წლის შემდეგ ალბანური ხელნაწერების კვლევის საქმეში ზ. ალექსიძესთან ერთად ჩაერთვნენ ი. გიპერტი, ვ. შულცე და ჟ.-პ. მაე. მათი ერთობლივი მუშაობა დაგვირგვინდა 2009 წელს მონოგრაფიის − “კავკასიის ალბანური პალიმფსესტები სინას მთიდან” − გამოქვეყნებით [გიპერტი და სხვ. 2009]. ის დღემდე რჩებოდა კავკასიის ალბანური ენის ერთადერთ მეტ-ნაკლებად სრულ მონოგრაფიულ გამოკვლევად. ამ მონოგრაფიის I ტომი კავკასიის ალბანეთის ისტორიის ნარკვევსა და ალბანური ხელნაწერის აღწერას ეთმობა. წარმოდგენილია, აგრეთვე, კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი (II სექცია). II ტომი კი მთლიანად ალბანური პალიმფსესტების ვიზუალურ მასალასა და მის საკითხავთა იდენტიფიკაციას მიეძღვნა.

კავკასიის ალბანური ენის შესახებ საკითხები განიხილება წინამდებარე გამოკვლევის ავტორის სადოქტორო დისერტაციაში „კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები“ [ლოლუა 2010: 1-181] და კიდევ რამდენიმე ნაშრომში.

თავი I

ფონეტიკა

1.1. საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი.

კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის დადგენიდათვის სპეციალისტები ორ განსხვავებულ მეთოდს მიმართავდნენ: ზოგიერთი მკვლევრის აზრით (მაგ., გ. კლიმოვი), სომხურ ხელნაწერებში (მატანადარანის N 7117 ხელნაწერი და ა. ქურდიანის მიერ მოძიებული ნუსხა) შემონახული ანბანი ვერ გამოდგებოდა კავკასიის ალბანური მასალის გაშიფვრისათვის და იგი უნდა დაზუსტებულიყო ტექსტების წაკითხვის საფუძველზე. ამასთან, გ. კლიმოვის აზრით, კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ფონემური ღირებულების დაზუსტება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუ გაიზრდებოდა ალბანური ეპიგრაფიკული მასალის რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდიდა მის მიმართ უცნობ დამწერლობათა გაშიფრვის არსებული მეთოდების გამოყენებას. მხოლოდ ამის შემდეგ, ამოკითხული მასალის საფუძველზე, გადაწყდებოდა სომხურ ხელნაწერებში მოცემული ალბანური ანბანის სანდოობის შესახებ საკითხი [კლიმოვი 1967: 68-80; 1972: 50-54]. ანუ გ. კლიმოვს იმ პერიოდისათვის არსებული მასალა არ მიაჩნდა საკმარისად სომხურ ხელნაწერებში მოძიებული კავკასიის ალბანური ანბანის დაზუსტებისათვის (შდრ. გ. კლიმოვის გვიანდელი ნაშრომიდან: “В силу чрезвычайной скудости эпиграфического материала … ведущая роль в определении фонетических значений его букв по-прежнему пока принадлежит воспроизведениям агванского алфавита в обеих армянских рукописях” [კლიმოვი 1990: 496]).

მეორე მეთოდის მიმდევრები (ა. აბრამიანი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი და სხვ.) მიმართავდნენ კავკასიის ალბანური ანბანის შინაგან რეკონსტრუქციას და

მხოლოდ ამის შემდეგ წარწერებში დადასტურებული გრაფემების იდენტიფიკაციასა და მათ წაკითხვას ცდილობდნენ.

მატენადარანის ნუსხის ანალიზის საფუძველზე ს. მურავიოვი ხუთი ასო-ნიშნის ფონემურ ღირებულებას ცვლის [მურავიოვი 1981], ა. აბრამიანი კი ნახევარზე მეტს (33 ასო-ბგერის ფონემურ ღირებულებას 52-დან) [აბრამიანი 1964].

შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენების შედეგად ზოგიერთი გრაფემის მკვლევართა მიერ (აკ. შანიძე, ა. აბრამიანი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი) დაზუსტებული ფონემური ღირებულება სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ დადასტურდა. ამასთან, აღსანიშნავია დაშვებული შეცდომებიც: ს. მურავიოვი ზედმეტად ენდობა კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის ნუსხას და, როგორც აღინიშნა, მასში მხოლოდ ხუთ ასო-ნიშანს უცვლის ფონემურ ღირებულებას. ამას გარდა, მკვლევარი იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ისეთ არადამახასიათებელ ბგერებს ვარაუდობს კავკასიის ალბანურში, როგორიცაა, მაგალითად, ინტენსიური **ჲ**ჾ... ასევე ნაკლებად დამაჯერებელია მჟღერი ინტენსიური ფონემებისა (**ზ**ჾ, **ჟ**ჾ, **ჯ**ჾ) და ოდენ **კ˚** და **ყ˚** ლაბიალიზებული ბგერების არსებობა კავკასიის ალბანურში; გაუგებარია რამდენიმე ასო-ბგერის ფონემური კვალიფიკაცია (მაგ., **ა** ბგერის მსგავსი **ო‘**... [მურავიოვი 1981: 243]).

ა. აბრამიანი კი, პირიქით, ზედმეტად კრიტიკულად უდგება წყაროს, ანუ მატენადარანის N 7117 ხელნაწერს. როგორც მკვლევარი მიიჩნევს, კავკასიის ალბანური სომხური ანბანის ზუსტი კალკია, ხოლო ალბანური ასო-ნიშნები დალაგებულია სომხურ ასო-ბგერებთან ფონეტიკური სიახლოვის მიხედვით, მაგ., N 11 **𐔺** “**ჲუდ**”-ის შემდეგ, რომელიც, ა. აბრამიანის აზრით, სომხური ի ნიშნის ეკვივალენტია, მოდის N 12 **𐔻** “**ჲა**” (და არა “**ჟა**”, როგორც ეს არის მატენადარანის ნუსხაში) და N 13 **𐔼** “**ირბ**”, ე. ი. მეორე და მესამე **ი** [აბრამიანი 1964: 29] .

ა. აბრამიანის მიერ შემოთავაზებული რეკონსტრუქციის მოდელი ეწინააღმდეგება თვით სომხურ ანბანში ასო-ბგერათა განთავსების პრინციპს. სომხური ვერ იგუებს ორი მსგავსი ჟღერადობის ასო-ბგერის ერთად თავმოყრას; ასე, მაგალითად, სომხურ ანბანში აბრუპტივები არ გვხვდება თავის ფშვინვიერ

კორელატებთან; განცალკევებით დასტურდება ʟ და η, ռ და ր და ა. შ. იმის ფონზე, რომ ა. აბრამიანი კავკასიის ალბანური ანბანის ავტორად მაშტოცს მიიჩნევს, მის მიერ არჩეული რეკონსტრუქციის ხერხი გაკვირვებას იწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. აბრამიანის მიერ განხორციელებული რეკონსტრუქციის ცდა, გაშიფვრის თეორიის თვალსაზრისით, არ ეფუძვნება რომელიმე მეთოდს და, ამდენად, ის მხოლოდ ინტუიციაზეა აგებული. ა. აბრამიანი საერთოდ არ განიხალავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, მაგალითად, სომხურთან შედარებით რა თავისებურებები ახასიათებს კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემას, რამდენწევრიან ჯგუფებს ჰქმნიან ხშულ-მსკდომები, აფრიკატები თუ სპირანტები. შესაბამისად, კავკასიის ალბანური ანბანის მის მიერ ნავარაუდევი ფონეტიკური შედგენილობა უსისტემოა.[11] ასე, მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, რომ ალბანურში **ჩ** ბგერის ოთხი სახესხვაობა (N 36-39) და **შ** ბგერის სამი ვარიანტი (N 32-34) გვქონდა, მაშინ როდესაც დანარჩენი შიშინა სიბილანტები თითო-თითო წევრითა წარმოდგენილი. ა. აბრამიანის მიერ რეკონსტრუირებულ ანბანში არ გამოინახა ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ისეთი დამახასიათებელი ბგერებისათვის, როგორიცაა **ჳ** და **ყ**, სამაგიეროდ **ხ** ბგერა ანბანში სამჯერ გვხვდება. იშვიათი გამონაკლისის გარდა არ არის მოცემული ალბანური სპეციფიკური ასო-ბგერების ზუსტი ფონემური კვალიფიკაცია, ანდა ის სრულიად გაუგებარია, მაგ., "**ö**, რომელიც ჟღერადობით **ჳ** ბგერის მსგავსია" [აბრამიანი 1964: 31-32].

გაუგებარია, თუ რით არის განპირობებული მკვლევრის მიერ 52 ნიშნიან ანბანში 33 ასო-ბგერის ფონემური ღირებულების შეცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ ალბანური ანბანის გრაფემათაგან, რომლის ჟღერადობა დღეს ეჭვს არ იწვევს, მატენადარანის ნუსხასთან შედარებით შეიცვალა 14 ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება და, ჩვენი აზრით, კიდევ ოთხ შემთხვევაში იგი უნდა დაზუსტდეს.

ვ. გუკასიანი რეკონსტრუქციის საკმაოდ ორიგინალურ მეთოდს მიმართავს. მკვლევრის აზრით, კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ფონემური ღირებულების აღდგენა შესაძლებელია მათი სახელწოდებების ანალიზის გზით.

[11] ა. აბრამიანის რეკონსტრუქციის ვრცელი კრიტიკისათვის იხ.: [გუკასიანი 1968: 392-400].

მკვლევარი აღნიშნავს: “Составители учебника (იგულისხმება მატენადარანის N 7117 ხელნაწერი – რ. ლ.) разработали очень хитроумный способ передачи названий букв. То есть, они, учитывая специфические особенности названий букв албанского алфавита, соблюдали общее правило: заменили последние буквы названий в соответствии с корреляцией обозначаемого звука-буквы” [გუკასიანი 1969: 63]; ასე, მაგალითად, ანბანში სამი **კ** ბგერით აღნიშნული გრაფემა მოგვეპოვება: პირველი (N 21 “**კარ**”), ვ. გუკასიანის ვარაუდით, პრერუპტივი იყო, მეორე (N 42 “**კატ**”), რომლის სახელწოდებაში **ტ** არის გამოყენებული, – იმავე რიგის აბრუპტივია (**კ**), ხოლო მესამე (N 30 “**კარ̥**”) – **ყ** ბგერაა, ანუ, ვ. გუკასიანის აზრით, რაც უფრო მკვეთრი ბგერა ფიგურირებს სახელწოდების აუსლაუტში, მით უფრო მკვეთრ ფონემას გადმოსცემს შესაბამისი ასო-ბგერა [გუკასიანი 1969: 62-63].[12]

ჩვენ ვ. გუკასიანის არგუმენტაცია გაუგებრად გვეჩვენება. ჩვენი აზრით, შეუძლებელია, რომ XV საუკუნეში N 7117 ხელნაწერის შემდგენთ სცოდნოდათ ალბანური ბგერების არტიკულაციის თავისებურებათა შესახებ. ვ. გუკასიანის მოსაზრება მით უფრო გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე ნაშრომში მკვლევარი ეთანხმება აკ. შანიძის მოსაზრებას, რომლის თანახმად მატენადარანის ხელნაწერის ანბანური ნაწილის დედანი უნდა შედგენილიყო არაუგვიანეს X საუკუნისა [გუკასიანი 1969: 61]. თუ ვ. გუკასიანი გულისხმობს, რომ ალბანური ანბანის გრაფემათა სახელწოდებები შეიცვალა უკვე დედანში (ეს ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში არ ჩანს), მაინც ძნელი წარმოსადგენია სომეხ გადამწერებს შეეცვალათ უცხო ანბანის ასო-ბგერათა სახელწოდებები თავისი სურვილისამებრ. მით უფრო უადგილოა ასეთი დამახინჯებული (როგორც თავად ვ. გუკასიანი მიიჩნევს) სახელწოდებების შედარება არამეულ, ბერძნულ და სხვა ალფაბეტთა სახელწოდებებთან და ამის საფუძველზე ალბანური ანბანის გენეზისის შესახებ მსჯელობა [გუკასიანი 1969: 61-62].

---

[12] როდესაც ასო-ნიშნის სახელწოდებაში კოშტი” **რ̥** (= Ռ) გვხვდება, ასეთ შემთხვევაში ეს მიდგომა ნაწილობრივ გამართლებული ჩანს, ანუ **რ̥**, რომელიც კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ გვხვდება, სომეხ გადამწერთათვის, შესაძლოა, ერთგვარი დიაკრიტიკული ნიშნის ფუნქციას ასრულებდა, რის შესახებაც თვალსაჩინოდ “**კარ**” – “**კარ̥**” მაგალითი მეტყველებს. კოშტი” **რ̥** N 19 “**ჭარ̥**” < “*__წარ̥__” და N 6 ასო-ბგერის “**ზარ̥ლ**” სახელწოდებაში გვხვდება (იხ. ამ ნაწილის II ქვეთავი: N 6, N 19 და N 30 გრაფემების კომენტარები).

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. გუკასიანი ზოგჯერ მის მიერვე შემოთავაზებულ პრინციპს არ იცავს, მაგ., N 6 “**ზარჲლ**”-ს მკვლევარი მარტივ **ზ** ბგერად მიიჩნევს, მაშინ როდესაც მის სახელწოდებაში “კოშტი” **ჲ** არის გამოყენებული. ამას გარდა, ვ. გუკასიანისვე მეთოდიდან გამომდინარე ძნელი ასახსნელია შემდეგი წყვილების ფონემური ღირებულება: **ე “ჷზ” – ე‘ “ენ”; ჟ “ჟილ” – ჟჾ “ჟა”; ი “ირზ” – ი‘ “ინა”; ფ› “პენ” – პ “ფეს”**...[13]

ამას გარდა, ვ. გუკასიანის მიერ ნავარაუდევი კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა საეჭვოა, მაგ., ნაკლებად დამაჯერებელია დენტოლაბიალიზებულ ბგერათა არსებობა შიშინა აფრიკატთა რიგში (**ჯ˚, ჩ˚, ჩ›˚, ჭ˚**) და, განსაკუთრებით, ინტენსივობის მიხედვით კორელაციის არსებობა ოდენ სისინა და შიშინა სპირანტების რიგში (**ზ – ზჾ, ს – სჾ, ჟ – ჟჾ, შ – შჾ**). მკვლევრის მიერ მჟღერი ინტენსიურების (**ზჾ, ჟჾ**) პოსტულირება აძლიერებს ამ ეჭვს (მჟღერი ინტენსიური ფონემები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ არის დადასტურებული).

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ალბანური წერილობითი ძეგლების გაშიფვრის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ზ. ალექსიძე გ. კლიმოვს უჭერს მხარს. მკვლევარი არ მიმართავს ანბანის შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს, თუმცა კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ნიშანთა ფონემური ღირებულების განსაზღვრისას მატენადარანის ნუსხის მონაცემებს ითვალისწინებს.[14]

ზ. ალექსიძის აზრით, დადგენილია 35 გრაფემის ფონემური ღირებულება [ალექსიძე 2003: 151] და მატენადარანის ხელნაწერის გრაფემათა სახელწოდებათაგან 9 ექვემდებარება შესწორებას, ესენია: “**ოდეთ**” > “**ზეთ**”, “**ზიმ**” > “**გიმ**”, “**გატ**” > “**დატ**”, “**ხამ**” > “**ღამ**”, “**კარ̥**” > “**ყარ̥**”, “**ჯაჲ**” > “**ჭაჲ**”, “**უნ**” > “**ონ**”, “**კატ**” > “**რატ**” და “**ჲაჲდ**” > “**ჸაჲდ**” [ალექსიძე 2003: 84-85].

უნდა აღინიშნოს, რომ ვერ დადასტურდა ზ. ალექსიძის მიერ

---

[13] **ფ› “პენ” – პ “ფეს”** მაგალითი გაკვირვებას იწვევს; გაუგებარია რატომ მიიჩნია მკვლევარმა Φ (**ფ**) ასო-ბგერით გადმოცემული გრაფემა აბრუპტივად, ხოლო Ⴄ (**პ**) ასო-ბგერით აღნიშნული – პრერუპტივად.

[14] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ალბანური მასალის მოცულობა სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შედეგად შეუდარებლად გაიზარდა, რაც, ბუნებრივია, რეკონსტრუქციის მნიშვნელობას ამცირებს.

შემოთავაზებული შემდეგი ასო-ნიშნების ფონემური ღირებულება: N 14, N 17, N 18, N 25, N 32, N 33 (ზ. ალექსიძის მიხედვით – შ, ჴ//ხ^{1}, ღ, ჳ, ჭ^{1}//ჯ, შ^{2}). ამასთან, ხშირ შემთხვევაში მკვლევარი არ გვთავაზობს ასო-ნიშნის ზუსტ ფონემურ ღირებულებას; გამოიყენება შემდეგი სახის ტრანსკრიფცია: შ^{2}, ჭ^{1} და ა. შ.

ი. გიპერტი და ვ. შულცე[15] რეკონსტრუქციას მამართავენ მხოლოდ სამი ასო-ნიშნის შეთხვევაში ("ჩაჲ"; "ჯაჲ"; "ჯაჲნ"), რომელიც პალიმფსესტების ტექსტში არ გვხვდება.[16]

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ ნავარაუდევ ფონოლოგიურ სისტემას ნაწილობრივ არ ვეთანხმებით: ჩვენი აზრით, არადამაჯერებელია თეზისები ალვეოლარულ-პალატალური შიშინა სიბილანტებისა[17] და დენტოალვეოლარულ პალატალიზებულ თანხმოვანთა (ნ́ და ლ́ ბგერების გარდა) რიგების არსებობის

---

[15] იმის მიუხედად, რომ მონოგრაფიას "კავკასიის ალბანური პალიმფსესტები სინას მთიდან" ("The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai") ჰყავს ოთხი ავტორი (ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე და ჟ.-პ. მაე), კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნით ოდენ ი. გიპერტსა და ვ. შულცეს. ამის გამო, ამ და სხვა ამდაგვარ შემთხვევებში, ვასახელებთ მხოლოდ მათ.

[16] ძნელი ასახსნელია, თუ რატომ არ გვხვდება ეს ასო-ბგერები სინური პალიმფსესტების ქვედა (ალბანურ) ტექსტში, რომელიც დაახლოებით 60 ათას ნიშანსა და 16 ათასს სიტყვაფორმას შეიცავს (იხ. N 27 ასო-ბგერის კომენტარი).

[17] ი. გიპერტი და ვ. შულცე კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში შიშინა სიბილანტების ორ ლოკალურ რიგს ვარაუდობენ, ესენია: "ალვეოლარულ-პალატალური" ("alveolar-palatals" – * ǯ, č, č̣, ž, š) და "პოსტალვეოლარული" ("postalveolars" – ʒ́, ć, ć̣, ź, ś) [გიპერტი და სხვ. 2009: II-14–15, II-17].

ტაბულაში 4-6 გვ. და კავკასიის ალბანური ენის ფონემათა დეტალურ მიმოხილვაში [გიპერტი და სხვ. 2009: II-13–15] მოყვანილია ამ ნიშნების ტრანსკრიფცია საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის (IPA) მიხედვით: * ǯ = dʒ, č =tʃ, č̣= tʃ', ž = ʒ, š = ʃ; ʒ́ = dʑ, ć = tɕ, ć̣ = tɕ', ź = ʑ, ś = ɕ. აქედან გამომდინარე, ალვეოლარულ-პალატალური თანხმოვნების ნაცვლად, სავარაუდოდ, უნდა ვიგულისხმოთ პოსტალვეოლარული და პირიქით – პოსტალვეოლარულის ნაცვლად – ალვეოლარულ-პალატალური.

ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ უდიურ ენაშიც ვ. შულცე შიშინათა ორ ლოკალურ რიგს აღნიშნავს: "პალატალურ-ალვაოლარულს" ("palato-alveolars"), რომლის ადგილი კონსონანტთა ტაბულაში კავკასიის ალბანური ენის ალვეოლარ-პალატალური შიშინა თანხმოვნებისას ემთხვევა, თუმცა ტრანსკრიფცია პოსტალვეოლარულ შიშინა თანხმოვნების ტრანსკრიფციას იმეორებს (ʒ́, ć, ć', ź, ś), და "პალატალურს" ("palatals"), რომლის ადგილი კონსონანტთა ტაბულაში კავკასიის ალბანური ენის პოსტალვეოლარულ შიშინა თანხმოვნების ადგილს ემთხვევა, ხოლო ტრანსკრიფცია – ალვეოლარ-პალატალური შიშინა თანხმოვნების ტრანსკრიფციას (ǯ, č, č', ž, š) [შულცე 2001: 15]. ეს გარემოება, ბუნებრივია, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ კავკასიის ალბანურ ენაში ნავარაუდევ შიშინა სიბილანტთა სისტემას უფრო ბუნდოვანს ხდის.

შესახებ. ასევე ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას სპეციფიკური ფარინგალური თანხმოვნის, ლაბიალიზებულ ა°-სა და პალატალიზებული უ̈ ბგერის არსებობის შესახებ კავკასიის ალბანურში.

ჩვენი აზრით, კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ფონემური ღირებულების განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, უდიურისა და სხვა მონათესავე თუ არამონათესავე (კავკასიის ალბანური ენის არეალური კონტაქტების გათვალისწინებით) ენების ფონოლოგიური სისტემების მონაცემთა საფუძველზე უნდა მოხდეს, ხოლო შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ იქ, სადაც სხვაგვარად ასო-ნიშნის ფონემური ღირებულების დადგენა შეუძლებელია. სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შედეგად ალბანური მასალის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმავდროულად, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის კვლევისას, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს კავკასიის ალბანური ანბანის ორივე ნუსხის (უპირველეს ყოვლისა – მატენადარანის N 7117 ხელნაწერის) მონაცემთა გათვალისწინება. სომხურ ხელნაწერებში დაცული კავკასიის ალბანური ანბანი, მიუხედავად შეცდომებისა, რომლებიც მისი არაერთჯერადი გადაწერისას დაიშვა (ალბათ, IX-XV სს. განმავლობაში), მაინც გამოსადეგია ალბანური ეპიგრაფიკული და ხელნაწერი მასალის წაკითხვის საქმეში, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ფონოლოგიური სისტემის შესახებ საკითხების კვლევისას მთავარი გამსაზღვრელი კავკასიის ალბანური ფაქტობრივი მასალა უნდა იყოს.

1.2. ვოკალიზმი.

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის N 7117 ხელნაწერის ნუსხაში ხმოვნებით აღნიშნული 9 ნიშანი გვხვდება (N 1 “ალთ”, N 2 “ოდეთ”, N 5 “ჱზ”, N 7 “ენ”, N 13 “ირბ”, N 16 “ინა”, N 25 “არ”, N 35 “უნ”, N 47 “იონ”), ხოლო სინურ პალიმფსესტებში ხმოვნებისათვის 6 “მარტივი” ნიშანი გვაქვს ([illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible]), ორი ხმოვანიც დიგრაფებით გადმოიცემა ([illegible] და [illegible]). ამათგან, მარტივი ხმოვნების რაობა დადგენილია, ესენია: [illegible] (ა), [illegible] (ე), [illegible] (ი), [illegible] (ო) და [illegible]

(უ), ხოლო 𐕡 გრაფემა **ეჲ** დიფთონგს აღნიშნავს.[18] მარტივი ხმოვნების საკითხი კავკასიის ალბანურში გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ სინური პალიმფსესტების აღმოჩენამდე (ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ს. მურავიოვი და სხვა). გასარკვევი იყო სპეციფიკურ ხმოვანთა ფონემური ღირებულება.

პალიმფსესტებში დადასტურებულ ყველა ხმოვანს მოეძებნება გრაფიკული ანალოგი მატენადარანის ხელნაწერში: 𐔰 = , 𐔴 = , 𐔺 = , 𐕒 = , 𐕡 = , 𐕞 = ან . აქედან გამომდინარე, მატენადარანის ხელნაწერში უნდა დაზუსტდეს შემდეგი ნიშნების ფონემური ღირებულება: ჵ > ე; ე > ჵ; უ > ო.

მატენადარანის ხელნაწერში, დადგენილი ნიშნების გარდა (𐔰 **ა**, 𐔴 **ე**, 𐔺 **ი**, 𐕒 **ო**, 𐕡 **ეჲ**), ხმოვნის აღმნიშვნელი კიდევ ოთხი ასო-ბგერა გვხვდება, ესენია: “მეორე” და “მესამე” **ი** (N 16 და N 47), “მეორე” **ა** (N 25) და “მეორე” **ო** (N 2).

ადრევე გაირკვა, რომ “მეორე” **ო** (**ჵ**) **ბ** ასო-ბგერას წარმოადგენს. ეს ვარაუდი ჯერ კიდევ აკ. შანიძემ გამოთქვა [შანიძე 1938: 30-32], ხოლო ა. აბრამიანის, ვ. გუკასიანის, ზ. ალექსიძეს, ვ. შულცესა და ვ. გიპერტის ნაშრომებმა ეს ვარაუდი დაადასტურეს (იხ. N 2 გრაფემის კომენტარი). “მეორე” **ი** კი (𐔹), ჩვენი დაკვირვებით, თანხმოვნებისათვის დამახასიათებელ პოზიციებზე გვხვდება [ლოლუა 2010: 35-37] და ამ ნიშნის სავარაუდო ფონემური ღირებულება უნდა იყოს **ნ̃** [გიპერტი და სხვ. 2009: II-13].

ამას გარდა, N 7117 ხელნაწერის ანბანში, როგორც აღინიშნა, “მესამე” **ი** და “მეორე” **ა** ბგერაც მოგვეპოვება. ამ ასო-ნიშანთა საკითხი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, გამომდინარე იქიდან, რომ მათი გრაფიკული ფორმა მატენადარანის ხელნაწერში თითქმის იდენტურია (შდრ. N 25 “არ”; N 47 “იონ”). ჩვენი აზრით, 𐕞 ნიშანი, რომელიც პალიმფსესტებში გვხვდება, N 47 “**იონ**”-თან უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

[18] ამასთან ერთად, 𐕡 ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში η-ს შეესატყვისება, მაგ., 𐔰𐔾𐕡𐔾𐕒𐕡𐔰 (**ალელუჲა**) – ბერძნ. ἀλληλουϊα „ალილუია“; 𐔰𐕌𐕡𐔺 (**ამენ**) – ἀμην „ამინ“ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ამ ნიშნის ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც **ე** ბგერა. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, 𐕡 ნიშანი, **ეჲ** დიფთონგის გარდა, გრძელი **ē** ხმოვნის აღსანიშნავადაც უნდა გამოიყენებოდეს, რასაც ვერ გავიზიარებთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში N 47 ასო-ბგერის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა: მისი ფონემური ღირებულება, ს. მურავიოვის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, იყო **ჷ** [მურავიოვი 1981: 258-259], თუმცა ეს ნაკლებად სარწმუნოა. უნდა აღინიშნოს, რომ სომხურს ამ ბგერის აღმნიშვნელი გრაფემა ჰქონდა (ը) და გადამწერთათვის მისი ჷ-დ გადმოცემა საჭირო არ იყო. ასევე საყურადღებოა, რომ ალბანური ანბანის ორსავე ნუსხაში, გრაფემათა სახელწოდებებში, არსად არ გამოიყენება ը. ამასთანავე, თუ გავიზიარებთ ს. მურავიოვის მოსაზრებას, მაშინ **ო** ბგერა ანბანში კორელატის გარეშე რჩება: N 2 **Ƅ**, რომელიც ს. მურავიოვს **ო‘** ჰგონია, როგორც აღინიშნა, უეჭველად **ბ** ბგერას აღნიშნავს.

გასაზიარებელი ჩანს გ. კლიმოვის მოსაზრება N 47-ის შესახებ. ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უნდა იყოს **ო‘** [კლიმოვი 1984: 13; 1990: 497]. ეს მტკიცდება **ʋ̄ɨ** დიგრაფში მისი მონაწილეობით[19] და, ამასთან, დასტურდება ამოკითხული მასალითაც. შესაბამისად, **ʋ̄ɨ** კომპლექსი **უ**‘-ს უნდა გადმოსცემდეს

ზ. ალექსიძე ამ დიგრაფს, რომლის გამოყენების სიხშირე ძალზე მაღალია და არ ჩამოუვარდება ზოგიერთ მარტივ ხმოვანს, **ōʒ** დიფთონგად მიიჩნევს, ხოლო **ʋ̄** ნიშანს, რომელსაც მკვლევარი მატენადარანის ნუსხის N 25 ასო-ბგერასთან აიგივებს – **ō** ბგერად [ალექსიძე 2003: 151].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, **ʋ̄** ნიშანი, რომელიც მათ მიერ ზ. ალექსიძის მსგავსად N 25 ასო-ბგერად მიიჩნევა, ლაბიალიზებულ **ა°** ბგერას გადმოსცემს, ხოლო **ʋ̄ɨ** დიგრაფი – პალატალიზებულ **უ̂** ბგერას [გიპერტი და სხვ. 2009: II-11-12].

როგორც აღინიშნა, **ʋ̄** და **ʋ̄ɨ** ნიშნები, ჩვენი აზრით, ფარინგალიზებულ ბგერებს (**ო‘** და **უ**‘) აღნიშნავდა. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ უდიურში ამ ასო-ნიშნებს, როგორც წესი, შეესატყვისება ფარინგალიზებული **ო‘** და **უ**‘ ბგერები, შდრ.:

---

[19] მარტივი **უ** ბგერა ასევე **ო** + **უ̂** პრინციპითაა გადმოცემული: **ʘ-ɨ**.

კავკ. ალბანური	უდიური
[illegible] (თოზხან) „ღეღვის ხე“	**თოხ'ან** „id“
[illegible] (ტო') „მხარე“	**ტოღ'** „id“
[illegible] (უ'ჴ) „ექვსი“	**უჴ'** „id“
[illegible] (ვუ'ღ) „შვიდი“	**ვუღ'** „id“
[illegible] (მუ'ღ) „რვა“	**მუღ'** „id“

უნდა აღინიშნოს, რომ [illegible] და [illegible] ასო-ბგერები უდიურში შეიძლება სხვა კორესპონდენციებით იყოს წარმოდგენილი: [illegible] ასო-ნიშანს ზოგჯერ არაფარინგალიზებული **ო** ბგერა შეესატყვისება, მაგ., [illegible] (ყო') „ოცი“ – უდ. **ყო** „id“... [illegible] დიგრაფს კი უდიურში შეიძლება შეესატყვისებოდეს როგორც არაფარინგალიზებული **უ**, ასევე ფარინგალიზებული **ი'** ბგერა (ნიჟ. **გ'**), მაგ., [illegible] (ჰუ'კ) „გული“ – უდ. **უკ** „id“; [illegible] (ყუ') „შიში“ – უდ. ყ'**ი** (ვართ.)//ჴ'**გ** (ნიჯ.) „id“... ამის მიუხედავად, არ გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ ეს ასო-ნიშნები ლაბიალიზებულ **ა̊** და პალატალიზებულ **უ̈** ბგერებად მივიჩნიოთ. [illegible] ნიშანს უდიურში **ა** ბგერა არ შეესატყვისება, ხოლო [illegible] დიგრაფის ერთ-ერთი შესაძლო შესატყვისი **ი'//გ'** – **უ** ბგერისა და ე. წ. ირაციონალურის ხშირი მონაცვლეობით უნდა აიხსნას და არა პალატალიზებული ** უ̈** ბგერის არსებობით კავკასიის ალბანურში. ამასთან ერთად, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხმოვნები, თუ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრს, თითო-თითო წევრით იქნება წარმოდგენილი და ვერ შექმნის მწყობრ სისტემას.

ფარინგალიზებული ხმოვნები კი, ჩვენი აზრით, ალბანურში პირიქით მწყობრი სახით გვხვდება – **ა**, **ი** და **ე** ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები დიგრაფებითაა გადმოცემული: [illegible] **ა'**, [illegible] **ე'**, [illegible] **ი'**; მაგ., [illegible] (**ვა'ნ**) „თქვენ“ – უდ. **ვა'ნ** „id“; [illegible] (**კა'ვან**) „უდაბნო“ – უდ. **ყ'ავან** „მინდორი“; [illegible] (**ბე'ღ**) „მზე“ – უდ. **ბეღ'** „id“; [illegible] (**ბე'ფი**) „თქვენი“ – უდ. (**ე'ფი**) „id“; [illegible] (**ი'მუხ**) „ყურები“ – უდ. (**ი'მუხ**) „id“... გრაფიკული კომბინაციები [illegible] (⌈'⌉**ო'**) და [illegible] (⌈'⌉**უ'**) სინურ პალიმფსესტებში არ გვხვდება, რაც ასევე ადასტურებს [illegible] და [illegible] ასო-ბგერების

ფარინგალიზებულობას.[20]

საყურადღებოა 𐕞 და 𐕞𐕡 ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები დიგრაფებით გადმოცემულ სხვა ფარინგალიზებულ ბგერებთან, რითაც აგრეთვე დასტურდება, რომ საქმე გვაქვს არა ლაბიალიზებულ ან პალატალიზებულ ხმოვნებთან, არამედ ფარინგალიზებულ ხმოვნებთან, მაგ., **𐕗𐔽𐔰** (**პა'**) „ორი“ (შდრ. უდ. **პა'**„id“) – **𐕗𐕞𐕌𐕒𐕡𐕎** (**პო'მუნ** < **პო'-ომ-უნ** < **პა'-ომ-უნ**) „ისევ“, „სხვა“ (ზედმიწ. „მეორეჯერ“)...

ამრიგად, კავკასიის ალბანურში ათი ხმოვანი ბგერა დასტურდება. ეს ხმოვნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

მარტივი ხმოვნები (**ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ**);

ფარინგალიზებული ხმოვნები (**ა'**, **ე'**, **ი'**, **ო'**, **უ'**).

კავკასიის ალბანურს არ მოეპოვება გრძელი, პალატალიზებული ან ნაზალიზებული ხმოვანი ფონემები, რომელიც სხვა დაღესტნურ ენებშია გავრცელებული. ასევე, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ დასტურდება ე. წ. ირაციონალური (**ჷ**). გრძელი ხმოვანი კავკასიის ალბანურში შეიძლება მხოლოდ მორფემათა გასაყარზე შეგვხვდეს (მაგ., **ხო-ომ** “ხუთჯერ”), თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, როგორც წესი, ხდება შეკვეცა, მაგ., **დე** “მამამ” (< **დე-ე**); **ნე** “დედამ” (< **ნე-ე**); **ელი(ჲ)ა** “ელიას” (< **ელი(ჲ)ა-ა**); **იშუ** “კაცს” (< **იშუ-უ**), **ხიშ̃უ** “ქალს” (< **ხიშ̃უ-უ**), **ნაიშ̃უ** “მსახურს” (< **ნაიშ̃უ-უ**)...

კავკასიის ალბანური ენის ხმოვანთა სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

მარტივი	**𐔰 ა** (N 1)	**𐔴 ე** (N 5)	**𐔼 ი** (N 13)	**𐕒 ო** (N 35)	**𐕒𐕡 უ** (N 35+50)
ფარინგალიზებული	**𐔽𐔰 ა'** (N 14+1)	**𐔽𐔴 ე'** (N 14+5)	**𐔽𐔼 ი'** (N 14+13)	**𐕞 ო'** (N 47)	**𐕞𐕡 უ'** (N 47+50)

მათგან, ჩვენი აზრით, მხოლოდ მარტივ ხმოვნებს მოეპოვებოდათ ფონემის სტატუსი. ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხი კი – გარკვევას მოითხოვს.

[20] თუ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებას, რომლის თანახმად **𐕞** და **𐕞𐕡** ნიშნები **ა̊** და **ჳ̊** ბგერებს გადმოსცემენ, ხოლო **𐔽** ნიშანი – მჟღერი ფარინგალური სპირანტის აღმნიშვნელია, მაშინ გაუგებარია, თუ რით არის განპირობებული ეს პოზიციური შეზღუდვა; რატომ არ გვხვდება ეს თანხმოვანი **ა̊** და **ჳ̊** ხმოვნების წინ?

ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უდიურში, უნდა იყოს პროსოდიის თვისება.

	წინა რიგის		უკანა რიგის			
			არალაბიალიზებ.		ლაბიალიზებული	
	მარტივი	ფარინგ.	მარტივი	ფარინგ.	მარტივი	ფარინგ.
ვიწრო	ი	იˤ			უ	უˤ
საშუალო	ე	ეˤ			ო	ოˤ
ღია			ა	აˤ		

მიუხედავად იმისა, რომ ალბანურის შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ცოცხალ მეტყველებასთან, ზოგიერთი გარემოება გვავარაუდებინებს, რომ კავკასიის ალბანური ენის ვოკალური სისტემა ე. წ. სამკუთხედს ჰქმნის და არა მართლკუთხედს, როგორც ეს არის ლეგზიურ ენათა უმრავლესობაში (არჩიბულისა და წახურის გამოკლებით). უპირველეს ყოვლისა, ამის შესახებ მეტყველებს პალატალიზებულ ხმოვანთა უქონლობა კავკასიის ალბანურში.



1.2.1. **მარტივი ხმოვნები**.

როგორც აღინიშნა, კავკასიის ალბანურში ხუთი მარტივი ხმოვანი დასტურდება: 𐔰 (ა), 𐔴 (ე), 𐔺 (ი), 𐕒 (ო) და 𐕒𐕡 (უ). მათი რაობა ჯერ კიდევ სინური პალიმფსესტების აღმოჩენამდე იყო ცნობილი (ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ს. მურავიოვი და სხვა). ხუთივე მარტივი ხმოვანი კავკასიის ალბანურში არ არის

პოზიციურად შეპირობებული – ხუთივე თანაბრად გვხვდება ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.:

აშ “საქმე”, შდრ. უდ. **აშ** “id”; **აჲზ** “სამყარო”, შდრ. უდ. **აჲზ** “სოფელი”; **ახწიბაჲ** // **ახსიბაჲ** “აღდგომა” (შდრ. ძვ. ქართ. **აღვსება**, უდ. **ახწიმა** // **ახსიბაჲ** “id”); **აშ˜ალ** “დედამიწის ზედაპირი”, შდრ. უდ. **ოჩ˜ალ** “id”; **აშარკეტ** “მოწაფე”; **აზაზაკ** “ავაზაკი”; **ავაზან** “აბაზანა”; **ქალაქ** “ქალაქი”, **ძანძამაკ** “წინწილა”...

ენე “აქ”; **ეთე** “მანდ”; **ეშ˜ემ** “ნისლი”; **ეკლესი** “ეკლესია”; **ენ˘ელ** “სხვა”, შდრ. უდ. **ენეხ** “id”; **ხე** “წყალი”, შდრ. უდ. **ხე** “id”; **თე** “არა” (უარყოფის ნაწილაკი), შდრ. უდ. **თე** “id”; **ჯეჯერ** “ტუჩი”, შდრ. უდ. **ჯეჯერ** “id”; **ჰელ** “სული”, შდრ. უდ. **ელ** “id”...

იჩ “თვითონ”, შდრ. უდ. **იჩ** “id”; **იჰესუნ** “ყოფა”, “ქმნა”, “სმენა”; **იშ˜ა** “ახლოს”, შდრ. უდ. **იშ˜ა** “id”; **ვიჩი** “ძმა”, შდრ. უდ. **ვიჩი** “id”; **იშუ** “კაცი”, შდრ. უდ. **იშუ** “id”; **პილინძ** სპილენძი, “ბრინჯაო”; **წი** “სახელი”, შდრ. უდ. **წი** “id”...

ოტან “რჯული”, “ჩვეულება”, “ლოცვა”; **კოჯ** “სახლი”, შდრ. უდ. **კოჯ (ვართ.)**, **ქ˙ოჟ** (ნიჯ.); **ხოდ** “ხე”, შდრ. უდ. **ხოდ** “id”; **ჯ˜უმოხ** “წისქვილი”, შდრ. უდ. **ჟ˜ომოხ** “id”; **უსბო** “ქმარი”...

უნ “და”; **ულ** “მგელი”, შდრ. **უდ. ულ** “id”; **უყა** “ქვეშ”, შდრ. **უდ. ოყა** “id”; **უსბო** “ქმარი”; **უსი** “ადრე”; **უსენ** “წელიწადი”, შდრ. უდ. **უსენ** “id”; **ურბათ** “პარასკევი”; **ტურ** “მდინარე” **ზუ** “მე”, შდრ. უდ. **ზუ** “id”...

1.2.2. **ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხი**:

კავკასიის ალბანურში ფარინგალიზებული ხმოვნების აღმნიშვნელი გრაფემები, ძირითადად, ანლაუტში (პირველ მარცვალში) გვხდება,[21] იშვიათად ისინი ორ და მეტმარცვლიან სიტყვათა ინლაუტსა და აუსლაუტშიც შეიმჩნევა (საეჭვოა, რომ კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში ფარინგალიზაცია ყოველთვის ადეკვატურად იყოს ასახული), მაგ., **ი‘მუხ** „ყურები“, შდრ. უდ. **ი‘მუხ** „id“; **უ‘ჴ** „ექვსი“, შდრ. უდ. **უჴ‘** „id“; **უ‘ხ** „მეფე“; **ო‘ხ**ალ „ჩიტი“; **ბე‘ღ** „მზე“, შდრ. უდ.

[21] აღსანიშნავია, რომ უდიურშიც ფარინგალიზაციის პიკი პირველ მარცვალს (resp. ხმოვანს) მოუდის, ხოლო იმ სიტყვებში, სადაც შიშინა ან უვულარული თანხმოვანი მოგვეპოვება – პირველ მათგანს. ეს გვაფიქრებინებს, რომ კავკასიის ალბანურიც ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისება უნდა იყოს.

ბეღ‘ „id“; **ბე‘ფი** „თქვენი“, შდრ. უდ. **ე‘ფი** „id“; **თოზან** „ლეღვის ხე“, შდრ. უდ. **თოხ‘ან** „id“; **კა‘ვან** „უდაბნო“, შდრ. უდ. **ყ‘ავან** „მინდორი“; **ჰო‘ჲახუნ** “სარწმუნოება”, “სარწმუნო”; **პა‘** „ორი“, შდრ. უდ. **პა‘** „id“; **პო‘მუნ** „ისევ“, „სხვა“; **ვუ‘ღ**, შდრ. უდ. **ვუღ‘** „id“; **მუ‘ღ** „რვა“, შდრ. უდ. **მუღ‘** „id“; **ყო‘** „ოცი“, შდრ. უდ. **ყო** „id“; **ჰუ‘კ** „გული“, შდრ. უდ. **უკ** „id“; **ყუ‘** „შიში“, შდრ. უდ. **ყ‘ი** (ვართ.)//**ჴ**ˀ**‘გ** (ნიჯ.) „id“; **ტო‘** „მხარე“, შდრ. უდ. **ტოღ‘** „id“; **ჴუ‘ო‘რ** „ზოგნი“, „სხვები“ და ა. შ.

გარკვევას მოითხოვს ფარინგალიზაციისა და ფარინგალიზებული ხმოვნების რაობის საკითხი. ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა: ევგ. ჯეირანიშვილმა რუთულურის, წახურისა და უდიურის ფარინგალიზებულების საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი, სადაც რენტგენოგრაფიულ მონაცემთა საფუძველზე მიიჩნია, რომ ამ ენებში ფარინგალიზაცია ხმოვნის თვისებაა და არა თანხმოვნისა. მკვლევარი წახურსა და რუთულურში ექვს ფარინგალიზებულ ხმოვანს გამოყოფს (**ა‘**, **ე‘**, **ი‘**, **ო‘**, **უ‘**, **ჷ‘**), ხოლო უდიურში, როგორც ზემოთ აღინიშნა, – ხუთს (**ა‘**, **ე‘**, **ი‘**, **ო‘**, **უ‘**) [ჯეირანიშვილი 1959: 339-359]. ბ. თალიბოვი წახურში მხოლოდ ოთხ “გლოტალიზებულს” (resp. ფარინგალიზებულს) იმოწმებს (**ა‘**, **ი‘**, **ო‘**, **უ‘**) [თალიბოვი 1967: 592].

ევგ. ბოკარევი დიდოურში, ჰინუხურსა და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას აღნიშნავს [ბოკარევი 1959: 112; 1967: 422], თუმცა დ. იმნაიშვილი ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება. მკვლევარი დიდოურსა (**ღ‘**, **ხ‘**, **ჴ‘**, **ყ‘**) და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში (**გ‘**, **ქ‘**, **კ‘**, **ჰ‘**) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს [იმნაიშვილი 1963]. ევგ. ბოკარევის აზრს ელ. ლომთაძეც არ იზიარებს. მკვლევრის აზრით, ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ფარინგალური (**ჵ**, **ჰ‘**) და “ქვემოფარინგალური” (**ჴ‘**, **ყ‘**, **ღ‘**) თანხმოვნები მოგვეპოვება [ლომთაძე 1998: 25].

ნ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს “ემფატიკურად დარბილებულ თანხმოვნებს” მიაწერს [ტრუბეცკოი 1931]. ამ მოსაზრებას ალ. მაჰომეტოვი იზიარებს და დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტსა და თაბასარანულ ენაში ფარინგალიზებული თანხმოვნებს აღნიშნავს [მაგომეტოვი

1963; 1965]. საყურადღებოა, რომ თაბასარანულ ენაში ალ. მაჰომეტოვი ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად ფარინგალიზებულ ხმოვნებზეც მიუთითებს. მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია ჩვეულებრივ მოუდის უკანა წარმოების თანხმოვნებს (ფარინგალურებს), ხოლო ხმოვანთაგან, ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (**ა**, **უ**). შესაბამისად, თაბასარანულში, როგორც ა. მაჰომეტოვს მიაჩნია, ხშირად ფარინგალიზებული მარცვალიც გვხვდება [მაგომეტოვი 1965: 49-51].

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურებები ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ მკვლევრებს, ვინც ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევს და იმათაც, ვინც ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს.

სრულიად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა გ. დეეტერსმა. მისი აზრით, ფარინგალიზაცია ისეთი პროცესია, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმოვანსა თუ ხმოვანს), არამედ იგი, ინტონაციის მსგავსად, ვრცელდება მარცვალზე, ანდა მთელ სიტყვაზე [დეეტერსი 1963: 33].[22] ამ მოსაზრებას დაეთანხმა არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა 1979: 62] და ზოგიერთი სხვა მკვლევარიც.

უდიური ენის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდებიდან (XIX ს.-ის მეორე ნახევარი) მოყოლებული თითქმის ყველა სპეციალისტი მასში აღნიშნავს განსხვავებული რიგის ხმოვნებს (მარტივი და პალატალიზებული ხმოვნების გარდა). უდიურში სამ ასეთ ხმოვანს (**ა‘**, **ო‘**, **უ‘**) იმოწმებს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. იგივე სურათი გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის

[22] საყურადღებოა, რომ გ. დეეტერსი იმის საილუსტრაციოდ, რომ ფარინგალიზაცია არ არის ოდენ ხმოვნის თვისება, შენიშნავს: ჩრდილო-კავკასიურ ენებში "ფარინგალიზებული ხმოვნები" სისინა თანხმოვნების შემდეგ არ გვხვდებაო (ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია იმ მარცვლის ფარინგალიზაცია, რომელშიც ხმოვნის წინ სისინა თანხმოვანი გვაქვს). უნდა აღინიშნოს, რომ უდიურ ენაში ასეთი მაგალითები დასტურდება, ანუ სისინა თანხმოვანიც განიცდის ფარინგალიზაციას და მის მარცვალზე შეიძლება ფარინგალიზაციის მაქსიმუმიც მოდიოდეს (ანლაუტში), მაგ., **ცაყ‘** "ელვა"; **ცაყ‘**ნაზედდალა[ყ] "მაჟაურა"; **წიყ‘**//**წიხ‘**//**ციყ‘** "ციყვი"; **წოღ‘** [აღალა] "თავსხმა წვიმა", **სა‘**მი "ტაბიკი", **სახ‘**ტიკ "კოჭლი"; **ცა‘მ**დესუნ "დასუსხვა", "დაშუშხვა"; **წა‘ვ**დალბულ "წაბლი"; **წა‘ვ**დეუხ "წურბელები"; **წა‘ფ**დეღსუნ "ტაშის ცემა"; **წი‘**ლამპურ "მხალი"...

შესახებ.[23] ეს სამი ხმოვანი ასევე წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ”, ხოლო “უდიური ოთხთავის” ტექსტში უკვე ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი გვაქვს (**ა‘**, **ე‘**, **ი‘**, **ო‘**, **უ‘**); ასეთივე ვითარება დასტურდება უდიურ საანბანო წიგნშიც (“სამჯი და̈ს”).[24] ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ ასევე ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი (**ა‘**, **ე‘**, **ი‘**, **ო‘**, **უ‘**) გვხვდება. ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს გ‘-ს უმატებს. ფარინგალიზებულ ხმოვნებს უდიურ მასალაში ა. ჰარისი, ვ. შულცე და ზოგიერთი სხვა მკვლევარიც აღნიშნავს.

საყურადღებოა ს. კოძასოვის მოსაზრება. მან, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის შემდეგ, გ. დეეტერსის მსგავსად, მიიჩნია, რომ უდიურში

---

23 როგორც ა. შიფნერთან, ისევე ა. დირთან ამ ხმოვანთა რაობა სხვაგვარად არის წარმოდგენილი.

ა. შიფნერი აღნიშნავს: “ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროები ამ ხმოვანთა უფრო რბილ წარმოთქმას ადასტურებენ ... ạ წარმოითქმის თითქმის როგორც a ფრანგულ la-ში, ọ როგორც eu heure სიტყვაში და ụ როგორც u სიტყვაში une” [შიფნერი 1863: 9].

ა. დირის განსაზღვრით: “ȧ, ȯ-სა და ẏ-ს უჭირავთ საშუალო ადგილი. პირველს a-სა და ä-ს შორის, მეორეს ო-სა და ö-ს შორის, მესამეს y-სა და ÿ-ს შორის” [დირი 1904: 1].

მიუხედავად იმისა, რომ ა. დირი აღნიშნავს, “მეჩვენებოდა, რომ ȧ, ȯ-სა და ẏ-ს (განსაკუთრებით ȯ-სა და ẏ-ს) ყოველთვის თან სდევს ძალიან სუსტი ხორხისმიერი ხმა [დირი 1904: 1], მაინც საფიქრებელია, რომ ა. დირი ფარინგალიზაციას უდიურში ხმოვნის სეგმენტურ თვისებად არ მიიჩნევს, არამედ კონკრეტულ სპეციფიკურ თანხმოვანს მიაწერს.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თანხმოვანთა ტაბულაში ა. დირს მოყვანილი აქვს ’ ბგერა, რომელიც მკვლევრის დახასიათებით, “არის არაბული “**ჰამზე**”-ს მსგავსი მსუბუქი ხორხისმიერი ბგერა; ის არამარტო სიტყვის დასაწყისში გვხვდება, არამედ სიტყვის შიგნითაც და, ამ შემთხვევაში, აძლევს მომდევნო ხმოვანს უფრო ხორხისმიერ ხასიათს, მაგ., **м’ел** “თავი” (მე‘ლ), **м’ȧiн** “შავი” (მა‘ჲნ), **п’ȧ** “ორი” (პა‘) [დირი 1904: 2-3].

აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ როგორც ა. შიფნერი, ისე ა. დირი უდიურში ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობას კი არ ვარაუდობდნენ, არამედ პოზიციურად შეპირობებულ ხმოვანთა ჯგუფს გულისხმობდნენ, რომელიც, მკვლევართა მოსაზრებით, მარტივი და პალატალიზებული ხმოვნებისაგან განსხვავდებოდა.

24 უდიურ საანბანო-საკითხავ წიგნში ფარინგალიზაციის აღნიშვნის პრინციპი გარკვევას საჭიროებს. ფარინგალიზაცია ამ სახელმძღვანელოში გადმოიცემა **ħ** ნიშნის მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა ხმოვანთან ჰქმნის კომპლექსებს: **ħa**, **ħe**, **ħi**, **ħo**, **ħu**. კ. ბოუდას აზრით, “ახალი “საანბანო-წიგნი” აღნიშნავს ემფატიკურად დარბილებულ თანხმოვნებს ... ლარინგალურობის ნიშნით, რასაც ჩვენ **ɔ** ნიშნით გადმოვცემთ” [ბოუდა 1913: 61].

ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ვლ. ფანჩვიძე. მისი აზრით, **ħ** ნიშანი ხმოვნის კუთვნილებას წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ თანხმოვანს [ფანჩვიძე 1974: 22].

ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისებას წარმოადგენს და მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ს. კოძასოვის აზრით, ფარინგალიზაციის პიკი მოუდის პირველ ხმოვანს, ხოლო თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან უვულარული თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მასზე მოდის [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347] (თუ სიტყვაში ორი ან მეტი დასახელებული თანხმოვანი მოგვეპოვება, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი პირველ მათგანს მოუდის – შენიშვნა ჩვენია).

ჩვენი დაკვირვებით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. იმის შესახებ, რომ უდიურში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება, იმ სპეციალისტთა ჩანაწერებიც მეტყველებს, რომლებიც უდიურ ენაში ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობას ვარაუდობდნენ: მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით დიდია ორ ან მეტმარცვლიან ლექსემათა რიცხვი, რომლებშიც ყველა ხმოვანი ფარინგალიზებილია; მაგ., ა‘ჴი‘ლ „შორეული“ (ახ‘ილ)[25]; ა‘ჲი‘ნ „საფუარი“

[25] ფრჩხილებში მოცემულია ჩვენი ტრანსკრიფცია. უდიურ მასალაში ფარინგალიზაციის აღნიშვნისას ძირითადად ს. კოძასოვის მიერ შემოთავაზებული პრინციპით ვხელმძვანელობთ. ამ პრინციპის მიხედვით, თუ სიტყვაში არ არის შიშინა ან უვულარული თანხმოვანი, ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის პირველ ხმოვანს, ხოლო თუ გვაქვს ზემოთ დასახელებული თანხმოვნები, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი სიტყვაში მოუდის პირველ მათგანს და ფარინგალიზაციის აღმნიშველი ნიშანი სწორედ ამ თანხმოვანს დაერთვის. ჩვენ მიერ ოდენ ფარინგალიზაციის მაქსიმუმის აღნიშვნა იმთავითვე მთელი სიტყვის ფარინგალიზებულობას გულისხმობს; მაგ., სიტყვა პა‘ „ორი“-ს ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფციაა პ‘ა‘; სიტყვისა კა‘კაპ „მუხლი“ (ანატ.) – კ‘ა‘კ‘ა‘პ‘; სიტყვისა ბეღ‘ „მზე“ – ბ‘ე‘ღ‘ და ა. შ. ასეთი სატრანსკრიფციო სისტემა, რომელიც ფარინგალიზებულ სიტყვებს ზუსტად გადმოსცემდა, ბუნებრივია, ძალზე უხერხული და მძიმე იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ უდიურის შესახებ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში (ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და სხვა) ფარინგალიზებულ ხმოვნებს ׀ დიაკრიტიკული ნიშანი აღნიშნავს, რომელიც ასევე თანხმოვნის ინტენსივობაზე მიგვითითებს. აქედან გამომდინარე, უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციული დიაკრიტიკული ნიშნის მიღება წარმოქმნიდა გაუგებრობას და გაართულებდა ფარინგალიზებული და ინტენსიური ბგერების გარჩევას (სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენათა მასალაში. უდიურში ინტენსიურ თანხმოვნებს დისტინქციური ფუნქცია არ მოეპოვებათ). ამის გამო ფარინგალიზაციის აღსანიშნავად ‘ ნიშანს ვიყენებთ, რომელიც (ან მისი მსგავსი დიაკრიტიკა) სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გვხვდება ამ ფუნქციით (მ. ქურდიანი, ელ. ლომთაძე, დ. იმნაიშვილი, ალ. მაჰომეტოვი და სხვა).

ფარინგალიზაციის აღნიშვნისას გარკვეულწილად მორფოლოგიურ პრინციპსაც ვითვალისწინებთ. მხედველობაში არ მიიღება არაფუძისეული შიშინა და უვულარული თანხმოვნები, ანუ თუ სიტყვაში ფუძის გარეთ მოგვეპოვება რომელიმე მათგანი, ასეთ შემთხვევაში ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი დიაკრიტიკა მაინც ფუძის პირველ ხმოვანს დაერთვის. ასევე, ჩვენი დაკვირვებით, პირის ნიშნები ხელს უშლის ფარინგალიზაციის გავრცობას, მაგ., უღ‘-ეს „სმა“; უ-**ნე**-ღ‘-ესა „სვამს“ (-**ნე** – 3SG). ფონოლოგიური თვალსაზრისით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს

(ა‘ჲინ); ა‘ლა‘ყო‘ „დამუნჯებული“, „გაოგნებული“ (ალაყ‘ო); ა‘ლა‘მნა‘ „ბროწეულის“ – ა‘ლა‘მნა‘-ხოდ „ბროწეულის ხე“ (ა‘ლამნა); ბა‘ვუ‘ყ „დაფშვნილი“, „დაფხვნილი“ (ბავუყ‘); ბა‘ვუ‘ყე‘ს „დაფშვნა“, „დაფხვნა“ (ბავუყ‘ეს); ბე‘ი‘ნყ „სიბნელე“, „ბნელი“ (ბეინყ‘); ბე‘ხი‘ „გასიებული“ (ბეხ‘ი); ბი‘ღი‘//ბგ‘ღგ‘ (ნიჯ.) „მძიმე“ (ბიღ‘ი//ბგღ‘გ); ბი‘ღი‘ნ (ნიჯ. ბგ‘ღგ‘ნ) „შუა“, „შუათანა“ (ბიღ‘ინ); ბო‘ჴა‘ლ „ორი ფუტი“ (წონის ერთ.) (ბოჴ‘ალ); გუ‘გე‘ლ „ბუ“ (გუ‘გელ); და‘ნყუ‘ლა‘ „მოთენთილი“ (დანყ‘ულა); დგ‘ღა‘მი‘ღა‘ „გაჩაჩხვა“, „გაჩაჩხული“ (დგღ‘ამიღა); დო‘ფკა‘ლ//დო‘მპა‘ლ „ჩინური ფანარი“ (მცენარე) (დო‘ფკალ// დო‘მპალ); დო“შა‘ლ „წყვილი აბრეშუმის პარკი“ (დოშ˜ალ); ე‘ქე‘ნ „მხედარი“ (ე‘ქენ); თო‘ხა‘ნ (ვართ.) „ლეღვი“ (თოხ‘ან); ი‘ვე‘ლ „წმინდა“, სიწმინდე“ (ი‘ველ); ი‘ჲა‘ღ „პიურე“ (იჲაღ‘); კა‘კა‘პ „მუხლი“ (კა‘კაპ); კა‘ნკა‘ლ „თოვლის გუნდა“ (კა‘ნკალ); კა‘ნკუ‘ლე‘ნ-ბაქეს „გუნდად გადაქცევა“ (კა‘ნკულენ-ბაქეს); ლა‘ღა‘რ (ნიჯ.) „მღვრიე“ (ლაღ‘არ); ლა‘ნგლა‘გ „წერო“ (ლა‘ნგლაგ); მა‘ი‘ნ (ნიჯ. მა‘ჲი‘ნ) „შავი“ (მა‘ინ); მა‘ფმა‘ი‘ნ (ნიჯ. მა‘ფმა‘ჲი‘ნ) „სულ შავი“ (მა‘ფმაინ); მა‘ხა‘ „მუჭა“, „ხელის გული“ (მახ‘ა); მე‘მე‘ლ „ჭია (საქონლის)“ (მე‘მელ); მუ‘ყა‘ „რქა“ (მუყ‘ა); მუ‘ყა‘ლა‘ „რქიანი“ (მუყ‘ალა); მუ‘ყი‘ჲ „ვახშამი“ (მუყ‘იჲ); მუ‘ჴა‘ლ „სამტვრევი დაფა“ (მუჴ‘ალ); მუ‘ჴუ‘ „სიძე“ (მუჴ‘უ); მუ“შუ‘ლ „ფიცარი (თხელი)“ (მუშ˜ულ); ნა‘ვა‘ლა‘ „ფაფისებრი მასა“ (ნა‘ვალა); ნე‘ი“შ „მსხვერპლი“, „მონა“ (ნეიშ˜); ნე‘პნე‘“შ°უ⌐¬მ „მთლიანად ყვითელი“ (ნე‘პნეშუმ); ო‘ნე‘ „ტირილი“ (ო‘ნე); ო‘ყე‘ჲნ//უ‘ყე‘ნ „ძვალი“ (ოყ‘ეჲნ//უყ‘ენ); ო‘ხა‘ლ „ნადირობა“ (ოხ‘ალ); ო‘ხე‘ჲლ „მაწონი“ (ოხ‘ეჲლ); პა‘დო‘პკა‘ლ „ორლულიანი თოფი“ (პა‘დოპკალ); პა‘ყა‘თ „მოღუნვა“ (პაყ‘ათ); პა‘პი‘ „ხოხვა (ბავშვის)“ (პა‘პი); პე‘მპე‘ლ „ქვერცხის ნაჭუჭი“ (პე‘მპელ); პო‘ღო‘-პო‘ღო‘ „ორ-ორი“ (პო‘ღო-პო‘ღო); სა‘ნჴი‘ „ერთნახევარი“ (სანჴ‘ი); ტი‘ტი‘პ (ნიჯ.) „ველური ბროწეული“ (ტი‘ტიპ); ტო‘ღო‘ლ „ახლოს“, „შუა“, „შორის“

სიტყვა ასეთი ფორმით გადმოგვეცა: **უ‘**ნეღესა; თუმცა აქაც და მსგავს მაგალითებშიც, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, ფუძე ერთი და იგივე სახითაა გადმოცემული.

ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის შემდეგ ბგერებს: **ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ**; **ღ**, **ხ**; **ჴ**, **ყ**; შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი გრაფიკული კომბინაციები: **ა‘**, **ე‘**, **ი‘**, **ო‘**, **უ‘**; **ღ‘**, **ხ‘**; **ჴ‘**, **ყ‘**.

შიშინათა ფარინგალიზაციას კი აღვნიშნავთ ველარიზაციისა და ფარინგალიზაციის საზიარო დიაკრიტიკით (˜).

(ტოღ‘ოლ); უ‘ყნა‘ „კაკლის“ – უ‘ყნა‘-ხოდ „კაკლის ხე“ (უყ‘ნა); უ‘ჯი‘ნჯი‘ „ექვსნახევარი“ (უჯ‘ინჯი); ჶო‘ლო‘ს „ცეცხლის დანთება“ (ჶო‘ლოს); ქი‘ქო‘ჲი‘ნ//ქუ‘ქე‘ი‘ნ „ბუზანკალი“ (ქი‘ქოჲინ//ქუ‘ქეინ); ქო‘ჟუ‘ნ (ნიჯ.) „ჩირი“ (ქოჟ˜უნ); ღა‘ინა‘ „ყვავი“ (ღ‘აინა); ღა‘ღა‘ლ „აწეწილი“ (ღ‘აღალ); ღა‘მფა‘ლ „ბუჩქი“ (ღ‘ამფალ); ღო‘ღო‘ლ „ხოჭო“ (ღ‘ოღოლ); ყა‘ვა‘ნ „მინდორი“, „სავარგული“ (ყ‘ავან); ყა‘ვი‘ „ზარი“, „ყვავილის ბუდკო“, „მეფე“, „თავადი“ (ყ‘ავი); ყა‘ლი‘ქ „პატარა თიხის დოქი“ (ყ‘ალიქ); ყა‘ყა‘ „დახჩობა“ (ყ‘აყა); ყო‘დი‘ „კუ“ (ყ‘ოდი); ყო‘თმა‘ჯ „ბოძი“ (ყ‘ოთმაჯ); ყო‘შ̥მო‘ტ „ბლაგვი“, „გაულესავი“ (ყ‘ოშმოტ); შუ‘ვე‘თ (ვართ.) „კამა“ (შ˜უვეთ); ცა‘მხუ‘რ „კაცი გადმოკარკლული თვალებით“ (ცამხ‘ურ); წი‘ღი‘ „ყვირილი“, „ბღავილი“ (წიღ‘ი); წი‘ჲა‘ყ „სუსტი“, „ავადმყოფი“ (წიჲაყ‘); წი‘ლღი‘თ (ნიჯ. ცგ‘ლღგ‘თ) „ბუ“ (წილღ‘ით); ხა‘მო‘ჲ „წიწიბურას ნათესი“ (ხ‘ამოჲ); ხა‘ფა‘ნ „უუნარო“, „უქნარა“ (ხ‘აფან); ჯუ‘ნჯუ‘ლ „არასრული“, „არასაკმარისი“ (ჯ‘უნჯულ)...[26]

ხშირია შემთხვევები, როდესაც სპეციალისტთა ჩანაწერებში ფარინგალიზებული ხმოვნები აღნიშნულია ისეთ სიტყვაწარმოებით ელემენტებსა თუ აფიქსებში, ცალკე აღებულს რომ ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, მაგ., ა‘ქ-ე‘ს „შეჯიბრება ცხენებით“, „დოღი“ (ა‘ქ-ეს); ა‘ჯ-ე‘ს „ჩხუბი“, „ბრძოლა“ (აჯ‘-ეს); ა‘ლ-ე‘ს „ახვევა“, „გადახლართვა“ (ა‘ლ-ეს); ბა‘ვუ‘ყ-ე‘ს „დაფშვნა“, „დაფხვნა“ (ბავუყ‘-ეს); ე‘ზ-ე‘ს „კერვა“ (ე‘ზ-ეს); ღა‘ლ-ე‘ს „გავლება“ (ღ‘ალ-ეს); ფა‘ყ-ე‘ს „მოხარშვა (ორთქლზე)“ (ჶაყ‘-ეს); ჶა‘ლ-ე‘ს „ტრიალი“, „მოპარვა“ (ჶა‘ლ-ეს); ჶა‘ფ-ე‘ს „ტყუილის გამოაშკარავება“ (ჶა‘ფ-ეს); ჶუ‘ყ-ე‘ს „გაძარცვა“, „ჩამოხევა“, „დაფშვნა“ (ჶუყ‘-ეს)... **-ეს** მარტივმაწარმოებლიანი მასდარის (მასდარი I) მაწარმოებელი აფიქსია და მას ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, შდრ. ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“, „შეძლება“; ბ-ეს „კეთება“ და სხვ.

ფა‘ყთ-ი‘ „მოხარშული“ (ფაყ‘თ-ი); ჶა‘წ-ი‘ „მოურჩენელი“ (ჶა‘წ-ი); ბე‘ხ-ი‘ „გასიებული“ (ბეხ‘-ი); ბი‘ღ-ი‘//ბგ‘ღ-გ‘ (ნიჯ.) „მძიმე“ (ბიღ‘-ი//ბგღ‘-გ); უ‘ღ-ა‘ლ „მსმელი“ (უღ‘-ალ); ღა‘ღ-ა‘ლ „აწეწილი“ (ღ‘აღ-ალ)... **-ი** და **-ალ** მიმღეობის

26 მოცემული მასალა ამოწერილია ვ. გუკასიანის უდიურ-აზერბაიჟანულ-რუსული ლექსიკონიდან [გუკასიანი 1974]. წარმოდგენილ ფორმათა უმრავლესობა ამდაგვარი სახით დასტურდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჟეირანიშვილის ნაშრომებშიც უდიურის შესახებ.

მაწარმოებელი აფიქსებია, შდრ. ბაქ-ი „მყოფი“, „არსებული“; ბ-ი „ნაკეთები“; ბ-ალ „მკეთებელი“; უქ-ალ „მჭამელი“ და ა. შ.

ი‘ჟ „თოვლი“ (ნიჯ.: გ‘ჟ „id“); > ი‘ჟ-ე‘ნ „თოვლიანი“, „ზამთარი“ (იჟ˜-ენ)[27]; ე‘ქ-ე‘ნ „მხედარი“ (ე‘ქ-ენ), შდრ. ე‘ქ „ცხენი“; ქა‘მ „ჭუჭყი“ > ქა‘მ-ე‘ნ „ჭუჭყიანი“ (ქა‘მ-ენ)... **-ენ** ამ სიტყვებში დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტია, შდრ. უს-ენ „წელიწადი“, ტამ-ენ „გემრიელი“ და სხვ.

ა‘ლა‘მ-ნ-ა‘ „ბროწეულის“ (ა‘ლამ-ნ-ა; ა‘ლა‘მნა‘-ხოდ „ბროწეულის ხე“); უ‘ყნა‘ „კაკლის“ (უყ‘ნა; უ‘ყნა‘-ხოდ „კაკლის ხე“); ხა‘მ-ო‘ჲ „წიწიბურას ნათესი“ (ხ‘ამ-ოჲ); ა‘ჴ-უ‘ნ „ახო“, „ყამირი“ (აჴ‘-უნ)... **-ა** (< **-აჲ**), **-ოჲ** და **-უნ** დერივაციული სუფიქსებია, წარმოშობით გენიტივის ფორმანტებია, შდრ. ბიტ-უნ „ნათესი“; კაჭკ-უნ „კევი“ და სხვ.

უ‘ღ-უ‘ლ „სახურავზე“, „სახურავში“ (უღ‘-ულ)... **-ულ** სუპერასივის ერთ-ერთი მაწარმოებელია, მაგ., გა-ნ-ულ „ადგილზე“, „ადგილში“; ხოდ-დ-ულ „ხეზე“...

ვა‘-ჲნა‘ქ› (ნიჯ.) „თქვენთვის“ (ვა‘-ჲნაქ›)... **-ჲნაქ›** ნიჯურში ბენეფაქტივის ნიშანს წარმოადგენს, მაგ., ზა-ჲნაქ› „ჩემთვის“; ვა-ჲნაქ› „შენთვის“; ჲა-ჲნაქ› „ჩვენთვის“ და ა. შ.

ა‘ლა‘ყ-ო‘ „დამუნჯებული“, „გაოგნებული“ (ალაყ‘-ო)... **-ო** ელემენტი ე. წ. მასუბსტანტივებელ სუფიქსს წარმოადგენს, შდრ. ბალ-ო “მკეთებელი”; ბაქალ-ო “მყოფი”, “არსებული” და სხვ.

ბო‘ჴ-მ-ო‘ღ „ცხვირი“ [Pl. Tantum] (ბოჴ‘-მ-ოღ); ჴო‘ლ-ო‘ხ „ქვედა საცვალი“, „შარვალი“ [Pl. Tantum] (ჴ‘ოლ-ოხ)... **-მ-ოღ** და **-ოხ** მრავლობითი რიცხვის გაქვავებული აფიქსებია. Pluralia tantum-ის სახელების გაქვავებული ელემენტი, როგორც წესი, არაფარინგალიზებული სახით გვხვდება, მაგ., ბიხ-ოხ//ბიხაჯ-უღ „ღმერთი“; ელ-მ-უხ „სული“ და ა. შ.

უ‘ღ-ნუ‘თ „უსახურავო“, „სახურავის გარეშე“ (უღ‘-ნუთ)... **-ნუთ** უდიურში

---

[27] ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჟეირანიშვილი; ვ. გუკასიანთან არის: ი‘ჟ॰; გ‘ჟ॰; ი‘ჟ॰-ე‘ნ [გუკასიანი 1974: 129].

უარყოფითი ნაწილაკია, რომელიც ცალკე აღებული არაფარინგალიზებულია, მაგ., ბულ-ნუთ „უთავო“, ქულ-ნუთ „უხელო“; კოჯ-მეც-ნუთ „უსახლკარო“ და სხვ.

მუʿყაʿ-ლაʿ „რქიანი“ (მუყʿა-ლა), შდრ. მუʿყაʿ „რქა“ (მუყʿა); დაʿნყუʿ-ლაʿ „მოთენთილი“ (დანყʿუ-ლა)... -**ლა** ზედსართვი სახელების მაწარმოებელია.

ყაʿლ-იʿქ „პატარა თიხის დოქი“ (ყʿალ-იქ)... -**იქ** (< -**იკ**) ელემენტი უდიურში კნინობით სახელებს აწარმოებს.

ხაʿ-ლუʿღ „ძაღლის ქცევები“ (ხʿა-ლუღ)... -**ლუღ** გავრცელებული დერივაციული აფიქსია, რომელსაც ცალკე აღებულს ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, მაგ., ვიჩი-ლუღ „ძმობა“; დოსტ-ლუღ „მეგობრობა“; შელ-ლუღ „სიკეთე“ და ა. შ.

ბაʿ-ღეʿ-ნა (ვართ.), ბაʿ-ღაʿ-ნაʿ (ნიჯ.) „გუშინწინ“, ბაʿ-გაʿრ-ღე-ნა//ბაʿ-გӓრ-ღე-ნა „გუშინწინისწინ“... ცალკე აღებულ სიტყვებში **ღე** „დღეს“, **გӓრ** „არეული“, „შერეული“, „შეერთებული“, „შერწყმული“, „მღვრიე“ და დერივანტში -**ნა** (წარმოშობით – მიცემითი ბრუნვის ნიშანია -**ა**, ე. წ. -**ნ** ჩანართოვან ელემენტთან ერთად) მარტივი ხმოვნები გვაქვს. მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით ამ და სხვა ბევრ ასეთ მაგალითში ფარინგალიზებული ხმოვანი მომდევნოს იმსგავსებს და შეუძლებელია ეს მხოლოდ ხმოვანთა ასიმილაციით აიხსნას. ფარინგალიზებულ და მარტივ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებში იმაზე მიგვითითებს, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისებას წარმოადგენს. აფიქსები ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუძესთან და საფიქრებელია, რომ ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში განსაზღვრავს სწორედ ფუძე.

საყურადღებოა, რომ უდიურში მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით აფიქსებში არ დასტურდება ფარინგალიზებული ხმოვნები (როგორც აღინიშნა, გვაქვს მარტივი და ფარინგალიზებული ხმოვნების მონაცვლეობის შემთხვევები). ეს, ბუნებრივია, არ მეტყველებს ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობის სასარგებლოდ. აღნიშნული ვითარება უნდა იყოს გამოწვეული იმით, რომ უდიურში ფარინგალიზაციის მაქსიმუმი, როგორც უკვე ითქვა, სიტყვაში საწყის ხმოვანსა, ანდა საწყის უვულარულ ან შიშინა თანხმოვანს მოუდის, ხოლო,

პრეფიქსაცია უდიურ ენაში თითქმის მოშლილია (რელიქტის სახით მხოლოდ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ერთ-ერთ ჯგუფშიღაა შემორჩენილი).

შესამჩნევია ფარინგალიზებულ ხმოვანთა ხშირი მონაცვლეობა, მაშინ, როდესაც არ დასტურდება ფარინგალიზებულთა მონაცვლეობის შემთხვევები არაკორელატ მარტივ ხმოვნებთან, რაც ასევე იმის მანიშნებელია, რომ ფარინგალიზაციის პროცესი უდიურში არ წარმოადგენს ხმოვნის სეგმენტურ თვისებას, მაგ., უ‘მა//ო‘მა "მარწყვი", "სახსარი" ⌜მენჯისა⌝; ო⌜‘⌝ღ‘სუნ//უ⌜‘⌝ღ‘სუნ "დალევა"; ო⌜‘⌝ყ‘ეჲნ//უ⌜‘⌝ყ‘ეჲნ "მკვალი"; ოხ‘ე⌜‘⌝ჲლ "ნანადირევი"; შდრ.: ოხ‘ა⌜‘⌝ლ "ნადირობა"; ჟ˜ა⌜‘⌝ლ//ჟ˜ი⌜‘⌝ლ "ქაოსური მოძრაობა", "არევ-დარევა" (ჟ˜ალდესუნ "ადუღება", ჟ˜ალფესუნ "დუღილი")...

არის შემთხვევები, როდესაც მარტივი ხმოვანი ახდენს ფარინგალიზებული ხმოვნის ასიმილაციას და ამის შედეგად იძენს ფარინგალიზებულობას, რაც ასევე არ მეტყველებს ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობის სასარგებლოდ, მაგ., პა‘ "ორი"; შდრ. პო‘ "ორი ღერი ბალახი" (ო "ბალახი" პა‘ + ო > პო‘); პო‘-პო‘ "ორ-ორი" (პა‘ + ო > პო‘); შდრ. სო-სო (სა + ო > სო) "ერთ-ერთი" (-**ო** – "მასუბსტანტივებელი" სუფიქსია)...

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო არაერთი ცდა, რომ დამტკიცებულიყო ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობა,[28] თუმცა ამ ცდამ, ჩვენი აზრით, ვერ დაამტკიცა, რომ ფარინგალიზაცია უდიურში ხმოვნის სეგმენტური თვისებაა.

ფარინგალიზაცია, როგორც ჩანს, უკვე საერთოლეზგიურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამის შესახებ მეტყველებს ფარინგალიზაციის თვალსაზრისით იდენტური ბგერათშესატყვისობების არსებობა ლეზგიურ ენათა შორის, მაგ., უდ. მა⌜‘⌝ჴ‘ – თაბ. მა‘ჴ⌜‘⌝უ̂, რუთ. მა‘ხ⌜‘⌝უ̂, წახ. მუ‘ჴ⌜‘⌝, კრიწ. მა‘ღ⌜‘⌝, აღ. მე‘ღ⌜‘⌝უ "რკო" [მუხის];

უდ. ღ‘ო⌜‘⌝ღ – ლეზგ. ჴ›⌜‘⌝უ‘რ, თაბ. ჴ›⌜‘⌝უ‘რ//ღ⌜‘⌝უ‘რ, აღ. ღ⌜‘⌝უ‘რ, რუთ.

---

[28] მაგალითად, ევგ. ჯეირანიშვილმა მოიყვანა შემდეგი მინიმალური წყვილები: მა‘ „ტვინი" – მა „სად?"; ხა‘ „ძაღლი" (ხ‘ა) – ხა „მატყლი"; ხო‘ „ცური" (ხ‘ო) – ხო „ცვარი"; ქა‘მ „ჭუჭყი" – ქამ „ნაკლული"; მა‘ჴ „მუხა", „რკო" (მაჴ‘) – მაჴ „სარი"; ტა‘პა‘კ „ბრტყელი" (ტა‘პაკ) – ტაპაკ „ტაბაკი"; ვა‘ხ „თქვენ" (ვახ‘) – ვახ „შენ"; ო‘ყ „ეღელი" (ოყ‘) – ოყ „ძირი", „ფსკერი"; ყო‘რ „თიაქარი" (ყ‘ორ) – ყორ „ჭვარტლი"; უ‘ჴ „ექვსი" (უჴ‘) – უჴ „მდინარე"; მუ‘ჴ „მხიარული" (მუჴ‘) – მუჴ „ფრჩხილი"

ღ˹˺ი‘რ, წახ. ჴ›˹˺ი‘ჲე; შდრ. აგრეთვე: დიდ. ჴ‘აჲ, ხვარშ. ჴ‘ე “კურდღელი”...

ხშირია შემთხვევები, როდესაც ლეზგიურ და დაღესტნურ ენებში დადასტურებული უვულარული ან ფარინგალური თანხმოვანი უდიურში დაკარგულია, მაგრამ მის ნაცვლად გვხვდება ფარინგალიზაცია. ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ ფარინგალიზაცია უდიურში ხშირად წარმოადგენს ერთგვარ საკომპენსაციო პროცესს, რომელიც გამოწვეულია ფარინგალური თანხმოვნების შესუსტებით, შემდგომი დაკარგვით ან სხვა კონსონანტებში გადასვლით:

უდ. ა‘მ < *ღVნ – არჩ. ჴ◦უნ, თაბ. ღ̈უნ, რუთ. ღგნ “მხარი”; შდრ. აგრეთვე: წახ. ღულზე “ნიჩაბი”;

უდ. ეშ˜ < *ჰ̄ეშ < *ჰ̄ეჩ – აღ. ჰ̄აჩ, ხუნძ. ჵეჩ, ახვ. ჵეჩე, დიდ. ჰენეშ, ჵიჩუ, ლაკ. ჰიჶჩ, “ვაშლი”;

უდ. იჟ˜ენ < *ყVჯ-Vნ < *ყVდ-Vნ – ლეზგ. ყუ‘დ, თაბ. ყუ‘რდ, აღ. ღუ‘რდ, რუთ. ყუ‘დ, წახ. ყი‘დიმ, ბუდ. ყა‘ჯრა‘ჯ, კრიწ. ყუდ, ხინ. კინაჟ, არჩ. ყო‘ტ◦-იჴ “ზამთარი”;

უდ. პა‘ < *ყ‘ჶV, კავკ. ალბ. პა‘ – ლეზგ. ყჶედ, თაბ. ყუ‘დ, აღ. ყუდ, რუთ. ყჶად, წახ. ყო‘დ, ბუდ. ყად, კრიწ. ყჶად, ხინ. კუ, არჩ. ყჶევუ “ორი”;

უდ. მო‘ლ < *მVყVლ – ლეზგ. ყიჶ, ყუშ (ახტ), ყუზ́ (ფიჲ), თაბ. ყი‘ლ, აღ. ჵულ//ყუ‘ლ, რუთ. ყგლ, წახ. ყო‘ვ, ბუდ. ყალ, ხინ. ნუყურ, არჩ. ნო‘ყო‘ნ “თაგვი”...

1.3. კონსონანტიზმი.

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის N 7117 ხელნაწერის ნუსხაში თანხმოვნებით აღნიშნულია 43 ასო-ნიშანი. რამდენიმე კონსონანტი კავკასიის ალბანურ ანბანში ორგვარად ან სამგვარადაა გადმოცემული:

მატენადარანის ხელნაწერში სამი სახის **ზ** (N 3 “ზიმ”; N 6 “ზარ̥ლ”; N 20 “ზოხ”), **ჭ** (N 10 “ჭა”; N 19 “ჭარ̥”; N 27 “ჭი”) და **კ** (N 21 “კარ”; N 30 “კარ̥”; N 42 “კატ”) გვაქვს.

ორ-ორი გრაფემა აღნიშნავს შემდეგ კონსონანტებს: **ჟ** (N 8 “ჟილ”; N 12 “ჟა”); **ჲ** (N 11 “ჲუდ”; N 50 “ჲაჲდ”); **შ** (N 14 “შა”; N 33 “შაქ”); **ლ** (N 15

“ლან”; N 22 “ლიტ”); ხ (N 17 “ხჵნ”; N 37 “ხამ”); ჰ (N 23 “ჰჵტ”; N 24 “ჰაჲ”); ც (N 26 “ცოჲ”; N 49 “ცაჲნ”); ჩ (N 28 “ჩაჲ”; N 39 “ჩატ”); ჯ (N 32 “ჯაჲ”; N 34 “ჯაჲნ”); ტ (N 36 “ტაჲ”; N 45 “ტივრ”); ფ (N 41 “ფეს”; N 51 “ფივრ”); ს (N 43 “სჵკ”; N 46 “სოჲ”).

ათი თანხმოვანი კი თითო-თითო გრაფემითაა გადმოცემული, ესენია: N 4 “გატ”; N 9 “თას”; N 18 “დან”; N 29 “მაკ”; N 31 “ნუც”; N 38 “ძაჲ”; N 40 “პენ”; N 44 “ვჵზ”; N 48 “წაჳ”; N 52 “ქიჳ”.

თავის მხრივ, სინურ პალიმფსესტებში 42 კონსონანტი გვხვდება. აღსანიშნავია, რომ პალიმფსესტებში დადასტურებული ორი თანხმოვანი N 7117 ხელნაწერში ხმოვნითაა აღნიშნული, ესენია: N 2 ბ ბგერა (=), რომლის სახელწოდება მატენადარანის ნუსხის მიხედვით არის “ოდეთ”, და N 16 (=) “ინა”, რომელიც უეჭველად თანხმოვანია და სინური პალიმსესტების მონაცემთა საფუძველზე ამ ნიშნის სავარაუდო ფონემური ღირებულება უნდა იყოს ნ̈. კონსონანტის აღმნიშვნელი ყველა გრაფემა მეტ-ნაკლებად ჰპოვებს პარალელს N 7117 ხელნაწერის ამა თუ იმ ნიშანთან (იხ. ტაბულა “კავკასიის ალბანური ანბანის ნიშანთა ფონემური ღირებულება”). მატენადარანის ნუსხის სამი კონსონანტი არ დასტურდება სინურ პალიმფსესტებში, ესენია: N 28 “ჩაჲ”, N 32 “ჯაჲ” და N 34 “ჯაჲნ”.

თუ შევაჯამებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, სინურ პალიმფსესტებში დადასტურებული კონსონანტებისგან დადგენილად შეგვიძლია მივიჩნიოთ 28 გრაფემის ფონემური ღირებულება. ეს არის ის ფონემები, რომლებიც გვხვდება ნასესხებ სიტყვებში ან მათ მოეპოვებათ მკაფიო პარალელები უდიურ ენაში, ესენია: N 2 (ბ); N 3 (გ); N 4 (დ); N 6 (ზ); N 8 (ჟ); N 9 (თ); N 11 (ჲ); N 15 (ლ); N 17 (ხ); N 21 (კ); N 23 (ჰ); N 27 (ჭ); N 29 (მ); N 30 (ყ); N 31 (ნ); N 33 (შ); N 37 (ჶ); N 39 (ჩ); N 40 (პ); N 41 (ღ); N 42 (რ); N 43 (ს); N 44 (ვ); N 45 (ტ); N 49 (ც); N 50 (ჳ̈); N 51 (ფ); N 52 (ქ). აქედან გამომდინარე, მატენადარანის ნუსხაში უნდა დაზუსტდეს შემდეგი

ნიშნების ფონემური ღირებულება: N 2 (ო > ბ); N 3 (ზ > გ); N 4 (გ > დ); N 37 (ხ > ჶ); N 41  (ფ > ღ); N 42 (კ > რ); N 50 (ჲ > ჳ).

1.3.1. **სიბილანტები.**

თვალშისაცემია, რომ კავკასიის ალბანურ ანბანში დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი სიბილანტების აღმნიშვნელი გრაფემები. მატენადარანის N 7117 ხელნაწერის ნუსხაში 19 სიბილანტი გვხვდება. ამათგან, შიშინა აფრიკატები და სისინა და შიშინა სპირანტები ანბანში ორ-ორი სახისა გვხვდება, გამონაკლისია ჵ, რომელიც სამი ასო-ბგერით არის გადმოცემული. სისინა აფრიკატებისაგან კი, ორი სახისა მხოლოდ ც მოგვეპოვება, ხოლო ძ და წ ბგერებისთვის თითო-თითო გრაფემა გვაქვს. როგორც უკვე აღინიშნა, მატენადარანის ხელნაწერში წარმოდგენილი სიბილანტებიდან სინურ პალიმფსესტებში არ დასტურდება სამი შიშინა თანხმოვანი, ესენია: N 28 "ჩაჲ", N 32 "ჯაჲ" და N 34 "ჯაჲნ"; ამრიგად, პალიმფსესტებში ჯ ბგერისათვის ნიშანი არ გვრჩება, ხოლო ჩ ბგერისათვის – ოდენ ერთია შემორჩენილი (N 39 "ჩატ").

ამოკითხული მასალის საფუძველზე სიბილანტთა რიგში რამდენიმე ასო-ბგერის ფონემური ღირებულება უნდა დაზუსტდეს. ერთ-ერთი ჵ (N 19) სინამდვილეში წ ბგერას გადმოსცემს. საფიქრებელია, რომ სომეხ გადამწერებს ერთმანეთში აერიათ მსგავსი მოხაზულობის Ծ და Ճ გრაფემები. ეს ვარაუდი ჯერ კიდევ ა. აბრამიანმა გამოთქვა [აბრამიანი 1964: 30], გ. კლიმოვმა და ს. მურავიოვმა მას მხარი დაუჭირეს [მურავიოვი 1981: 258; კლიმოვი 1984: 13; 1990: 497], ხოლო სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

აღსანიშნავია, რომ ამ გრაფემის სახელწოდებაში n ნიშანი (ჸ) გვხვდება, რომელიც კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ იყო წარმოდგენილი; როგორც აღინიშნა, ზოგიერთი მკვლევრის (ვ. გუკასიანი, ზ. ალექსიძე) ვარაუდით, ეს ასო-ბგერა ასრულებდა ერთგვარი დიაკრიტული ნიშნის ფუნქციას, ანუ შესაბამის სომხურ ბგერასთან შედარებით მიგვითითებდა

ალბანური ბგერის მეტ სიმკვეთრესა თუ ინტენსიურობაზე.[29] ამას გარდა, ამ გრაფემას საერთოდაღესტნურ და საერთოლეზგიურ დონეზე ზოგჯერ შეესატყვისება ***წ·** ბგერა (მაგ., კავკ. ალბ. **ჲႡ წი** "სახელი" – უდ. **წი** (< **წირ**, შდრ. მრ. რიცხვის ფორმა **წი-რ-ხოხ**), ხუნძ. **წ·არ**, ანდ. **წ·ერ**, ახვ. **წ·ერი**, კარატ. **წ·ერი**, ბოთლ. **წ·ერი**, ჰოდობ. **ც·ერი**, ტინდ. **ც·ერა**, ჩამალ. **წ·ე**, არჩ. **წ·ორ**, თაბ. **ჩ·ʷურ** (//**ც·ურ, წურ**), აღ. **თ·ურ** "id"... [გიგინეიშვილი 1977: 106; თალიბოვი 1980: 297]), თუმცა, ამის მიუხედავად, არ ვფიქრობთ, რომ ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც ინტენსიური **წ·** ბგერა.

ჲ ასო-ნიშანი შეიძლება მომდინარეობდეს საერთოლეზგიური (resp. საერთოდაღესტნური) არაინტენსიური სისინა აფრიკატისაგან, მაგ.,

ႼႡჲ ვიწ; უდ. **ვიც·** „ათი", შდრ. ლეზგ. **წუ-დ**; თაბ. **ჲიწუ-ბ**; აღ., ბურკ. **იწუ-დ**; ბურშ. **ჲიწუ-რ**; ფიტ. **ჲიწუ-დ**; რუთ. **ჲიწგ-დ**; გილმ. **ჲიწე-ლლӓ**; არჩ. **ჴიწ**; კრიწ. **ჲიწგ-დ**; ბუდ. **ჲიწგ-დ**; სხვ. დაღ.: დარგ. **ჴეწ-ალ**, ხუნძ. **ანწ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 70; ჩკელ: 245 (ს.-ლეზგ. ***ჴიწგ-**)].

ჲႱ წე; უდ. **ა-რუხ** „ცეცხლი" (***წა-რუხ** – Pl. Tantum), შდრ. ლეზგ. **წაჲ, წუ** (ხლუტ. **ჲგწგ**); თაბ. **წა, წი**; აღ. **წა, წი**; ბურშ., ბურკ. **წა**; ფიტ. **წაჲ**; რუთ. **წაჲ, წგ** IV; იხრ. **წӓ**; ხნოვ. **წა**; წახ. **წა, -ჲგნ**, IV; არჩ. **ოწ**, ლოკ. **წერე-ჭ‘** IV; კრიწ. **წӓ, წგრ** IV; ბუდ. **წგ̂, -ჲილ-** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წა**, ლაკ. **წუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 83; ლექსიკა 1971: 193; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკელ: 354 (ს.-ლეზგ. ***წაჲ**)].

ამას გარდა, კავკასიის ალბანურში გვაქვს „მეორე" **წ** ბგერა (**Ⴁ**), რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ინტენსიური **წ·**. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

ႨႭႲႡႭႲႱ მუწ·ურ „სუფთა", „წმინდა"; უდ. **აც·არ** (< ***მაწარ**), **მაც·ი** „თეთრი", შდრ. თაბ., ყანდ. **მარც·ი**; დიუბ. **მარძი**; აღ. **მა‘რთ·ე-ჭ**; ხნუხ. **მგ̂თ-დგ** „გამჭირვალე" (წყალზე ითქმის); ?წახ. **მӓ‘თ·გ‘-ნ**; არჩ. **მარწ** (შდრ. **მარწ·-ას**

---

29 ამის შესახებ თვალნათლივ მეტყველებს **Ꮖ** "კარ" (Կար) და **ꝛ** "კარ̥" (Կառ) გრაფემების მაგალითი. უეჭველია, რომ **Ꮖ** ნიშანი **კ** ბგერას გადმოსცემს, ხოლო **ꝛ**, რომლის სახელწოდებაში "კოშტი" **რ̥** არის გამოყენებული, – **ყ** ბგერას.

„გაწმენდა“); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ბა-წ̇-ად**; ანდ. **ბერ-წ̇-ომ**; ახვ. **მა-წ̇ა-დაბე**; ბაგვ. **ბა-წ-არ-აბ**; ტინდ. **ბა-ც̇-აჲ-აბ**; ბეჟ. **ჲა^ნ-ც-ოჲო**; ლაკ. **მარწ-, მარც̇-**; დარგ. **უმუ-ზ-ი** „სუფთა“, „წმინდა“; შდრ. აგრეთვე: დიდ. **ბო-ცც-ӛსი** „გაწმენდილი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 71; ლექსიკა 1971: 227; გიგინეიშვილი 1977: 107 (ს.-დაღ.: ***ბა-წ̇-ად**); ჩკელ: 552 (ს.-ლეზგ. ***მა‘რწ̇გ-** „სუფთა“); არდოტელი 2012: 20].

აღსანიშნავია, რომ საერთოდაღესტნურისა და საერთოლეზგიურისათვის პოსტულირებული ინტენსიური აბრუპტივები უდიურში შეესატყვისება არაინტენსიურ აბრუპტივებს,[30] ხოლო არაინტენსიური აბრუპტივები (მათ შორის **წ** ბგერაც) ანლაუტსა და ინლაუტში ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი და ოდენ აუსლაუტშია შემონახული [ცერცვაძე 1964: 362; გიგინეიშვილი 1977: 99-100; თალიბოვი 1980: 193-194].

როგორც ჩანს, კავკასიის ალბანურში არ იყო დასრულებული ინტენსივობის მიხედვით კორელაციის მოშლის პროცესი, ისევე როგორც არაინტენსიური აბრუპტივების ანლაუტსა და ინლაუტში დაკარგვის პროცესი (იხ. **წე** „ცეცხლი“).[31]

სიბილანტთა რიგში უნდა გაკეთდეს კიდევ რამდენიმე შესწორება:

N 26 **ⴑ** ასო-ბგერა (“ცოჲ”); ამ გრაფემის ფონემური ღირებულება, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს როგორც ველარიზებული (ფარინგალიზებული)[32] **ჩ̃** ბგერა. ეს იმით დასტურდება, რომ **ⴑ** ასო-ნიშანს უდიურში შეესატყვისება **ჩ̃** ბგერა, მაგ., **ⴑⴟ ჩ̃ა** „სახე“, შდრ. უდ. **ჩ̃ო** „id“...

---

[30] აბრუპტივები უდიურში შემონახულია ოდენ სოფ. ზინობიანის მეტყველებაში; ვართაშნულსა და ნიჯურში აბრუპტიული თანხმოვნები შეიცვალა პრერუპტივებით.

[31] თუმცა კავკასიის ალბანურში არაინტენსიური აბრუპტივების ანლაუტსა და ინლაუტში დაკარგვის პროცესი უკვე საგრძნობია, მაგ., **ენ́ი** (< ***წ-ენ́ი**); **უდ. ინი** (< ***წ-ინი**) „ახალი“ (აზერბაიჯანულ **ჲენი**-სთან მსგავსება ან შემთხვევითია, ანდა აზერბაიჯანული ფორმა კავკასიის ალბანურისაგან უნდა იყოს მიღებული), შდრ. ლეზგ. **წიჲი**; თაბ. **წიჲი**; აღ. **წაჲე-ф**; რუთ. **წინ-დგ**; წახ. კილ. **წე-დ-გნ**; არჩ. **მაწა**; კრიწ. **წიჲ̄**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წი-ჲაბ**, კარ. **წინო-ბ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ბოკარევი 1961: 70; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკელ: 357 (ს.-ლეზგ. ***წენჲ̄- // წენჵ̄**)].

[32] ვფიქრობთ, რომ შიშინათა ველარიზაცია კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უდიურში, ფარინგალიზაციის პროცესს უკავშირდება (იხ. ქვემოთ).

N 46 **ზ** (“სოჲ”); ჩვენი აზრით, აქ გვაქვს ველარიზებული **შ˜**, მაგ., **ზO-ት-ዲ შ˜ემ** “პური”, შდრ. უდ. **შ˜უმ** “id”; **ɹ-ზᴚ ეშ˜ა** “შემდეგ”, შდრ. უდ. **ოშ˜ა** “id”...

როგორც ზემოთ აღინიშნა, მატენადარანის ხელნაწერში **ჯ** ბგერით აღნიშნული ორი გრაფემიდან პალიმფსესტებში არცერთი არ დასტურდება. ამის მიუხედავად, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა არ გვრჩება **ჯ** ბგერის გარეშე: ერთ-ერთი **ჯ**-ს აღმნიშვნელი ნიშანი უნდა იყოს N 20 **ь** (“ზოხ”). ჩვენი აზრით, აქ უნდა გვქონდეს **ჯ** ბგერის ველარიზებული ვარიანტი (**ჯ˜**); ამის შესახებ მეტყველებს ამ გრაფემის კორესპონდენციები უდიურ ენაში, მაგ., **ნ̄ ჯ˜[უ]ღ** “პატრონი, უფალი” (**ΣO-ŀ4Чნ̄ კოჯინჯ˜[უ]ღ** “სახლის უფალი”), შდრ. უდ. **კონჯ˜უხ** “id”; შდრ. აგრეთვე: უდ. **ბიხა-ჯუღ** “ღმერთი” – კავკ. ალბ. **ნ̄** (*ბ[იხა-ჯ˜უ]ღ); **ьO-ት-ዲO-(ት)-ł ჯ˜უმუხ** “წისქვილი”, შდრ. უდ. **ჟ˜ომოხ** “id”...

მეორე **ჯ** ბგერას, ჩვენი აზრით, უნდა აღნიშნავდეს მატენადარანის ნუსხის N 18 **ŀ** (“დან”); ამ გრაფემას უდიურში შეესატყვესება **ჯ** ან **ჟ** (ნიჯურში) ბგერები, მაგ., **ΣO-ŀ კოჯ** “სახლი”, შდრ. უდ. **კოჯ** (ვართ.)//**ქოჟ** (ნიჯ.) “id”; **ŀɹ-ŀɹ-⅃ (ჯ)ე(ჯ)ერ** “ტუჩი”, შდრ. უდ. **ჯეჯერ** “id”... ვფიქრობთ, რომ აქ უნდა გვქონდეს მარტივი (არაველარიზებული) **ჯ** ბგერა.

ამას გარდა, ჩვენი ვარაუდით, უნდა დაზუსტდეს კავკასიის ალბანური ანბანის N 36 **ᒣ** ასო-ბგერის (“ტაჲ”) ფონემური ღირებულება; აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ამ გრაფემის ჟღერადობის განსაზღვრა ვარაუდის ფარგლებს ვერ გასცდება, თუმცა მივიჩნევთ, რომ აქ უნდა იყოს შიშინა ინტენსიური გლოტალური აფრიკატი (**ჭ**).

ეს ვარაუდი ეფუძნება სისტემურობის მოთხოვნებს (სისინა აფრიკატთა რიგში გვაქვს ინტენსიური აბრუპტივი და ის უნდა იყოს შიშინა აფრიკატთა რიგშიც) და კიდევ იმას, რომ უდიურში ამ ასო-ბგერას **ჭ** შეესატყვისება, მაგ., **ᴚᒣᴚᒣЧ აყა(ჭ)ი** “შიშველი”, შდრ. უდ. **აყაჭი** “id”[33]; **ᒣᴚትნЧ1ɹ-ЂO-ት-Ч (ჭ)აპ-ბიჲესუნ** “შეყოფა”, შდრ. უდ. **ჭაპ-ბესუნ** “დამალვა”...

---

[33] ეს სიტყვა ამდაგვარი ფორმით ა. შიფნერთან დასტურდება [შიფნერი 1863: 74]. როგორც ჩანს, დღეს უდიურში ეს ლექსემა ჩაანაცვლა აზერბაიჯანულიდან ნასესხებმა **ჭუპლაყ** (ვართ.)//**ჩ˜უფ˜ლაღ**

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის სიბილანტთა სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

		აფრიკატი				სპირანტი	
სისინა	მარტივი	N 38 ძ	N 49 ც	N 48 წ	N 19 წ̇	N 6 ზ	N 43 ს
შიშინა	მარტივი	N 18 ჯ	N 39 ჩ	N 27 ჭ	N 36 ჭ̇	N 8 ჟ	N 33 შ
	ფარინგ.	N 20 ჯ˜	N 26 ჩ˜	N 10 ჭ˜		N 12 ჟ˜	N 46 შ˜

ტაბულაში წარმოდგენილ ნიშნებს შეიძლება დაემატოს გრაფემა. ეს ასო-ბგერა, ჩვეულებრივ, ოდენ ფარინგალიზაციის გამომხატველია (ʿ). ის **ა**, **ე** და **ი** ხმოვნებთან (იშვიათად – **ო** და **უ** ხმოვნებთანაც) ჰქმნის გრაფიკულ კომბინაციებს და, ჩვენი აზრით, მას, ამ შემთხვევაში, ფონემის სტატუსი არ მოეპოვება. ინტერვოკალურ პოზიციაში კი ეს ნიშანი თითქოსდა **შ** ბგერას ან მის რომელიმე ფონეტიკურ ვარიანტს გადმოსცემს, მაგ., **მუ(შ?)აკ** „მუშაკი“, შდრ. ქართ. **მუშაკ-ი**, სომხ. **მშაკ** “id”; **ხო(შ?)აკ** „სიცხე“, „ფაფანაკება“, შდრ. ქართ. **ხორშაკ-ი**, სომხ. **ხორშაკ** “id”; **ვა(შ?)ამაკ** „სუდარი“, შდრ. ქართ. **ვარშამაგ-ი**, სომხ. **ვარშამაკ** “id”; **ი(შ?)ა** “ახლოს”, შდრ. უდ. **იშ˜ა** “id”. ამ მაგალითთა რიცხვს შეიძლება კიდევ სამი ლექსემა დავუმატოთ, ესენია **ხი(შ?)უ** „ქალი“, „ცოლი“, **ი(შ?)უა** „ქვრივი“ და **ნაი(შ?)უ** „მონა“, „მსახური“. სამივე ლექსემა ნაწარმოებია **იშუ** „კაცი“, „ქმარი“ სიტყვისაგან, შდრ. უდ. **იშუ** “id”.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლექსემას **ი(შ?)ა** „ახლოს“, ფონემური ღირებულება ასო-ბგერისა წარმოდგენილ მაგალითებში თითქოსდა უნდა განისაზღვროს როგორც „მარტივი“ **შ** ბგერა, მეორე მხრივ კი, – ის ფაქტი,

(ნიჯ.) ფორმამ. აღსანიშნავია, რომ მონათესავე ლეზგიურ ენებში **აყა(ჭ̇)ი** ფორმაში ნიშანს (**ჭ̇**) შეესატყვისება **წ**; შდრ., ლეზგ. ყეწილ, თაბ. ყაწლი, აღ. ყაწულ-ფ, რუთ. ჰაწულ, კრიწ., ბუდ. ყაწუ-ნ “შიშველი”.

რომ ამ ასო-ნიშნით აღინიშნება ფარინგალიზაცია, მხარს უჭერს ვარაუდს ამ ბგერის ფარინგალიზებულობის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ კავკასიის ალბანურ ანბანში, თუ ამ საეჭვო შემთხვევას არ მივიღებთ მხედველობაში, არ გვაქვს პრეცენდენტი ერთი და იგივე ფონემა ორი გრაფემით რომ იყოს გადმოცემული.[34] თუ ამ ფაქტით ვიხემძღვანელებთ და გამოვრიცხავთ, რომ აქ შეიძლება იყოს ან „მარტივი“ **შ** ბგერა ან მისი ფარინგალიზებული ვარიანტი, მაშინ რომელ ბგერას აღნიშნავს ь ასო-ნიშანი ზემოთ წარმოდგენილ ლექსემებში?

ვფიქრობთ, რომ აქ შეიძლება გვქონდეს ინტენსიური **შ**ꞏ ბგერა. ის ფაქტი, რომ ეს ბგერა კავკასიის ალბანურში პოზიციურად შეპირობებულია – გვხვდება მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში, გამორიცხავს მის ფონემურობას. ჩვენი ვარაუდის სასრგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაღესტნურ ენებში ბგერის გაინტენსიურება ინტერვოკალურ პოზიციაში ხშირი მოვლენაა.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ ь ასო-ნიშანი გამოყენებულია ორი რადიკალურად განსხვავებული ფუნქციით. ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ იქნა არჩეული ეს ასო-ბგერა ფარინგალიზაციის გადმოსაცემად ალბანური ანბანის შემქმნელისა ან შემქმნელთა მიერ. ეს შეიძლება ყოფილიყო მისი პოზიციური შეზღუდულობა, ანუ გამოყენება სულ რამდენიმე სიტყვაში (ფუნქციური აღრევა რომ არ მომხდარიყო).

როგორც ნაჩვენებია ზემოთ, კავკასიის ალბანურში ჩვენ ვვარაუდობთ შიშინა და სისინა აფრიკატთა ოთხეულებრივ სისტემას, ხოლო შიშინა და სისინა სპირანტების რიგში – წყვილეულებრივ სისტემას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დასკვნები ეხმიანება ბ. თალიბოვის მიერ საერთოლეზგიურისათვის პოსტულირებულ სიბილანტთა სისტემას. ბ. თალიბოვი საერთოლეზგიურში ვარაუდობს ოთხეულებრივ სისტემას სისინა და შიშინა აფრიკატების რიგში და მიიჩნევს, რომ მხოლოდ აბრუპტიულ აფრიკატებს მოეპოვებოდათ ინტენსიური კორელატები [თალიბოვი 1980: 325].

---

[34] მხოლოდ **ꞓ** ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში, რომლებიც შეიცავს η-ს, სავარაუდოდ აღნიშნავს **ე** ბგერას, ისევე როგორც **ᒧ** ასო-ნიშანი. თუმცა აქ გასათვალისწინებელია იმჟამინდელი ბერძნულის იდენტური მდგომარეობა და მისი დიდი გავლენა კავკასიის ალბანურზე.

1.3.1.1. **სიბილანტების მეორე რიგის საკითხი.**

მარტივ შიშინა სიბილანტებთან ერთად ჩვენ ვვარაუდობთ განსხვავებული რიგის არსებობას, რომელიც შიშინა თანხმოვნების ველარიზებული ვარიანტებისაგან შედგებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში შიშინა სიბილანტების მეორე რიგს სხვადასხვა კვალიფიკაცია მიეცა. ასე, მაგალითად, ს. მურავიოვი ვარაუდობდა ინტენსიური შიშინა აფრიკატებისა და ინტენსიური სისინა და შიშინა სპირანტების არსებობას კავკასიის ალბანურში [მურავიოვი 1981: 239].

ვ. გუკასიანის აზრით, კავკასიის ალბანურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი სისინა და შიშინა აფრიკატების ოთხეულებრივი სისტემა (მჟღერი – ფშვინვიერი – პრერუპტივი – აბრუპტივი), დენტოლაბიალიზებული შიშინა აფრიკატებისა და ინტენსიური სისინა და შიშინა სპირანტების არსებობა [გუკასიანი 1969: 68].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, კავკასიის ალბანურში უნდა ყოფილიყო პოსტალვეოლარული და ალვეოლარ-პალატალური შიშინა თანხმოვნებისა და პალატალიზებული სისინა სიბილანტების (და დენტალური ხშულ-მსკდომების) ლოკალური რიგები [გიპერტი და სხვ. 2009: II-4-6, II-13-15, II-17].

იქიდან გამომდინარე, რომ წინა მკვლევრებს მხოლოდ მცირე ეპიგრაფიკულ მასალასთან მუშაობის საშუალება ჰქონდათ და მათი ვარაუდები ოდენ საკითხის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისითაა საინტერესო, შევჩერდებით მხოლოდ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებაზე. სიბილანტთა სისტემა, რომელსაც წარმოგვიდგენენ მკვლევრები, სერიოზულ კითხვებს აჩენს: აღსანიშნავია, რომ ნახურ-დაღესტნური ენებისთვის არ არის დამახასიათებელი ალვეოლარ-პალატალური თანხმოვნების ქონა და პალატალიზებულ და არაპალატალიზებულ ფონემათა დაპირისპირება. პალატალიზებული და ალვეოლარ-პალატალური თანხმოვნები არ რეკონსტრუირდება ნახურ-დაღესტნური ფონოლოგიის არც ერთ იერარქიულ დონეზე. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოსაზრება კი, ჰპოვებს თავის

ვერიფიკაციას უდიური ენის მასალით, ანუ იმ ენისა, რომელიც წარმოადგენს კავკასიის ალბანური ენის ერთადერთ შემორჩენილ რელიქტს.

უდიურ ენაში გვაქვს ველარიზებულ შიშინა თანხმოვნების სერია (იხ. [მაისაკი 2008: 452]). თუმცა, ვფიქრობთ, რომ ველარიზებული შიშინა ფონემების გამოყოფა არ არის მართებული. გასაზიარებელი ჩანს ს. კოძასოვის მოსაზრება: მკვლევარი ველარიზაციას ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესად მიიჩნევს [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347]. ფარინგალიზებულთა წარმოთქმისას (მათ შორის – შიშინათა) უდიურში ენა უკან გადაიწევს, რაც იწვევს ენის წვერისა და შუა ნაწილის დაწევას. თუ სიტყვაში არ გვაქვს შიშინა თანხმოვნები, მაშინ ფარინგალიზაციას აქვს პალატალური ტემბრი, ხოლო იმ სიტყვებში, რომლებშიც შიშინები დასტურდება – ველარული.[35]

უნდა აღინიშნოს, რომ უდიური ენის შიშინა სიბილანტების სისტემა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა: თითქმის ყველა მკვლევარი უდიურში მარტივი შიშინა სიბილანტებისაგან განსხვავებული ჟღერადობის ფონემებს ვარაუდობს. ოდენ **ჟ** და **შ** თანხმოვნების კორელატებს აღნიშნავს უდიურში ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. მხოლოდ ერთი მათგანი (ш̆) გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიური ენის შესახებ. ა. შიფნერის მსგავსად ორი განსხვავებული შიშინა სპირანტი წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ” და “უდიური ოთხთავის” ტექსტში. ასეთივე ვითარება გვაქვს უდიურ საანბანო წიგნში “სამჯი დüს”.

ხუთი ინტენსიური შიშინა თანხმოვანი (**ჟ**, **შ**, **ჯ**, **ჩ**, **ჭ**) პირველად გვხვდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ. ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს უმატებს სისინა **წ**-ს. ინტენსიურ შიშინა სიბილანტებს (**ჟ**, **შ**, **ჯ**, **ჩ**, **ჭ**) გამოყოფს უდიურ მასალაში ა. ჰარისი. ტ. მაისაკისა და ზოგიერთი სხვა მკვლევრის აზრით, უდიურს მოეპოვება არა ინტენსიური, არამედ ველარიზებული შიშინა თანხმოვნები. ვ შულცე კი, უდიურში გამოყოფს ალვეოლარ-პალატალური და პალატალური რიგის შიშინა თანხმოვნებს.

[35] შდრ. ს. კოძასოვის მოსაზრებას: Фарингализация имеет палатальный тембр при отсутствии в слове шипящего. Фарингализованные шипящие веляризованы и смещают назад соседние гласные переднего ряда [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347].

როგორც აღინიშნა, ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჯეირანიშვილისა და ვ. გუკასიანის აზრით, უდიურს მოეპოვება შიშინა აფრიკატებისა და შიშინა სპირანტების ინტენსიური (“მყოვარი”, “მაგარი”, “გემინირებული”) კორელატები: **ჯˑ**, **ჩˑ**, **ჭˑ**, **ქˑ**, **შˑ**. ვლ. ფანჩვიძე ამ ბგერებს შემდეგ სიტყვებში იმოწმებს: **შˑუმ** “პური”, **ქˑე** “ქვა”, **შˑალდესუნ** “ადუღება”, **ჭˑოჭˑა** “წითელი”... ვ. გუკასიანი – შემდეგ სიტყვებში: **ეშˑ** “ვაშლის ხე”, **ოქˑულ** “კუდი”, **კონჯˑუხ** “პატრონი”... ევგ. ჯეირანიშვილთან გვაქვს: **შˑუ** “ღამე”, **ბაჩˑ** “ასი”, **აჩˑი** “დაკარგული” “დამალული”, **ყაჭˑ** “ტკივილი” **ჭˑაპ** “გამქრალი”...

ბ. გიგინეიშვილმა სამართლიანი შენიშვნა გამოთქვა უდიურში ინტენსიური შიშინა თანხმოვნების არსებობის შესახებ. მისი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მჟღერი ინტენსიურების (**ქˑ**, **ჯˑ**) პოსტულირება (ასეთი ფონემები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ გვხვდება) და ინტენსივობის მიხედვით კორელაცია მხოლოდ ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) ეჭვქვეშ აყენებს მთლიანად რიგის კვალიფიკაციას. შიშინა თანხმოვნების “ინტენსივობა”, ბ. გიგინეიშვილის ვარაუდით, მთელ რიგ შემთხვევაში, გამოწვეულია ფარინგალიზებულ ხმოვნებთან მეზობლობით [გიგინეიშვილი 1977: 61-63].

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ან ერთი მკვლევრის მასალებშიც, თვალშისაცემია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულად ჩაწერის შემთხვევები: ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით, მაგ., ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიაში “უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი)” (1971) გვხვდება: **იქˑ** (გვ. 22) – **ი‘ქ** (გვ. 208, 249) “თოვლი”; **ქˑოლ** (გვ. 214) – **ქოლ** (გვ. 33, 78) “საცობი”; **უჭ** (გვ. 22) – **უჭˑ** (გვ. 217, 254) “თაფლი”; **კაჭˑი** (გვ. 28, 219) – **კაჭი** (გვ. 255) “ბრმა”; **ჭˑოჭˑა** (გვ. 220, 258) – **ჭოჭა** (გვ. 32) “წითელი”...

ბ. თალიბოვმა საველე პირობებში (ქ. ვართაშენსა და სოფ. ნიჯში) შეამოწმა ის სიტყვები, რომლებშიც ივარაუდებოდა ინტენსიური შიშინა თანხმოვნების არსებობა, მაგრამ ვერ დაადასტურა ინტენსივობის მიხედვით კორელაცია [თალიბოვი 1980: 181].

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა, რომ უდიურში ინტენსიურ შიშინათა ფონემურობა დამტკიცებულიყო; ევგ. ჯეირანიშვილმა ინტენსიურ თანხმოვანთა დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ შემდეგი მინიმალური წყვილები შემოგვთავაზა: **შ·უ** “ღამე” – **შუ** “ვინ”; **ბაჩ·** “ასი” – **ბაჩ** “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”; **აჩ·ი** “დაკარგული” “დამალული” – **აჩი** “თამაში”; **ყაჭ·** “ტკივილი” – **ყაჭ** “ვიწრო”; **ჭ·აპ** “გამქრალი” – **ჭაპ** “ვაზი” [ჯეირანიშვილი 1971: 14].

სამეცნიერო მივლინებით ჩვენ რამდენჯერმე ვიმყოფებოდით ყვარლის რაიონში უდიებით დასახლებულ სოფ. ზინობიანში (ყოფ. ოქტომბერი). მივლინებისას გადავამოწმეთ ის სიტყვები, რომლებშიც მკვლევრები ინტენსიურ თანხმოვნებს ვარაუდობდნენ. ჩვენი დაკვირვებით, შიშინა თანხმოვნები გამოითქმის ერთნაირად და არანაირი კორელაცია მათ შორის არ შეინიშნება. ინტენსიურ თანხმოვნებს მეტწილად აღნიშნავენ იმ სიტყვებში, სადაც გვაქვს ფარინგალიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს შიშინათა ველარიზაციას.

შევამოწმეთ აგრეთვე ევგ. ჯეირანიშვილის მიერ ინტენსიური შიშინა სიბილანტების დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ მოყვანილი ლექსემები და ინფორმანტებისაგან ისინი შემდეგი ფორმით დავიმოწმეთ: **აჩ˜ი** “დაკარგული”, “დამალული” – შდრ. ევგ. ჯეირანიშვილის **აჩ·ი**; **ბაჩ˜** “ასი” – შდრ. **ბაჩ·**; **ბაჩ˜** “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ. **ბაჩ**; **ყ‘აჭ** “ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ. **ყაჭ·** “ტკივილი”. მაშასადამე, ჩვენი დაკვირვებით, **აჩ·ი** (**აჩ˜ი**) “დაკარგული” “დამალული” – **აჩი** “თამაში”, **ყაჭ·** (**ყ‘აჭ**) “ტკივილი” – **ყაჭ** “ვიწრო” წყვილებში განსხვავება ერთ-ერთი ლექსემის ფარინგალიზებულობა-ველარიზებულობის გამო წარმოიქმნა, ხოლო **ბაჩ·** (**ბაჩ˜**) “ასი” – **ბაჩ** (**ბაჩ˜**) “ქვევრზე დასაფარებელი ქვა”, **შ·უ** (**შუ**) “ღამე” – **შუ** “ვინ” და **ჭ·აპ** (**ჭაპ**) “გამქრალი” – **ჭაპ** “ვაზი” მაგალითების შემთხვევაში ინფორმატორებისაგან შემდეგ განმარტებას ვიღებდით: ეს ერთი და იგივე ჟღერადობის სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვსო, ანუ დღეს უდიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის ეს წყვილები ომონიმებს წარმოადგენენ.[36]

---

[36] ევგ. ჯეირანიშვილი იმავე ნაშრომის რუსულ რეზიუმეში აღნიშნავს: “Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов (в частности в результате упрощения-ослабления артикуляции интенсивных согласных), например: ачи (<

საფიქრებელია, რომ მკვლევართა მიერ ნავარაუდევ “ინტენსიურებსა” (resp. ველარიზებულ შიშინათა) და ფარინგალიზაციის პროცესს შორის უშუალო კავშირი არსებობს. სპეციალისტთა მასალებში ინტენსიური თანხმოვნები მეტწილად “ფარინგალიზებული ხმოვნების” გვერდით გვხვდება, მაგ., **ეშ̈** “ვაშლი”; **ი‘ჟ̈** “თოვლი”; **ი‘ჟ̈ე‘ნა** “ზამთარი”; **ჟ̈ა‘ლდესუნ** “ადუღება”; **ჟ̈ე‘** “ქვა”; **უ‘ჴბა‘ჭ̈** “ექვსასი”; **ო‘ჟ̈ილ** (ვართ.)//**ო‘ჟ̈ულ** (ნიჯ.) “კუდი”... (ევგ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჩვიძე, ვ. გუკასიანი და სხვა).

წარმოდგენილ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა ჩანაწერების შედარებისას ანდა ერთი სპეციალისტის მასალებში ხშირია ფარინგალიზებული ხმოვნებისა და ინტენსიური თანხმოვნების მონაცვლეობის (არაერთგვაროვანი ჩაწერის) შემთხვევები, ანუ ერთსა და იმავე სიტყვაში ზოგჯერ გვერდიგვერდ გვხვდება ფარინგალიზებული ხმოვანი და მარტივი შიშინა თანხმოვანი, ზოგჯერ – ინტენსიური შიშინა და მარტივი ხმოვანი, ზოგჯერ კი – ინტენსიური შიშინა და ფარინგალიზებული ხმოვანი, მაგ., **იჟ̈** [ჯეირანიშვილი 1971: 22] – **ი‘ჟ** [ჯეირანიშვილი 1971: 208, 212; ფანჩვიძე 1974: 19] – **ი‘ჟ̈** [გუკასიანი 1974: 130] “თოვლი”; **ჟ̈ე** [ჯეირანიშვილი 1971: 206; ფანჩვიძე 1974: 29] – **ჟ̈ე‘** [გუკასიანი 1974: 114] “ქვა”; **ოჯ̈ილ** [ფანჩვიძე 1974: 29] – **ოჟ̈ი‘ლ** [გუკასიანი 1974: 182] – **ოჯ̈ი‘ლ** [ჯეირანიშვილი 1971: 205] “კუდი”; **იშ̈ა** [ფანჩვიძე 1974: 30] – **ი‘შა** [ფანჩვიძე 1974: 19] – **იშა** [ჯეირანიშვილი 1971: 205] – **ი‘შ̈ა** [გუკასიანი 1974: 130] “ახლოს”; **ჩ̈ო** [ფანჩვიძე 1974: 30; გუკასიანი 1974: 242] – **ჩო‘** [ჯეირანიშვილი 1971: 203] “სახე”; **ქაჩ̈**//**ქაჩ**//**ქაშ** [ჯეირანიშვილი 1971] – **ქაშ̈** [ფანჩვიძე 1974: 30; გუკასიანი 1974: 133] “ორმო”, “თხრილი” – **ქა‘შ**-კალ [გუკასიანი 1974: 134] “ორმოს//თხრილის კიდე”...

ачъи) «потерянный», «утеренный» - ачи «игра», ... чІапІ (< чІъапІ) «угасший» - чІапІ «лоза», шу (< шъу) «ночь» - шу «кто» ...” [ჯეირანიშვილი 1971: 310]. იმის მიუხედავად, რომ აქ ამ სიტყვებს მკვლევარი ინტენსიურთა მოშლის შედეგად წარმოქმნილ ომონიმებად მიიჩნევს, ზუსტად ეს ლექსემები წარმოდგენილია იმავე ნაშრომის მე-14 გვერდზე როგორც მინიმალური წყვილები (იხ. ზემოთ).

ეს დებულება ევგ. ჯეირანიშვილისა და ვლ. ფანჩვიძის უდიური ენის ერთობრივ მიმოხილვაშიც გვხვდება: “Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов, например: ачи (< ачъи) «потерянный», «утеренный» - ачи «игра», шу (< шъу) «ночь» - шу «кто», чІапІ (< чІъапІ) «угасший» - чІапІ «лоза»” [ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967: 686].

გვაქვს შემთხვევები, როდესაც მკვლევარი ერთ დიალექტში ინტენსიურ თანხმოვანს ვარაუდობს, ხოლო მეორეში – ფარინგალიზებულ ხმოვანს, მაგ., **ჟˤუ**ჴˤთˤესუნ (ნიჯ.) – **ჩუ**ʻხთˤესუნ (ვართ.) “შეყოფა”, “შეტენვა”, “შეჭრა” [გუკასიანი 1974: 115]; ო**ჟˤუ**ლ (ნიჯ.) – ო**ჟˤი**ʻლ (ვართ.) “კუდი” [გუკასიანი 1974: 182]...

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფ. ზინობიანში ჩვენ გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც, მკვლევართა აზრით, ინტენსიური თანხმოვნები გვქონდა. საყურადღებოა, რომ ასეთ სიტყვებში ჩვენ, მეტწილად, დავადასტურეთ ფარინგალიზაციით გამოწვეული ველარიზაცია, მაგ., **აჩ~ი** “დაკარგული”, “დამალული”; **აჩ~ი**ბესუნ “დაკარგვა” – შდრ. **აჩˤი** [ჯეირანიშვილი 1971: 14], **აჩˤ**იბგსუნ [ფანჩვიძე 1974: 30]; ბ**აჩ~** “ასი”, “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ. ბ**აჩˤ** [ჯეირანიშვილი 1971: 14] “ასი”; **ეშ~** “ვაშლი” – შდრ. **ეʻშˤ** [გუკასიანი 1974: 85]; **იჟ~** “თოვლი” – შდრ. **იჟˤ** [ჯეირანიშვილი 1971: 22] და **იʻჟˤ** [გუკასიანი 1974: 131]; **იშ~ა** “ახლოს” – შდრ. **იშˤ**ა [ფანჩვიძე 1974: 29] და **იʻშˤ**ა [გუკასიანი 1974: 130]; **იშ~**კესუნ “ვარცხნა”, “დავარცხნა” – შდრ. **იʻშˤ**კესუნ [გუკასიანი 1974: 130]; კ**აჭ~ი** “ბრმა” – შდრ. კ**აჭˤი** [ჯეირანიშვილი 1971: 28, 219]; **ჟ~ა**ლდესუნ “ადუღება” – შდრ. **შˤა**ლდესუნ [ფანჩვიძე 1974: 29] და **ჟˤა**ლდესუნ [გუკასიანი 1974: 114]; **ჟ~ი**კ “ქნევა”, “რწევა” – შდრ. **ჟˤი**ʻკ [გუკასიანი 1974: 114]; **ჟ~ო**ლ “საცობი” – შდრ. **ჟˤო**ლ [ჯეირანიშვილი 1971: 214]; **ჟ~ო**მოხ “პირი” – შდრ. **ჟˤო**მოხ [გუკასიანი 1974: 114]; **ჟ~ო**ღულ “ზაფხული” – შდრ. **ჟˤო**ღულ [ფანჩვიძე 1974: 30]; ო**ჩ~ა**ლ “მიწა”, “ზედაპირი” [დედამიწის], “ნიადაგი” – შდრ. ო**ჩˤა**ლ [ფანჩვიძე 1974: 29]; ოჭი//**ოჭ~ი** “ტალახი” – შდრ. **ოჭˤი** [ფანჩვიძე 1974: 29]; **უჭ~** “თაფლი” – შდრ.: **უჭˤ**[ჯეირანიშვილი 1971: 217, 254; ფანჩვიძე 1974: 29]; ქ**აჩ~**ფსუნ “ამოთხრა”, “ჩაფვლა” – შდრ. ქ**აშˤ**ფსუნ (ნიჯ.) [ფანჩვიძე 1974: 30]; **ღʻაჩ**ფესუნ “შეკვრა”, “შეყოფა” – შდრ. ღ**აჩˤ**ფესუნ [ფანჩვიძე 1974: 29]; **ყʻაჭ** “ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ. **ყაჭˤ** “ტკივილი” [ჯეირანიშვილი 1971: 14]; **შ~უ**მაკ “დედალი” – შდრ. **შˤუ**მაკ [გუკასიანი 1974: 250]; ჩო//**ჩ~ო** “სახე” – შდრ. **ჩˤო** [ფანჩვიძე 1974: 29]; **ჭ~ოჭა** “წითელი” – შდრ. **ჭˤოჭˤა** [ჯეირანიშვილი 1971: 220, 258; ფანჩვიძე 1974: 29]; **მუჭ~ა** “ტკბილი” – შდრ. **მუჭˤა** [ჯეირანიშვილი 1971: 310]... თუ გავითვალისწინებთ, რომ უდიურში შეინიშნება ფარინგალიზაციის არტიკულაციის შესუსტების ტენდენცია (ეს განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებას დაეტყო), საფიქრებელია, რომ

ასეთი მაგალითების რიცხვი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. თუმცა, უნდა აღინოშნოს, რომ არაფარინგალიზებულ სიტყვათა რიცხვი, სადაც მკვლევრები ინტენსიურთა არსებობას ვარაუდობენ, მცირეა, მაგ., **შუ** "ღამე" (შდრ. [არდოტელი 2012: 19], **ჭაპ** "გამქრალი"...

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უდიური ენისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდევი ინტენსიური (resp. ველარიზებული) შიშინა თანხმოვნები უშუალოდ ფარინგალიზაციის პროცესს უკავშირდება: იშვიათი გამონაკლისის გარდა, მკვლევრები ინტენსიურ თანხმოვნებს ვარაუდობენ ფარინგალიზებულ სიტყვებში. თვით ველარიზებული და, მით უფრო, ინტენსიური ("გემინირებული", "მაგარი") ფონემების გამოყოფა უდიურში, ჩვენი აზრით, არ არის მართებული.

შიშინათა ფარინგალიზაციის პროცესმა (რომელიც იწვევს შიშინა თანხმოვნების ველარიზაციას), ჩვენი აზრით, შეიყვანა შეცდომაში ის მკვლევრები, რომლებიც უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ინტენსიურ, ანდა ველარიზებულ ფონემებს აღნიშნავდნენ. ვფიქრობთ, იდენტური ვითარება იყო კავკასიის ალბანურშიც, რაც ანბანზეც აისახა.

ამრიგად, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ შიშინა სიბილანტების მეორე რიგი კავკასიის ალბანურში ველარიზებულთა რიგს წარმოადგენდა და არა ინტენსიურთა, ანდა სხვაგვარ რიგს. თავის მხრივ, შიშანათა ველარიზაცია კავკასიის ალბანურში, როგორც უკვე აღინიშნა, ფარინგალიზაციიის პროცესით უნდა იყოს გამოწვეული.

შიშინა სიბილანტების მეორე რიგის სხვაგვარი, უდიურ ენაში დამოწმებული ვითარებისაგან განსხვავებული კვალიფიკაციის შესაძლებლობა სარწმუნოდ არ გვეჩვენება. ასე, მაგალითად, ვ. გუკასიანი მეორე რიგის შიშინა აფრიკატებს დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებად მიიჩნევდა [გუკასიანი 1969: 68], რასაც შეუძლებელია რომ დავეთანხმოთ. მიგვაჩნია, რომ მაშინდელი ლინგვისტური აზროვნების პირობებში მათი აღქმა დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულებად ვერ მოხერხდებოდა. ხოლო თუ მაინც დავუშვებთ ლაბიალიზებულ ფონემათა აღმნიშვნელ ნიშანთა არსებობას კავკასიის ალბანურ ანბანში, ასეთ შემთხვევაში,

ვფიქრობთ, რომ ტექსტებში გვექნებოდა დაწერილობის პარალელური ფორმები, ანუ ლაბიალიზებული ბგერა ზოგიერთ შემთხვევაში ცალკე ასო-ნიშნით იქნებოდა გადმოცემული, ზოგან კი კომპლექსებით – Sw, Sv, ანდა Su. (S – შიშინა სიბილანტი; w = 𐕞, v = 𐕛, u = 𐕒𐕞). ამასთან, კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უდიურში, არ შეინიშნება ლაბიალიზებული კომპლექსები. საფიქრებელია, რომ საერთო ლეზგიურის *Cw კომპლექსები კავკასიის ალბანურში ანბანის შექმნამდე გამარტივდა: *Cw > C (ამის შესახებ იხ. [არდოტელი 2009: 170-174; არდოტელი 2018: 49-56].

სიბილანტების ვრცელი მიმოხილვის შემდეგ განვიხილოთ დანარჩენი კონსონანტების საკითხი:

1.3.2. **ხშულ-მსკდომი თანხმოვნები.**

კავკასიის ალბანურ ენას ხშულ-მსკდომთა სამეულებრივი სისტემა ახასიათებს. ამათგან, ლაბიალური, დენტალური და ველარული რიგების ყველა წევრი დადგენილია, ესენია: N 2 𐔱 (ბ), N 51 𐕢 (ფ), N 40 𐕗 (პ); N 4 𐔳 (დ), N 9 𐔸 (თ), N 45 𐕜 (ტ); N 3 𐔲 (გ), N 52 𐕣 (ქ), N 21 𐕄 (კ). ასევე გარკვეულია უვულარული აბრუპტივის (ყ) საკითხი – ეს არის N 30 𐕍. გასარკვევი რჩება ამავე რიგის ფშვინვიერი ბგერის (ჴ) საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ჴ ბგერა დადასტურებულია ლეზგიური ქვეჯგუფის, დაღესტნური ჯგუფისა და იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ყველა ენაში. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის კავკასიის ალბანურში არ ყოფილიყო.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, პალიმფსესტებში ამ ბგერის აღმნიშვნელი უნდა იყოს ⊣ ნიშანი (N 24 "ჰაჲ"), რომელიც, ამას გარდა, **ხ** ბგერასაც გადმოსცემდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-11]. კავკასიის ალბანურ ანბანში იყო ⊣ ნიშნის მსგავსი გრაფიკული ფორმის მქონე ⊣ ასო-ბგერაც, რომლის ფონემური ღირებულება, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებით, იყო **ხ́** [გიპერტი და სხვ. 2009: II-11].

ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ: კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უდიურში, ერთმანეთს დაემთხვა საერთოლეზგიური ***ხ**, ***ხ**ː და კიდევ რამდენიმე

ლატერალური ფონემის რეფლექსები. საყურადღებოა, რომ ფონემა, რომელსაც გადმოსცემს ნიშანი, ხშირად მომდინარეობს საერთოლეზგიური *ხ-სა და *ხ₀-სგან, მაგ.,

ა‘ხი; **უდ. ახ‘ილ** „შორეული“, შდრ. ლეზგ. **ჲარღალ**; თაბ. **ჲარხლა**; აღ. **ჸარხა** „შორს“; რუთ. **ხგრგ-დგ** „id“; არჩ. **ახ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **არხ₀-სა** „შორეული“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1975: 106; ჩკელ: 269 (ს.-ლეზგ. ***ʒარხ₀(ჳლ)**)].

ხელ „მიდგომილი“; **უდ. ჴელ** // **ხელ** „ტვირტი“, „ბარგი“. შდრ. რუთ. **ხჳლ, -გრ-** IV; წახ. **ხეჶ, -ან** IV; არჩ. **ხ₀ალ**, მრ. **-უმ** IV; კრიწ. **ხელ, ხილ** III; ბუდ. **ხელ** IV; სხვ. დაღ.: დარგ. **ხალა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 170; ჩკელ: 1069 (ს.-ლეზგ. ***ხ₀ჳლ**)].

ხოდ; **უდ. ხოდ** „ხე“, შდრ. დიუბ. **ღურდ-ინ ჰარ**; რუთ. **ხგდ, -გრ-** III; შდრ.: დარგ. **ხურ**, წუდახ. **ხ₀ურ** „ცაცხვი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 1079 (ს.-ლეზგ. ***ხ₀ორთ₀** III „ცაცხვი“)].

ბიხესუნ; **უდ. ბიხსუნ** „შობა“, „გაჩენა“ (შდრ. უდ. **ხოჲ** „შთამომავლობა“), შდრ. ლეზგ. **ხაზ, ხანა**, ბრძ. **ხუხ** // **რუხუხ**; თაბ. **ხუზ**; აღ. **უხას**; ბურშ. **რუხას**; რუთ. **ჰუ-ხʷას**; წახ. **უხას**; კრიწ. **ხუჲიჯ, რუხრი**, ბრძ. **სჳხგრ**; ბუდ. **ხოსუ**; იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 576 (ს.-ლეზგ. ***ʒიხʷა**)].

ჩვენ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ ნიშანი გადმოსცემს **ხ** ბგერას ნასესხებ სიტყვებში, მაგ., **ხორან** „საფარი“, შდრ. სომხ. **ხორან** „id“; **ხოშაკ** „სიცხე“, „ფაფანაქება“, შდრ. ქართ. **ხორშაკ-ი**, სომხ. **ხორშაკ** „id“; **ხეხერ** „ხერხი“, შდრ. ქართ. **ხერხ-ი** „id“; **ხარტაკ** „ნაწილი“, „ნაჭერი“, შდრ. სომხ. **ხორტაკემ** „id“; **დახტაკ** „ფიცარი“, შდრ. სომხ. **ტახტაკ** „id“; **სახეჲ** „სახე“, შდრ. ქართ. **სახეჲ** (იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-11]).

თუ კავკასიის ალბანურში უვულარულ **ხ**-ს აღნიშნავდა ნიშანი, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ გადმოსცემს მას ნასესხებ სიტყვებში გრაფემა, რომელიც, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, არის არა უვულარული, არამედ ველარული სპირანტი?

[illegible] ნიშანს უდიურში, როგორც წესი, შეესატყვისება ჴ ბგერა, მაგ., [illegible] **ჴო** „ხუთი“, შდრ. უდ. **ჴო** „id“; [illegible] **უ‘ჴ** „ექვსი“, შდრ. უდ. **უჴ‘** „id“; [illegible] **მუ‘ჴენ** „დღესასწაული“, შდრ. უდ. **მუჴ‘** „მხიარული“, „ბედნიერი“... ამას გარდა, [illegible] გრაფემას უდიურში ზოგჯერ შეესატყვისება **ხ** და **ღ** ბგერები, მაგ., [illegible]//[illegible] **ა(ჴ)წიბა**[**ჲ**]//**ა(ჴ)სიბა**[**ჲ**] „აღდგომა“, შდრ. უდ. **ახწიმა//ახსიბაჲ** „id“ < ქართ. **აღვსებაჲ**; [illegible] **ბა(ჴ)ესუნ** „პოვნა“, შდრ. **ბაღ‘აესუნ** „ყოფნა ნაპოვნისა“.

როგორც ჩანს, გასაზიარებელია ა. კასიანის მოსაზრება, რომლის თანახმად **ჴ** ფონემა კავკასიის ალბანურში იყო რეალიზებული როგორც აფრიკატი [კასიანი 2011-2012]. ვფიქრობთ, ამით აიხსნება [illegible] და [illegible] ნიშნების მონაცვლეობა ზოგიერთ ფიქსაციაში, მაგ., III დატივისა და მრავლობითი რიცხვის აფიქსებში (იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-10-11]). შესაბამისად, საფიქრებელია, რომ N 30 [illegible] ნიშანიც იყო აფრიკატი. უნდა აღინიშნოს, რომ **ჴ** და **ყ** ბგერების (და ზოგადად უვულარული რიგის) აფრიკატული რეალიზაცია დამახასიათებელია დაღესტნური ენებისათვის როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით.

1.3.3. **სპირანტები.**

სპირანტები კავკასიის ალბანურში წყვილეულებრივ სისტემას ჰქმნიან. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანის ფონემური ღირებულება უეჭველად დადგენილია (სისინა და შიშინა სპირანტების საკითხი გავარკვიეთ სიბილანტების მიმოხილვისას): N 44 [illegible] (**ვ**), N 37 [illegible] (**ფ**); N 17 [illegible] (**ხ**), N 41 [illegible] (**ღ**). ლარინგალური რიგი ნაკლულია, ანუ ოდენ ერთი წევრითაა წარმოდგენილი: N 23 [illegible] (**ჰ**).

1.3.4. **სონორები.**

სონორებიდან მოგვეპოვება: N 29 [illegible] (**მ**); N 31 [illegible] (**ნ**); N 15 [illegible] (**ლ**); N 42 [illegible] (**რ**); N 50 [illegible] (**ჳ**).

გასარკვევი რჩება ორი ასო-ბგერის საკითხი, ესენია – N 18 [illegible] და N 22 [illegible]. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აქ უნდა გვქონდეს პალატალიზებული სონორები **ნ́** და **ლ́** [გიპერტი და სხვ. 2009: II-13].

ჩვენ არ გვაქვს განსხვავებული მოსაზრება პირველი გრაფემის (N 18 [illegible] **ნ̆**) შემთხვევაში, ხოლო მეორე ასო-ნიშნის (N 22 [illegible]) ფონემური ღირებულების (**ლ̆**) უტყუარობაში ეჭვი გვეპარება.

ამ ასო-ბგერას საერთოლეზგიურ დონეზე, როგორც შეგვიძლია გამოვარკვიოთ თითო-თითო მაგალითის მიხედვით, შეესატყვისება ***რ** (უდიურში **ჲ**) და ***ლ** ფონემები, მაგ.,

[illegible] **ლ´აყ**; **უდ. ჲაჴ›** „გზა“, შდრ. ლეზგ. **რეჴ**, **რეყი**; ნუტ. **რა‘ჴ‘**; მრ. **რეყერ**; ხლუტ. **რაყ‘**, **-ი**; თაბ. **რაჴ‘**, **-უ**; დიუბ. **რაჴ‘ა**; აღ., ბურშ., თფიღ. **რაჴ‘**, **-უ**; ბურკ. **რეჴ**; რუთ. **რაჴ‘**, **რგჴ‘გ-** III; წახ. **ჲაჴ‘**, **ჲაჴ‘გნ** III; არჩ. **დეყ‘**, ლოკ. **დეყ‘უ** III; სხვ. დაღ.: დარგ. **და‘ყ** „ბილიკი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 20; ლექსიკა 1971: 142; გიგინეიშვილი 1977: 109; თალიბოვი 1980: 264; ჩკელ: 604 (ს.-ლეზგ. ***რ̈ყ‘**)].

[illegible] **ილ´(უ)** „სიტყვა“, „ხმა“, „მეტყველება“, შდრ. ლეზგ. **ჭალ**; თაბ. **ჭალ**; აღ. **ჭალ**; რუთ. **ჭელ**; კრიწ. **ჭელ**; ბუდ. **ჭელ**; არჩ. **ჭათ**.

ზოგჯერ ამ ასო-ნიშნის წარმომავლობა უცნობია, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში – მას მონათესავე ენებში შეესატყვისება ჩქამიერი ლატერალური თანხმოვნები, მაგ.,

[illegible] **ბი-ლ´ა-** (აწმყოს ფუძე); **უდ. ბიჲე-სუნ** „მოკვდომა“, „მოკვლა“, შდრ. ლეზგ. **რეყიზ**, **ყენა**, ბრძ. **ჲიყ**; თაბ. **ჲი-ø-კუზ**; არჩ. **კის**, **კარ**; აღ. **კას**; ბურშ. **კის**; რუთ. **უ̂-იყეს**, მრ. **დგ-ყგრყას**; წახ. **ჴეკეს**; კრიწ. **ყ̆-ჲიჯ**, დურ. **რგყ̆რი**, ბრძ. **ს̆ყ**; ბუდ. **სარყარ**, **საყაჯი**; სხვ. დაღ.: ახვ. **ილ̣ʷუ-რულʸა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; გიგინეიშვილი 1977: 103; ჩკელ: 662 (ს.-ლეზგ. ***ჸილ̣ʷე**)]. ამ მაგალითში საერთოლეზგიურ დონეზე უეჭველად აღდგება ***ლ̣ʷ** ლატერალი;

[illegible] **ლ´ამ** „ხალენი“, შდრ. ანდ. **ანლ‘ი**; ახვ. **აⁿლ‘ი**; დიდ. **მილ̣ʷი**; ტინდ. **ანლ‘ი**;

[illegible] **ჰილ´** „რაიმე“, შდრ. არჩ. **ჰელ̣ʷანა**; სხვ. დაღ.: დარგ. **სა-კალ**;

[illegible] **ალ´ეგ** „ღრუბელი“, შდრ. ლეზგ. **ცჾიფ**; თაბ. **დიფ**; აღ. **დიფ**; იხ. აგრეთვე: [გიპერტი და სხვ. 2008: IV-5 (ს.-ლეზგ. ***თჾVლ‘ʷ**)]. აქ ლაბიალიზებული ლატერალის რეკონსტრუქცია აუსლაუტში ეჭვს არ იწვევს.

ამ მაგალითების საფუძველზე შეიძლება დაისვას კითხვა: ხომ არ გვქონდა კავკასიის ალბანურში ერთ-ერთი ჩქამიერი ლატერალური თანხმოვანი, რომელიც აღინიშნებოდა **ɫ** ნიშნით? ამჟამად ლეზგიურ ენებში (თუ არ ჩავთვლით არჩიბულს, რომელმაც ლატერალები შეინარჩუნა) ლატერალები არ დასტურდება,[37] თუმცა საერთოლეზგიურში ლატერალები აღდგება. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია საერთოლეზგიური კონსონანტიზმის რეკონსტრუქციის რამდენიმე ცდა, რომელიც ფუძე-ენაში ლატერალების აღდგენასა და სინქრონიულ დონეზე მათი რეფლექსების პოვნიერებასაც მოიცავს:

ე. ბოკარიოვი ფუძე-ენაში ***ლ̃ᵛ**, ***ლ̣ᵛ**, ***ლ̣ᵞ** და ***ლᵞ** ბგერებს აღადგენს [ბოკარიოვი 1981: 58].

ს. სტაროსტინი საერთოლეზგიურში ექვი ლატერალისა და მათი ლაბიალიზებული ვარიანტების არსებობას ვარაუდობს (***ლᵛ**, ***ლᵞ**, ***ლ̣ᵛ**, ***ლ̣ᵞ**, **ლ́**, ***ლᵞ**; ***ლᵛ°**, ***ლᵞ°**, ***ლ̣ᵛ°**, ***ლ̣ᵞ°**, ***ლ́°**, ***ლᵞ°**) [სტაროსტინი 1975];

ზ. თალიბოვი კი მხოლოდ ორ გლოტალურ ლატერალურ აფრიკატს ვარაუდობს (***ლ̣ᵛ**, ***ლ̣ᵞ**) [თალიბოვი 1980: 310-313].

გასაზიარებელი ჩანს ზ. გიგინეიშვილის მიერ ლატერალების რეკონსტრუირებული სისტემა: მკვლევარი საერთოლეზგიურში ***ლ̃ᵛ**, ***ლ̣ᵞ**, ***ლᵞ**, ***ლ́** და ***ლᵞ** ლატერალებს ვარაუდობს [გიგინეიშვილი 1977: 151].

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის კონსონანტური სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება (პირველი ტაბულა გრაფიკული თვალსაზრისითაა შედგენილი, ხოლო მეორე ტაბულაში ოდენ ფონემებია წარმოდგენილი):

[37] ი. დეშერიევის აზრით, ხინალუღურშიც გვხვდება **ლ̃ᵛ** ლატერალი [დეშერიევი 1959: 13], თუმცა სხვა სპეციალისტები ამას არ იზიარებენ (იხ. მაგ., [თალიბოვი 1980: 168-170]).

	ხშული			აფრიკატი				სპირანტი		სონორი	
						აბრუპტივი					
	მჟღერი	ფშვინვიერი	აბრუპტივი	მჟღერი	ფშვინვიერი	მარტივი	ინტენს.	მჟღერი	ყრუ	მარტივი	პალატალიზებული
ლაბიალური	[illegible]	[illegible]	[illegible]					[illegible]	[illegible]	[illegible]	
დენტალური	[illegible]	[illegible]	[illegible]							[illegible]	[illegible]
წინაალვეოლარული				[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
პოსტალვეოლარული				Ď	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	
ველარიზებული*				[illegible]	[illegible]	[illegible]		ʎ	[illegible]		
შუაენისმიერი										[illegible]	
უკანაენისმიერი	[illegible]	[illegible]	[illegible]					[illegible]	[illegible]		
ფარინგალური		*[illegible]	[illegible]								
ლარინგალური									[illegible]		
ლაბიალური	ბ	ფ	პ					ვ	ჶ	ჳ̂, მ	
დენტალური	დ	თ	ტ							ნ	ნ́
წინაალვეოლარული				ძ	ც	წ	წ^{მ}	ზ	ს	ლ	ლ́
პოსტალვეოლარული				ჯ	ჩ	ჭ	ჭ^{მ}	ჟ	შ	რ	
ველარიზებული*				ჯ̃	ჩ̃	ჭ̃		ჟ̃	შ̃		
შუაენისმიერი										ჲ	
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ					ღ	ხ		
ფარინგალური		*ჴ	ყ								
ლარინგალური									ჰ		

შენიშვნა: ველარიზებულთა რიგს არ მივიჩნევთ ფონემებად.

	ხშული			აფრიკატი				სპირანტი		სონორი	
	მჟღერი	ფშვინვიერი	აბრუპტივი	მჟღერი	ფშვინვიერი	აბრუპტივი	ინტენსიური	მჟღერი	ყრუ	მარტივი	პალატალ.
ლაბიალური	ბ	ფ	პ					ვ	ჶ	ჳ̂, მ	
დენტალური	დ	თ	ტ							ნ	ნ̆
წინაალვეოლარული				ძ	ც	წ	წ'	ზ	ს	ლ	ლ̆
პოსტალვეოლარული				ჯ	ჩ	ჭ	ჭ'	ჟ	შ	რ	
შუაენისმიერი										ჲ	
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ					ღ	ხ		
ფარინგალური		*ჵ	ყ								
ლარინგალური									ჰ		

1.4. ფარინგალიზაციის აღნიშვნა კავკასიის ალბანურ ანბანში

უეჭველია, რომ კავკასიის ალბანურში გვქონდა ფარინგალიზებული ბგერები. ფარინგალიზებულ ხმოვანთა არსებობა კავკასიის ალბანურში ჯერ კიდევ აკ. შანიძემ ივარაუდა [შანიძე 1938]. ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა [კლიმოვი 1984, 1990] და ს. მურავიოვმა [მურავიოვი 1981]. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში სპეციფიკური ფარინგალური თანხმოვნით არის გამოწვეული, ხოლო ანბანში ის [illegible] ასო-ნიშნით აღინიშნება [გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

აღსანიშნავია, რომ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, ვიღებთ უჩვეულო ვითარებას: უნდა დავუშვათ, რომ [illegible] გრაფემა კავკასიის ალბანურში სიტყვის ანლაუტში ჰქმნის თანხმოვანთკომპლექსებს, რომელიც არ ახასიათებს სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებს არც სინქრონიულ (ხინალუღურსა და ლეზგიურში დადასტურებულ მეორეულ კომპლექსებს თუ არ ჩავთვლით) და, საფიქრებელია, არც დიაქრონიულ დონეზეც, მაგ., [illegible] (**კ[ჵ]აბან**) "უდაბნო", შდრ. უდ. **ყ'ავან//ყ'აბან** "მინდორი", "ღია სივრცე"; [illegible] (**ბ[ჵ]ეღ**) "მზე", შდრ. უდ. **ბეღ'** "id"; [illegible] (**პ[ჵ]ა**) "ორი", შდრ. უდ. **პა'** "id". ეს

მაგალითები ცხადყოფს, რომ უდიურ ენაში ანალოგიურ ლექსემებში **ს** ნიშნის + ხმოვანი კომპლექსის ნაცვლად გვაქვს ხმოვანი, რომელსაც მოუდის ფარინგალიზაციის მაქსიმუმი სიტყვაში, ანდა ხმოვანი, რომელიც მასთან ახლოსაა. აღსანიშნავია, რომ თვით კავკასიის ალბანურისათვისაც კი არ არის დამახასიაღებელი თანხმოვანთკომპლექსები სიტყვის ანლაუტში – ვერც ერთი სხვა თანხმოვანი ვერ ჰქმნის მათ. ეს გვავარაუდებინებს, რომ **ს** ნიშანი კავკასიის ალბანურში, როგორც წესი, არ აღნიშნავდა რომელიმე თანხმოვანსა თუ ხმოვანს, არამედ მხოლოდ მომდევნო ხმოვნის ფარინგალიზებულობაზე მიგვითითებდა.

ს ნიშანი პოზიციურად შეზღუდულია – ის **ა**, **ე** და **ი** ხმოვნების წინ გვხვდება, **ო**-სა და **უ**-ს წინ თითქმის არ მოგვეპოვება, ხოლო **ო‘**-სა (**ˉႮ**) და **უ‘**-ს (**ˉႮჃ**) წინ საერთოდ არ გვხვდება, რაც აუხსნელია, თუ ამ ასო-ბგერას თანხმოვნად მივიჩნევთ. ეს ვითარება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ **ˉႮ** და **ˉႮჃ** ისედაც ფარინგალიზებულ ბგერებს აღნიშნავდა და დამატებით ნიშანს არ საჭიროებდა. გრაფიკული კომბინაციების **სˉႮ** (⌜⌝ო‘) და **სˉႮჃ** (⌜⌝უ‘) არარსებობა უეჭველად ადასტურებს **ˉႮ** და **ˉႮჃ** ნიშნებით გადმოცემული ბგერების ფარინგალიზებულობას.

გრაფიკული თვალსაზრისით ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში სამგვარადაა გადმოცემული: **ო** და **უ** ბგერების ფარინგალიზებულ ვარიანტებს (**ო‘** და **უ‘**) **ˉႮ** (**ო‘**) და **ˉႮჃ** (**უ‘**) „მარტივი“ ასო-ნიშნები აღნიშნავს,[38] შდრ.:

კავკ. ალბანური	**უდიური**
ԳႮჁჵႡ (**თოზხან**) „ლეღვის ხე“	**თოხ‘ან** „id“
ჯˉႮ (**ტო‘**) „მხარე“	**ტოღ‘** „id“
ˉႮჃᏭ (**უ‘ჴ**) „ექვსი“	**უჴ‘** „id“
ႪˉႮჃ⊼ (**ვუ‘ღ**) „შვიდი“	**ვუღ‘** „id“
ᗡˉႮჃ⊼ (**მუ‘ღ**) „რვა“	**მუღ‘** „id“

---

[38] გამომდინარე იქიდან, რომ არაფარინგალიზებული **ო** ბგერაც დიგრაფითაა გადმოცემული (**Ⴍ·Ⴣ**), **ˉႮჃ** ნიშანიც შეგვიძლია მარტივ გრაფიკულ სიმბოლოდ მივიჩნიოთ.

(ყუ') „შიში"	**ყ'ი** (ვართ.)//**§'გ** (ნიჯ.) „id"
(**პო'მუნ < *პო'-ომ-უნ < *პა'-ომ-უნ**)[39] „ისევ", „სხვა"	

ა, ი და ე ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები კავკასიის ალბანურში გრაფემათა კომპლექსებითაა გადმოცემული: (ა'), (ე'), (ი'); მაგ.:

კავკ. ალბანური	უდიური
(**ვა'ნ**) „თქვენ"	**ვა'ნ** „id"
(**კა'ვან**) „უდაბნო"	**ყ'ავან** „მინდორი"
(**ბე'ღ**) „მზე"	**ბეღ'** „id"
(**ბე'ფი**) „თქვენი"	**ე'ფი** „id"
(**ი'მუხ**) „ყურები"	**ი'მუხ** „id"

საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური ანბანის შემქმნელმა ან შემქმნელებმა ფარინგალიზაცია ერთ შემთხვევაში ხმოვნის თვისებად მიიჩნიეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – თანხმოვნისა. კავკასიის ალბანურში, როგორც აღინიშნა, მოგვეპოვება შიშინა სიბილანტების ფარინგალიზებულ (ველარიზებულ) ალოფონთა რიგი, რომელიც შემდეგი ასო-ნიშნებითაა გადმოცემული: (ჟ˜), (შ˜), (ჯ˜), (ჩ˜), (ჭ˜):

კავკ. ალბანური	უდიური
(ჟ 'ე) „ქვა"	**ჟ˜ე** „id"
(**ოშ˜ალ**) „დედამიწის ზედაპირი"	**ოჩ˜ალ** „id"
(**ჯ˜უმუხ**) „წისქვილი"	**ჟ˜ომოხ** „id"
(ჩ˜ა) „სახე"	**ჩ˜ო** „id"
(**კაჭ˜ი**) „ბრმა"	**კაჭ˜ი** „id"

---

[39] შდრ. (პა') „ორი" (უდ. პა' „id").

(ზაჭ˜) „ასი“ ზაჩ˜ „id“

როგორც უკვე აღინიშნა, უდიურ ენაში იმ სიტყვებში, რომლებშიც არ დასტურდება შიშინა თანხმოვანი, ფარინგალიზაციას აქვს პალატალური ტემბრი, ხოლო იმ სიტყვებში, სადაც შიშინები გვხვდება – ველარული [კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347]. ვფიქრობთ, რომ მსგავსი ვითარება კავკასიის ალბანურ ენაშიც ყოფილიყო.

ამრიგად, კავკასიის ალბანურში ფარინგალიზაციის აღსანიშნავად გამოყენებულია შემდეგი გრაფიკული სიმბოლოები:

ხმოვნები	ა‘	ე‘	ი‘	ო‘	უ‘
თანხმოვნები	ჟ˜	შ˜	ჯ˜	ჩ˜	ჭ˜

ისევე როგორც უდიურში, კავკასიის ალბანურ ენაშიც ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისება უნდა იყოს; ამის შესახებ მეტყველებს ფარინგალიზებულ და არაფარინგალიზებულ გრაფიკულ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებში (მრავლობითის, ნათესაობითის თუ სხვა მაწარმოებლებში)[40]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუძესთან და საფიქრებელია, რომ ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში განსაზღვრავს სწორედ ფუძის ფორმა.

1.5. **კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ნიშანთა ფონემური ღირებულება.**

განვიხილოთ ალბანური ანბანის ასო-ნიშნები ანბანთრიგის მიხედვით:

N 1  “**ალთ**”. ამ გრაფემის ფონემური ღირებულება როგორც “მარტივი” **ა** ბგერისა სპეციალისტთა შორის სადავო არ არის. მხოლოდ ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვქონოდა ფარინგალიზებული **ა‘** [გუკასიანი 1969: 67].

[40] მაგ., (უხ)//(უ‘ხ) მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლებია, (უნ)//(უ‘ნ) – ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტები და სხვა.

მოხაზულობით ა. აბრამიანმა ეს გრაფემა (ეპიგრაფიკაში და პალიმფსესტებში დადასტურებულია შემდეგი ფორმით – 𐔰) გადაბრუნებულ ასომთავრულის Ⴀ-ს მიამსგავსა [აბრამიანი 1964: 27-28].

ს. მურავიოვის აზრით კი, მისი გრაფიკული პროტოტიპია ერკათაგირის Ա.[41]

სინურ პალიმფსესტებში N 1 𐔰 გრაფემა უეჭველად **ა** ბგერას აღნიშნავს, იხ. [ალექსიძე 2003: 86; გიპერტი და სხვ. 2009: II-6].

N 2  "**ოდეთ**". ჯერ კიდევ აკად. აკ. შანიძეს ეჭვი შეეპარა ამ გრაფემის ფონემურ ღირებულებაში ანბანში დაცული სახელწოდების მიხედვით (**ო**). მას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ თანხმოვნებით მდიდარ კავკასიის ალბანური ანბანში არ ყოფილიყო მჟღერი **ბ**, მით უფრო, რომ ეს ასო-ბგერა ორი გრაფემის სახელწოდებაში გვხვდებოდა: "**ჱბ**" და "**ირბ**".

აკ. შანიძის ვარაუდით, N 2 გრაფემა გადმოსცემდა **ბ** ბგერას, ხოლო მისი სახელწოდება უნდა ყოფილიყო "**ბალთ**". ამ მოსაზრებას მკვლევარი ასაბუთებდა ქართული გამოთქმით "**ერთი ალთას და მეორე ბალთას**", რომელიც მას კავკასიის ალბანურიდან ნასესხებად მიაჩნდა (ზედმიწ. ერთი **ა**-სა და მეორე ბ-ს) [შანიძე 1938: 30-32].

ჟ. დუმეზილიც და ჰრ. აჭარიანიც მიიჩნევდნენ, რომ კავკასიის ალბანურ ანბანში **ბ** ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი არსებობდა, თუმცა, მათი აზრით, ის **ფ** ბგერით აღნიშნული ორი გრაფემისაგან (N 41 𐕔 ან N 51 𐕢) ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო [დიუმეზილი 1940-1941: 128; აჭარიანი 1984: 683-684].

---

[41] უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ალბანური ანბანის გრაფიკული სტრუქტურა ს. მურავიოვს მწყობრი სახით აქვს წარმოდგენილი (თუმცა მის მიერ შემოთავაზებული გრაფიკული პროტოტიპები ხშირ შემთხვევაში მართებული არ ჩანს): ყველა "არასპეციფიკური" (ე.ი. სომხურშიც წარმოდგენილი) ალბანური ხმოვანი – 𐔰 (ა), 𐔴 (ე), 𐔺 (ი), 𐕒 (ო), 𐕞 (ჵ), "არასპეციფიკური" მჟღერი და აბრუპტივი ხშულები – 𐔱 (ბ), 𐔳 (დ), 𐔲 (გ), 𐕗 (პ), 𐕜 (ტ), 𐕄 (კ), და გრაფემები 𐕆 (ჰ), 𐕀 (ხ), 𐕍 (ჴ), ს. მურავიოვის აზრით, წარმოიქმნა შესაბამისი ჟღერადობის სომხური ასო-ნიშნებისაგან; ყველა "არასპეციფიკური" ფშვინვიერი ხშული – 𐕢 (ფ), 𐔸 (თ), 𐕣 (ქ), სონორები – 𐕌 (მ), 𐕎 (ნ), 𐔾 (ლ), 𐕙 (რ), 𐕘 (ღ) და გრაფემა 𐕛 (ვ) შეიქმნა შესაბამისი ჟღერადობის ქართული ნიშნების საფუძველზე; სისინა და შიშინა სპირანტები კი, ს. მურავიოვის აზრით, ასე წარმოიქმნა: მჟღერები – ქართული ასომთავრულის Ⴗ-საგან; ყრუ სიბილანტები კი – Ⴘ-საგან. კავკასიის ალბანური ანბანის დანარჩენი ნიშნები კი ("სპეციფიკური" ასო-ბგერები) შეიქმნა უკვე მიღებული "არასპეციფიკური" ალბანური ასო-ბგერების გადამუშავების საფუძველზე [მურავიოვი 1981: 294-320].

ა. აბრამიანმა ეპიგრაფიკის **𐔁** გრაფემა სრულიად უყოყმანოდ გააიგივა ანბანის N 2 ასო-ნიშანთან და **ბ** ბგერასთან. მისი აზრით, ამ ნიშნის გრაფიკული პროტოტიპი იყო სომხური Բ ინვერსიულ მდგომარეობაში, ხოლო მისი სახელწოდება უნდა ყოფილიყო “**ბეთ**” [აბრამიანი 1964: 28].

ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა [კლიმოვი 1967: 77; კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 496], ვ. გუკასიანმა [გუკასიანი 1969: 64], ი. გიპერტმა[42] და ვ. შულცემ [შულცე 1982: 288].

ო > **ბ** შესწორებას არ დაეთანხმა მხოლოდ ს. მურავიოვი. მისი აზრით, **𐔁** გრაფემა აღნიშნავს ფარინგალიზებულ **ო‘**-ს, მაგრამ იგი იმდენად ღიაა, რომ **ა** ბგერას უახლოვდება (მკვლევარი არ აზუსტებს, თუ რომელ ფონემას გულისხმობს აქ) [მურავიოვი 1981: 243].

ალბანურ-ქართული პალიმფსესტების მონაცემებით დადასტურდა, რომ N 2 ასო-ნიშანი **ბ** ბგერას აღნიშნავს, იხ. [ალექსიძე 2003: 88; გიპერტი და სხვ. 2009: II-6].

N 3 “**ზიმ**”. ა. აბრამიანის ვარაუდით, გადამწერებს ერთმანეთში აერიათ მსგავსი მოხაზულობის მქონე სომხური ასო-ბგერები գ და ք. შესაბამისად, ამ ასო-ბგერის სახელწოდება უნდა იყოს “**გიმ**”, ხოლო მოხაზულობით ეს გრაფემა (ეპიგრაფიკაში – **𐔂**) ა. აბრამიანმა მიამსგავსა მარცხნივ მოტრიალებულ ასომთავრულის **Ⴂ**-ს [აბრამიანი 1964: 28].

ა. აბრამიანის მოსაზრებას დაეთანხმნენ გ. კლიმოვი [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 496], ვ. გუკასიანი [გუკასიანი 1969: 64], ი. გიპერტი და ვ. შულცე [შულცე 1982: 288].

ზ > **გ** შესწორება კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის ნუსხაში არ გაიზიარა ს. მურავიოვმა. მისი აზრით, ანბანის N 3 გრაფემა აღნიშნავდა **ბ** ბგერას, ოღონდ მას სომხური բ-საგან განსხვავებული ჟღერადობა ჰქონდა (მკვლევარი არ აზუსტებს როგორი) [მურავიოვი 1981: 257].

[42] ი. გიპერტის ნაშრომი “Alphabet as priserved in Armenian Tradition” – გამოქვეყნებულია ინტერნეტში (http://armazi.uni-frankfurt.de/sinai/albschr.htm). ამის გამო, აქ და შემდეგში ამ ნაშრომს ვუთითებთ მხოლოდ ავტორის დასახელებით.

ზ. ალექსიძის ვარაუდით, გადამწერებმა მიამსგავსეს ეს გრაფემა N 20 **ხ** "**ზოხ**"-ს და, შესაბამისად, მას მცდარი სახელწოდებაც მისცეს [ალექსიძე 2003: 89].

სინურ პალიმფსესტებში N 3 გრაფემა უეჭველად **გ** ბგერას აღნიშნავს, იხ. [ალექსიძე 2003: 89; გიპერტი და სხვ. 2009: II-6].

N 4  "**გატ**". ა. აბრამიანის აზრით, ამ გრაფემის შემთხვევაშიც გადამწერებს აერიათ სომხური գ და դ ასო-ბგერები, ანუ N 4 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უნდა იყოს **დ**. მოხაზულობით, ა. აბრამაინი ამ ასო-ნიშანს გადაბრუნებულ ქართულ **ღ**-ს ამსგავსებს [აბრამიანი 1964: 28].

ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 496-497] და ი. გიპერტმა.

ს. მურავიოვის აზრით, ეს გრაფემა სომხური դ-საგან განსხვავებული ჟღერადობის მქონე **გ** ბგერას წარმოადგენდა (მკვლევარი არ აზუსტებს ამ ბგერის ზუსტ ფონემურ ღირებულებას) [მურავიოვი 1981: 257].

ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვქონდეს **დ** ფონემა [გუკასიანი 1969: 65].

აღსანიშნავია, რომ მინგეჩაურის წარწერებში ნიშნის (N 4 გრაფემის ფორმა მატენადარანის ხელნაწერის მიხედვით) მსგავსი გრაფიკული ფორმის მქონე ასო-ბგერა არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით დერბენტის წარწერასა და ზემო ლაბკოს ქვის ფილას, რაც აძლიერებს ეჭვს მათ ავთენტურობაში.

ზ. ალექსიძემ პალიმფსესტების ტექსტშიც ვერ დაადასტურა ამ გრაფემის ანალოგი. მისი აზრით, ეს ასო-ნიშანი ან შემთხვევითაა მოხვედრილი მატენადარანის ნუსხაში ქართული ანბანიდან, ანდა ჩნდება ალბანურში მოგვიანებით, გარკვეული რეფორმის შედეგად [ალექსიძე 2003: 90]. ქვემოთ, იმავე ნაშრომში, N 18 გრაფემის კომენტარისას ზ. ალექსიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ N 18 ასო-ბგერა, რომლის ფონემური ღირებულება, როგორც ზ. ალექსიძეს მიაჩნდა, იყო **დ** ბგერა, თავიდანვე უნდა ყოფილიყო ანბანში მეოთხე ადგილზე [ალექსიძე 2003: 95].

იქიდან გამომდინარე, რომ ალბანური მკაცრად იცავს ბერძნულ ანბანთრიგს, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ მას თავიდანვე უნდა ჰქონოდა ანბანში **დ** ბგერის

აღმნიშვნელი ასო-ნიშანი მეოთხე ადგილზე (N 4 “**გატ**” ბერძნულ δ “**დელტა**”-ს შეესატყვისება). ამას თვალნათლივ ადასტურებს N 2 გრაფიტი შანდალზე. იქ გამოსახულია კავკასიის ალბანური ანბანის N 1-10 მონაკვეთი, სადაც N 3-სა და N 5-ს შორის გვაქვს წაშლილი გრაფემა, ანუ ამ შემთხვევაში მატენადარანის ნუსხის გადამწერთა მიერ N 4 ასო-ბგერის მექანიკურ ჩამატებასთან ვერ გვექნებოდა საქმე. ასევე ვერ გავიზიარებთ ზ. ალექსიძის ვარაუდს იმის შესახებ, რომ N 18 გრაფემის ფონემური ღირებულება დადგენილია როგორც “მარტივი” **დ** ბგერა. ამას გარდა, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ N 4 გრაფემის ანალოგი პალიმფსესტებში უნდა ყოფილიყო **𐔳** ნიშანი და ის **დ**-ს ან მისი მსგავსი ბგერის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო [ლოლუა 2010: 35-37].

მოგვიანებით, ი. გიპერტის, ვ. შულცეს, ზ. ალექსიძისა და ჟ.-პ. მაეს “ალბანური პალიმფსესტების” გამოქვეყნების შემდეგ[43] დადასტურდა, რომ N 4 ასო-ნიშანი **𐔳** გრაფემას უდრის, მისი რიცხვითი მნიშვნელობა ოთხია და ის **დ** ბგერას აღნიშნავს, იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-6].

N 5 “**ცბ**”. ანბანთრიგიდან გამომდინარე ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ ამ გრაფემის (**𐔴**) სახელწოდება უნდა იყოს “**ებ**” და არა “**ცბ**” [აბრამიანი 1964: 28].

ა. აბრამიანის მოსაზრება გაიზიარეს ვ. გუკასიანმა [გუკასიანი 1969: 67], გ. კლიმოვმა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] და ი. გიპერტმა.

ს. მურავიოვი ამ გრაფემას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს: **ე/ე.**, ე.ი., უპირატესობას პირველ ვარიანტს ანიჭებს (მარტივი **ე**), თუმცა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ამ ასო-ნიშნით ფარინგალიზებული **ე‘** ბგერა გადმოიცემოდა [მურავიოვი 1981: 257].

პალიმფსესტების მასალით დადასტურდა ა. აბრამიანის მოსაზრება, იხ. [ალექსიძე 2003: 90; გიპერტი და სხვ. 2009: II-6].

N 6  “**ზარ̣ლ**”. ამ გრაფემის ფონემურ შეფასებას როგორც **ზ** ბგერისა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია.

---

[43] ჩვენი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს გადავეცით 2009 წლის დასაწყისში, ვიდრე “ალბანური პალიმფსესტები...” ხელმისაწვდომი გახდებოდა.

ეს ასო-ბგერა (ჲ) ა. აბრამიანმა გადაბრუნებულ ქართულ Ъ ნიშანს მიამსგავსა [აბრამიანი 1964: 28].

ამ გრაფემის ფონემური ღირებულება (ზ) სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ უეჭველად დადასტურდა, იხ. [ალექსიძე 2003: 90-91; გიპერტი და სხვ. 2009: II-6].

აღსანიშნავია, რომ ამ გრაფემის სახელწოდებაში გვხვდება "კოშტი" ჲ (ռ), არადა ასეთ ბგერას კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა არ იცნობდა.

N 30 ʓ გრაფემების შემთხვევაში ასო-ბგერა ռ ასრულებს ერთგვარი დიაკრიტიული ნიშნის ფუნქციას. სომხურში, ყ ბგერის უქონლობის გამო, სომეხმა გადამწერებმა იგი გამოიყენეს ბგერის მეტი ინტენსივობისა თუ სიმკვეთრის საჩვენებლად: N 21-ს სახელწოდება მატენადარანის ხელნაწერის მიხედვით არის Կար "კარ", ხოლო N 30-ს – Կառ "კარ̣", ანუ ამ ორი გრაფემის სახელწოდებაში მხოლოდ რ/რ̣ ენაცვლება ერთმანეთს. დღეს, უეჭველია, რომ Σ. კ-ს წარმოადგენს, ხოლო ʓ, რომლის სახელწოდებაში ռ არის გამოყენებული, – ყ ფონემას.

ამ შემთხვევაში კი "კოშტი" რ ბგერის არსებობა ამ გრაფემის სახელწოდებაში, ჩვენი აზრით, გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომით (ანუ ამ ასო-ბგერის სახელწოდების დამახინჯებით) უნდა აიხსნას.

N 7 "ენ". ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა (ɛ) სომხური է-ს ბადალ ასო-ბგერას წარმოადგენდა [აბრამიანი 1964: 28-29].

გ. კლიმოვს კი მიაჩნდა, რომ ეს ასო-ნიშანი აღნიშნავდა არა გრძელ ე̄-ს, რომელსაც არ იცნობს უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, არამედ ფარინგალიზებულ ეʿ-ს [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

გ. კლიმოვის მოსაზრება გაიზიარა ვ. გუკასიანმა [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვი ამ გრაფემას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს: ე./ე, ე. ი., მკვლევარი ამ გრაფემას ან ფარინგალიზებულ ეʿ ბგერად მიიჩნევს (სავარაუდოდ), ანდა "მარტივ" ე-დ [მურავიოვი 1981: 257].

ზ. ალექსიძეს **[ალბ.]** ასო-ნიშანი გრძელი **ē** ხმოვნის აღმნიშვნელი ჰგონია და ამის საილუსტაციოდ მოჰყავს ერთადერთი მაგალითი: **[ალბ.]** **მუს(ē)ს** “მოსე”. მისი აზრით, ეს გრაფემა უნდა გამოიყენებოდეს ნასესხებ სიტყვებში [ალექსიძე 2003: 91].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ალბანურ პალიმფსესტებში **[ალბ.]** ხშირად ძირეულ ლექსიკაშიც გვხვდება. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ეს გრაფემა **ეჲ** დიფთონგის აღმნიშვნელი იყო, როგორც [ალბ.] ([ალბ.]) ასო-ბგერა ქართულში [ლოლუა 2010: 39-40].

ამ გრაფემის ჩვენ მიერ ნავარაუდევ ფონემურ მნიშვნელობას ადასტურებს დაწერილობის პარალელური ფორმებიც, მაგ., ღმერთის აღმნიშვნელი დაქარაგმებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელის სამი ფორმა, რომელიც, ჩვენი აზრით, სრულიად იდენტური ჟღერადობის სიტყვას გადმოსცემდა: **[ალბ.]** (**ბ[იხაჯ˜ულე]ჲ**); **[ალბ.]** (**ბ[იხაჯ˜ულ]ეჲ**) და **[ალბ.]** (**ბ[იხაჯ˜ულ]ეჲ**). ბოლო ორი მაგალითიდან, პირველში დიფთონგი **ეჲ** გადმოცემული იყო გრაფემათა კომბინაციით (N 5 და N 11), მეორეში კი მას აღნიშნავდა N 7 გრაფემა.

უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებშიც იგივე მოვლენა შეინიშნება: დიფთონგი **ეჲ**, რომელიც **[ალბ.]** გრაფემით აღინიშნებოდა, ხშირად გადმოიცემოდა ორი ასო-ბგერით: **[ალბ.]** [ჯავახიშვილი 1926: 198].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრითაც, ამ გრაფემის ძირითადი ფონემური მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **ეჲ** [გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

ამასთან ერთად, **[ალბ.]** ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში η-ს შეესატყვისებოდა, მაგ., **[ალბ.]** (**ალელუჲა**) – ἀλληλουϊα „ალილუია“; **[ალბ.]** (**ამენ**) – ἀμην „ამინ“... ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ასეთ შემთხვევაში **[ალბ.]** ნიშანი გრძელი **ē** ხმოვნის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რასაც ვერ გავიზიარებთ. ვფიქრობთ, რომ ამ მაგალითებში **[ალბ.]** ასო-ბგერა „მარტივ“ **ე**-ს აღნიშნავდა.

N 8 “**ჟილ**”. ა. აბრამიანს ამ ასო-ბგერის (Ꝑ) გრაფიკულ პროტოტიპად სომხური ը მიაჩნდა. შესაბამისად, მისი აზრით, ის **ჺ** ბგერას აღნიშნავდა [აბრამიანი 1964: 29].

გ. კლიმოვმა გაიზიარა ა. აბრამიანის მოსაზრება [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ს. მურავიოვის აზრით, ეს გრაფემა ინტენსიურ **ჟ**-ს გადმოსცემდა [მურავიოვი 1981: 257].

ვ. გუკასიანი [გუკასიანი 1969: 67] და ი. გიპერტი კი პირიქით მიიჩნევდნენ, რომ ამ გრაფემით მარტივი **ჟ** ბგერა აღინიშნებოდა.

ზ. ალექსიძისათვის ამ ასო-ბგერის ფონემური მნიშვნელობა უცნობია [ალექსიძე 2003: 91], თუმცა იმავე ნაშრომში, დადგენილი ფონემების ჩამოთვლისას, იგი იზიარებს ანბანის სახელწოდებას (**ჟ**), მაგრამ ამის დასადასტურებლად არც ერთი მაგალითი არ მოჰყავს [ალექსიძე 2003: 151].

სინური პალიმფსესტების მასალით დამტკიცდა ამ გრაფემის ფონემური ღირებულება: ეს არის **ჟ** ბგერა (იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-13]).

N 9  “**თას**”. ამ გრაფემის ფონემური ღირებულება (**თ**) სპეციალისტთა შორის სადავო არ არის.

ა. აბრამიანის აზრით, N 9 ასო-ნიშანი (**Ⴢ**) ჰგავს გადაბრუნებულ ქართულ **Ⴇ**-ს

[აბრამიანი 1964: 29].

სინური პალიმფსესტების მონაცემები ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას (**თ**) უეჭველად ადასტურებს, იხ. [ალექსიძე 2003: 92; გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

N 10 “**ჭა**”. ა. აბრამიანისა [აბრამიანი 1964: 29] და გ. კლიმოვის [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] აზრით, ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს როგორც **ჟ** ბგერა.

ს. მურავიოვი ვარაუდობს, რომ აქ გვაქვს ინტენსიური **ჭ** [მურავიოვი 1981: 257].

ვ. გუკასიანისა [გუკასიანი 1969: 67] და ვ. გიპერტის აზრით კი, ეს არის “მარტივი” **ჭ** ბგერა.

ზ. ალექსიძე სინურ პალიმფსესტებში ამ გრაფემას ვერ ადასტურებს [ალექსიძე 2003: 92].

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასო-ბგერა ([illegible]) ეპიგრაფიკასა (წარწერა N 2 შანდალზე და წარწერა N 3 შანდალზე) და სინურ პალიმფსესტებში დავიმოწმეთ [ლოლუა 2010: 41-42].

მატენადარანის ნუსხაში **ჭ** ასო-ბგერით აღმნიშნული სამი გრაფემა გვაქვს (N 10, N 19 და N 27). ჩვენ ვივარაუდეთ, რომ N 10 გრაფემა ([illegible]) მეორე რიგის (ველარიზებულ) **ჭ̃**-ს აღნიშნავდა, [illegible] (N 27) – **ჭ**-ს, ხოლო N 19 [illegible] შესწორებას საჭიროებდა **წ** ბგერად (იხ. N 19 გრაფემის კომენტარი).

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აქ გვაქვს „პოსტალვეოლარული“ (ტრანსკრიფციის მიხედვით – ალვეო-პალატალური, იხ. სქოლიო N 17) **ჭ́** [გიპერტი და სხვ. 2009: II-15]. უნდა აღინიშნოს, რომ უდიურში ამ გრაფემას მათ მიერ მოყვანილ მაგალითებში მეტწილად შეესატყვისება ველარიზებული **ჭ̃**: [illegible] **კა(ჭ̃)ი** “ბრმა”, შდრ. უდ. **კაჭ̃ი** “id”; [illegible] **ბა(ჭ̃)** “ასი”, შდრ. უდ. **ბაჩ̃** “id”, რაც ჩვენ მოსაზრებას უჭერს მხარს...

N 11 “**ჲუდ**”. ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა ([illegible]) ასომთავრულის [illegible] ასო-ბგერის ზუსტი შესატყვისია. მისი ფონემური მნიშვნელობა, შესაბამისად, უნდა იყოს **ი**. ამის მიუხედავად, ა. აბრამიანი მატენადარანის ნუსხაში მოცემულ ამ გრაფემის სახელწოდებას (“ჲუდ”) არ ცვლის (ამის მიზეზი ძნელი ასახსნელია. ალბათ მკვლევარმა მიიჩნია, რომ **ი** და **ჲ** ერთი კვალიფიკაციის ბგერებია) [აბრამიანი 1964: 29].

ს. მურავიოვი მას შემდეგი ტრანსკრიფციით აღნიშნავს: **ჲ/ჲ̇** [მურავიოვი 1981: 257]

დანარჩენმა სპეციალისტებმაც გაიზიარეს ანბანში მოცემული ფონემური ღირებულება (**ჲ**) და სინური ხელნაწერი ამას უეჭველად ადასტურებს, იხ. [ალექსიძე 2003: 92; გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

N 12 “**ჟა**”. ა. აბრამიანის აზრით, სომეხ გადამწერებს აერიათ ȷ და ძ. შესაბამისად, ამ გრაფემის სახელწოდება, მკვლევრის აზრით, უნდა ყოფილიყო “**ჲა**” და ის **ი** ბგერის ფონეტიკური ვარიანტს წარმოადგენდა [აბრამიანი 1964: 29].

ს. მურავიოვი არ ცვლის ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას (**ჟ**) [მურავიოვი 1981: 257].

ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვქონდეს ინტენსიური **ჟ᷾** ბგერა [გუკასიანი 1969: 67].

გ. კლიმოვისა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] და ზ. ალექსიძისათვის [ალექსიძე 2003: 92-93][44] ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობია.

პალიმფსესტების ტექსტში გვხვდება ამ გრაფემის ანალოგი – ʎ და ის, ჩვენი აზრით, ველარიზებული **ქ̃** უნდა იყოს.

ი. გიპერტის და ვ. შულცეს აზრით კი, ეს ნიშანი „პოსტალვეოლარულ“ **ჟ́** ბგერას აღნიშნავდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-14], თუმცა, საყურადღებოა, რომ უდიურში ამ გრაფემას მათ მიერ მოყვანილ მაგალითებში შეესატყვისება ველარიზებული **ქ̃**, მაგ., ʎɹ (**ქ̃**)ე “ქვა”, შდრ. უდ. **ქ̃ე** “id”...

უნდა აღინიშნოს, რომ პალიმფსესტების ʎ ასო-ბგერა საგრძნობლად განსხვავდება მატენადარანის ხელნაწერში დადასტურებული გრაფემისაგან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობის გამო ჩვენ მხარს ვუჭერთ აღნიშნულ იდენტიფიკაციას. ʎ ასო-ბგერა 30-ს აღნიშნავს [გიპერტი და სხვ. 2009: II-14], რაც ანბანში მე-12 პოზიციას შეესაბამება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ალბანურ ანბანში უკვე გვაქვს crux commisa-ს ფორმის მქონე გრაფემა – ეს არის N 49 **T**. საფიქრებელია, რომ სომეხმა გადამწერებმა მნიშვნელოვნად დაამახინჯეს N 12 ასო-ბგერის ფორმა.

N 13 “**ირბ**”. ანბანში მოცემული ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა (**ი**) მკვლევართა შორის სადავო არ არის.

[44] ზ. ალექსიძე ამ გრაფემას აიგივებს პალიმფსესტების **T** ნიშანთან.

ა. აბრამიანი ამ ასო-ბგერასაც N 11 გრაფემის ფონეტიკურ სახესხვაობად მიიჩნევს და მარცხნივ გადაბრუნებულ სომხურ ի ნიშანს ამსგავსებს [აბრამიანი 1964: 29].

პალიმფსესტების მასალით ხერხდება **ч** გრაფემის ფონემური მნიშვნელობის დადგენა: ის უეჭველად **ο** ბგერას წარმოადგენს, იხ. [ალექსიძე 2003: 93; გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

N 14 "**შა**". ა. აბრამიანის აზრით, ამ შემთხვევაშიც გადამწერებს აერიათ ერთმანეთში 2 და ι ასო-ნიშნები და ამ გრაფემის სახელწოდება არის "**ლა**". გრაფიკულად ამ ასო-ბგერას მკვლევარი ქართულ **ზ**-ს ამსგავსებს ზედა კაუჭის გარეშე [აბრამიანი 1964: 29-30].

გ. კლიმოვისთვის უცნობია N 14 ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა და გრაფიკული ფორმა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ვ. გუკასიანისა [გუკასიანი 1969: 67] და ი. გიპერტის აზრით, აქ გვაქვს მარტივი **შ** ბგერა.

ს. მურავიოვის ვარაუდით, ეს გრაფემა ინტენსიურ **შ**ּ ბგერას აღნიშნავდა [მურავიოვი 1981: 257].

ზ. ალექსიძე კი მიიჩნევს, რომ აქ "მარტივი" **შ** ბგერა გვაქვს. ამის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ორი მაგალითი სინური პალიმფსესტებიდან: **[illegible]** (**ხ¹აშ**) "ნათელი" (შდრ. უდიური **ხაშ** "მთვარე") და **[illegible]** (**ბეში**) "ჩვენი" (შდრ. უდიური **ბეში** "id") [ალექსიძე 2003: 93]. ერთი მაგალითიც მოცემულია 82-ე გვერდზე: **[illegible]** (**შუ**) "ღამე" [ალექსიძე 2003: 82].

ქვემოთ, N 33 გრაფემის კომენტარში, რომელიც ზ. ალექსიძეს მიერ N 14 ასო-ბგერის ფონეტიკურ სახესხვაობად მიიჩნევა (**შ₂**), მისი ფონემური ღირებულების დასამტკიცებლად მოყვანილია შემდეგი მაგალითები: **[illegible]** (**ხ¹აშ₂**) "ნათელი"; **[illegible]** (**ბეშ₂ი**) "ჩვენი" და **[illegible]** (**შ₂უ**) "ღამე" [ალექსიძე 2003: 99].

წარმოდგენილი მაგალითები მხოლოდ **[illegible]** მონაცვლეობით განსხვავდებიან და, ამასთან, მათ ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ, რაც გაკვირვებას იწვევს. ზ. ალექსიძეს არ უცდია ამ ვითარებისათვის ნათელი მოეფინა.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, **ს** ასო-ნიშანი აღნიშნავს მჟღერ ფარინგალურ სპირანტს [გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, ვიღებთ უჩვეულო ვითარებას: უნდა დავუშვათ, რომ **ს** გრაფემა კავკასიის ალბანურში სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში ჰქმნის ლეზგიური და სხვა დაღესტნური ენებისათვის როგორც სინქრონიულ, ისე, საფიქრებელია, დიაქრონიულ დონეზე არადამახასიათებელ თანხმოვანთკომპლექსებს. მაგ., [illegible] (**კ**[**ჶ**]**აბან**) “უდაბნო”, შდრ. უდ. **ყ‘ავან//ყ‘აბან** “მინდორი”, “ღია სივრცე”; [illegible] (**ბ**[**ჶ**]**ეღ**) “მზე”, შდრ. უდ. **ბეღ‘** “id”; [illegible] (**პ**[**ჶ**]**ა**) “ორი”, შდრ. უდ. **პა‘** “id”. თვით კავკასიის ალბანურისათვისაც არ იყო დამახასიაღებელი თანხმოვანთკომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში – **ს** ნიშნის გარდა, ვერც ერთი სხვა თანხმოვანი ვერ ჰქმნის მათ.

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს, რომ უდიურ ენაში ანოლოგიურ ლექსემებში ამდაგვარი კომპლექსები არ დასტურდება. კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დადასტურებული **ს** ნიშნის კომბინაცია მარტივ ხმოვანთან უდიურში ისეთ მარტივ ხმოვანს შეესატყვისება, რომლის მარცვალსაც ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მოუდის. ეს გვავარაუდებინებს, რომ **ს** ნიშანს კავკასიის ალბანურში, უმეტეს შემთხვევაში, არ ჰქონდა სეგმენტური გამოხატულება. **ს** ნიშანი, როგორც წესი, მხოლოდ მომდევნო ხმოვნის ფარინგალიზებულობაზე მიგვითითებდა.

ს ნიშანი პოზიციურად შეზღუდულია – ის **ა**, **ე** და **ი** ხმოვნების წინ გვხვდება, **ო**-სა და **უ**-ს წინ თითქმის არ მოგვეპოვება, ხოლო [illegible] და [illegible] ნიშნების წინ საერთოდ არ გვხვდება, რაც ასევე გაუგებარია, თუ ამ ასო-ბგერას თანხმოვნად მივიჩნევთ (ეს ვითარება, ჩვენი აზრით, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ [illegible] და [illegible] ნიშნები **ო‘** და **უ‘** ფარინგალიზებულ ბგერებს აღნიშნავდა და არ იყო საჭირო დამატებით **ს** ნიშნის გამოყენება).

ამას გარდა, ინტერვოკალურ პოზიციაში ეს ასო-ნიშანი თითქოსდა **შ** ბგერას ან მის რომელიმე ფონეტიკურ ვარიანტს გადმოსცემს, მაგ., [illegible] **მუ**(**შ?**)**აკ** „მუშაკი“, შდრ. ქართ. **მუშაკ-ი**, სომხ. **მშაკ** “id”; [illegible] **ხო**(**შ?**)**აკ** „სიცხე“,

„ფაფანაკება“, შდრ. ქართ. **ხორშაკ-ი**, სომხ. **ხორშაკ** “id”; **[illegible]** **ვა(შ?)ამაკ** „სუდარი“, შდრ. ქართ. **ვარშამაგ-ი**, სომხ. **ვარშამაკ** “id”; **[illegible]** **ი(შ?)ა** “ახლოს”, შდრ. უდ. **იშ̃ა** “id”. ამ მაგალითთა რიცხვს შეიძლება კიდევ სამი ლექსემა დავუმატოთ, ესენია **ხი(შ?)უ** „ქალი“, „ცოლი“, **ი(შ?)უა** „ქვრივი“ და **ნაი(შ?)უ** „მონა“, „მსახური“. სამივე ლექსემა ნაწარმოებია **იშუ** „კაცი“, „ქმარი“ სიტყვისაგან, შდრ. უდ. **იშუ** “id”.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლექსემას **ი(შ?)ა** „ახლოს“, ფონემური ღირებულება **ს** ასო-ბგერისა წარმოდგენილ მაგალითებში თითქოსდა უნდა განისაზღვროს როგორც „მარტივი“ **შ** ბგერა, მეორე მხრივ კი, – ის ფაქტი, რომ ამ ასო-ნიშნით ჩვეულებრივ აღინიშნება ფარინგალიზაცია, მხარს უჭერს ვარაუდს ამ ბგერის ფარინგალიზებულობის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ კავკასიის ალბანურ ანბანში, თუ ამ საეჭვო შემთხვევას არ მივიღებთ მხედველობაში, არ გვაქვს პრეცენდენტი, რომ ერთი და იგივე ფონემა ორი გრაფემით იყოს გადმოცემული. თუ ამ ფაქტით ვიხემძღვანელებთ და გამოვრიცხავთ, რომ აქ შეიძლება იყოს ან „მარტივი“ **შ** ბგერა ან მისი ფარინგალიზებული ვარიანტი, მაშინ რომელ ბგერას აღნიშნავს **ს** ასო-ნიშანი ზემოთ წარმოდგენილ ლექსემებში?

ვფიქრობთ, რომ აქ შეიძლება გვქონდეს ინტენსიური **შː** ბგერა. ჩვენი ვარაუდის სასრგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაღესტნურ ენებში ბგერის გაინტენსიურება ინტერვოკალურ პოზიციაში ხშირი მოვლენაა.

ის ფაქტი, რომ ამ ასო-ნიშნით აღნიშნული ბგერა კავკასიის ალბანურში პოზიციურად შეპირობებულია – გვხვდება მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში, გამორიცხავს მის ფონემურობას.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ **ს** ასო-ნიშანი გამოყენებულია ორი რადიკალურად განსხვავებული ფუნქციით. თუ გავითვალისწინებთ ამ ასო-ბგერის სახელწოდებას ალბანური ანბანის სომხურ ნუსხებში („**შა**“), ეჭვს არ იწვევს, რომ მისი ერთ-ერთი ფუნქცია **შ**-ს ან მსგავსი ბგერის გადმოცემაში მდგომარეობდა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ იქნა არჩეული ეს ასო-ბგერა ფარინგალიზაციის გადმოსაცემად ალბანური ანბანის შემქმნელისა ან შემქმნელთა მიერ. ეს შეიძლება ყოფილიყო მისი პოზიციური შეზღუდულობა, ანუ გამოყენება სულ რამდენიმე

სიტყვაში (ფუნქციური აღრევა რომ არ მომხდარიყო), ანდა სხვა რომელიმე ჩვენთვის უცნობი მიზეზი.

N 15 “**ლან**”. ყველა სპეციალისტისათვის ეს არის **ლ** ფონემა.

ეს გრაფემა, ა. აბრამიანის აზრით, წარმოადგენს წინა (N 14) ასო-ბგერის ფონეტიკურ ვარიანტს [აბრამიანი 1964: 30].

სინური პალიმფსესტების მონაცემები უეჭველად ადასტურებს ამ გრაფემის (**Ⴊ**) ფონემურ მნიშვნელობას ანბანში წარმოდგენილი სახელწოდების მიხედვით (**ლ**), იხ. [ალექსიძე 2003: 93; გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

N 16  “**ინა**”. ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაშიც სახელწოდებაში აღრეულია ի და խ. ეს ასო-ბგერა, მისი აზრით, ასომთავრულის **Ⴞ** ნიშნის ინვერსიულ ფორმას წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, **ხ** ბგერას აღნიშნავს [აბრამიანი 1964: 30].

გ. კლიმოვისათვის ამ ასო-ბგერის ფონემური ღირებულება და გრაფიკული ფორმა უცნობია [კლიმოვი 1884: 13; კლიმოვი 1990: 497].

ი. გიპერტი მას მიიჩნევს **ი** ბგერის მსგავს სპეციფიკურ ალბანურ ფონემად (მკვლევარი არ აზუსტებს მის ფონემურ ღირებულებას).

ს. მურავიოვისათვის ეს არის ან ფარინგალიზებული **ი‘** ბგერა (სავაურადოდ), ანდა ე. წ. ირაციონალური (**ჷ**) [მუავიოვი 1981: 258].

ვ. გუკასიანი კი დარწმუნებულია, რომ აქ გვაქვს ფარინგალიზებული **ი‘** ბგერა [გუკასიანი 1969: 67].

ზ. ალექსიძე N 16 გრაფემის კომენტარისას აღნიშნავს, რომ სინურ პალიმფსესტებში ეს გრაფემა არ დასტურდება [ალექსიძე 2003: 94], თუმცა მატენადარანის ხელნაწერისა და პალიმფსესტების გრაფემათა შედარებით ტაბულაში მოჰყავს მსგავსი მოხაზულობის ასო-ნიშანი (**ꓕ**) [ალექსიძე 2003: 107].

ჩვენი დაკვირვებით, ეს გრაფემა თანხმოვნებისათვის დამახასიათებელ პოზიციებში გვხვდებოდა [ლოლუა 2010: 46-47].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აქ უნდა გვქონდეს პალატალიზებული **ნ̃** ბგერა [გიპერტი და სხვ. 2009: II-13]. ჩვენ, ამ შემთხვევაში, არ გვაქვს

განსხვავებული მოსაზრება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს ვარაუდს არ მოეპოვება მყარი საფუძველი. ის რამდენიმე მაგალითზეა დაფუძვნებული, რომელთაგან, ჩვენი აზრით, არც ერთი მკაფიოდ არ ადასტურებს [illegible] ასო-ბგერის შემოთავაზებულ ფონემურ ღირებულებას, მაგ., **[illegible]//[illegible] მარმინ//მარმი(ნ̆)** "ხორცი", შდრ. სომხ. **მარმინ** "id"; **[illegible] ე(ნ̆)ი** "ახალი", შდრ. უდ. **ინი** "id"...

N 17 "**ხჩნ**" ამ გრაფემის ფონეტიკურ შეფასებას ანბანში მოცემული სახელწოდების მიხედვით (**ხ**) თითქმის ყველა მკვლევარი იზიარებს. ზ. ალექსიძემ პირველმა შეუცვალა ამ ნიშანს ფონემური ღირებულება. მისი აზრით, ეს გრაფემა ფარინგალურ **ჴ** ბგერას აღნიშნავს. ამის საილუსტრაციოდ ზ. ალექსიძეს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: **[illegible]** (**ჴიბ**) "სამი", **[illegible]** (**ჴიბარუნ**) "მესამე" და **[illegible]** (**ჴაშ**) "ნათელი" [ალექსიძე 2003: 94].[45]

ზ. ალექსიძის მოსაზრება ამ გრაფემის შესახებ არადამაჯერებელია. თუ მის მიერ წარმოდგენილ მაგალითებს უდიური ენის ანალოგიურ ლექსემებს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ უდიურში **ჴ** ბგერის ნაცვლად ყველგან გვექნება უვულარული **ხ**: **ხიბ** "სამი", **ხიბუნ//ხიბუმჯი** "მესამე", **ხაშ** "მთვარე". ზ. ალექსიძეს არ უცდია აეხსნა, თუ რა მიზეზით ამ მაგალითებში მან შეცვალა **ხ** ფონემა ფარინგალური **ჴ** ბგერით.

ზ. ალექსიძის აზრით, **[illegible]** ნიშანთან ერთად პალიმფსესტებში გვხვდება **[illegible]** გრაფემაც, რომელსაც არ მოეპოვება ანალოგი მატენადარანის ნუსხაში და ის **ხ** ბგერას გადმოსცემს [ალექსიძე 2003: 151].

---

[45] ბოლო მაგალითის ტრანსკრიფცია შდრ. იგივე ლექსემის ტრანსკრიფციას N 14 გრაფემის კომენტარსა (**ხ'აშ**) [ალექსიძე 2003: 93] და N 33 გრაფემის კომენტარში (**ხ'აშ$_2$**) [ალექსიძე 2003: 99]. ზ. ალექსიძეს იმავე ნაშრომში ამ სიტყვის მეოთხე ტრანსკრიფციაც მოჰყავს: **ხაშ** [ალექსიძე 2003: 154], ამასთან, ორგვარადაა მოცემული მისი ალბანური დაწერილობა – **[illegible]** [გვ. 93, 94, 154] და **[illegible]** [გვ. 99]. შემდგომ, დადგენილ ფონემათა ჩამოთვლისას, ზ. ალექსიძე ამ ბგერას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს – **ხ¹** [ალექსიძე 2003: 154], ანუ, საფიქრებელია, რომ მას **ხ** ბგერის რომელიმე ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევს და არა **ჴ** ფონემად; შესაბამისად, ნაშრომში ამ ასო-ნიშნის სამი სახის ტრანსკრიფცია გვხვდება: **ხ**, **ხ¹** და **ჴ**.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ალექსიძის მონოგრაფიაში N 32 და N 33 ასო-ბგერების ტრანსკრიფციის ასევე სამ-სამი ვარიანტი მოგვეპოვება: N 32 – **ჭ**, **ჭ¹**, **ჯ**; N 33 – **შ**, **შ¹**, **შ$_2$**.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრითაც, პალიმფსესტებში **ხ** ბგერის აღმნიშვნელი უნდა იყოს [illegible] ნიშანი (N 24 “ჰაჲ”), რომელიც, ამას გარდა, **ჴ** ბგერასაც გადმოსცემდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-11], ხოლო [illegible] ასო-ბგერის ფონემური ღირებულება, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, იყო **ხ̃** [გიპერტი და სხვ. 2009: II-11].

ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ: კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უდიურში, ერთმანეთს დაემთხვა საერთოლეზგიური ***ხ**, ***ხ**₀ და კიდევ რამდენიმე ლატერალური ფონემის რეფლექსები. საყურადღებოა, რომ ფონემა, რომელსაც გადმოსცემს [illegible] ნიშანი, ხშირად მომდინარეობს საერთოლეზგიური ***ხ**-სა და ***ხ**₀-სგან, მაგ.,

[illegible] **ა‘ხი**; **უდ. ახ‘ილ** „შორეული“, შდრ. ლეზგ. **ჲარღალ**; თაბ. **ჲარხლა**; აღ. **ჸარხა** „შორს“; რუთ. **ხგრგ-დგ** „id“; არჩ. **ახ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **არხ₀-სა** „შორეული“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1975: 106; ჩკელ: 269 (ს.-ლეზგ. ***ყარხ₀(ჾლ)**)].

[illegible] **ხელ** „მიდგომილი“; **უდ. ჴელ** // **ხელ** „ტვირტი“, „ბარგი“. შდრ. რუთ. **ხჾლ**, **-გრ-** IV; წახ. **ხეჸ**, **-ან** IV; არჩ. **ხ₀ალ**, მრ. **-უმ** IV; კრიწ. **ხელ**, **ხილ** III; ბუდ. **ხელ** IV; სხვ. დაღ.: დარგ. **ხალა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 170; ჩკელ: 1069 (ს.-ლეზგ. ***ხ₀ჾლ**)].

[illegible] **ხოდ**; **უდ. ხოდ** „ხე“, შდრ. დიუბ. **ღურდ-ინ ჰარ**; რუთ. **ხგდ**, **-გრ-** III; შდრ.: დარგ. **ხურ**, წუდახ. **ხ₀ურ** „ცაცხვი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 1079 (ს.-ლეზგ. ***ხ₀ორთ₀** III „ცაცხვი“)].

[illegible] **ბიხესუნ**; **უდ. ბიხსუნ** „შობა“, „გაჩენა“ (შდრ. უდ. **ხოჲ** „შთამომავლობა“), შდრ. ლეზგ. **ხაზ**, **ხანა**, ბრძ. **ხუხ** // **რუხუხ**; თაბ. **ხუზ**; აღ. **უხას**; ბურშ. **რუხას**; რუთ. **ჰუ-ხʷას**; წახ. **უხას**; კრიწ. **ხუჲიჯ**, **რუხრი**, ბრძ. **სჾხგრ**; ბუდ. **ხოსუ**; იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 576 (ს.-ლეზგ. ***ყიხʷა**)].

ჩვენ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ [illegible] ნიშანი გადმოსცემს **ხ** ბგერას ნასესხებ სიტყვებში, მაგ., [illegible] **ხორან** „საფარი“, შდრ. სომხ. **ხორან** „id“; [illegible] **ხოშაკ** „სიცხე“, „ფაფანაქება“, შდრ. ქართ. **ხორშაკ-ი**, სომხ. **ხორშაკ** „id“; [illegible] **ხეხერ** „ხერხი“, შდრ. ქართ. **ხერხ-ი** „id“; [illegible] **ხარტაკ** „ნაწილი“, „ნაჭერი“, შდრ.

სომხ. **ხორტაკემ** „id“; **ՙՋՎՆԶՏ** **დახტაკ** „ფიცარი“, შდრ. სომხ. **ტახტაკ** „id“; **ՆՋՎԼ** **სახეჲ** „სახე“, შდრ. ქართ. **სახეჲ** (იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-11]).

თუ კავკასიის ალბანურში უვულარულ **ხ**-ს აღნიშნავდა Ⴈ ნიშანი, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ გადმოსცემს მას ნასესხებ სიტყვებში Ⴈ გრაფემა, რომელიც, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, არის არა უვულარული, არამედ ველარული სპირანტი?

N 18 “**დან**”. ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ ამ გრაფემის (Ⴊ) პროტოტიპია N 17 Ⴈ და, შესაბამისად, ის **ხ** ბგერის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. ა. აბრამიანის ვარაუდით, გადამწერებს ამ გრაფემის სახელწოდებაში აერიათ ղ და խ ნიშნები და N 18-ს სახელწოდება խղան “ხღან” უნდა ყოფილიყო (გაუგებარია, თუ რის საფუძველზე აღადგენს მკვლევარი **ღ** ბგერას ამ გრაფემის სახელწოდებაში) [აბრამიანი 1964: 30].

გ. კლიმოვისათვის ამ ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 14; კლიმოვი 1990: 497].

ვ. გუკასიანი [გუკასიანი 1969: 67] და ს. მურავიოვი [მურავიოვი 1981: 258] არ ცვლიან ანბანში წარმოდგენილ სახელწოდებას. მათთვის Ⴊ გრაფემა **დ** ბგერა იყო.

ი. გიპერტი მას N 4 გრაფემის ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევს.

ზ. ალექსიძემ გაიზიარა ვ. გუკასიანისა და ს. მურავიოვის მოსაზრება. მანაც მიიჩნია, რომ N 18 გრაფემა **დ** ბგერას გადმოსცემდა. ამის საილუსტრაციოდ ზ. ალექსიძემ ორი მაგალითი მოიყვანა: **ՆՆՃՕՊ** (**ჰეროდ**) – “ჰეროდე” (ბიბლიური საკუთარი სახელი) და ***ՊՎՂՕՆՎ** (***დიპუნ**) “ეპისტოლე” [ალექსიძე 2003: 94]. იქვე ზ. ალექსიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ანბანში თავდაპირველად ეს გრაფემა მეოთხე ადგილზე უნდა ყოფილიყო (ამის შესახებ იხ. N 4 გრაფემის კომენტარი).

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც პალატალიზებული **დ́** [გიპერტი და სხვ. 2009: II-12].

უნდა აღინიშნოს, რომ უდიურში ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ მოყვანილ ყველა მაგალითში ეს გრაფემა შეესატყვესება **ჯ** ან **ჟ** (ნიჯურში) ბგერებს, მაგ., **ՏՕՊ**

კო(**დ**̃) “სახლი”, შდრ. უდ. **კოჯ** (ვართ.)/**ქ**ʾ**ოჟ** (ნიჯ.) “id”... მკვლევრების ვარაუდის დასამტკიცებლად ოდენ ორიოდე მაგალითი თუ გამოდგება, მაგ., ძვ. სპარს. **დიპī** “წერა” > კავკ. ალბ. **ԽԿԳ** (**დ**̃)**იპ** “წიგნი”, “ეპისტოლე”...

ამრიგად, ამ ეტაპზე ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებული სახით ვერ ჰპოვებს დადასტურებას.

თავის მხრივ, ჩვენი აზრით, აქ უნდა გვქონდეს მარტივი (არაველარიზებული) **ჯ** ბგერა.

N 19  “**ჭარ**”. ა. აბრამიანის აზრით, ამ გრაფემის (**Ձ**) სახელწოდებაშიც აღრეულია ծ და ճ აერიათ და, შესაბამისად, ეს ასო-ნიშანი **წ** ბგერას უნდა აღნიშნავდეს [აბრამიანი 1964: 30].

ეს შეხედულება გაიზიარეს ს. მურავიოვმა [მურავიოვი 1981: 258] და გ. კლიმოვმა [კლიმოვი 1990: 497].

ამ ვარაუდს არ დაეთანხმა ვ. გუკასიანი. მისი აზრით, ეს ასო-ბგერა შიშინა დენტოლაბიალიზებულ პრერუპტივს (**ჩ**ʾ°) აღნიშნავდა [გუკასიანი 1969: 67].

ი. გიპერტი კი მას **ჩ** ბგერის ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევდა.

მოგვიანებით, ი. გიპერტი და ვ. შულცე მხარი დაუჭირეს ა. აბრამიანის მოსაზრებას [გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

ზ. ალექსიძისათვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობი იყო, თუმცა, მკვლევრის აზრით, ეს ასო-ბგერა მეტი ინტენსივობით უნდა ხასიათდებოდეს, რადგან მის სახელწოდებაში სომხური ռ მოგვეპოვებოდა [ალექსიძე 2003: 95].

ზ. ალექსიძის ვარაუდი წმინდა ლინგვისტური მონაცემებით ვერ დასტურდება: მიუხედავად ინისა, რომ ამ გრაფემას საერთოდარესტნურ და საერთოლეზგიურ დონეზე ზოგჯერ შეესატყვისება **წ**ჾ ბგერა (მაგ., კავკ. ალბ. **ՁԿ** (**წ**ჾ)**ი** “სახელი” – უდ. **წი** (< **წირ**, შდრ. მრ. რიცხვის ფორმა **წი-რ-ხოხ**), ხუნძ. **წ**ჾ**არ**, ანდ. **წ**ჾ**ერ**, ახვ. **წ**ჾ**ერი**, კარატ. **წ**ჾ**ერი**, ბოთლ. **წ**ჾ**ერი**, ჰოდობ. **ც**ჾ**ერი**, ტინდ. **ც**ჾ**ერა**, ჩამალ. **წ**ჾ**ე**, არჩ. **წ**ჾ**ორ**, თაბ. **ჩ**ჾ^{w}**ურ** (//**ც**ჾ**ურ, წურ**), აღ. **თ**ჾ**ურ** “id”...), არ ვფიქრობთ, რომ ამ ასო-ნიშნით ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც ინტენსიური **წ**ჾ ბგერა.

[illegible] ასო-ნიშანი შეიძლება მომდინარეობდეს საერთოლეზგიური (resp. საერთოდაღესტნური) არაინტენსიური სისინა აფრიკატისაგან, მაგ.,

[illegible] ვიწ; უდ. **ვიც̇** „ათი“, შდრ. ლეზგ. **წუ-დ**; თაბ. **ჲიწუ-ბ**; აღ., ბურკ. **იწუ-დ**; ბურშ. **ჲიწუ-რ**; ფიტ. **ჲიწუ-დ**; რუთ. **ჲიწჷ-დ**; გილმ. **ჲიწე-ლლჲ̈**; არჩ. **უ̂იწ**; კრიწ. **ჲიწჷ-დ**; ბუდ. **ჲიწჷ-დ**; სხვ. დაღ.: დარგ. **უ̂ეწ-ალ**, ხუნძ. **ანწ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 70; ჩკელ: 245 (ს.-ლეზგ. ***უ̂იწჷ-**)].

[illegible] წე; უდ. **ა-რუხ** „ცეცხლი“ (***წა-რუხ** – Pl. Tantum), შდრ. ლეზგ. **წაჲ**, **წუ** (ხლუტ. **ჲჷწჷ**); თაბ. **წა**, **წი**; აღ. **წა**, **წი**; ბურშ., ბურკ. **წა**; ფიტ. **წაჲ**; რუთ. **წაჲ**, **წჷ** IV; იხრ. **წა̈**; ხნოვ. **წა**; წახ. **წა**, **-ჲჷნ**, IV; არჩ. **ოწ**, ლოკ. **წერე-ჴ‘** IV; კრიწ. **წა̈**, **წჷრ** IV; ბუდ. **წჷ̂**, **-ჲილ-** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წა**, ლაკ. **წუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 83; ლექსიკა 1971: 193; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკელ: 354 (ს.-ლეზგ. ***წაჲ**)].

ინტენსიური **წ̇** ბგერა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს N 48 **[illegible]**, რომელიც ერთი მაგალითის მიხედვით შესაძლებელია დავუკავშიროთ საერთოდაღესტნურ და საერთოლეზგიურ **წ̇** ბგერას: კავკ.-ალბ. **[illegible]** მუ(**წ̇**)ურ “სუფთა”, “წმინდა” < ს-დაღ. *ბა-**წ̇**-ად [გიგინეიშვილი 1977: 107]; უდ. ა**წ**არ (< *მა**წ**არ); აღ. მარ-**ტ̇**-ეჯ; თაბ. მარ-**ც̇**-ი, მარ-**ძ**-ი; დარგ. უმუ-**ზ**-ი; ლაკ. მარ-**ც̇**-ს̇ა; ხუნძ. ბა-**წ̇**-ად-აბ; ანდ. ბერ-**წ̇**-ომ; ახვ. მა-**წ̇**ა-დაბე; ბაგვ. ბა-**წ**-არ-აბ; ტინდ. ბა-**ც̇**-აჲ-აბ, ბეჟ. ჲა^{ნ}-**ც**-ოჲო “სუფთა”, “წმინდა”, შდრ. აგრეთვე საკ. დიდ. ბო-**ცც**-ა̈სი “გაწმენდილი” და უდ. მა**წ**ი “თეთრი”... აქ უნდა აღინიშნოს, რომ უდიურში დასტურდება სიტყვა **მუჭურ** “ნათელი”, “სუფთა”, “მოწმენდილი” (ცაზე ითქმის) [ალექსიძე 2003: 99], რომელიც შეიძლება იყოს კავკასიის ალბანური **მუ(წ̇)ურ** ფორმის ანალოგი, თუმცა **[illegible]** გრაფემის ფონემური ღირებულება როგორც **წ** ბგერის ფონეტიკური ვარიანტისა ეჭვს არ იწვევს: ის სხვა მაგალითებითაც დასტურდება, მაგ., **[illegible] კუკუ(წ̇)** “ქათამი”, შდრ. უდ. **კოკოწ** “id”...

ჩვენ მოსაზრებას კიდევ ადასტურებს ის, რომ **[illegible]** გრაფემა **[illegible]** ნიშანთან შედარებით პალიმფსესტებში უფრო მეტჯერ გვხვდება (**[illegible]** – 105-ჯერ, ხოლო **[illegible]** – 33-ჯერ [გიპერტი და სხვ. 2009: II-18]) და ისიც, რომ სწორედ **[illegible]** ასო-ბგერა ნასესხებ

სიტყვებში შეესატყვისება ქართულ და სომხურ წ-ს, მაგ., [illegible][ⴈ]//[illegible][ⴈ] **ახ(წ)იბა**[**ღ**]//**ახსიბა**[**ღ**], შდრ. უდ. **ახწიმა//ახსიბაღ** < ქართ. **აღვსებაღ**...

N 20  "**ზოხ**". ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ გადამწერებს აქაც აერიათ ბ და q ასო-ნიშნები. მისი აზრით, ეს გრაფემა წინა (**წ**) ასო-ბგერის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდა [აბრამიანი 1964: 30].

გ. კლიმოვისა [კლიიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] და ზ. ალექსიძისთვის [ალექსიძე 2003: 95] ამ ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო.

ვ. გუკასიანისა [გუკასიანი 1969: 67] და ს. მურავიოვის [მურავიოვი 1981: 258] აზრით კი, ეს გრაფემა ინტენსიურ **ზ**:-ს აღნიშნავდა.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ამ გრაფემით „პოსტალვეოლარული" **ჯ́** ბგერა აღინიშნებოდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-15].

ჩვენი აზრით, აქ უნდა გვქონდეს **ჯ** ბგერის ველარიზებული ვარიანტი (**ჯ**˜). ამის შესახებ მეტყველებს ამ გრაფემის კორესპონდენციები უდიურ ენაში, მაგ., [illegible] (**ჯ**˜)[**უ**]**ღ** "პატრონი, უფალი" ([illegible] **კოჯინ**(**ჯ**˜)[**უ**]**ღ** "სახლის უფალი"), შდრ. უდ. **კონჯ˜უხ** "id", შდრ. აგრეთვე უდ. **ბიხა-ჯუღ** "ღმერთი" – კავკ. ალბ. [illegible] (***ბ**[**იხა-ჯ˜უ**]**ღ**); [illegible] (**ჯ**˜)**უმუხ** "წისქვილი", შდრ. უდ. **ჟ˜ომოხ** "id"...

N 21 "**კარ**". სპეციალისტთა შორის ამ გრაფემის ფონემური ღირებულება (**კ**) სადაო არ არის.

გ. კლიმოვმა ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა თავის ერთ-ერთ ნაშრომში ალბანურის შესახებ [კლიმოვი 1984: 13], თუმცა მოგვიანებით სრულად გაიზიარა დანარჩენი მკვლევრების შეხედულება [კლიმოვი 1990: 497].

განსხვავებული მოსაზრება მხოლოდ ვ. გუკასიანმა გამოთქვა. მისი აზრით, ეს გრაფემა უკანაენისმიერთა რიგის პრერუპტივია (**ქ**·) [გუკასიანი 1969: 67].

სინური პალიმფსესტების მონაცემები უეჭველად ადასტურებს [illegible] გრაფემის ფონემურ ღირებულებას: ეს **კ** ბგერაა, იხ. [ალექსიძე 2003: 95-96; გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

N 22  “**ლიტ**”. ა. აბრამიანის აზრით, ამჯერადაც Ⴤ და Ⴑ გრაფემათა აღრევასთან გვაქვს საქმე და, შესაბამისად, ამ გრაფემის სახელწოდება უნდა იყოს “**ჰიტ**” [აბრამიანი 1964: 31].

ს. მურავიოვის ვარაუდით, აქ გვქონდა სპეციფიკური (ლატერალური) ალბანური ფონემა [მურავიოვი 1981: 258].

ვ. გუკასიანის აზრით კი, აქ პალატალიზებული **ლ**́ ბგერა უნდა ყოფილიყო [გუკასიანი 1969: 67].

ი. გიპერტის აზრით, აქ უნდა იყოს **ლ** ბგერის ფონეტიკური სახესხვაობა (**ლ**^{2}), თუმცა მკვლევარი არ ასახელებს მის ზუსტ ჟღერადობას.

გ. კლიმოვისთვის ამ ნიშნის მნიშვნელობა უცნობი იყო [კლიიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძე მიიჩნევს, რომ სინურ პალიმფსესტებში ეს გრაფემა არ დასტურდება [ალექსიძე 2003: 96].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, მატენადარანის ხელნაწერის N 22 გრაფემა უნდა გავაიგივოთ პალიმფსესტების Ⴂ ნიშანთან, ხოლო მისი ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც პალატალიზებული **ლ**́ ბგერა [გიპერტი და სხვ. 2009: II-13].

წარმოდგენილი მაგალითების მიუხედავად (**ႨႧႸႷႢ მადი**(**ლ**́) “მადლი” < ქართ. **მადლი**; **ႢႧႨ** (**ლ**́)**ამ** “ხალენი”, შდრ. ხინ. **ჰალამ** “id”; **ႢႧႪ** (**ლ**́)**აყ** “გზა”, შდრ. უდ. **ჲაყ** “id”; **ႡႷႢႧ ბი**(**ლ**́)**ა** “მოკვლა”, შდრ. უდ. **ბი**(**ჲ**)**ა** “id” და სხვა), ამ გრაფემის ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებულ ფონემურ ღირებულებას მხოლოდ ვარაუდად მივიჩნევთ. უდიურში ამ გრაფემის გადმოცემის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი **ჲ** ბგერით (**ჲაყ** „გზა“), ჩვენი აზრით, არ მეტყველებს იმის შესახებ, რომ აქ უეჭველად პალატალიზებული **ლ**́ ბგერა გვქონდა (მით უფრო, რომ **ჲაყ** მაგალითში **ჲ** ბგერა, როგორც ჩანს, საერთოლეზგიური ***რ** ბგერისაგან არის მიღებული, შდრ. ლეზგ. **რეჯ, რეყი**; ნუტ. **რა‘ჯ‘**; მრ. **რეყერ**; ხლუტ. **რაყ‘, -ი**; თაბ. **რაჯ‘, -უ**; დიუბ. **რაჯ‘ა**; აღ., ბურშ., თფიღ. **რაჯ‘, -უ**; ბურკ. **რეჯ**ₒ; რუთ. **რაჯ‘, რგჯ‘გ-** III). სხვადასხვა კონსონანტების გადასვლა **ჲ**-ში ძალზე გავრცელებულია სხვადასხვა ენებში და, მათ შორის – უდიურშიც. ასევე, **ჲ**-ს გამოჩენა ამ მაგალითებში

შეიძლება იყოს გამოწვეული სულ სხვა ფონეტიკური პროცესებით. შესაძლებელია, რომ ჲ ჩნდება მაშინ, როდესაც ｦ გრაფემის შესატყვისი ბგერა უკვე დაკარგული იყო.[46]

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ გრაფემის ფონემური ღირებულების დადგენა სხვა სახის, უეჭველ მაგალითებზე უნდა იყოს დაფუძვნებული.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებული მოსაზრების გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გრაფემა ერთ-ერთ ჩქამიერ ლატერალურ თანხმოვანს აღნიშნავდა. ჩვენი აზრით, ამის შესახებ შემდეგი მაგალითები მეტყველებს:

ლ´ამ „ხალენი“, შდრ. ანდ. **ანლ჻ი**; ახვ. **აᶮლʻი**; დიდ. **მილ̣ʷი**; ტინდ. **ანლʻი**;

ჳილ´ „რაიმე“, შდრ. არჩ. **ჳელ̣ʷანა**; სხვ. დაღ.: დარგ. **სა-კალ**;

ალ´ეგ „ღრუბელი“, შდრ. ლეზგ. **ც჻იჶ**; თაბ. **დიჶ**; აღ. **დიჶ**; იხ. აგრეთვე: [გიპერტი და სხვ. 2008: IV-5 (ს.-ლეზგ. ***თ჻Vლʻʷ**)]. ლაბიალიზებული ლატერალის რეკონსტრუქცია აუსლაუტში ეჭვს არ იწვევს, ხოლო ინტესიურის ბგერის ნაცვლად, საფიქრებელია, რომ ანლაუტში მჟღერი **დ** გვქონდა.

ბი-ლ´ა- (აწმყოს ფუძე); **უდ. ბიჲე-სუნ** „მოკვდომა“, „მოკვლა“, შდრ. ლეზგ. **რეყიზ**, **ყენა**, ბრძ. **ჲიყ**; თაბ. **ჲი-ø-კუზ**; არჩ. **კის**, **კარ**; აღ. **კას**; ბურშ. **კის**; რუთ. **უ̂-იყეს**, მრ. **დგ-ყგრყას**; წახ. **ჭეკეს**; კრიწ. **ყა̈-ჲიჯ**, დურ. **რგყა̈რი**, ბრძ. **სა̈ყ**; ბუდ. **სარყარ**, **საყაჯი**; სხვ. დაღ.: ახვ. **ილ̣ʷუ-რულʸა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; გიგინეიშვილი 1977: 103; ჩკელ: 662 (ს.-ლეზგ. ***ცილ̣ʷე**)]. ამ მაგალითში საერთოლეზგიურ დონეზე უეჭველად აღდგება ***ლ̣ʷ** ლატერალი.

N 23  “**ჳცტ**”. მკვლევართა შორის ამ ასო-ბგერის შეფასებაში ანბანის მიხედვით (**ჳ**) არავის ეპარებოდა ეჭვი გარდა გ. კლიმოვისა [კლიმოვი 1984: 13]. მოგვიანებით მან გაიზიარა დანარჩენი მკვლევრების მოსაზრება ამ გრაფემის შესახებ [კლიმოვი 1990: 497].

[46] **ჲ**-ს გამოჩენა **ჲაყ** და **ბიჲა** ლექსემებში შეიძლება უკავშირდებოდეს უდიურში გავრცელებულ დიფთონგიზაციის პროცესს, რომელიც განსაკუთრებით ხელშესახებია სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტსა (შემართვა) და ინტერვოკალურ პოზიციაში (ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად).

ამას გარდა, განსხვავებული მოსაზრება ვ. გუკასიანმა გამოთქვა. მისი აზრით, აქ არა ლარინგალური **ჰ** ბგერა, არამედ ფარინგალური **ჰ̣** ბგერა უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67].

ა. აბრამიანს რატომღაც ამ ასო-ბგერის სახელწოდებად აღნიშნული აქვს არა Հէտ "**ჰჱტ**", არამედ Հիտ "**ჰიტ**" [აბრამიანი 1964: 31].

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დადასტურდა ɿ გრაფემის ფონემური ღირებულება: აქ უეჭველად გვაქვს ლარინგალური სპირანტი **ჰ**, იხ. [ალექსიძე 2003: 96; გიპერტი და სხვ. 2009: II-7].

N 24  "**ჰაჲ**". ა. აბრამიანის ვარაუდით, გადამწერებმა ამჯერადაც დაუშვეს შეცდომა: ერთმანეთში აღრეულია h და ձ ასო-ნიშნები და, შესაბამისად, ამ გრაფემის სახელწოდება, როგორც ა. აბრამიანს მიაჩნია, უნდა ყოფილიყო "**ძაჲ**" [აბრამიანი 1964: 31].

ს. მურავიოვისა [მურავიოვი 1981: 258] და ი. გიპერტის აზრით, ეს ასო-ბგერა წინა გრაფემის (**ჰ**) ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდა.

ვ. გუკასიანი მიიჩნევს, რომ აქ უნდა იყოს ლარინგალური **ჰ** ბგერა [გუკასიანი 1969: 67].

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძემ ვერ დაიმოწმა ამ გრაფემის ანალოგი პალიმფსესტების ტექსტში [ალექსიძე 2003: 96-97].

ს. მურავიოვის აზრით კი, ეს გრაფემა ეპიგრაფიკაში შემდეგი ფორმითაა დადასტურებული: ɫ [მურავიოვი 1981: 315].

ჩვენ ეჭვი გამოვთქვით ს. მურავიოვის მოსაზრებასთან დაკავშირებით: პალიმფსესტებში ɫ გრაფემა უეჭველად **ქ** ბგერას აღნიშნავს და, აქედან გამომდინარე, ანბანის N 52 ასო-ბგერასთან უნდა იყოს იდენტიფიცირებული (იხ. N 52 გრაფემის კომენტარი). ძნელი წარმოსადგენია, ალბანურში "ჯვრის" ერთ-ერთი ფორმის (crux immissa) მქონე ორი ნიშანი ყოფილიყო [ლოლუა 2010: 53].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, პალიმფსესტებში N 24 გრაფემის ანალოგი უნდა იყოს 𐕀 ნიშანი, ხოლო მისი ფონემური ღირებულება ორგვარი იყო: **ჴ** და **ხ** [გიპერტი და სხვ. 2009: II-11].

ზოგჯერ 𐕀 ნიშანი თითქოსდა **ხ** ან **ღ** ბგერას შეესატყვისება; მაგალითად, აღდგომის აღმნიშვნელი სიტყვა კავკასიის ალბანურში **𐔰𐕀𐕟𐔺𐔱𐔰**[𐔺]//**𐔰𐕀𐕚𐔺𐔱𐔰**[𐔺] **ა(ხ)წ·იბა**[ჲ]//**ა(ხ)სიბა**[ჲ], შდრ. უდ. **ახწიმა//ახსიბაჲ** < ქართ. **აღვსებაჲ**; **𐔱𐔰𐕀𐔴𐕚𐕒𐔺𐕎** **ბა(ხ)ესუნ** "პოვნა", შდრ. უდ. **ბაღ'აესუნ** "id"... ამის მიუხედავად, ჩვენი ვარაუდით, რომელიც ნაწილობრივ წარმოგიდგინეთ N 17 ასო-ბგერის კომენტარისას, 𐕀 ნიშანი უნდა იყოს ოდენ **ჴ** ბგერის აღმნიშვნელი.

N 25 "**არ**". ა. აბრამიანი ამ ასო-ბგერას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს: ӓ (მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას უმლაუტირებულ **ა** ხმოვნად მიიჩნევს) [აბრამიანი 1964: 31].

ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვქონდეს მარტივი **ა** ბგერა [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვი კი მიიჩნევს, რომ ეს გრაფემა ფარინგალიზებულ **ა'** ბგერას წარმოადგენს [მურავიოვი 1981: 258].

გ. კლიმოვი თავის გვიანდელ ნაშრომში კავკასიის ალბანურის შესახებ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ასო-ნიშანი **ძ** ბგერას გადმოსცემს [კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძემ მოიყვანა ამ გრაფემის გამოყენების მაგალითები ორ ბიბლიურ საკუთარ სახელში: **𐔰𐔱𐕙𐕈𐕌** (**აბრა¹მ**) "აბრაამ" და **𐔺𐕚𐕈𐕄** (**ისა¹კ)** "ისააკ". მისი აზრით, N 25 გრძელ **ā**-ს აღნიშნავს, "რომელიც შესაძლოა ახლოს იყოს "**ჰა**"-სთან" [ალექსიძე 2003: 97] (ძნელი სათქმელია, თუ რომელ ბგერას გულისხმობს მკვლევარი).

პალიმფსესტებში ეს სახელები ჩვენ შემდეგი ფორმით დავადასტურეთ: **𐔰𐔱𐕙𐔰𐕆𐔰𐕌** (**აბრაჰამ**) და **𐔺𐕚𐔰𐕄** (**ისაკ**)[47] [ლოლუა 2010: 53]. ამ მაგალითებში ყველა **ა** ბგერა გადმოცემულია N 1 **𐔰** გრაფემით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ დავეთანხმოთ ზ. ალექსიძის მოსაზრებას.

---

[47] პალიმფსესტებში აბრაამის სახელი გვხვდება მხოლოდ მეორე (ღმერთის მიერ ბოძებული) ფორმით (**აბრაჰამ** "მამა მრავალთა"), ხოლო ისააკის სახელი – თავდაპირველი ფორმით (**ისაკ**).

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, კავკასიის ალბანურში გვქონდა ლაბიალიზებული **ა̊** ბგერა, რომელიც ზუსტად N 25 ასო-ნიშნით (**𐕈**) აღინიშნებოდა, ხოლო **[Albanian script]** დიგრაფით **ῠ** ბგერა გადმოიცემოდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-11-12].

𐕈 და **[Albanian script]** ნიშნები, ჩვენი შეხედულებით, ფარინგალიზებულ ხმოვნებს[48] (**ო‘** და **უ‘**) აღნიშნავდა. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ უდიურში ამ ასო-ნიშნებს, როგორც წესი, შეესატყვისება ფარინგალიზებული **ო‘** და **უ‘** ბგერები, მაგ., **[Albanian script]** (**თოზ⌜ʿ⌝ან**)[49] „ლეღვის ხე“, შდრ. უდ. **თოხ‘ან**[50] „id“; **[Albanian script]** (**ტო‘**) „მხარე“, შდრ. უდ. **ტოღ‘** „id“; **[Albanian script]** (**უზ⌜ʿ⌝**) „ექვსი“, შდრ. უდ. **უჴ‘** „id“; **[Albanian script]** (**ვუ‘ღ⌜ʿ⌝**) „შვიდი“, შდრ. უდ. **ვუღ‘** „id“; **[Albanian script]** (**მუ‘ღ⌜ʿ⌝**) „რვა“, შდრ. უდ. **მუღ‘** „id“...

უნდა აღინიშნოს, რომ **𐕈** და **[Albanian script]** ასო-ბგერები უდიურში შეიძლება სხვა კორესპონდენციებითაც იყოს წარმოდგენილი: **𐕈** ასო-ნიშანს ზოგჯერ არაფარინგალიზებული **ო** ბგერა შეესატყვისება, მაგ., **[Albanian script]** (ყ⌜ʿ⌝**ო‘**) „ოცი“ – უდ. **ყო** „id“... **[Albanian script]** დიგრაფს კი შეიძლება შეესატყვისებოდეს როგორც არაფარინგალიზებული **უ** ბგერა, ასევე ფარინგალიზებული **ö‘** (ნიჟ. **ჹ‘**), მაგ., **[Albanian script]** (**ჰუ‘კ**) „გული“ – უდ. **უკ** „id“; **[Albanian script]** (**ყ⌜ʿ⌝უ‘**) „შიში“ – უდ. **ყ‘ö** (ვართ.)//**ჴ‘ჹ** (ნიჟ.) „id“... მიუხედავად ამისა, არ გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ ეს ასო-ნიშნები ლაბიალიზებულ **ა̊** და პალატალიზებული **ῠ** ბგერებად მივიჩნიოთ.

𐕈 ნიშანს უდიურში, როგორც წესი, **ა** ბგერა არ შეესატყვისება, ხოლო **[Albanian script]** დიგრაფის ერთ-ერთი შესაძლო კოპესპონდენცია **ö‘//ჹ‘ – უ** ბგერისა და ე. წ. ირაციონალურის ხშირი მონაცვლეობით უნდა აიხსნას და არა პალატალიზებული **ῠ** ბგერის

---

[48] შესიტყვებას “ფარინგალიზებული ხმოვნები” პირობითად ვიყენებთ (იხ. ქვეთავი “კავკასიის ალბანური ენის ვოკალიზმი”).

[49] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ფარინგალიზაციის ნიშნით (⌜ʿ⌝) იმ ბგერებს აღვნიშნავთ, რომლებზეც, ჩვენი აზრით, ფარინგალიზაციის მაქსიმუმი უნდა მოდიოდეს. ფარინგალიზაციის აღნიშვნისას კავკასიის ალბანურში გრაფიკული პრინციპით ვხელმძღვანელობთ, თუმცა ეჭვი გვეპარება, რომ ალბანურ წერილობით ძეგლებში ფარინგალიზაცია ყოველთვის ადექვატურად იყო გადმოცემული.

[50] უდიურ ენაში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ჩვენ ტრანსკრიფციაში მხოლოდ ფარინგალიზაციის მაქსიმუმს აღვნიშნავთ, ხოლო ეს იმთავითვე მთელი სიტყვის ფარინგალიზებულობას გულისხმობს, მაგ., **თოხ‘ან** ფორმის ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია იქნება: **თ‘ოზ‘ა‘ნ‘**.

არსებობით კავკასიის ალბანურში. ამასთან ერთად, ლაბიალიზებული და პალატა-ლიზებული ხმოვნები, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, თითო-თითო წევრი-თაა წარმოდგენილი და ვერ ქმნიან მწყობრ სისტემას.

„ფარინგალიზებული ხმოვნები“ კი, ჩვენი აზრით, პირიქით, ალბანურში მწყობრი სახით გვხვდება – **ა**, **ი** და **ე** ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები გრაფემათა კომპლექსებითაა გადმოცემული: **[illegible] ა‘**, **[illegible] ე‘**, **[illegible] ი‘** (იხ. N 14 გრაფემის კომენტარი), ხოლო გრაფიკული კომბინაციები **[illegible]** (⸢⸣**ო‘**) და **[illegible]** (⸢⸣**უ‘**) არ გვხვდე-ბა, რაც აგრეთვე **[illegible]** და **[illegible]** ასო-ბგერების ფარინგალიზებულობაზე მიუთითებს.

საყურადღებოა **[illegible]** და **[illegible]** ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები დიგრაფებით გადმოცემულ სხვა ფარინგალიზებულ ბგერებთან, რითაც ასევე დას-ტურდება, რომ საქმე გვაქვს არა ლაბიალიზებულ ან პალატალიზებულ ხმოვნებ-თან, არამედ ფარინგალიზებული რიგის ხმოვნებთან, მაგ., **[illegible]** (**პ**⸢⸣**ა‘**) „ორი“ (შდრ. უდ. **პა‘** „id“) – **[illegible]** (**პო‘მუნ** < ***პო‘-ომ-უნ** < ***პა‘-ომ-უნ**) „ისევ“, „სხვა“ (ზედმიწ. „მეორეჯერ“ [GEN?])...

ამას გარდა, ვერ დავეთანხმებით ზ. ალექსიძის, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებულ **[illegible]** ასო-ბგერის გრაფიკულ იდენტიფიკაციას მატენადარანის ხელნაწერის N 25 ნიშანთან. ეს გრაფემა უნდა იყოს ალბანური ანბანის N 47 (იხ. N 47 ასო-ბგერის კომენტარი).

N 26  “**ცოჲ**”. კავკასიის ალბანური ანბანის სხვა ასო-ბგერათაგან განსხვავებით, რომელთა სახელწოდებების წაკითხვა მატენადარანის ნუსხის მიხედვით არ გამხდარა პოლემიკის მიზეზი, სპეციალისტთა შორის წარმოიშვა ამ გრაფემის სახელწოდების ამოკითხვის რამდენიმე ვარიანტი:

აკ. შანიძემ ამ გრაფემის სახელწოდება წაიკითხა როგორც “**ცოჲ**” [შანიძე 1938: 38].

ა. აბრამიანი სწორად მიიჩნევდა “**ჰოჲ**” ვარიანტს. მისი აზრით, ამ ასო-ბგერის ფონემური ღირებულება უნდა ყოფილიყო **ჴ̃**, “რომელიც ჟღერადობით **ჰ** ბგერის მსგავსია” [აბრამიანი 1964: 31] (გაუგებარია, თუ რომელ ფონემას გულისხმობს აქ მკვლევარი).

ს. მურავიოვმა ამოიკითხა "**ჲოჲ**", ხოლო ამ გრაფემის ფონემური ღირებულება ან ინტენსიურ **ჲ:**-დ (სავარაუდოდ), ანდა **ჲ** ბგერად განსაზღვრა [მურავიოვი 1981: 258].

ვ. გუკასიანმა გაიზიარა აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებული სახელწოდების მართებულობა და მიიჩნია, რომ ეს გრაფემა "მარტივ" **ც** ბგერას აღნიშნავდა [გუკასიანი 1969: 67].

ი. გიპერტის ვარაუდით, აქ **ც** ბგერის ფონეტიკური სახესხვაობა გვქონდა (**ც**²).

გ. კლიმოვისთვის ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძეც მართებულად აკ. შანიძეს სახელწოდებას მიიჩნევს, თუმცა ამ გრაფემის ფონემური ღირებულება მისთვის უცნობია [ალექსიძე 2003: 97].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აქ „პოსტალვეოლარული" რიგის **ჩ́** ბგერა გვქონდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-15].

ჩვენც მხარს ვუჭერთ აკ. შანიძის ვარიანტს (იგი ა. ქურდიანის ხელნაწერშიც წარმოდგენილია ამდაგვარი ფორმით [ლოლუა 2010: 55]), ხოლო ამ გრაფემის ფონემური ღირებულება, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს როგორც ველარიზებული **ჩ˜** ბგერა. ეს იმით დასტურდება, რომ **ⴑ** ასო-ნიშანს უდიურში შეესატყვისება **ჩ˜** ბგერა, მაგ., **ⴑⴒ** (**ჩ˜ა**) „სახე", შდრ. უდ. **ჩ˜ო** „id"...

N 27  "**ჭი**". ყველა მკვლევარისთვის მისაღებია სომხურ ხელნაწერთა ჩვენება (**ჭ**).

ოდნავ განსხვავებული მოსაზრება მხოლოდ ვ. გუკასიანსა და ი. გიპერტს ჰქონდათ. ვ. გუკასიანის ვარაუდით, აქ უნდა ყოფილიყო ლაბიალიზებული **ჭ°** [გუკასიანი 1969: 67], ხოლო ი. გიპერტი ამ ნიშანს **ჭ** ბგერის ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევდა (**ჭ**³).

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დადასტურდა, რომ **ⴜ** გრაფემა "მარტივ" **ჭ** ბგერას აღნიშნავდა, იხ. [ალექსიძე 2003: 97; გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

N 28 "**ჩაჲ**". ა. აბრამიანს აზრით, ეს გრაფემა სომხური η-ს ბადალ ფონემას აღნიშნავდა [აბრამიანი 1964: 31] (თუმცა მკვლევარი არ აზუსტებს ალბანური

ანბანის N 28 გრაფემას რომელი პერიოდის სომხური ბგერის ჟღერადობა ჰქონდა. ადრინდელი გრაბარში დადასტურებული **ლ̄** ბგერისა, თუ მოგვიანო გრაბარისა და აშხარაბარის **ღ** ბგერის).

ვ. გუკასიანმა გაიზიარა ანბანში მოცემული სახელწოდება. მკვლევრის აზრით, აქ "მარტივი" **ჩ** ბგერა გვქონდა [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვი კი მიიჩნევს, რომ ეს ასო-ნიშანი ინტენსიურ **ჩ̇** ბგერას აღნიშნავდა [მურავიოვი 1981: 258].

გ. კლიმოვისთვის ამ ასო-ბგერის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძემ N 28 გრაფემის კომენტარში აღნიშნა, რომ ეს ასო-ბგერა სინურ პალიმფსესტებში არ დასტურდება [ალექსიძე 2003: 97-98].

ი. გიპერტმა და ვ. შულცემ ასევე ვერ დაადასტურეს N 28 გრაფემა სინურ პალიმფსესტებში. ამის მიუხედავად, ეს გრაფემა, მათი ვარაუდით, პალატალიზებული **ც́** ბგერის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო [გიპერტი და სხვ. 2009: II-15].

ჩვენი აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ სინური პალიმფსესტების ტექსტში, რომელიც, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს დათვლით, 59842 ნიშანსა და დაახლოებით 16 ათასს სიტყვაფორმას შეიცავს [გიპერტი და სხვ. 2009: II-18], ერთხელ მაინც არ ყოფილიყო გამოყენებული N 28 ასო-ბგერა. ʎ ასო-ბგერა, რომელიც კავკასიის ალბანურ ტექსტებში ყველაზე მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, ათჯერ მაინც გვხვდება. შემდეგ მოდიან **ɭ** და **Ψ** ნიშნები, რომელიც 33-33-ჯერ არიან გამოყენებულნი [გიპერტი და სხვ. 2009: II-18].

ჩვენი აზრით, N 28 და კიდევ რამდენიმე გრაფემა (N 25, N 32 და N 34), რომელიც პალიმფსესტებში არ დასტურდება, მატენადარანის ხელნაწერში არ არის შემთხვევით მოხვედრილი. ამ პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე გზა გვესახება: შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ასო-ბგერები კავკასიის ალბანურში ე. წ. ეპისემონებს წარმოადგენდნენ როგორც ბერძნულში (ანუ მათ ოდენ რიცხვის გადმოცემის ფუნქცია ჰქონდათ). შესაძლებელია, რომ ამ ნიშნებს თავდაპირველად ბგერის გადმოცემის ფუნქცია ჰქონდათ, რომელიც შემდეგში მათ დაკარგეს. არ

არის გამორიცხული, რომ ეს მოვლენა კავკასიის ალბანური ენის საყრდენი დიალექტის შეცვლასთან იყო დაკავშირებული.[51]

N 29 "**მაკ**". ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის ნუსხაში ამ გრაფემის ფონემური ღირებულება გადმოცემულია სწორად.

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დადასტურდა, რომ ჲ ნიშანი **მ** ფონემას აღნიშნავს, იხ. [ალექსიძე 2003: 98; გიპერტი და სხვ. 2009: II-8].

N 30 "**კარ**". ა. აბრამიანის აზრით, სომხური ანბანთრიგის მიხედვით ამ ადგილას უნდა ყოფილიყო **ჲ** ბგერა, ანუ გადამწერებს ამჯერადაც, როგორც ამას მკვლევარი მიიჩნევს, აერიათ կ და յ [აბრამიანი 1964: 31-32].

ს. მურავიოვი მიიჩნევს, რომ აქ ან ლაბიალიზებული **კ°** ბგერა უნდა იყოს (სავარაუდოდ), ანდა **ყ°** [მურავიოვი 1981: 258].

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

აკ. შანიძემ პირველმა განსაზღვრა ამ ასო-ბგერის სავარაუდო ფონემური მნიშვნელობა როგორც **ყ** ბგერისა [შანიძე 1938: 33]; ამ მოსაზრებას ვ. გუკასიანიც დაეთანხმა [გუკასიანი 1969: 63].

ალბანურ პალიმფსესტებზე დაყრდნობით ამ გრაფემის ფონემური ღირებულება (**ყ**) დადგენილად უნდა ჩაითვალოს, იხ. [ალექსიძე 2003: 98; ლოლუა 2010: 56-57; გიპერტი და სხვ. 2009: II-8].

N 31  "**ნუც**". ანბანში მოცემული სახელწოდება მისაღებია ყველა სპეციალისტისათვის. ა. აბრამიანი ამ ასო-ბგერის (**Ⴗ**) გრაფიკულ პროტოტიპად სომხურ Ն-ს მიიჩნევს [აბრამიანი 1964: 32].

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დადასტურდა, რომ ეს გრაფემა **ნ** ბგერას აღნიშნავდა, იხ. [ალექსიძე 2003: 98-99; გიპერტი და სხვ. 2009: II-8].

N 32  "**ჯაჲ**". ა. აბრამიანი შემდეგ სამ გრაფემას (N 32-34) **შ** ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებად მიიჩნევდა [აბრამიანი 1964: 32].

---

51 V ს-ში შეიცვალა კავკასიის ალბანეთის დედაქალაქი: ქ. კაბალას (დღ. სოფ. ჩუხურ-გაბალა) ნაცვლად გახდა ქ. პარტავი (დღ. ქ. ბარდა).

ს. მურავიოვის აზრით, N 32 და N 34 ასო-ნიშნები **χ**-ს და მის ინტენსიურ ვარიანტს აღნიშნავდა, თუმცა მკვლევარი არ აზუსტებს, თუ რომელი მათგანი იყო „მარტივი“ და რომელი ინტენსიური ბგერა [მურავიოვი 1981: 258].

ვ. გუკასიანი [გუკასიანი 1969: 67] და ი. გიპერტი კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აქ “მარტივი” **χ** ბგერა გვქონდა.

გ. კლიმოვისათვის ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

სინურ პალიმფსესტებში ეს გრაფემა არ გვხვდება [გიპერტი და სხვ. 2009: II-15].

ზ. ალექსიძე კი მიიჩნევს, რომ ამ გრაფემის ანალოგი პალიმფსესტებში მოიპოვება, ხოლო მისი ფონემური ღირებულება უნდა იყოს **ჭ** ბგერა. ამის დასამტკიცებლად მან მოიყვანა ერთადერთი მაგალითი – **ԳՕ·Ւ·ՎՕ·Ւ·Ա** (**მუჭურ**) “სუფთა”, “წმინდა”, რომელიც შედარებულია უდიური **მუჭურ** “ნათელი”, “სუფთა”, “მოწმენდილი” (ცაზე ითქმის) ლექსემასთან [ალექსიძე 2003: 99].

ამ გრაფემის გარდა, ზ. ალექსიძის აზრით, კავკასიის ალბანურ ანბანში კიდევ ერთი **ჭ** ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი გვაქვს: ეს არის N 27 „ჭი“ [ალექსიძე 2003: 97]. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარმა არ დააზუსტა თუ რომელი გრაფემა (N 27 ან N 32) უდრიდა ჟღერადობით ქართულ და სომხურ **ჭ** ბგერას და რომელი მათგანი სპეციფიკურ ალბანურ ფონემას წარმოადგენდა.

ქვემოთ, იმავე ნაშრომში, მკვლევარმა განსაზღვრა ამ გრაფემის ფონემური ღირებულება როგორც **χ** ბგერისა [ალექსიძე 2003: 151]. ამის შემდეგ კი, ზ. ალექსიძემ **Վ** გრაფემა სხვა ტრანსკრიფციით წარმოგვიდგინა – **მუჭ^{1}ურ** (**ჭ^1** – უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ **ჭ** ბგერის რომელიმე ფონეტიკური ვარიანტი იგულისხმება) [ალექსიძე 2003: 155].

ჩვენი აზრით, ზ. ალექსიძის მიერ პალიმფსესტების **Վ** გრაფემის იდენტიფიკაცია მატენედარანის ხელნაწერის N 32 ასო-ბგერასთან არამართებულია. გრაფემა, რომელიც ანბანის N 32-ს ანალოგი უნდა იყოს, სავარაუდოდ დადასტურებულია ეპიგრაფიკაში, კერძოდ – წარწერაში N 2 კრამიტის ნატეხზე.

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი გრაფემა ([illegible]) უნდა იყოს ანბანის N 48 [ლოლუა 2010: 58]; იგივე აზრი ი. გიპერტმა და ვ. შულცემ გამოთქვეს [გიპერტი და სხვ. 2009: II-15].

ზ. ალექსიძის მიერ შემოთავაზებული მაგალითის (**მუჭურ**) მიუხედავად, [illegible] გრაფემის ფონემური ღირებულება როგორც **ჭ** ბგერისა ან მისი ფონეტიკური ვარიანტისა სხვა მაგალითებით დასტურდება, მაგ., [illegible] **კუკუ**($ჭ^ვ$) “ქათამი”, შდრ. უდ. **კოკოჭ** “id”... ეს, თავის მხრივ, ამყარებს [illegible] გრაფემის იდენტიფიკაციას მატენედარანის ნუსხის N 48 “**ჭაჳ**” ასო-ბგერასთან.

N 33 “**შაქ**”. ამ გრაფემის ([illegible]) ფონეტიკური ღირებულება (**შ**) მკვლევართა შორის სადავო არ არის. მხოლოდ ზ. ალექსიძე და ვ. გუკასიანი მას **შ** ბგერის განსხვავებული ჟღერადობის მქონე ვარიანტად მიიჩნევენ: $შ_2$ [ალექსიძე 2003: 99] და $შ^ვ$ [გუკასიანი 1969: 67].

სინური პალიმფსესტების მონაცემები ადასტურებს, რომ აქ გვქონდა “მარტივი” **შ** ბგერა, იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-8].

N 34 “**ჯაჲნ**”. ვ. გუკასიანი აქ დენტოლაბიალიზებულ **ჯ˚** ბგერას ვარაუდობს [გუკასიანი 1969: 67].

გ. კლიმოვისათვის ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] (ა. აბრამიანისა და ს. მურავიოვის მოსაზრებათა შესახებ იხ. N 32 გრაფემის კომენტარი).

ი. გიპერტის აზრით, აქ **ჯ** ბგერის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტი უნდა გვქონდეს ($ჯ^2$).

ზ. ალექსიძემ ამ ასო-ბგერის კომენტარში აღნიშნა, რომ ის არ გვხვდება ალბანური ლექციონარის ტექსტში [ალექსიძე 2003: 99-100], თუმცა მატენადარანის ხელნაწერისა და პალიმფსესტების გრაფემათა შედარებით ტაბულაში მკვლევარმა მოიყვანა მსგავსი მოხაზულობის ნიშანი ალბანური პალიმფსესტებიდან: [illegible] [ალექსიძე 2003: 108].

ზ. ალექსიძის მასაზრება დაზუსტებას საჭიროებს: [illegible] ნიშანი **დ** ბგერას წარმოადგენს და N 4 ასო-ბგერასთან უნდა გაიგივდეს, ხოლო N 34 გრაფემის

ანალოგი პალიმფსესტებში არ დასტურდება [გიპერტი და სხვ. 2009: II-15]. აქედან გამომდინარე, თავს შევიკავებთ ამ გრაფემის ფონემური ღირებულების შესახებ ყოველგვარი მსჯელობისაგან.

N 35 "**უნ**". ამ გრაფემის (**Ⴍ·**) **უ** ბგერის აღმნიშვნელ დიაკრიტიკაში (**Ⴍ·ⴡ**) გამოყენების გამო ყველა სპეციალისტისათვის ცხადი იყო, რომ ანბანში გვქონდა შეცდომა და ეს **ო** ასო-ბგერა უნდა ყოფილიყო.

ეს შეცდომა პირველმა აკ. შანიძემ შეამჩნია და აღნიშნა: "Трудно судить, почему буква O названа Ωւ" [შანიძე 1938: 16].

სინური პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ ეს ვარაუდი საბოლოოდ დადასტურდა, იხ. [ალექსიძე 2003: 100; გიპერტი და სხვ. 2009: II-8-9].

N 36 "**ტაჲ**". ამ და მომდევნო სამ გრაფემასაც (N 36-39) ა. აბრამიანი **ჩ** ბგერის სხვადასხვა ვარიანტებად მიიჩნევს. მკვლევრის აზრით, ერთ-ერთ გადამწერს უცნაურად მოეჩვენა, რომ გვერდიგვერდ ჩამოწერილი იყო ოთხი "**ჩ**" და ისინი შეასწორა ისე, როგორც შემოგვინახა მატენადარანის ხელნაწერმა [აბრამიანი 1964: 32].

ვ. გუკასიანის აზრით, აქ დენტალური რიგის პრერუპტივი (**თ·**) უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67].

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ს. მურავიოვის აზრით, ეს ასო-ნიშანი **ტ** ფონემის ინტენსიური ვარიანტი უნდა იყოს (**ტ·**) [მურავიოვი 1981: 258].

ი. გიპერტი კი პირიქით მიიჩნევს, რომ აქ მარტივი **ტ** ბგერა გვქონდა.

ზ. ალექსიძემ N 36 გრაფემის კომენტარისას აღნიშნა, რომ სინურ პალიმფსესტებში ამ ნიშანთან მიახლოებულიც ასო-ბგერა არ მოიპოვება [ალექსიძე 2003: 100], თუმცა შემდგომ, იმავე ნაშრომში, მკვლევარმა **Ⴂ** ასო-ნიშანი მოიყვანა [ალექსიძე 2003: 109], რომლის იდენტიფიკაცია ანბანის N 36 გრაფემასთან, ჩვენი აზრით, შესაძლებელია.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს ვარაუდით, ეს გრაფემა პალატალიზებულ **ტ́** ბგერას აღნიშნავდა [გიპერტი და სხვ. 2009: II-12-13].

ვფიქრობთ, რომ არ მოგვეპოვება ხელშესახები საბუთები ამდაგვარი დასკვნის გასაკეთებლად. აღსანიშნავია, რომ უდიურში ამ ასო-ბგერას **ჭ** შეესატყვისება, რაც ამ ბგერის პალატალიზებულობის არგუმენტად ვერ გამოდგება. ამასთან, მონათესავე ენებში ეს ასო-ბგერა არ შეესატყვისება **ტ** ბგერას. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებული ამ ბგერის კვალიფიკაცია არამონათესავე ენათა ჩვენებითაც ვერ დასტურდება. ჩვენი აზრით, ამ გრაფემის ფონემური ღირებულების განსაზღვრა ამ ეტაპზე ვარაუდის ფარგლებს ვერ გასცდება, თუმცა მივიჩნევთ, რომ აქ, სავარაუდოდ, უნდა გვქონდეს ინტენსიური **ჭ**: ბგერა.

N 37  "**ხამ**". ა. აბრამიანი ამ გრაფემას გადაბრუნებულ სომხურ չ-ს ამსგავსებს და, შესაბამისად, მას **ჩ** ფონემად მიიჩნევს [აბრამიანი 1964: 32].

თავის გვიანდელ ნაშრომში ალბანურის შესახებ ეს შეხედულება გ. კლიმოვმაც გაიზიარა [კლიმოვი 1990: 497].

ვ. გუკასიანის აზრით კი, აქ ფარინგალური **ʒ** ბგერა უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვის ვარაუდით, ეს გრაფემა ან ინტენსიურ **ხ**:-სა, ანდა **ღ** ბგერას აღნიშნავდა [მურავიოვი 1981: 258].

ზ. ალექსიძე, ჩვენი აზრით, უმართებულოდ აიგივებს სომხურ ხელნაწერთა ანბანის N 37 ასო-ნიშანს პალიმფსესტების **ღ** ბგერის აღმნიშვნელ [illegible] გრაფემასთან [ალექსიძე 2003: 100-101].

ჩვენი დაკვირვებით, ალბანური პალიმფსესტების ტექსტში გვხვდება სხვა გრაფემა – [illegible], რომელიც თითქმის იდენტურია ანბანის N 37 ასო-ნიშნისა, ხოლო ზ. ალექსიძის მიერ შემოთავაზებული გრაფემა ([illegible]) უნდა იდენტიფიცირებული იყოს მატენადარანის ნუსხის N 41 ასო-ბგერასთან [ლოლუა 2010: 60].

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, N 37 გრაფემა, რომელიც მათ მიერ ასევე [illegible] ნიშანთან არის გაიგივებული, **ჶ** ბგერას უნდა აღნიშნავდეს [გიპერტი და სხვ. 2009: II-9]. მათი მოსაზრება იმ ფაქტს ემყარება, რომ უდიურში ამ გრაფემას **ჶ** ბგერა შეესატყვისება, მაგ., [illegible] **ბე'ჶი** "თქვენი", შდრ. უდ. ე'ჶი "id"; [illegible] **ეჶესუნ** "შენახვა", შდრ. უდ. **ეჶსუნ** "id"...

საყურადღებოა, რომ ბიბლიურ საკუთარ სახელებში ბერძნული **φ** ბგერა ალბანურში გადმოცემულია **[illegible]** (**ფ**) ნიშნით, მაგ. ბერძ. Ἰωσήφ – კავკ.-ალბ. **[illegible]//[illegible] იოსეფ**[52] "იოსები"; ბერძ. Στέφανος – კავკ.-ალბ. **[illegible] ისთეფანოს** "სტეფანოზი" და სხვ. ჩვენი აზრით, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ წმინდა წერილის მთარგმნელი კავკასიის ალბანურ ენაზე სომხური ან ქართული დედნით სარგებლობდა. როგორც სომხურსა, ისე ქართულ ენაში **ф** ასო-ბგერა არ მოიპოვებოდა, ხოლო უცხო ენებიდან შესული **ф** ბგერა გადმოიცემოდა **ფ** ბგერის აღმნიშვნელი ასო-ნიშნით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზ. ალექსიძე **[illegible]** ნიშანს აიგივებდა მეტენადარანის ხელნაწერის N 37 ასო-ბგერასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, ვფიქრობთ, რომ მატენადარანის ხელნაწერში უნდა გვქონდეს შეცდომა: ასო-ბგერის სახელწოდებაა *խամ* (**ხამ**). ამ გრაფემის ანალოგი პალიმფსესტებში, როგორც აღინიშნა, უნდა იყოს **[illegible]** ნიშანი. ამ ასო-ბგერას გამოსახავს მატენადარანის ხელნაწერის 142v და ის განლაგებულია ზუსტად ნიშნის თავზე, რომლის სახელწოდებაა *փես* (**ფეს**). ვფიქრობთ, რომ გადამწერებს აერიათ ამ ნიშნების სახელწოდებები, ანდა მათი გრაფიკული ფორმა, თანაც ამ ნიშნებს ისე შეუცვალეს ადგილი, რომ მათვის მიწერილი სახელწოდებები ძველ ადგილას დარჩა. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ **[illegible]** ნიშნის ფონემური ღირებულებაა **ф** ბგერა, ხოლო **[illegible]** ნიშნისა – **ღ**. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი სომხური გრაფიკით ეს ბგერები ზუსტად ასე იქნებოდნენ გადმოცემულნი – **ფ** (Փ) და **ხ** (Խ) ბგერებით. თუ ჩვენი მოსაზრება კორექტულია, მაშინ მატენადარანის ხელნაწერში წარმოდგენილი ალბანური ანბანის დედანი შესრულდა XI ს-მდე, ვიდრე სომხურში გაჩნდებოდა **ღ** ბგერა.

N 38 "**ძაღ**". ვ. გუკასიანისათვის [გუკასიანი 1969: 67], ს. მურავიოვისა [მურავიოვი 1981: 259] და ი. გიპერტისათვის მისაღები იყო მატენადარანის ნუსხის სახელწოდება (**ძ**).

[52] ორივე ფორმას (**[illegible]//[illegible]**), ჩვენი აზრით, იდენტური ჟღერადობა აქვს.

გ. კლიმოვისათვის კი ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძემ ამ ასო-ბგერის კომენტარში აღნიშნა, რომ ის არ გვხვდება ალბანური ლექციონარის ტექსტში [ალექსიძე 2003: 101], თუმცა მატენადარანის ხელნაწერისა და პალიმფსესტების გრაფემათა შედარებით ტაბულაში მან გრაფემა მოიყვანა [ალექსიძე 2003: 108], რომლის იდენტიფიკაცია ანბანის N 38 ასო-ბგერასთან, ჩვენი აზრით, შესაძლებელია.

ი. გიპერტი და ვ. შულცე ასევე აიგივებენ N 38 გრაფემას პალიმფსესტების ნიშანთან, ხოლო მისი ფონემური ღირებულება, მათი აზრით, უნდა იყოს **ძ** ბგერა [გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა ამ გრაფემის ფონემურ ღირებულებას დადგენილად ვერ მივიჩნევთ. ეჭვს აღძრავს ის, რომ კავკასიის ალბანურში მოიპოვება მსგავსი მოხაზულობის გრაფემა (N 12) და ნიშანი, შესაძლებელია, რომ იყოს მისი გრაფიკული ვარიანტი.

ამის მიუხედავად, გვაქვს მცირე რაოდენობის მაგალითები, რომლებიც ასო-ნიშნის ფონემურ ღირებულებას ადასტურებენ, მაგ., **პილინ(ძ)** “სპილენძი”, “ბრინჯაო” < სომხ. Պղինձ, ქართ. სპილენძი.

აღსანიშნავია, რომ **ძ** ბგერა უდიურ ენაში დეზაფრიკატიზაციას განიცდის. ამჟამად უდიურში **ძ** აფრიკატი დადასტურებულია მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში – ევგ. ჯეირანიშვილი ამ ფონემას სულ ოთხ სიტყვაში იმოწმებს: **ძაბრი** “ძაბრი”, **ხაძალ** “ფოთოლი”. **მä̈ნძილ** “მანძილი” და **ღანძილ** “ღანძილი”. ოთხივე მაგალითში მას ფაკულტატურად **ზ** სპირანტი ენაცვლება [ჯეირანიშვილი 1971: 13]. აქედან გამომდინარე, ეს ასო-ნიშანი, რომელიც, სავარაუდოდ, **ძ** ბგერას აღნიშნავს, უდიურში ვერ ჰპოვებს პარალელს.

N 39 “**ჩატ**”. ს. მურავიოვი იზიარებს მატენადარანის ნუსხაში მოცემულ ამ გრაფემის სახელწოდებას (**ჩ**) [მურავიოვი 1981: 259].

ი. გიპერტი მიიჩნევს, რომ აქ უნდა გვქონდეს **ჩ** ბგერის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტი (**ჩ²**).

ვ. გუკასიანის აზრით კი, აქ შიშინა აფრიკატთა რიგის პრერუპტივი (ჩ·) უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67].

გ. კლიმოვისთვის ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დასაბუთდა, რომ ამ გრაფემით (ɔ) ჩ ფონემა აღინიშნებოდა, იხ. [ალექსიძე 2003: 101; გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

N 40. "პენ". ამ გრაფემის (ჵ) ფონემურ ღირებულებას მატენადარანის ნუსხის მიხედვით (პ) მკვლევართაგან ეჭვქვეშ არავინ აყენებს და ამასვე ადასტურებს სინური პალიმფსესტების მონაცემები, იხ. [ალექსიძე 2003: 101-102; გიპერტი და სხვ. 2009: II-9]. მხოლოდ ვ. გუკასიანი მიიჩნევს, რომ აქ ბილაბიალური რიგის პრერუპტივი (ფ·) უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67].

N 41  "ფეს". ა. აბრამიანი სომხურის ანბანთრიგიდან გამომდინარე ვარაუდობს, რომ ეს გრაფემა (ـ) ჯ-ს უნდა აღნიშნავდეს. მისი გრაფიკული პროტოტიპი კი, როგორც მკვლევარს მიაჩნია, არის სომხური Ջ ინვერსიულ მდგომარეობაში [აბრამიანი 1964: 32-33].

ა. აბრამიანის მოსაზრება ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობის შესახებ გ. კლიმოვმაც გაიზიარა [კლიმოვი 1990: 497].

ვ. გუკასიანის აზრით, აქ ბაგისმიერთა რიგის აბრუპტივი (პ) უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვი ნაწილობრივ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მისი ვარაუდით, ეს გრაფემა ინტენსიურ პ·-ს აღნიშნავდა [მურავიოვი 1981: 259].

ზ. ალექსიძის აზრით, ეს გრაფემა პალიმფსესტებში არ გვხვდება [ალექსიძე 2003: 101] (ამ ასო-ბგერის შესახებ იხ. N 37 გრაფემის კომენტარი).

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დასაბუთდა, რომ ამ გრაფემით (ـ) ღ ფონემა აღინიშნებოდა, იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-9].

N 42 "კატ". ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა (ﻠ) სომხური ռ-ს (ჲ) ბადალ ბგერას აღნიშნავდა [აბრამიანი 1964: 33].

გ. კლიმოვისა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] და ი. გიპერტის ვარაუდით კი, აქ გვქონდა სომხური ր-ს (რ) და არა ռ-ს ჟღერადობის მქონე ბგერა.

ვ. გუკასიანმა არ შეცვალა ანბანში წარმოდგენილი სახელწოდება. მისი აზრით, ეს გრაფემა უკანაენისმიერთა რიგის აბრუპტივი იყო (**კ**) [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვის ვარაუდით, ეს გრაფემა ლაბიალიზებულ **ყ**̊-ს (სავარაუდოდ) ან **კ**̊-ს აღნიშნავდა [მურავიოვი 1981: 259].

სინური პალიმფსესტების მონაცემებით დამტკიცდა, რომ აქ **რ** ფონემა გვქონდა, იხ. [ალექსიძე 2003: 102; გიპერტი და სხვ. 2009: II-9].

N 43 "**სჩკ**". ყველა სპეციალისტმა გაიზიარა ანბანში მოცემული მნიშვნელობა (**ს**). მხოლოდ ვ. გუკასიანის აზრით, აქ ინტენსიური **ს**჻ გვქონდა [გუკასიანი 1969: 67].

ამ გრაფემის (**ħ**) ფონემური ღირებულება "მარტივი" **ს** ბგერის სახით დადასტურდა ალბანური პალიმფსესტების მონაცემებით, იხ. [ალექსიძე 2003: 102-103; გიპერტი და სხვ. 2009: II-9].

N 44 "**ვჩზ**". ა. აბრამიანი ამ გრაფემის (**ⱶ**) ფონემურ ღირებულებას წარმოგვიდგენს ჵ ბგერის სახით [აბრამიანი 1964: 33].

თავის გვიანდელ ნაშრომში ალბანურის შესახებ ეს მოსაზრება გ. კლიმოვმაც გაიზიარა [კლიმოვი 1990: 497].

ვ. გუკასიანი [გუკასიანი 1969: 67], ს. მურავიოვი [მურავიოვი 1981: 259] და ი. გიპერტი დაეთანხმნენ ანბანში მოცემულ ფონემურ ღირებულებას (**ვ**), რაც სინური პალიმფსესტების მონაცემებით დადასტურდა, იხ. [ალექსიძე 2003: 103; გიპერტი და სხვ. 2009: II-9].

N 45  "**ტივრ**". გ. კლიმოვის გარდა, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა ამ გრაფემის ფონემური ღირებულება [კლიმოვი 1984: 13], ყველა დანარჩენი სპეციალისტისათვის ეს არის **ტ** ბგერა. თავის გვინდელ ნაშრომში ალბანურის შესახებ ეს მოსაზრება გ. კლიმოვმაც გაიზიარა [კლიმოვი 1990: 497].

უნდა აღინიშნოს, რომ მატენადარანის ხელნაწერში N 45 ასო-ბგერა ძალზე დამახინჯებული ფორმით გვხვდება, მაგრამ, მასთან მაინც შესაძლებელია

პალიმფსესტების ერთ-ერთი გრაფემის (ჯ) დაკავშირება და ის, უეჭველად, **ტ** ფონემას აღნიშნავს, იხ. [ალექსიძე 2003: 103; გიპერტი და სხვ. 2009: II-9-10].

N 46 "**სოჲ**". ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა წინა ასო-ბგერის (**ტ**) ფონეტიკურად განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენდა [აბრამიანი 1964: 33].

ვ. გუკასიანის ვარაუდით, აქ "მარტივი" **ს** ბგერა გვქონდა [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვის აზრით კი, აქ ინტენსიური **სး** ბგერა უნდა ყოფილიყო [მურავიოვი 1981: 259].

გ. კლიმოვისა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497] და ზ. ალექსიძესათვის [ალექსიძე 2003: 103-104] ამ ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობი იყო.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აქ გვქონდა „პოსტალვეოლარული" **შ́** [გიპერტი და სხვ. 2009: II-10], თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უდიურში ეს გრაფემა შეესატყვისება ველარიზებულ **შ˜**-ს: **ზႲႨႢ** (**შ˜**)**უმ** "პური", შდრ. უდ. **შ˜უმ** "id"; **ჯზჲ ე**(**შ˜**)**ა** "შემდეგ", შდრ. უდ. **ოშ˜ა** "id"... აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს ასო-ნიშანი სწორედ ამ ბგერას გადმოსცემდა.

N 47 "**იოწ**". ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა მარტივ **რ** ბგერას აღნიშნავდა, როგორც სომხურში ր [აბრამიანი 1964: 33].

ამ მოსაზრებას ვ. გუკასიანიც დაეთანხმა [გუკასიანი 1969: 67].

ს. მურავიოვის ვარაუდით, აქ ან ე. წ. ირაციონალური **გ** უნდა ყოფილიყო, ანდა ფარინგალიზებული **ი**ʻ [მურავიოვი 1981: 259].

გ. კლიმოვის აზრით, ეს გრაფემა ფარინგალიზებულ **ო**ʻ ბგერას აღნიშნავდა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძემ ვერ დაადასტურა N 47-ს შესატყვისი ნიშანი პალიმფსესტებში [ალექსიძე 2003: 104].

მატენადარანის ხელნაწერის ანბანში N 25 და N 47 გრაფემების მოხაზულობა თითქმის იდენტურია. ჩვენი აზრით, რომელიც ნაწილობრივ წარმოგიდგინეთ N 25 ასო-ბგერის კომენტარისას, ზ. ალექსიძე, ი. გიპერტი და ვ. შულცე ** υ** გრაფემას უმართებულოდ აიგივებენ N 25-თან. ნიშანი, რომელიც, ზ. ალექსიძის აზრით, **ǯ** ბგერაა, ხოლო ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით – **ა̊**

ფონემაა, **ǂ** (ჵ̂) დიაკრიტიკასთან თავისი ხშირი გამოყენების გამო პარალელიზმს ავლენს **ო** ბგერის აღმნიშვნელ **ʊ-** გრაფემასთან. თავის მხრივ, **ʊ̃ǂ** დიგრაფს, რომელიც ალბანურ ხელნაწერ და ეპიგრაფიკულ მასალაში თავისი გამოყენების სიხშირით ზოგიერთ “მარტივ” ხმოვანს აღემატებოდა, ზ. ალექსიძე **ჳჵ̂** დიფთონგად მიიჩნევდა [ალექსიძე 2003: 151], ხოლო ი. გიპერტი და ვ. შულცე – **ჵ̈** ბგერად [გიპერტი და სხვ. 2009: II-11-12].

როგორც N 25 გრაფემის კომენტარში აღინიშნა, **ʊ̃** გრაფემა, ჩვენი აზრით, **ო**‘ ბგერას აღნიშნავდა, ხოლო **ʊ̃ǂ** დიგრაფი – ფარინგალიზებულ **უ**‘-ს. თავის მხრივ, **ʊ̃** ნიშანი უნდა იყოს იდენტიფიცირებული მატენადარანის ნუსხის N 47 გრაფემასთან.

N 48  “**წავ**”. ამ და მომდევნო გრაფემასაც (N 48-49) ა. აბრამიანი **ც** ფონემის ვარიანტებად მიიჩნევს [აბრამიანი 1964: 33].

ვ. გუკასიანმა [გუკასიანი 1969: 67] და ი. გიპერტმა გაიზიარეს ანბანში წარმოდგენილი სახელწოდება. მათი აზრით, ეს გრაფემა სისინა აფრიკატთა რიგის აბრუპტივს (**წ**) აღნიშნავდა.

ს. მურავიოვი აქ ვარაუდობს **რ** ფონემას [მურავიოვი 1981: 259].

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უცნობი იყო [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

ზ. ალექსიძის აზრით, სინურ პალიმფსესტებში არ მოგვეპოვება ანბანის N 48-ს ანალოგი [ალექსიძე 2003: 104].

ი. გიპერტი და ვ. შულცე კი, როგორც აღინიშნა, მიიჩნევენ, რომ პალიმფსესტებში ამ გრაფემის ანალოგია **Ͳ** ნიშანი, ხოლო მისი ფონემური ღირებულება უნდა იყოს პალატალიზებული **წ̃** ბგერა [გიპერტი და სხვ. 2009: II-15], თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრებმა არ წარმოადგინეს დამადასტურებელი მასალა, რომელიც ამ ბგერის პალატალიზებულობას წარმოაჩენდა.

ჩვენ აზრით, N 48 ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება უნდა იყოს **წ:** (იხ. N 19 და N 32 გრაფემების კომენტარები).

N 49 “**ცაჲნ**”. ვ. გუკასიანის გარდა, რომლის აზრით, აქ სისინა აფრიკატთა რიგის პრერუპტივი (ც‧) უნდა გვქონდეს [გუკასიანი 1969: 67], ყველა დანარჩენი სპეციალისტისათვის ეს არის **ც** ბგერა და სინური პალიმფსესტების მონაცემები ამ მოსაზრებას უეჭველად ადასტურებს, იხ. [ალექსიძე 2003: 104; გიპერტი და სხვ. 2009: II-14].

N 50 “**ჲაჲდ**”. ამ გრაფემის ([illegible]) **უ** და **უ‘** ბგერების აღმნიშვნელ დიგრაფებში ([illegible]; [illegible]) მონაწილეობის გამო ყველა მკვლევრისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ანბანში გვქონდა შეცდომა და ეს ნიშანი **ჳ̂**-ს აღნიშნავდა.

სინურ პალიმფსესტებში ეს გრაფემა, როგორც წესი, [illegible] (ო)//[illegible] (ო‘) ასო-ბგერებთან კომბინაციაში გვხვდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, [illegible] დიგრაფი **უ** ბგერას გადმოსცემდა, ხოლო [illegible] – მის ფარინგალიზებულ ვარიანტს (**უ‘**). იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ეს ნიშანი ცალკე გვხვდება, მისი ფონემური ღირებულება უნდა იყოს ბილაბიალური **ჳ̂** ბგერა, რის შესახებაც პალიმფსესტების მონაცემები მეტყველებს, იხ. [ალექსიძე 2003: 105; გიპერტი და სხვ. 2009: II-10].

N 51 “**ფიჳრ**”. ა. აბრამიანმა [აბრამიანი 1964: 33], ვ. გუკასიანმა [გუკასიანი 1969: 67] და ს. მურავიოვმა [მურავიოვი 1981: 259] გაიზიარეს ანბანში მოცემული სახელწოდება.

გ. კლიმოვის აზრით კი, ეს გრაფემა **ფ̣** ბგერას აღნიშნავდა [კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497].

სინური პალიმფსესტების მონაცემები ადასტურებს, რომ ამ ნიშნით ([illegible]) ფშვინვიერი ლაბიალური ხშულ-მსკდომი (**ფ**) გადმოიცემა, იხ. [ალექსიძე 2003: 105; გიპერტი და სხვ. 2009: II-10].

N 52 “**ქიჳ**”. ყველა მკვლევარმა გაიზიარა ანბანში წარმოდგენილი ფონემური ღირებულება (**ქ**), ხოლო სინური პალიმფსესტების მონაცემებით აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა, იხ. [ალექსიძე 2003: 105; გიპერტი და სხვ. 2009: II-10].

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა სპეციალისტმა ყოველგვარი ეჭვის გარეშე გააიგივა მინგეჩაურის წარწერებსა და პალიმფსესტებში

დადასტურებული ჯვრის ერთ-ერთი ფორმის (crux immissa) მქონე † გრაფემა მატენადარანის ნუსხის N 52 ჶ გრაფემასთან. უდავოა, რომ პალიმფსესტების † ასო-ბგერა ქ ფონემას აღნიშნავს, მაგრამ შესაძლებელია კი მისი იდენტიფიკაცია ანბანის N 52-თან?

ამ პრობლემის გადასაწყვეტად რამდენიმე შესაძლებლობის განხილვა გვესახება მიზანშეწონილად:

1. გადამწერებს აერიათ კავკასიის ალბანური ანბანის N 51 და N 52 გრაფემები ისე, რომ მათი სახელწოდებები ძველ ადგილას დარჩა (N 51 მოხაზულობით სომხურ Ք-ს წააგავს. საფიქრებელია, რომ მანამდე ერთ-ერთმა გადამწერმა მცდარად გადმოსახა N 52 ფორმა, ანუ იდენტური ჟღერადობის მქონე სომხურ ასო-ნიშანს მიამსგავსა, რისი მაგალითებიც მატენადარანის ხელნაწერის ნუსხაში მრავლად მოგვეპოვება).

2. კავკასიის ალბანურ ანბანს ჶ ასო-ბგერის მსგავსი მოხაზულობის მქონე გრაფემა ჰქონდა, რომელსაც შეცდომით ქ გრაფემის სახელწოდება მიეწერა უკანასკნელი გრაფემის (ქ – †) ანბანის ნუსხიდან ამოვარდნის შემდეგ.

3. ეს ასო-ბგერა უნდა იყოს იდენტიფიცირებული ანბანის N 24 გრაფემასთან[53].

ჩვენ პირველი ვარაუდი მიგვაჩნია მართებულად.

---

[53] ეს ვარაუდი ს. მურავიოვს ეკუთვნის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი N 24 ასო-ნიშანს არ უცვლის ფონემურ ღირებულებას – მისთვის ის ჳ ფონემას წარმოადგენს. თავის მხრივ, N 52 ასო-ბგერის ანალოგი, მკვლევრის აზრით, მინგეჩაურის წარწერებში არ დასტურდება, თუ არ ჩავთლით ერთ შემთხვევას, როდესაც მკვლევარმა ჯვრის პოსტამენტის “დიდ” ლაპიდარულ წარწერაში მცდარად ივარაუდა ერთ-ერთი დაზიანებული ნიშნის ადგილას Φ ასო-ბგერის ფორმის მქონე გრაფემის არსებობა [მურავიოვი 1981: 288-290].

კავკასიის ალბანური ანბანის ნიშანთა ფონემური ღირებულება

N 7117 ხელნაწერი	სახელწოდება	პალიმფსესტები	ფონემური ღირებულება	ა. აბრამიანი	გ. კლიმოვი	ს. მურავიოვი	ვ. გუკასიანი	ზ. ალექსიძე	ი. გიპერტი, ვ. შულცე
𐔰	ალთ	𐔰	ა	ა	ა	ა	აʻ	ა	ა
𐔱	ოდეთ	𐔱	ბ	ბ	ბ	ოʻ	ბ	ბ	ბ
𐔲	ზიმ	𐔲	გ	გ	გ	ბ	გ	გ	გ
𐔳	გატ	𐔳	დ	დ	დ	გ	ღ	?	დ
𐔴	ცბ	𐔴	ე	ე	ე	ე||ეʻ	ე	ე	ე
𐔵	ზარლ	𐔵	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ
𐔶	ენ	𐔶	ეჲ (/ე)	ē	ეʻ	ეʻ||ე	ეʻ	ē	ეჲ (/ē)
𐔷	ჟილ	𐔷	ჟ	ჷ	ჷ	ჟჾ	ჟ	ჟ	ჟ
𐔸	თას	𐔸	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ
𐔹	ჭა	𐔹	ჭ̃	ჟ	ჟ	ჭჾ	ჭ	?	ჭ́
𐔺	ჲუდ	𐔺	ჲ	ი	ჲ	ჲ||ჲჾ	ჲ	ჲ	ჲ
𐔻	ჟა	𐔻	ჟ̃	ი	?	ჟ	ჟჾ	ჟ?	ჟ́
𐔼	ირბ	𐔼	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი
𐔽	შა	𐔽	[ʻ] (/შჾ)	ლ	?	შჾ	შ	შ	ჵ
𐔾	ლან	𐔾	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ
𐔿	ინა	𐔿	ნ́	ხ	?	იʻ||ჷ	იʻ	?	ნ́
𐕀	ხცნ	𐕀	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ჴ//ხ¹	ხ́
𐕁	დან	𐕁	ჯ	ხ	?	დ	დ	დ	დ́
𐕂	ჭარ	𐕂	წ	წ	წ	წ	ჩ̕°	ჭ?	წ
𐕃	ზოხ	𐕃	ჯ̃	წ	?	ზჾ	ზჾ	ზ?	ჯ́
𐕄	კარ	𐕄	კ	კ	კ	კ	ქ̕	კ	კ
𐕅	ლიტ	𐕅	ლ́	ჰ	?	ლʻ	ლ́	?	ლ́
𐕆	ჰცტ	𐕆	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ̕	ჰ	ჰ
𐕇	ჰაჲ	𐕇	ჴ	ძ	?	ჰჾ	ჰ	?	ხ/ჴ
𐕈	არ			ა̈	ძ	აʻ	ა	ā	ა°
𐕉	ცოჲ	𐕉	ჩ̃	ო̈	?	ჲჾ||ჲ	ც	ც?	ჩ́
𐕊	ჭი	𐕊	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ°	ჭ	ჭ
𐕋	ჩაჲ		?	ღ	?	ჩჾ	ჩ	?	*ც́

N 7117 ხელნაწერი	სახელწოდება	პალიმფსესტები	ფონემური ღირებულება	ა. შანიძე	ბ. კლიმოვი	ს. მურავიოვი	ვ. გუკასიანი	ზ. ალექსიძე	ი. გიპერტი, ვ. შულცე
	მაკ	𐕌	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
	კარ	𐕍	ყ	ჲ	?	კ°‖ყ°	ყ	ყ	ყ
	ნუც	𐕎	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
	ჯაჲ		?	შ	?	ჯ‖ჯð	ჯ	ჩ1//ჯ	*ძ̆
	შაქ	𐕐	შ	შ	შ	შ	შð	შ2	შ
	ჯაჲნ		?	შ	?	ჯð‖ჯ	ჯ°	?	*ჯ
	ჳნ	𐕒	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო
	ტაჲ	𐕓	ჭð	ჩ	?	ტð	თʾ	?	ტ̆
	ხამ	𐕔	ფ	ჩ	ჩ	ხð‖ღ	ჴ	ღ	ფ
	ძაჲ	𐕕	ძ	ჩ	?	ძ	ძ	ძ?	ძ
	ჩატ	𐕖	ჩ	ჩ	?	ჩ	ჩʾ	ჩ	ჩ
	პენ	𐕗	პ	პ	პ	პ	ფʾ	პ	პ
	ფეს	𐕘	ღ	ჯ	ჯ	პð	პ	ფ?	ღ
	კატ	𐕙	რ	რ̥	რ	ყ°‖კ°	კ	რ	რ
	სჩკ	𐕚	ს	ს	ს	ს	სð	ს	ს
	ვჩზ	𐕛	ვ	ჳ̂	ჳ̂	ვ	ვ	ვ	ვ
	ტივრ	𐕜	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ
	სოჲ	𐕝	შ̃	ტ	?	სð	ს	ს?	შ̆
	იონ	𐕞	ოʻ	რ	ოʻ	იʻ‖ჷ	რ	?	(ჳ̈)
	წავ	𐕟	წð	ც	?	რ	წ	?	წ̆
	ცაჲნ	𐕠	ც	ც	ც	ც	ცʾ	ც	ც
	ჲაჲდ	𐕡	ჳ̂	ჳ̂	ჳ̂	ჳ̂	ჳ̂	ჳ̂	(ჳ̂)
	ფივრ	𐕢	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
	ქივ	𐕣	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
		𐕒𐕡	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ
		𐕞𐕡	ჳʻ		ჳʻ			̄ŏჳ̂	ჳ̈
			აʻ						ჶა
			ეʻ						ჶე
			იʻ						ჶი

შენიშვნა: ა. აბრამიანის მოსაზრებები მოგვყავს მისი ნაშრომის მიხედვით – Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964;

ვ. გუკასიანისა – Гукасян В. Л., Опыт дешифровки албанских надписей Азербайджана, Известия Академии наук Азербайджанской ССР, № 2, Баку, 1969;

გ. კლიმოვისა – Климов Г. А., О составе агванского (кавказско-албанского) алфавита, Известия АН СССР. Серия литературы и языка, т. 49, № 6, 1990;

ს. მურავიოვისა – Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской письменности, იკე-ს წელიწდეული, № 8, 1981;

ზ. ალექსიძისა – ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებები და პალიმფსესტების გრაფემათა მოხაზულობა – J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze, J.-P. Mae, The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai, Brepols, 2009.

მატენადარანის N 7117 ხელნაწერის ნუსხის გრაფემათა მოხაზულობა – Шанидзе А. Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Известия Института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, № 4, р. 1. Тбилиси, 1938.

1.6. ძირითადი ფონეტიკური პროცესები.

კავკასიის ალბანური ენის შესწავლის დღევანდელი დონე არ გვაძლევს საშუალებას, რომ მასში მომხდარი ფონეტიკური პროცესები დამაკმაყოფილებლად აღვწეროთ. თუმცა, ამის მიუხედავად, შეინიშნება რამდენიმე გავრცელებული პროცესი:

1.6.1. ხმოვანთა რედუქცია (შეკუმშვა)

რედუქცია გავრცელებული მოვლენაა კავკასიის ალბანურში. რედუქცია ხშირად ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ირიბ ბრუნვათა ფორმებში, მაგ.:

ტურ-ღ-ოჴოც "მდინარეთაგან < **ტურ-უღ-ოჴოც**; **დე-რ-ღ-ოჴ** "მამებს" < **დე-რ-უღ-ოჴ**; **ღი-რ-ღ-ოჲ** "დღეების" < **ღი-რ-უღ-ოჲ**...

1.6.2. **ხმოვანთა შეკვეცა**

ხმოვანთა შეკვეცა კავკასიის ალბანურში ძირითადად დაკავშირებულია მორფოლოგიურ მოვლენებთან. როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი ერთნაირი ხმოვანი – ფუძისეული და ფორმანტისეული, როგორც წესი, ერთ-ერთი ამოიღება, ანუ მორფემათა გასაყარზე მიღებული გრძელი ხმოვნის გამარტივება ხდება, მაგ.:

დე "მამამ", "მამას" (< **დე-ე**); **ნე** "დედამ", "დედას" (< **ნე-ე**); **წე** "ცეცხლს" (**წე-ე**); **ელი**(**ჲ**)**ა** "ელიას" (< **ელი**(**ჲ**)**ა-ა**); **წა** "ზღვას", "ტბას" (< **წა-ა**; დასრურდება **წა-ჲ-ა**); **იშუ** "კაცს" (< **იშუ-უ**), **ხიშ̃უ** "ქალს" (< **ხიშ̃უ-უ**), **ნაიშ̃უ** "მსახურს" (< **ნაიშ̃უ-უ**)...

იშვიათად კი – ხდება ფუძის ბოლოკიდური (განსხვავებული) ხმოვნის ამოღება, მაგ.:

ღე "დღეს" (< **ღი-ე**; აბს. **ღი**; დასტურდება ასევე **ღი-ჲ-ა**).

1.6.3. **ხმოვანთა ასიმილაცია**

კავკასიის ალბანურში შეინიშნება ხმოვანთა სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია. დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაცია. სრული ასიმილაცია, როგორც წესი, კონტაქტურია, ხოლო ნაწილობრივი – დისტანციური.

ხშირია ბაგისმიერი ხმოვნების (**ო**, **უ**) მიერ **ა** და **ე** ხმოვნების რეგრესული ასიმილირება. როგორც წესი, ამას მოსდევს მიღებული გრძელი ხმოვნის გამარტივება, მაგ.: **სომ** < **სო-ომ** < **სა-ომ** "ერთხელ"; **პო'მუნ** < **პო'-ომ-უნ** < **პა'-ომ-უნ** „ისევ", „სხვა" (ზედმიწ. „მეორეჯერ");

პროგრესული ასიმილაცია კავკასიის ალბანურში მრავლობითი რიცხვის წარმოებისას სისტემატურად დასტურდება ირიბ ბრუნვათა ფორმანტებში (**უ...ა**//**უ...ე** > **უ...ო**). ხშირია შემთხვევები, როდესაც ასიმილაციის გამომწვევი **უ** ბგერა რედუცირებულია, მაგ.:

ანგელოს-**უღ-ონ** “ანგელოზებმა” < *ანგელოს-**უღ-ენ**, ფარისა-**უღ-ონ** “ფარისეველებმა” < *ფარისა-**უღ-ენ**, ზადოკა-**უღ-ონ** “სადუკეველებმა” < * ზადოკა-**უღ-ენ**, ვაჩარ-**უღ-ოჲ** “იუდეველების” < *ვაჩარ-**უღ-აჲ**, სამარა-**უღ-ოჲ** “სამარიტელების” < *ვაჩარ-**უღ-აჲ**, მარღავენ-**უღ-ოჲ** “მოციქულების” < *მარღავენ-**უღ-აჲ**, ანგელოს-**უღ-ო** “ანგელოზებს” < *ანგელოს-**უღ-ა**, აშარკეტ-**უღ-ო** “მოწაფეებს” < *აშარკეტ-**უღ-ა**, ტურ-**ღ-ო**ხოც “მდინარეთაგან < *ტურ-**უღ-ა**ხოც; დე-რ-ღ-**ოხ** “მამებს” < *დე-რ-**უღ-ახ**; ღი-რ-ღ-**ოჲ** “დღეების” < *ღი-რ-**უღ-აჲ**...

ასევე დასტურდება **ი/ჲ** გავლენით **ა** > **ე** როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ასიმილაცია, მაგ.: **ვიჩი-ჲ-ე** “ძმას” < **ვიჩი-ჲ-ა** (ორივე ფორმა დასტურდება); **იჩ-ეჲ** “თავისი” < **იჩ-აჲ** (ორივე ფორმა დასტურდება)...

1.6.4. **დიფთონგიზაცია**

დიფთონგიზაცია კავკასიის ალბანურში გავრცელებული პროცესია. ის ასევე ძირითადად დაკავშირებულია მორფოლოგიურ მოვლენებთან – იგი, როგორც წესი, ვითარდება ინლაუტში (ეპენთეზა), ინტერვოკალურ პოზიციაში მორფემათა გასაყარზე, მაგ.:

ვიჩი-ჲ-ე “ძმამ”, “ძმას”, **ვიჩი-ჲ-ეჲ** “ძმის”, **ვიჩი-ჲ-ა** “ძმას” (აბს. **ვიჩი**); **წა-ჲ-ა** “ზღვას”, “ტბას” (აბს. **წა**); **შა-ჲ-ე** “ქალიშვილმა” (აბს. **შა**); **ღი-ჲ-ა** “დღეს” (აბს. **ღი**); **ეკლესი**-(**ჲ**)-ა “ეკლესიას” (აბს. **ეკლესი**)...

1.7. **ზოგადი დასკვნები.**

შეგვიძლია დადგენილად მივიჩნიოთ კავკასიის ალბანური ანბანის 33 გრაფემის ფონემური ღირებულება:[54] N 1 𐔰 (ა); N 2 𐔱 (ბ); N 3 𐔲 (გ); N 4 𐔳 (დ); N 5 𐔴-

[54] „ალბანური პალიმფსესტების“ ავტორები თვლიან, რომ დადგენილია კავკასიის ალბანური ანბანის 29 ასო-ნიშნის ფონემური ღირებულება. ჩამონათვალისთვის (N 1-7, 9, 11, 13, 15, 21, 23, 29-31, 33, 35, 37, 40-46, 50-52) იხ. [გიპერტი და სხვ. 2009: II-6-10]. შდრ., აგრეთვე, ტ. მაისაკის მოსაზრებას: «Из 52 кавказско-албанских букв бесспорно могут быть идентифицированы фонетические значения 29 букв ... Для остальных 23 символов определение значений менее очевидно, поскольку они отсутствуют в заимствованиях и словах с удинскими эквивалентами, не имеют соответствий в армянском и грузинском алфавитах, редко встречаются (три буквы не отмечены в палимпсестах ни разу), а, кроме того, некоторые из «проблематичных» букв слишком похожи и не всегда различимы в рукописи» [მაისაკი 2010: 97].

(ე); N 6 𐔵 (ზ); N 8 𐔷 (ჟ); N 9 𐔸 (თ); N 11 𐔺 (ჲ); N 13 𐔼 (ი); N 15 𐔾 (ლ); N 17 𐕀 (ხ); N 21 𐕄 (კ); N 23 𐕆 (ჰ); N 27 𐕊 (ჭ); N 29 𐕌 (მ); N 30 𐕍 (ყ); N 31 𐕎 (ნ); N 33 𐕐 (შ); N 35 𐕒 (ო); N 37 𐕔 (ჶ); N 39 𐕖 (ჩ); N 40 𐕗 (პ); N 41 𐕘 (ღ); N 42 𐕙 (რ); N 43 𐕚 (ს); N 44 𐕛 (ვ); N 45 𐕜 (ტ); N 47 𐕞 (ო‘); N 49 𐕠 (ც); N 50 𐕡 (ჳ); N 51 𐕢 (ფ); N 52 𐕣 (ქ).

უ ბგერა და მისი ფარინგალიზებული ვარიანტი (უ‘) დიგრამებით გადმოიცემოდა: 𐕒𐕡 (N 35+N 50); 𐕞𐕡 (N 47+N 50).

დამაჯერებელია, რომ N 18 𐕁 **ჯ** ბგერას აღნიშნავს, ხოლო N 38 𐕕 – **ძ**-ს.

უეჭველია, რომ N 19 𐕂 და N 48 𐕟 ნიშნები **წ** ბგერას გადმოსცემს, თუმცა დასაზუსტებელია მათი ფონემური ღირებულება. ჩვენი აზრით, 𐕂 **წ** ბგერაა, ხოლო 𐕟 – **წ̄**.

ამ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ ველარიზებულ (ფარინგალიზებულ) შიშინათა რიგი, რომელიც, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, „პოსტალვეოლარულ“ (ტრანსკრიფციის მიხედვით – ალვეო-პალატალური, იხ. სქოლიო N 17) რიგს წარმოადგენს [გიპერტი და სხვ. 2009: II-17]: N 10 𐔹 (ჭ̄); N 12 𐔻 (ჟ̄); N 20 𐕃 (ჯ̄); N 26 𐕉 (ჩ̄); N 46 𐕝 (შ̄).

კავკასიის ალბანური ანბანის ზოგიერთი ასო-ბგერა პოლიფუნქციურობით გამოირჩეოდა:

N 7 𐔶, როგორც აღინიშნა, **ეჲ** დიფთონგს გადმოსცემდა; ამასთან ერთად, ეს ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში η გრაფემას შეესატყვისებოდა და ამ შემთხვევაში მისი ფონემური ღირებულება **ე** ბგერით უნდა განისაზღვროს.

N 14 ასო-ბგერა (𐔽) ოდენ ფარინგალიზაციაზე მიგვითითებდა. ეს ნიშანი **ა** (𐔰), **ე** (𐔴) და **ი** (𐔼) ხმოვნებთან (იშვიათად – **ო** (𐕒) და **უ** (𐕒𐕡) ასო-ბგერებთანაც) ჰქმნიდა გრაფიკულ კომპლექსებს და მას, ამ შემთხვევაში ფონემის სტატუსი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა რამდენიმე ლექსემის ინტერვოკალურ პოზიციაში ეს ნიშანი **შ̄** ბგერას (ან **შ** ბგერის სხვა რომელიმე ვარიანტს) აღნიშნავდა.

დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს და ამ ეტაპზე დადგენილად ვერ ჩაითვლება ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებული შემდეგი ასო-

ნიშნების ფონემური ღირებულება: N 16 𐔿, N 22 𐕅 (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიხედვით ნ́ და ლ ბგერებია). ამას გარდა, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ ნავარაუდევი ფონემური კვალიფიკაციებიდან ვერ გავიზიარებთ შემდეგ მნიშვნელობებს: N 10 𐔹 (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით – ჭ́; ჩვენი აზრით კი – ჭ̃); N 12 𐔻 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ჟ́; ჩვენი აზრით – ჟ̃); N 17 𐕀 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ხ́; ჩვენი აზრით – ხ); N 18 𐕁 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – დ́; ჩვენი აზრით – ჯ); N 19 𐕂 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – წ; ჩვენი აზრით – წ̣); N 20 𐕃 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ჯ́; ჩვენი აზრით – ჯ̃); 𐕈[55] (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ა̊; ჩვენი აზრით – ო‘); 𐕈𐕒 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – უ̈; ჩვენი აზრით – უ‘); N 26 𐕉 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ჩ́; ჩვენი აზრით – ჩ̃); N 36 𐕓 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ტ́; ჩვენი აზრით – ჭ̣); N 46 𐕝 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – შ́; ჩვენი აზრით – შ̃); N 48 𐕟 (ი. გიპერტი, ვ. შულცე – წ́; ჩვენი აზრით – წ̣). ასევე ვერ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებას ს გრაფემის შესახებ; პატივცემული მკვლევრების აზრით, ეს გრაფემა მჟღერ ფარინგალურ თანხმოვანს (ჵ) აღნიშნავს, რომელიც ფარინგალიზაციის მიზეზი იყო, ჩვენი აზრით კი, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში არ წარმოადგენდა სეგმენტურ თვისებას და, ამდენად, ს ნიშანს არ მოეპოვებოდა ფონემის სტატუსი. ამას გარდა, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ɛ ნიშანი ძირითად ფონემურ მნიშვნელობასთან (ეჲ) ერთად ჴ ხმოვნის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა, რასაც ვერ გავიზიარებთ. ასევე, ვერ დავეთანხმებით, რომ N 24 𐕇 ნიშანს ჰქონდა ორგვარი ფუნქცია: ჴ და ხ ბგერების გადმოცემა. ვფიქრობთ, რომ ის მხოლოდ ჴ ბგერას აღნიშნავდა.

ამ ეტაპზე ხერხდება პალიმფსესტების 48 გრაფემის იდენტიფიკაცია მატენადარანის ხელნაწერის ნიშნებთან. N 7117 ხელნაწერის ოთხი გრაფემა არ არის დადასტურებული პალიმფსესტებში, ესენია: N 25, N 28, N 32 და N 34. აქედან

[55] ჩვენ არ ვიზიარებთ ამ გრაფემის ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებულ გრაფიკულ იდენტიფიკაციას როგორც კავკასიის ალბანური ანბანის N 25 ასო-ბგერისა. ჩვენი აზრით, 𐕈 ნიშანი უნდა იყოს გაიგივებული მატენადარანის ნუსხის N 47 ნიშანთან.

ერთი ნიშანი (N 32), სავარაუდოდ, დასტურდება კავკასიის ალბანურ ეპიგრაფიკაში.

კავკასიის ალბანური ტექსტების ამოკითხვის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე უეჭველია, რომ მატენადარანის ხელნაწერში მოცემულ ასო-ბგერათა ფონემური ღირებულება უნდა დაზუსტდეს თოთხმეტ შემთხვევაში (მაშინდელი სომხური გრაფიკის შესაძლებლობათა გათვალისწინებით): N 2 𐔱 (ო > ბ (ո > բ)); N 3 𐔲 (ზ > გ (գ > գ)); N 4 𐔳 (გ > დ (գ > դ)); N 5 𐔴 (ჱ > ე (է > ե)); N 7 𐔶 (ე > ჱ (ե > է)); N 19 𐕂 (ჭ > წ (ճ > ծ)); N 20 𐕃 (ზ > ჯ̃ (գ > ջ)); N 35 𐕒 (უ > ო (ու > ո)); N 37 𐕔 (ხ > ფ (խ > փ)); N 41 𐕘 (ფ > ღ (փ > խ)); N 42 𐕙 (კ > რ (կ > ր)); N 46 𐕝 (ს > შ̃ (ս > շ)); N 47 𐕞 (ი > ო‘ (ի > ո)); N 50 𐕡 (ჲ > ჳ (յ > ւ)). სავარაუდოდ, ფონემური ღირებულება უნდა დაზუსტდეს კიდევ ოთხ შემთხვევაში: N 16 𐔿 (ი > *ნ̃ (ի > ն)); N 18 𐕁 (დ > ჯ (դ > ջ)); N 24 𐕇 (ჰ > ჴ (հ > խ)); N 36 𐕓 (ტ > ჭ̈ (տ > ճ)).

კავკასიის ალბანური ენისათვის შემდეგ ფონოლოგიურ სისტემას ვვარაუდობთ:

ვოკალიზმი. ხმოვანთა სისტემა 5 "მარტივი" ხმოვნისა (ა, ე, ი, ო, უ) და მათი ფარინგალიზებული ვარიანტებისაგან (ა‘, ე‘, ი‘, ო‘, უ‘) შედგება. ფარინგალიზაცია როგორც უდიურში, ისე კავკასიის ალბანურშიც პროსოდიის თვისებაა.

ვოკალიზმის სისტემა უდიურში, კავკასიის ალბანურთან შედარებით, გართულდა (წარმოიქმნა პალატალიზებული ხმოვნები, ე. წ. ირაციონალურმა ნიჯურ დიალექტში შეიძინა დისტინქციური ფუნქცია).

კონსონანტიზმი. კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელი იყო ხშულ-მსკდომთა სამეულებრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი), აფრიკატთა ოთხეულებრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი, ინტენსიური აბრუპტივი) და სპირანტთა წყვილეულებრივი სისტემა (მჟღერი, ყრუ). დორსალურ და ლარინგალურ თანხმოვანთა სისტემა ღარიბი იყო სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით, რაც აახლოვებს კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემას უდიურთან.

კონსონანტიზმის სისტემა უდიურში გამარტივდა (დაიკარგა ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატები (წä, ჭä), პალატალიზებული სონორები (ნ́, ლ́), ბილაბიალური უ̂).

მიუხედავად მცირე განსხვავებისა, არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წარმომავლობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ დაახლოებით 15 საუკუნოვან შუალედს თანამედროვე უდიურსა და კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის, დამწერლობისა და სამწერლო ტრადიციის დაკარგვასა და უდიების ძლიერი ასიმილაციის პროცესს, შეიძლება დავასკნათ, რომ ზემოჩამოთვლილი ფონეტიკური ცვლილებები უმნიშვნელოა.

თავი II

მორფოლოგია

2.1. ზოგადი.

მორფოლოგია კავკასიის ალბანური ენის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილ უბანთაგანია: თუ არ ჩავთვლით კავკასიის ალბანური ენის მორფოლოგიის აღწერის რამდენიმე ცდას [ალექსიძე 2003: 152-154; ლოლუა 2009: 144-163; ლოლუა 2010: 115-128] პირველი მეტ-ნაკლებად ვრცელი მიმოხილვა "კავკასიის ალბანურ პალიმფსესტებში" არის წარმოდგენილი (გიპერტი და სხვ. 2009: II-21-II-57].

კავკასიის ალბანური ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე დიდ სიახლოვეს ავლენს უდიურ ენასთან და, მათ შორის, უდიურ-კავკასიის ალბანური პარალელები მორფოლოგიაშიც საგრძნობია – კავკასიის ალბანურის მორფოლოგიური სტრუქტურა ძალიან ახლოსაა უდიურთან. უდიური ენის მორფოლოგიაში დადასტურებული ბევრი მოვლენა მხოლოდ კავკასიის ალბანური ენის მონაცემთა მოხმობით ჰპოვებს თავის ახსნას. შდრ. ალბანურისა და უდიურის ძირითადი მორფოლოგიური ინვენტარი:

	კავკასიის ალბანური	**უდიური**
ერგატივ-ინსტრ.	-ე, -ენ, -ინ, -ონ, -ან	-ენ, -ინ, -ონ, -გნ
გენიტივი	-ი, -ჲ, -აჲ, -ეჲ, -ჲა,	-ი, -აჲ, -ეჲ, -ოჲ,
	-უნ, -ინ	-უნ, -ინ...
დატივი I	-ა, -ო, -ე, -ო, -უ	-ა, -ო, -ე, -ო, -უ...
დატივი II	დატივი I + -ხ	დატივი I + -ხ
აბლატივი	დატივი II + -ოც	დატივი II + -ო
სუპერესივი	დატივი I + -ლ	დატივი I + -ლ
მრ. რიცხვი	-უხ... (აბს.);	-უხ, -უღ...

	-უღ... (ირ. ზრ.)	
დერივაციული		
აფიქსები	-უნ, -ალ, -ნუთ	-უნ, -ალ, -ნუთ
“მასუბსტანტ.” სუფიქსი	-ო	-ო
რაოდ. რიცხ. სახელთა		
მაწარმოებელი	-უნ	-უნ (> -უნ-ჯი//უმ-ჯი)
აწმყო	-ა	-ა
ნამყო	-ჲ/ -ი	-ჲ/ -ი
მყოფადი	-ალ	-ალ
იმპერატივი	-ა	-ა
ოპტატივი	ყა-	ყა- (იუსივი)
მასდარი I	-ეს	-ეს
მასდარი II	-ეს-უნ	-ეს-უნ
სრული სახის მიმღეობა	-ჲ/ -ი	-ჲ/ -ი
უსრული სახის ...	-ალ/ -ალა	-ალ/ -ალა
პრევერბი	თა-, ჰე-, უყ(ა)-	თა-, ე-, ოყა (“ქვეშ”)
უარყოფა ზმნაში	მა-, თე-, ნუ-, ნუთ-	მა-, თე-, ნუ-, ნუთ-
პირის ნიშნები		
I მხ.	-ზუ	-ზუ- ...
II მხ.	-ნუნ	-ნუ- || -ნ- ...
III მხ.	-ნ(ე) // ø	-ნე- ...
I მრ.	-ჟან	-ჲან-
II მრ.	-ნან	-ნან- ...
III მრ.	-ნ(ე) // ø	-ყუნ-

2.2. არსებითი სახელი.

კავკასიის ალბანურ ენაში არსებით სახელს მოეპოვებოდა ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები. მისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, გრამატიკული კლას-კატეგორიაც.

2.2.1. არსებითი სახელი აგებულების მიხედვით. სიტყვაწარმოება.

კავკასიის ალბანურ ენაში არსებითი სახელი ფუძის აგებულების მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: მარტივფუძიან, ნაწარმოებფუძიან და რთულფუძიან (თხზულფუძიან) სახელებად:

მარტივი ფუძე. კავკასიის ალბანურში არსებითი სახელისათვის იყო დამახასიათებელი VC, CV და CVC (ძირითადად – CVS ან SVC) სტრუქტურის ერთმარცვლიანი მარტივი ფუძე:

CV: **წი** „სახელი“; **წე** „ცეცხლი“; **ჩ˜ა** „სახე“; **შუ** „ღამე“; **ღი** „დღე“; **პი** „სისხლი“; **ხე** „წყალი“; **ბუ** „მთა“; **მუ** „ქერი“; **დე** „მამა“; **ნე** „დედა“; **შა** „და“...

VC: **უ‘ღ** „სახურავი“; **ულ** „მგელი“; **ელ** „მარილი“; **ილ˝** „სიტყვა“; **იღ** „წყურვილი“; **ეხ** „მკა“...

CVS: **ქულ** „ხელი“; **ბულ** „თავი“; **ფულ** „თვალი“; **თურ** „ფეხი“; **ჰელ** „სული“, „სამშვინველი“; **ჰოლ** „თიხა“; **ღარ** „ვაჟი“; „შვილი“; **შ˜უმ** „პური“...

SVC: **ნეპ** „სიზმარი“, „ძილი“; **ლუჭ** „მტრედი“; **ლ˝აყ** „გზა“; **მუზ** „ენა“; **მუშ** „ქარი“, „ჰაერი“...

CVC: **ბე‘ღ** „მზე“; **ბუს** „შიმშილი“; **კუბ** „ვენახი“; **ხოდ** „ხე“; **ჰუ‘კ** „გული“...

არაიშვიათად ორმარცვლიანი, ხოლო, ზოგჯერ, მეტმარცვლიანი (როგორც წესი – ნასესხებ სიტყვებში) მარტივი ფუძეებიც დასტურდება, მაგ., **უსენ** „წელიწადი“; **ჩ˜უდუ** „ცა“; **ხალ˝უმ** „ვარსკვლავი“; **ბუზე** „მთვარე“; **ქაენ** „განთიადი“; **ალ˝ეგ** „ღრუბელი“; **აშ˜ალ** „ნიადაგი“, „დედამიწის ზედაპირი“; **ხიშ˜უ** „ქალი“, „დედალი“; **იშუ** „კაცი“, „ქმარი“; **უსბო** „ქმარი“; **ვიჩი** „ძმა“; **იშებ** „id”; **ე‘ჴალ** „წვივი“; **დურუდ** „ჯვარი“, „ხე (ძელი)“...

ზოგიერთ მარტივფუძიან არსებით სახელს უნდა გამოეყოს დეტერმინაციული ელემენტები, მაგ., -**ულ** – ბ-**ულ** „თავი“, მაგრამ: ბ-**ინ** „თავმა“, „თავის“, ბ-**ეხ** „თავს“; ფ-**ულ** „თვალი“, მაგრამ: ფ-**ინ** „თვალმა“, „თვალის“, ფ-**ეხ** „თვალს“; ქ-**ულ** „ხელი“, მაგრამ: ქ-**ინ** „ხელმა“, „ხელის“, ქ-**ეხ** „ხელს“…

ნაწარმოები ფუძე. დერივაციული სუფიქსები.

-**უნ** – დაერთვის ზმნისართებს, ზედსართავ სახელებსა და ზმნურ ფუძეებს (მიმღეობას) და აწარმოებს აბსტრაქტულ არსებით სახელებს, მაგ., ბუყანა-**უნ** // ბუყა-**უნ** „სიყვარული“ (ბუყ-ესუნ „ყვარება“, „ნდომა“); აანა-**უნ** „ცოდნა“, ნ-აანა-**უნ** „უცოდინარობა“ (აა „ცოდნა“, ნ- ნეგატორი); ჰიმიყანა-**უნ** „საჭიროება“, „უკმარობა“ (ჰიმიყ-ესუნ „უკმარობა“); ქეჲფე-**უნ** „სიცუდე“ (ქეჲფე „ცუდი“); ეჲ-**უნ** „სიკარგე“ (ეჲ „კარგი“); აველ-**უნ** „სიმრავლე“ (აველ „ბევრი“, „მრავალი); ნაიშ˜უ-**უნ** „მონობა“ (ნაიშ˜უ „მონა“, „მსახური“); ასამ-**უნ** „მშვიდობა“ (ასამ „მშვიდი“); ტე‘გენ-**უნ** „ჭეშმარიტება“ (ტე‘გენ „ჭეშმარიტი“); ბო‘ნ˝ი-**უნ** „დიდება“ (ბო‘ნ˝ი „დიდი“); კიჲე-**უნ** „სიმდიდრე“ (კიჲე „მდიდარი“); გო-ქარხეჲ-**უნ** „უწმინდურობა“ (გო-ქარხესუნ „ცოდვის ჩადენა“); ბიხეჲ-**უნ** „დაბადება“ (დღე) (ბიხესუნ „შონა“)... ეს სუფიქსი, საფიქრებელია, მხოლოდ ფორმობრივად დაემთხვა გენეტივის -**უნ** მაწარმოებელს.

-**ალ** – წარმოშობით აწმყო-მყოფადის მიმღეობის ფორმანტია (უდიურშიც იდენტური სუფიქსი გვხვდება). დასტურდება მრავლობითის მაწარმოებლით გართულებული -**ალ-იხ** ვარიანტიც: მაგ., ბიხ-**ალ-იხ** „მშობლები“ (< ბიხ-ესუნ „შობა“, „ქმნა“); ილ˝-უკ-**ალ** „მთქმელი“, „მოლაპარაკე“ (< ილ˝(უ) „სიტყვა“ + უფ-ესუნ „თქმა“ [აწმყოს ფუძეა უკ-]); ილ˝უჴ-ჰეჭ-**ალ** „შიკრიკი“ (< ილ˝(უ) „სიტყვა“ + ჰეჭ-ესუნ „წაღება“, „მიტანა“); ჯიპნ˝ა-ბა-**ალ** „გადამწერი“, „მწიგნობარი“ (ჯიპ „წიგნი“ + ბიჲ-ესუნ „კეთება“[აწმყოს ფუძეა ბა-]); ჯ˜უ-ლუღ-**ალ** „მახარებელი“ (ჯ˜უ „ახალი ამბები“ + დაღ-ესუნ „მიცემა“[აწმყოს ფუძეა ლუღ-])...

-**ნ˝ა** – რელაციური სუფიქსია, მაგ., გელ-**ნ˝ა** „დამნაშავე“, „ბრალეული“ (**გელ** „მოვალე“); ჯიპ-**ნ˝ა** „მწიგნობარი“, „წიგნიერი“, „წიგნთან დაკავშირებული“ (**ჯიპ** „წიგნი“)...

-**ხუნ̃** – სუფიქსი, რომელიც ადგილმდებარეობაზე მიუთიტებს, მაგ., ბა‘ჴე-**ხუნ̃** „სასამართლო“ (ზედმიწ. მოსამართლის ადგილი“); იღა-**ხუნ̃** „გამომშრალი ნიადაგი“ (< **იღ** „წყურვილი“); დაი-**ხუნ̃** „ჭაობიანი ადგილი“ (ზედმიწ. სველი ადგილი)...

-**ო‘ყე** – სუფიქსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ქართულში **თანა**-ელემენტს უდრის, მაგ., აშარკეტუნ-**ო‘ყე** „თანამოაზრე“; ბეტალინ-**ო‘ყე** „თანამფლობელი“; ბუკუსუნ-**ო‘ყე** „თანატოლი“... ეს მაწარმოებელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის.

რთული (თხზული) ფუძე.

ორი არსებითი სახელისაგან შემდგარი: **ბე‘ღუნ-ფულ** „მზის ნათება“, „სიცხე“ (ზედმიწ. მზის თვალი, შდრ. ქართ. მზის თუალი, სომხ. არეგ-აქნ); **აჲზი-ჯიპ** „მიწის გადასახადი“ (ზედმიწ. „მიწის წიგნი“, შდრ. სომხ. აშხარ(ჰ)ა-გირ „მიწის წერა“); **ბა‘ჴე-ჯ̃(უ)ღ** „მოსამართლე“ (ზედმიწ. „სასამართლოს უფალი“); **კოჯინ-ჯ̃უღ** „პატრონი“, „ოჯახის უფროსი“ (ზედმიწ. „სახლის უფალი“); **იშებურ-ბუყაუნ** „ძმობა“, „ძმური სიყვარული“ (ზედმიწ. „ძმები-სიყვარული“)...

არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: **ილ̃უ-კორ** „პასუხი“ (ზედმიწ. „უკანა სიტყვა“); **ქაჰანაუღოჲ-ბო‘ნ̃ი** „მღვდელთმთავარი“ (ზედმიწ. „მღვდლების დიდი“)...

ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: **ბო‘ღალა-ჰუ‘კ** „ბრძენი“ (ზედმიწ. „ღრმა გული“)...

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი: **პა‘-ჰუ‘კ** „მერყევი“ (ზედმიწ. „ორგული“, შდრ. სომხ. ერკ-მით); **სა-ჰუ‘კ** „უხიფათო“, „მიამიტი“ (ზედმიწ. „ერთგული“, შდრ. სომხ. მია-მით)...

რიცხვითი სახელი + ზედსართავი სახელი: **ჵოყო‘არაჲ-ბო‘ნ̃ი** „ასისთავი“ (ზედმიწ. „ასის დიდი“)...

არსებითი სახელი + მიმღეობა: **ჯიპნ̃ა-ბაალ** „გადამწერი“, „მწიგნობარი“ (ზედმიწ. „წიგნის მკეთებელი“); **ილ̃-უკალ** „მთქმელი“, „მოლაპარაკე“ (ზედმიწ.

„სიტყვის მთქმელი“); **ილ´უჴ-ჰეჭალ** „შიკრიკი“ (ზედმიწ. „სიტყვის მიმტანი“); **ჯ̃უ-ლუღალ** „მახარებელი“ (ზედმიწ. „ახალი ამბის მიმცემი“)...

2.2.2. **არსებითი სახელის ბრუნება.**

კავკასიის ალბანური ენის ბრუნების სისტემის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ბრუნვები და მრავლობითი რიცხვი იწარმოება აგლუტინაციურად. ბრუნვის ნიშნები დაერთვის გაუფორმებელ ფუძეს (აბსოლუტივი) ან მრავლობითი რიცხვის ფორმანტით გართულებულ ფუძეს. ბრუნებისას, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, მრავლობითის სუფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს.

სხვა ლეზგიური ენების მსგავსად, კავკასიის ალბანურშიც გამოიყოფა ძირითადი (უთანდებულო) და მეორეული (თანდებულიანი) ბრუნვები. მეორეულ (თანდებულიან) ბრუნვებში მაწარმოებელი თანდებულები იმგვარადაა შერწყმული ბრუნვის ფორმასთან, რომ მათი გამოყოფა ზოგჯერ ძნელად თუ ხერხდება.

ბრუნების სისტემა კავკასიის ალბანურ ენაში რთულია – შეინიშნება ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნება, რომელიც ვერ აიხსნება ოდენ ფონეტიკური ცვლილებებით. განსხვავდება სახელთა ბრუნება მხოლოობითში და მრავლობითში, არსებით სახელთა და ნაცვალსახელთა ბრუნება. ამას გარდა, ხშირია ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის თანხმოვნური ჩანართების გაჩენა (ძირითადად, -**ნ**-, -**ჲ**-, -**რ**- ელემენტების), განსაკუთრებით – ერთმარცვლიან არსებით სახელებთან.

2.2.2.1. **ბრუნვის კატეგორია**

კავკასიის ალბანურში დასტურდება 21 ბრუნვის ფორმა, მათგან 7 ფორმა ძირითად ბრუნვებად უნდა მივიჩნიოთ (სახელობითი, ერგატივი, დატივის სამი ფორმა, გენიტივი და ვოკატივი), ხოლო 14 – ლოკატიურ ბრუნვებად (გვაქვს აბლატივის, ადესივის და ანტეაბლატივის ორ-ორი ფორმა და სუპერესივის სამი

ფორმა. თითო-თითო ფორმით წარმოდგენილია სუბესივი, ექვატივი, სუპერაბლატივი, დირექტივი, კომიტატივი).

მოკლედ მიმოვიხილოთ ბრუნვათა წარმოება და ფუნქციები:

სახელობითი ბრუნვა – უნიშნოა (აბსოლუტივი). გვევლინება სუბიექტად გარდაუვალ ზმნასთან და პირდაპირ ობიექტად გარდამავალ ზმნასთან.

ერგატივი. ერგატივში დასმული ფორმა რეალურ სუბიექტად გვევლინება გარდამავალ ზმნასთან; ალბანური ერგატივი ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც არის აღჭურვილი. ფორმანტებია -**ე**, -**ენ**, -**ინ**, -**ან**, -**ø** (მრავლობითში: -**ონ**).

ამათგან ყველაზე პროდუქტიულია -**ენ** სუფიქსი, მაგ., ანგელოს-**ენ** “ანგელოზმა”, უხ‘-**ენ** “მეფემ”, წი-ჲ-**ენ** “სახელმა”, ჭ̃ე-ნ-**ენ** “ქვამ”. ნაკლებად პროდუქტიულია -**ინ** მაწარმოებელი. -**ენ** და -**ინ** მაწარმოებელთა განაწილების პრინციპი არ არის გარკვეული. დადასტურებულია ლექსემა, რომელიც ორივე აფიქსს დაირთავს – ეს არის **კალ**´ “ხმა” (ერგ. კალ´-**ენ** და კალ´-**ინ**).

-**ე** მაწარმოებელი, როგორც წესი, ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებთან გამოიყენება, მაგ., ვიჩი-ჲ-**ე** “ძმამ”; შა-ჲ-**ე** “ქალიშვილმა”; ბ[იხაჯ̃უღ]-**ე** “ღმერთმა” (აბს. **ბ**[იხაჯ̃უ]**ღ**).

მრავლობითში ერგატივის მაწარმოებლად დასტურდება მხოლოდ -**ონ** სუფიქსი, მაგ., ანგელოს-უღ-**ონ** “ანგელოზებმა”, ფარისა-უღ-**ონ** “ფარისეველებმა”, ზადოკა-უღ-**ონ** “სადუკეველებმა”...

უდიურშიც, კავკასიის ალბანურის მსგავსად, ყველაზე პროდუქტიული აფიქსებია -**ენ** მხოლოობითში და -**ონ** მრავლობითში. -**ე** და -**ან** ერგატივის მაწარმოებლებად უდიურში არ დასტურდება, ხოლო -**ინ** ფორმანტი შეზღუდულად გამოიყენება, მაგ., ფ-**ინ** “თვალმა” (აბს. **ფულ**), ბ-**ინ** “თავმა” (აბს. **ბულ**) (ეს ფორმები ამ სახით კავკასიის ალბანურშიც დასტურდება).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია: -**ი**, -**ჲ**, -**აჲ**, -**ეჲ**, -**ჲა**; -**ინ**, -**უნ** (მრავლობითში: -**ოჲ**). გენიტივის ერთ-ერთი ფორმანტი -**უნ**, ისევე როგორც უდიურში, დერივაციულ აფიქსადაა გამოყენებული, მაგ., გოʿზ-**უნ** “დიდებული”, ჰუʿჲახ-**უნ** “სარწმუნო”; -**უნ** სუფიქსი სადაურობისა და კრებითობის აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს, მაგ., ნაზორა-**უნ** “ნაზარეთელი”, სამარ(ი)ა-**უნ** “სამარიტელი”;

რიგობით რიცხვით სახელებს: პოʻმ-**უნ** “მეორე”, ხიბარ-**უნ** “მესამე” (ამ ფუნქციით ეს მაწარმოებელი უდიურშიც გვხვდება)...

გენიტივის მაწარმოებელთაგან ყველაზე პროდუქტიულია -**უნ** ფორმანტი, მაგ., ავაზან-**უნ** “აბაზანის”, გოʻხუნ-**უნ** “დიდებულის”, ღარ-**უნ** “მის”, ღი-(ჲ)-**უნ** “დღის”...

-**ინ** მაწარმოებლიანი გენიტივი, როგორც წესი, -**ინ** ფორმანტიან ერგატივს ემთხვევა, მაგ., ბ-**ინ** “თავის” (აბს. **ბულ**), კოჯ-**ინ** “სახლის”, აჲზ-**ინ** “სამყაროს(ი)”...

-**ჲ** ან -V**ჲ** (**აჲ**, -**ეჲ**) ფორმანტიანი გენიტივი ძირითადად გამოიყენება იმ სახელებთან, რომელთა ერგატივის ფორმაც -**ე** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, მაგ., ვიჩი-ჲ-**ეჲ** “ძმის”; ბ[იხაჯ˜უღ]-**ეჲ** “ღმერთის”; იჩ-**ეჲ** “თავისი” (აბს. **იჩ**, ერგ. **იჩ-ენ**); იშუ-**ჲ** “კაცის”, ელი(ჲ)ა-**ჲ** “ელიასი”. აქაც გვხვდება ერთი სახელი, რომლის გენიტივის ფორმა ერგატივისას ემთხვევა: ლ̃ამ-**ე** “ცხვრის”.

-**ი** ფორმანტიანი გენიტივი, როგორც წესი, საკუთარ არსებით სახელებთან გხვხვდება, მაგ., აბრაჰამ-**ი** “აბრაამის”, ისა-**ი** “ესაიასი”, პეტროს-**ი** “პეტრესი”, პაჳლოს-**ი** “პავლესი”. ერთადერთი სიტყვა, რომელიც -**ი** სუფიქსს დაირთავს და საკუთარ არსებით სახელებს არ განეკუთვნება – არის ჟ[ოლოვურ]დ-**ი** “ხალხის”, თუმცა ეს ფორმა პალიმფსესტებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება – უმეტესწილად გვაქვს ჟ[ოლოვურ]დ-**უნ** ან ჟ[ოლოვურ]დ-**ინ** ფორმები

-**ჲა** ფორმანტიანი გენიტივი ძირითადად ნაცვალსახელებთან გამოიყენება, თუმცა რამდენიმე არსებით სახელთანაც გვხვდება: დე-**ჲა** “მამის”, ნე-**ჲა** “დედის”, შა-**ჲა** “ქალიშვილის”, დაიჟდე-**ჲა** “ოქროსი”.

მრავლობითში გენიტივის მაწარმოებლად დასტურდება მხოლოდ -**ოჲ** სუფიქსი, მაგ., ვაჩარ-უღ-**ოჲ** “იუდეველების”, თურ-მ-**ოჲ** “ფეხების”, მუზ-რ-**ოჲ** “ენების”, სამარა-უღ-**ოჲ** “სამარიტელების”, მარღავენ-უღ-**ოჲ** “მოციქულების”...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება გენიტივის ორი ფორმის არსებობის შესახებ კავკასიის ალბანურში – ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, I გენიტივის ფორმანტებია -**ი**, -**ჲ**, -**აჲ**, -**ოჲ**, -**ეჲ**, -**ჲა**, ხოლო II გენიტივისა – -**ინ** და -**უნ** [გიპერტი და სხვ. 2009: II-24].

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება არ არის დასაბუთებული. როგორც ი.

გიპერტი და ვ. შულცე აღნიშნავენ, კავკასიის ალბანურში, სულ მცირე, გენიტივის ოთხი მაწარმოებელი მოიპოვება. მათი განაწილება, ძირითადად, ლექსიკურ პრინციპებს ეფუძნება, თუმცა -**უნ** ფორმანტი, სხვათაგან განსხვავებით, აწარმოებს ზედსართავს სახელებს [გიპერტი და სხვ. 2009: II-24]. მხოლოდ ეს, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იყოს ბრუნვის გამოყოფის საფუძველი – ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ არ არის წარმოდგენილი არც ლექსიკური ერთეულები, რომლებთანაც ორივე ტიპის ფორმანტი დასტურდება, და არც -**უნ**//-**ინ** ფორმანტიანი ნათესაობითის განსხვავებული სინტაქსური ფუნქციებია ნაჩვენები. ისტორიულად *-(V)**ღ**, (> -**ი**, -**აღ**, -**ოღ**, -**ეღ**, -**ღა**) და *-(V)**ნ** (> -**უნ**, -**ინ**) ფორმანტიანი გენიტივი, ჩვენი აზრითაც, სხვადასხვა წარმოშობისა უნდა იყოს. *-(V)**ნ** ფორმანტი საერთოლეზგიური გენიტივის *-**ნ** მაწარმოებელს უკავშირდება, ხოლო *-(V)**ღ** – ლოკატიური წარმოშობისა ჩანს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ამის მიუხედავად, კავკასიის ალბანურის იმ სინქრონიულ ჭრილში, რომელიც პალიმფსესტებშია წარმოდგენილი, ორი გენიტივის გამოყოფის საფუძველი არ გვაქვს. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ -**უნ**//-**ინ** ფორმანტიანი ნათესაობითი არ გვხვდება არც მრავლობითში და არც ნაცვალსახელური ბრუნებისას.

I მიცემითი ბრუნვის ფორმანტებია: -**ა**, -**ე**, -**ი**, -**უ** (მრავლობითში: -**ო**). I დატივის ფორმა, ირიბი ობიექტის გადმოცემის გარდა, მიცემით-სუბიექტიან ზმნებთან (Verba sentiendi) სუბიექტად გვევლინება; მიცემითი I ხშირად გამოყენებულია ლოკატივის (ინესივის) ფუნქციით თანდებულის დაურთველად. მიცემითი I-ის ფორმას ეყრდნობა როგორც დატივი II და დატივი III, ისე ყველა თანდებულიანი ბრუნვა (აბლატივი I-ის გარდა).

-**ა** ფორმანტი I დატივის მაწარმოებლებს შორის ყველაზე პროდუქტიულია, მაგ., წი-ღ-**ა** "სახელს", ხე-ნ-**ა** "წყალს", ვუღ‘-რ-**ა** "შვიდს", ქალაქ-**ა** "ქალაქს", კოჯ-**ა** "სახლს"...

-**ე** ფორმანტიანი I დატივი შეზღუდულად გამოიყენება, მაგ., ტო‘-**ე** "მხარეს", ბი-ღ-**ე** "თავს" (აბს. **ბულ**; უდ. **ბ-ე**), ფი-ღ-**ე** "თვალს" (აბს. **ფულ**; უდ. **ფ-ე**), ბ[იხაჯ˜უღ]-**ე** "ღმერთს"... ზოგიერთი ლექსემა I დატივში ორგვარი ფორმითაა

წარმოდგენილი, მაგ., ვიჩი-ჲ-**ე** “ძმას” და ვიჩი-ჲ-**ა** (იშვიათად); აჲზ-**ე** “სამყაროს” და აჲზ-**ა** (იშვიათად).

-**ი** ფორმანტიც იშვიათად დასტურდება – იგი მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში გვხვდება: გალ́-**ი** “მცველს”, ცამ-**ი** “წერილს”, ხაშ-**ი** “ნათელს”, მუშ-**ი** “ქარს”.

-**უ** ფორმანტი ნაცვალსახელებისთვისაა დამახასიათებელი. ამას გარდა, იგი არსებით სახელებთანაც დასტურდება, მაგ., ჭი-ნ-**უ** “ტომს”, ჟი-ნ-**უ** “მამაკაცს”, ყარ-**უ** “ტომს”, ჩ̃ა-**უ** “სახეს”, ბითანი-**უ** “ზეთანიას”... **უ** ბგერაზე დაბოლოებულ რამდენიმე სახელთან (**იშუ** “კაცს”, **ხიშ̃უ** “ქალს”, **ნაიშ̃უ** “მსახურს”, **ჰაშუ** “ვინ?”) “დატივი I გაუფორმებელია, სავარაუდოდ, -**უ** მაწარმოებელი ამ მაგალითებში დაკარგულია რედუქციის შედეგად (**უ** + **უ** = (**ū** >) **უ**).

მრავლობითში დატივის მაწარმოებლად გვევლინება მხოლოდ -**ჵ** სუფიქსი, მაგ., ღარ-მ-**ჵ** “ძეებს”, ანგელოს-უღ-**ჵ** “ანგელოზებს”, აშარკეტ-უღ-**ჵ** “მოწაფეებს”...

II მიცემითი ბრუნვის ფორმანტებია: -**აჴ**, -**ეჴ**, -**იჴ**, -**უჴ** (მრავლობითში: -**ჵჴ**). II მიცემითით, სახელობითთან ერთად, პირდაპირი ობიექტი აღინიშნება; ამას გარდა, მას არ დაუკარგავს ლოკატიური ფუნქციები. იწარმოება დატივი I-ის ფორმის მიხედვით, რომელსაც -**ჴ** სუფიქსი დაერთვის, მაგ., ხე-ნ-**ა**-**ჴ** “წყალს”, კოჯ-**ა**-**ჴ** “სახლს”, ტო‘-**ე**-**ჴ** “მხარეს”, ბი-ჲ-**ე**-**ჴ** “თავს” (აბს. **ბულ**), ბ[იხაჯ̃უღ]-**ე**-**ჴ** “ღმერთს”, ვიჩი-ჲ-**ე**-**ჴ** // ვიჩი-ჲ-**ა**-**ჴ** “ძმას”; აჲზ-**ე**-**ჴ** // აჲზ-**ა**-**ჴ** “სამყაროს”, გალ́-**ი**-**ჴ** “მცველს”, ბითანი-**უ**-**ჴ** “ზეთანიას”, ბუ-რ-უღ-**ჵ**-**ჴ** “მთებს”, დე-რ-ღ-**ჵ**-**ჴ** “მამებს”...

გრაფიკულად -**ჴ** სუფიქსი ორგვარად აღინიშნება: **ᒣ** და **⊣**, რაც, ვფიქრობთ, გამოწვეულია **ჯ** აფრიკატის (რომელსაც **⊣** გრაფემა აღნიშნავს) სპირანტიზაციით.

III მიცემითი ბრუნვის ფორმანტებია: -**ას**, -**ეს**, -**ის**, -**უს** (მრავლობითში: -**ჵს**). III დატივით, I მიცემითთან ერთად, ირიბი ობიექტი აღინიშნება; იგი ლოკატიური მნიშვნელობების გადმოსაცემადაც გამოიყენება. იწარმოება დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით -**ს** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., წი-ჲ-**ა**-**ს** “სახელს”, ქალაქ-**ა**-**ს** “ქალაქს”, ბი-ჲ-**ე**-**ს** “თავს” (აბს. **ბულ**), ფი-ჲ-**ე**-**ს** “თვალს” (აბს. **ფულ**), ბ[იხაჯ̃უღ]-**ე**-**ს** “ღმერთს”, ვიჩი-ჲ-**ე**-**ს** “ძმას”; ჩ̃ა-ჩ̃ა-**უ**-**ს** “სახეს”, იშუ-**ს** “კაცს”, ხიშ̃უ-**ს** “ქალს”, ნაიშ̃უ-**ს** “მსახურს”, ვაჩარ-უღ-**ჵ**-**ს** “იუდეველებს”...

III დატივის მაწარმოებელი -**ს** სუფიქსი წარმოშობით საერთოლეზგიური დატივის *-**ს** ფორმანტს უკავშირდება. ამდენად, გამართლებულიც კი იქნებოდა, რომ ამ ფორმისათვის დატივი II გვეწოდებინა, ხოლო -**ხ** ფორმანტიან დატივს, რომლის მაწარმოებელი უეჭველად ლოკატიური წარმოშობისაა – დატივი III, როგორც ეს არის ი. გიპერტსა და ვ. შულცესთან [გიპერტი და სხვ. 2009: II-25]. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ უდიურს -**ს** ფორმანტიანი დატივი არ მოეპოვება, -**ხ** ფორმანტიანი დატივი კი – დასტურდება და სამეცნიერო ლიტერატურაში "II მიცემითის" სახელითაა ცნობილი. ამდენად, რომ არ წარმოქმნილიყო ორაზროვნება ამ ტერმინთა გამოყენებისას, ვამჯობინებთ სახელწოდებას "დატივი III" -**ს** ფორმანტიანი მიცემითის აღსანიშნავად.

კავკასიის ალბანურს **ვოკატივიც** მოეპოვება, რომლის ფორმანტებია -**ე** და -**ო** (მრავლობითში – მხოლოდ -**ო**). ამ მაწარმოებელთა განაწილების პრინციპი ნათელი არ არის, მაგ., დე-ჲ-**ო** "მამაო!", ზამარა-**ო** "უწმინდურო სულელო!", ღარ-**ე** "ძეო!", "შვილო!", ღარ-მუხ-**ო** "ძეებო!", "შვილებო!", სიმონ-**ე** "სიმონ!", ჟი-ნ-**ე** "ხალხნო!"...

აღსანიშნავია, რომ ვოკატივი არ დასტურდება არც უდიურში და არც საერთოლეზგიურ (აგრეთვე – საერთოდაღესტნურ და საერთო-ნახურ-დაღესტნურ) დონეზე აღდგება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს ფორმა ალბანურში სხვა ენათა გავლენით არის წარმოქმნილი. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ -**ე** ფორმანტი ბერძნულიდან იყოს ნასესხები, ხოლო -**ო** სუფიქსი – ქართულიდან.

ყველა თანდებულიანი ბრუნვის ფორმა კავკასიის ალბანურში გარემოების ფუნქიით არის გამოყენებული. თუ არ ჩავთვლით აბლატივი I-ის ფორმას, რომელიც უშუალოდ სახელის ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება, ყველა დანარჩენი ბრუნვა, დატივი II-სა და დატივი III-ს მსგავსად, მიცემითი I-ის მიხედვით იცვლება.

საწარმოებელი ფუძის მიხედვით თანდებულიანი ბრუნვები კავკასიის ალბანურში შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

პირველი ჯგუფი (ადესივის ორივე ფორმა, ექვატივი, სუბესივი) უშუალოდ I დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება;

მეორე ჯგუფი (აბლატივი II, ანტეაბლატივი II, სუპერესივი III, კომიტატივი, დირექტივი) II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება;

ანტეაბლატივი I დატივი III-საგან იწარმოება;

სუპერესივი II და სუპერაბლატივი სუპერესივის I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება.

თავის მხრივ, როგორც მეორე და მესამე დატივის ფორმები, ისე I სუპერასივის ფორმა, დატივი I-ის ფორმას ეყრდნობა. შესაბამისად, ამ ბრუნვათა მაწარმოებლები (-**ხ** – II დატივი; -**ს** – III დატივი; -**ლ** – I სუპერასივი) ლოკალიზაციის ფორმანტებად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა III დატივის მაწარმოებელი -**ს**, თუ მას სხვა ლეზგიური ენების მონაცემებს შევუდარებთ, წარმოშობით “ძველი” მიცემითის ფორმანტი უნდა იყოს.

მოკლედ მიმოვიხილოთ თანდებულიან ბრუნვათა წარმოება და ფუნქციები:

აბლატივი I: ეს, როგორც აღინიშნა, ერთადერთი ფორმაა, რომელიც I მიცემითზე დაყრდნობით არ იწარმოება. ის პალიმფსესტებში იშვიათად გვხვდება, წარმოადგენს ჩვეულებრივ დაშორებით ბრუნვას (ქართულში -**გან** თანდებულს უდრის). იწარმოება -**ოც** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ სახელის ფუძეს დაერთვის, მაგ., ქუჲ-**ოც** “ხელისაგან” (< *ქულ-**ოც**; აბს. **ქულ**); ხუნ-ხუნ-**ოც** “მხარესაგან”, პური-ემ-**ოც** “მკვდართაგან”, უ‘ღ-მ-**ოც** “სახურავთაგან”...

აბლატივი II: ეს ფორმაც, I აბლატივის მსგავსად, დაშორებით ბრუნვას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ I აბლატივი სხვა თანდებულიან ბრუნვებთან შედარებით ყველაზე ხშირად გვხვდება ალბანურ პალიმფსესტებში (დაახლ. 200 მაგალითი). აბლატივი II-ც -**ოც** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, თუმცა, წინა ფორმისაგან განსხვავებით, ეს მაწარმოებელი დატივი II-ს ფორმას დაერთვის, მაგ., კოჯ-**ა**-**ხ**-**ოც** “სახლისაგან”, ბი-ჲ-**ე**-**ხ**-**ოც** “თავისაგან” (აბს. **ბულ**), ბ[იხაჯ˜უღ]-**ე**-**ხ**-**ოც** “ღმერთისაგან”, ქალაქ-**ა**-**ხ**-**ოც** “ქალაქისაგან”, აბრაჰამ-**ა**-**ხ**-**ოც** “აბრაამისაგან”, იშუ-**ხ**-**ოც** “კაცისაგან”, აბაზაკ-უღ-**ო**-**ხ**-**ოც** “ავაზაკთაგან”, ღარ-მ-**ო**-**ხ**-**ოც** “ძეთაგან”, ქულ-მ-**ო**-**ხ**-**ოც** “ხელთაგან”...

ანტეაბლატივი I: აბლატივთაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად მოძრავი ობიექტის ორიენტირიდან//ორიენტირისაგან დაშორების აღსანიშნავად გამოიყენება, ანტეაბლატივს ლატივის ფუნქციებიც მოეპოვება და იგი აღნიშნავს ისეთ მოძრაობას, რომელიც ორიენტირის წინა ნაწილისაგან ან წინა ნაწილისაკენ მიემართება. ეს ბრუნვა III დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**თახოც** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ბუცალ-**ა**-**ს**-**თახოც** "სამსხვერპლოსთან (წინ)", ჩ ̄ა-**უ**-**ს**-**თახოც** "სახისაგან", უ̆ზ-რ-**ო**-**ს**-**თახოც** "მეფეებთან (წინ)"...

ანტეაბლატივი II: ანტეაბლატივი II ხშირად აღნიშნავს მაღლა განლაგებული ორიენტირისაგან მოძრაობას, თუმცა ზოგადად დაშორებითის ფუნქციითაც გამოიყენება. ეს ბრუნვა იწარმოება II დატივის ფორმაზე დაყრდნობით -**ოსტაႳ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ბ[იხაჯ ̄უღ]-**ე**-**ხ**-**ოსტაႳ** "ღმერთისაგან", ბი-Ⴓ-**ე**-**ხ**-**ოსტაႳ** "თავიდან" ("დასაბამიდან"), ჩ ̄უდუ-**ა**-**ხ**-**ოსტაႳ** (ჩ ̄უდუ-**ა**-**ხ**-[**ო**]**სტაႳ**) "ციდან", ჯ ̄[უღ]-**ე**-**ხ**-**ოსტაႳ** "უფლისაგან" (აბს. **ჯ** ̄[უ]**ღ**)... II ანტეაბლატივის მრავლობითი რიცხვის ფორმა დადასტურებული არ არის.

სუპერაბლატივი: იწარმოება I სუპერესივის ფორმაზე დაყრდნობით "აბლატივის" -**ოც** სუფიქსის მეშვეობით. ამ ფორმით, საერთოდ, ორიენტირის ზემოდან მოძრავი ობიექტი აღინიშნება, თუმცა კავკასიის ალბანურში სუპერაბლატივს სხვა სემანტიკაც მოეპოვება, მაგ., ეკლესი-Ⴓ-**ა**-**ლ**-**ოც** "ეკლესიიდან", ნე-ქახ-**ე**-**ლ**-**ოც** "მუცლიდან", დე-**ლ**-**ოც** "მამის შესახებ", ჰელ-**ი**-**ლ**-**ოც** "სულის შესახებ", უსენ-**ა**-**ლ**-**ოც** "წელიწადის შემდეგ", ღუშუ-Ⴓ-ღარ-**ა**-**ლ**-**ოც** "კაცობრიობისათვის", უ̆ზ-რ-**ო**-**ლ**-**ოც** "მეფეებისთვის"...

ადესივი I: ადესივი რამდენიმე მთავარი ფუნქციით გამოიყენება: ხშირად ადესივის ფორმა გვხვდება ლექსემასთან **ქუႳ-ოც** "ხელიდან" (< ***ქულ-ოც**) წყვილში. ასეთ შემთხვევაში, იგი მოქმედების წყაროს აღნიშნავს. ამას გარდა, ადესივი საკუთარი და ალატივის მნიშვნელობითაც გამოიყენება. იწარმოება უშუალოდ I დატივის ფორმაზე დაყრდნობით -**ქ** სუფიქსის დართვით, მაგ., ქ[რისტო]ს-**ა**-**ქ** ქუႳ-ოც "ქრისტეს ხელიდან", ჯ ̄[უღ]-**ე**-**ქ** "უფალთან", ჰი'ბუ'ნ-ჟინ-**უ**-**ქ** "ჯარისკაცთან"...

ადესივი II: ეს ფორმა იშვიათია. იგი, როგორც ჩანს, სიახლოვისა თუ უშუალო შეხების აღსანიშნავად გამოიყენება. ადესივი II-ც, აგრეთვე, I დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ჯ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., რუღ-**ე**-**ჯ** "მოდგმასთან (ახლოს)", ანგელოს-უღ-**ო**-**ჯ** "ანგელოზებთან (ახლოს)".

კომიტატივი: წარმოადგენს ჩვეულებრივ თანაობით ბრუნვას, თუმცა ცხოველებისა და არასულიერებთან ზოგჯერ ინსტრუმენტალისს უახლოვდება. ეს ფორმა ხშირად **ჰეყალა** "ერთად" ლექსემასთან გამოიყენება. იგი ერთ-ერთი ლოკატივთაგანია, რომელიც პალიმფსესტებში ხშირად გვხვდება. ქართულში ეს ფორმა, როგორც წესი, -**თან** თანდებულს უდრის. კომიტატივი II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება, რომელსაც -**ოშ** სუფიქსი დაერთვის, მაგ., ბ[იხაჯ῀უღ]-**ე**-**ხ**-[**ო**]**შ** "ღმერთთან", ქ[რისტოს]-**ა**-**ხ**-**ოშ** "ქრისტესთან", ჯ῀[უღ]-**ე**-**ხ**-**ოშ** "უფალთან", მარღავენ-**ა**-**ხ**-**ოშ** "წინასწარმეტყველთან", გო-რ-ღ-**ო**-**ხ**-**ოშ** "ცოდვებთან"...

დირექტივი: ამ ბრუნვით მოძრავი ობიექტის ორიენტირთან მოახლოება აღინიშნება. ქართულში ეს ფორმა, როგორც წესი, -**კენ** თანდებულს უდრის. დირექტივი II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**უ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., დე-**ხ**-**უ** "მამისაკენ", ნე-**ხ**-**უ** "დედისაკენ", იშე-ბ-**ა**-**ხ**-**უ** "ძმებისაკენ", ფარისა-უღ-**ო**-**ხ**-**უ** "ფარისეველებისაკენ"...

ექვატივი: ექვატივით მსგავსებისა ან მიმსგავსების სემანტიკა გადმოიცემა. ქართულში ეს ფორმა, როგორც წესი, -**ვით** თანდებულს უდრის. ექვატივი უშუალოდ დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ღა** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ჯ῀[უღ]-**ე**-**ღა** "უფალივით", ვარტაპეტ-**ა**-**ღა** "მასწავლებელივით". ექვატივის მრავლობითი რიცხვის ფორმა დადასტურებული არ არის.

სუბესივი: ამ ფორმით აღინიშნება რაიმე საგნის (ან პირის) მყოფობა ორიენტირის ქვეშ. სუბესივი უშუალოდ I დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ყ** სუფიქსის საშუალებით, მაგ., ბაჩხუნ-**ა**-**ყ** "საიდუმლო" (ზედმიწ. "მალვის ქვეშ"), ბა-ენ-**ა**-**ყ** "სიბნელეში" (ზედმიწ. "სიბნელის ქვეშ"), ხაშ-**ი**-**ყ** "ნათელში" (ზედმიწ. "ნათლის ქვეშ")... სუბესივის მრავლობითი რიცხვის ფორმა პალიმფსესტებში არ გვხვდება.

სუპერესივი I: ეს ფორმა რაიმე საგნის (ან პირის) ორიენტირზე მყოფობას აღნიშნავს. ქართულში ამ ფორმის სემანტიკა -**ზე** თანდებულისას შეესაბამება. სუპერესივი I უშუალოდ დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ლ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ხუ'-ნ-**უ-ლ** "ქვაზე", ლ́აყ-**ა-ლ** "გზაზე", აშ̃ალ-**ა-ლ** "დედამიწის ზედაპირზე", სა'ურზელ-**ა-ლ** "ტახტზე", ვარტაპეტუნ-**ა-ლ** "სწავლებაზე", ვიჩი-ჲ-**ე-ლ** "ძმაზე", მარმინ́-ოღ-**ო-ლ** "სხეულზე", ფულ-მ-**ო-ლ** "თვალებზე"...

სუპერასივი II: ამ ფორმის თავდაპირველი მნიშვნელობა ორიენტირთან სხვა საგნის ზედაპირიდან მოძრავი ობიექტის მოახლოება უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ფორმა პალიმფსესტებში სულ ოთხჯერ გვხვდება და მისი ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა ჭირს, რადგან ოთხივე მაგალითში ეს ფორმა სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. სუპერასივი II სუპერასივ I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ოშ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ილ́-**ა-ლ-ოშ** "სიტყვასთან", ეთ-**ა-ლ-ოშ** "ამისთვის", "ამაზე", ღი-რ-ღ-**ო-ლ-ოშ** "დღეებში"...

სუპერასივი III: ამ ფორმით აღინიშნება რაიმე საგნის (ან პირის) ორიენტირზე მყოფობა ან მისი მოძრაობა ორიენტირის ზემოთ. სუპერასივი III დატივი II-ს ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -**ოლ** სუფიქსის მეშვეობით, მაგ., ვიჩი-ჲ-**ე-ხ-ოლ** "ძმაზე", მაეკალ-უღ-**ო-ხ-ოლ** "მსხვერპლებზე"...

ბრუნვის ნიშნები კავკასიის ალბანურში

	ბრუნვები	მხოლოობითში	მრავლობითში
ძირითადი	აბსოლუტივი	Ø	Ø
	ვოკატივი	-ე, -ო	-ო
	ერგატივი	-ე, -ენ, -ინ, -ონ, -ან	-ონ
	ნათესაობითი	-ი, -ჲ, -აჲ, -ეჲ, -ჲა, -უნ, -ინ	-ოჲ
	დატივი I	-ა, -ე, -ი, -ო, -უ	-ო
	დატივი II	-V-ხ	-ო-ხ
	დატივი III	-V-ს	-ო-ს
თანდებულიანი	აბლატივი I	-ოც (< *-V-ოც)	-ოც (< *-ო-ოც)
	ადესივი I	-V-ქ(ა)	-ო-ქ(ა)
	ადესივი II	-V-ჭ	-ო-ჭ
	ექვატივი	-V-ღა	*-ო-ღა
	სუბესივი	-V-ყ	*-ო-ყ
	აბლატივი II	-V-ხ-ოც	-ო-ხ-ოც
	სუპერესივი III	-V-ხ-ოლ	-ო-ხ-ოლ
	ანტეაბლატივი II	-V-ხ-ოსტაჲ	*-ო-ხ-ოსტაჲ
	კომიტატივი	-V-ხ-ოშ	-ო-ხ-ოშ
	დირექტივი	-V-ხ-უ	-ო-ხ-უ
	ანტეაბლატივი I	-V-ს-თახ-ოც, -V-ს-ახ-ოც	-ო-ს-თახ-ოც
	სუპერესივი I	-V-ლ	-ო-ლ
	სუპერაბლატივი	-V-ლ-ოც	-ო-ლ-ოც
	სუპერესივი II	-V-ლ-ოშ	-ო-ლ-ოშ

ბრუნვის ნიშნები უდიურში

	ბრუნვები	ვართაშნული (ს. ზინობიანი)		ნიჯური	
		მხ.	მრ.	მხ.	მრ.
ძირითადი	სახელობითი	∅	∅	∅	∅
	ერგატივი	-ენ, -ინ, -ონ	-ონ	-ენ, -ინ, -ონ, -გნ	-ონ
	ნათესაობითი	-ი, -ინ, -ნ-ინ, -უნ, -ნ-უნ, -ა[ჲ], -ნ-ა[ჲ], -ე[ჲ], -ნ-ე[ჲ], -ო[ჲ], -ნ-უ[ჲ]	-ო[ჲ]	იგივე, რაც ვართაშნულში და -გნ, -ნ-გნ	-ო[ჲ]
	მიცემითი I	-ა, -ე, -უ, -ო, -ი, -ნ-ა, -ნ-ე, -ნ-უ	-ო	იგივე, რაც ვართაშნულში	-ო
	მიცემითი II	-ახ, -ეხ, -უხ, -ოხ, -იხ, -ნ-ახ, -ნ-ეხ, -ნ-უხ	-ოხ	თითქმის არ იხმარება	
თანდებულიანი	აბლატივი	-Vხ-ო	-ოხ-ო	-Vხ-უნ	-ახ-უნ
	კომიტატივი	-Vხ-ოლ[ან]	-ოხ-ოლ[ან]	-Vხ-უნ[ან]	-ახ-უნ[ან]
	ადესივი	-V-სტა	-ო-სტა	-V-სთ·ა	-ო-სთ·ა
	ალატივი	-V-ჭ	-ო-ჭ	-V-ჩ	-ო-ჩ
	სუპერისივი	-V-ლ	-ო-ლ	-V-ლ	-ო-ლ
	ბენეფაქტივი	-ენ-კ[ენა]	-ონ-კ[ენა]	-აჲნაქ·, -ეჲნაქ·	-ოჲნაქ·

შენიშვნა: ორივე ენაში თანდებულიან ბრუნვათა პირველი ხმოვანი (V) მიცემითი I-ის მიხედვით იცვლება.

შდრ. კავკასიის ალბანურისა და უდიური ენების ბრუნების ძირითადი ინვენტარი:

	კავკასიის ალბანური	უდიური
ერგატივ-ინსტრ.	-ე, -ენ, -ინ, -ონ, -ან	-ენ, -ინ, -ონ, -გნ
გენიტივი	-ი, -ჲ, -აჲ, -ეჲ, -ჲა, -უნ, -ინ	-ი, -აჲ, -ეჲ, -ოჲ, -უნ, -ინ...
დატივი I	-ა, -ო, -ე, -ო, -უ	-ა, -ო, -ე, -ო, -უ
დატივი II	დატივი I + -ხ	დატივი I + -ხ
აბლატივი	დატივი II + -ოც	დატივი II + -ო
სუპერესივი	დატივი I + -ლ	დატივი I + -ლ

ამას გარდა, კავკასიის ალბანურ ენაში დადასტურებული II ადესივი შეიძლება დავუკავშიროთ უდიურ ალატივს (ორივე ფორმა დატივი I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -ჭ სუფიქსის დართვით). თავის მხრივ, უდიური ადესივი (V-**სტა** ფორმანტის დართვით იწარმოება) უახლოვდება კავკასიის ალბანური ანტეაბლატივის V-**ს**-**თახ**-**ოც** და V-**ხ**-**ოს**-**ტა**-**ჲ** სუფიქსთა მეშვეობით ნაწარმოებ ფორმებს. უდიური კომიტატივი, როგორც ჩანს, კავკასიის ალბანური III სუპერესივისაგან არის მიღებული. ეს ფორმები იდენტურად იწარმოება (V-**ხ**-**ოლ** სუფიქსის მეშვეობით). ერთადერთი ლოკატიური ბრუნვა უდიურში, რომლის პარალელიც კავკასიის ალბანურში არ შეინიშნება, – არის ბენეფაქტივი.

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენა ბრუნვათა სიმრავლით იყო გამორჩეული, რაც საერთოლეზგიური მდგომარეობისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო, შდრ. უდიური, რომელშიც სულ 11 ბრუნვა გვაქვს. ამასთან, კავკასიის ალბანურში უდიურთან შედარებით უკეთ შეინიშნება თანდებულიან ბრუნვათა სერიულობა. თუ უდიურში სერიულობის კვალი თითქმის წაშლილია (ერთადერთ შემორჩენილ სერიის ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ დატივი II-სი (-V**ხ**), აბლატივისა (-V**ხ**-**ო**) და კომიტატივის (-V**ხ**-**ოლ**) წარმოება), კავკასიის ალბანურში კი – მიუხედავად იმისა, რომ სერიათა სისტემა უკვე მოშლილია, იკვეთება დაშორებისა და მოახლოების აღმნიშვნელი სუფიქსები: ესენია, ჩვენი ვარაუდით, *-**ოც** – დაშორების აღმნიშვნელი, რომელიც დასტურდება აბლატივი I-ის (-**ოც** < *-V-**ოც**), აბლატივი II-სი (-V-**ხ**-**ოც**), ანტეაბლატივი I-ისა (V-**ს**-**თ**-**ახ**-**ოც**; V-**ს**-**ახ**-**ოც**) და

სუპერაბლატივის ფორმებში (V-**ლ-ოც**; V-**ლ-ახ-ოც**); და *-**ოშ** – მოახლოების აღმნიშვნელი, რომელიც კომიტატივისა (-V-**ხ-ოშ**) და სუპერესივ II-ში (-V-**ლ-ოშ**) დასტურდება. ვფიქრობთ, რომ უდიური აბლატივის -**ო** სუფიქსი გენეტიკურად უკავშირდება კავკასიის ალბანურში დადასტურებულ -**ოც** მაწარმოებელს, ხოლო -**ოშ** სუფიქსი უდიურ ენაში, შესაძლებელია, **იშ-ა** "ახლოს", "სიახლოვეს" ლექსემაში იყოს შემონახული.

ნათესაობის დადგენის თვალსაზრისით რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა პარალელურად უმნიშვნელო არ არის მორფოლოგიის ჩვენებაც როგორც ინვენტარის, ისე მორფოლოგიურ კატეგორიათა ფუნქციების მხრივაც. როგორც აღინიშნა, უდიურში დადასტურებული ბევრი მოვლენა მხოლოდ კავკასიის ალბანური ენის მონაცემთა მოხმობით ჰპოვებს თავის ახსნას, ანუ ალბანურში შემონახულია საერთოლეზგიური ერთობისათვის დამახასიათებელი ბევრი მოვლენა, რომელიც უდიურს დაუკარგავს. ასე, მაგალითად, კავკასიის ალბანურში III მიცემითის ფორმანტი (-**ს**) საერთოლეზგიური დატივისაგან (*-**სₒ**) უნდა იყოს მიღებული, რომელიც შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ლეზგ. -**ზ**: თაბ. -**ზ**: აღ. -**ს**: რუთ. -**ს**: წახ. -**ს**/-**სₒ**: კრიწ. -**ს**: ბუდ. -**ზ**: არჩ. -**სₒ** [ალექსეევი 1985: 45]. უდიურში საერთოლეზგიური დატივის შესატყვისი არ მოგვეპოვება, თუმცა მას უნდა უკავშირდებოდეს ადესივის რთული ფორმანტის (-**ას**-ტა) თავკიდური ელემენტი [ბოკარევი 1960: 45].

ამას გარდა, შეინიშნება შემდეგი პარალელები:

წრფელობითი: კავკ.-ალბ. -**ø** – ს.-ლეზგ. *-**ø** > ლეზგ. -**ø**: თაბ. -**ø**: აღ. -**ø**: რუთ. -**ø**: წახ. -**ø**: კრიწ. -**ø**: ბუდ. -**ø**: არჩ. -**ø**: ხინ. **ø**. აქედან გამომდინარე, საერთოლეზგიური ქრონოლოგიური დონისათვის აბსოლუტივის არსებობა უნდა ვივარაუდოთ [ბოკარევი 1960: 45], თუცმა არჩიბულში ნომინატივის შესაძლო კვალზე (*-**ა**) მიუთითებენ [კიბრიკი და სხვ. 1977: II-10].

ალბანური ნათესაობითის ერთ-ერთი ფორმანტი -V**ნ** კანონზომიერად უკავშირდება საერთოლეზგიური გენიტივის ფორმანტს (*-**ნ**), რომელიც ლეზგიურ

ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -**ნ**: თაბ. -**ნ**: აღ. -**ნ**: წახ. -**ნ**: უდ. -**ნ**: არჩ. -**ნ** [ბოკარევი 1960: 45].

საერთოლეზგიური ერთობისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი თანდებულიან ბრუნვათა წარმოების შემდეგი მოდელი: ირიბი ფუძე + ლოკალიზაციის (სერიის) მაჩვენებელი + მიმართულების მაჩვენებელი [ალექსეევი 1985: 46]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ირიბ ბრუნვათა ფუძე საერთოლეზგიურში, საფიქრებელია, ერგატივის ფორმას ეთხვეოდა. ეს ვითარება შენარჩუნებულია ლეზგიურ, თაბასარანულ, აღულურსა და არჩიბულ ენებში. საერთოლეზგიურისათვის ირიბი ფუძის მაწარმოებლებად სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდევია როგორც ვოკალური (*-**ე**-, *-**გ**-, *-**ა**-, *-**ჳ̄**- [სტაროსტინი 1981: 75-76]) და კონსონანტური სუფიქსები (*-**რა**-, ***ნ·ე**-, *-**ნი**-, *-**ლი**-, *-**თ·ი**-), ისე ხმოვანთა მონაცვლეობაც ფუძეში: ***ა** : ***ო**; ***ჳ̄** : ***ი** [ალექსეევი 1985: 28]. ამ მხრივ, კავკასიის ალბანურსა და უდიურშიც ირიბი ფუძე ან პირდაპირ ფუძეს ემთხვევა, ანდა მას -**ნ**- სუფიქსი აწარმოებს (კავკასიის ალბანურში -**ჲ**- და -**რ**- სუფიქსებიც). ამას გარდა, I დატივი უდიურსა და კავკასიის ალბანურში შეიძლება წარმოშობით საერთოლეზგიური ირიბი ფუძის ერთ-ერთ მოდელს უკავშირდებოდეს, სახელდობრ – ვოკალური აფიქსებით ნაწარმოებ ირიბ ფუძეს. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ, ერთი მხრივ, საერთოლეზგიური დატივი, როგორც იყო ნაჩვენები, კავკასიის ალბანურში უკავშირდება არა I დატივს, არამედ III მიცემითს, ხოლო, მეორე მხრივ, I დატივის ფორმაზე დაყრდნობით ყველა თანდებულიანი ბრუნვა იწარმოება (I აბლატივის გარდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, საქმე I დატივის მაწარმოებლის რედუქციასთან უნდა გვქონდეს).

რაც შეეხება ლოკალიზაციის მაჩვენებლებს, საერთოლეზგიურისათვის შემდეგი მაწარმოებლები ივარაუდება [ბოკარევი 1960: 49-50; ალექსეევი 1985: 49]:

*-**ლოჾ**- “ორიენტირზე”;

*-**ც**- “ორიენტირში”;

*-**ლოჾʻw**- “ორიენტირთან”;

*-**ქ**- “ორიენტირთან უშუალო შეხება”;

*-**ჴ**- “ორიენტირის უკან”;

*-**ყ‘**- “ორიენტირთა შორის”;

*-**ჳ**- “ორიენტირის წინ”;

*-**ლ̣ˇ**- “ორიენტირის ქვეშ”

“ორიენტირზე” ლოკალიზაციის მაჩვენებელი *-**ლჲ**- შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:[56] ლეზგ. -**ალ**: თაბ. -**ლ**: აღ. -**ლ**: რუთ. -**ლ**: წახ. -**ლ́**: ბუდ. -**ლ**: უდ. -**ლ**: არჩ. -**თ** // **თჲ** [ბოკარევი 1960: 49].

უნდა აღინიშნოს, რომ -**ლ** მაჩვენებლის თავდაპირველი სემანტიკა კავკასიის ალბანურში შენარჩუნებულია – ამ სუფიქსის მეშვეობით ოთხი ბრუნვის ფორმა იწარმოება, ესენია: სუპერესივი I, სუპერესივი II, სუპერაბლატივი და სუპერესივი III. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ფორმაში -**ოლ** მაჩვენებელი მესამე ადგილზე გვაქვს, იგი II მიცემითის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება და, შესაბამისად, გვევლინება მიმართულების მაჩვენებლად. თუმცა, ამის მიუხედავად, -**ოლ** სუფიქსის კავშირი სუპერესივის ორ დანარჩენ ფორმაში დადასტურებულ ლოკალიზაციის -**ლ**- მაჩვენებელთან, ჩვენი აზრით, ცხადია.

“ორიენტირში” ლოკალიზაციის მაჩვენებელი საერთოლეზგიურში *-**ც**- შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:[57] ლეზგ. -**ø**: თაბ. -**ც**: აღ. -**ც**: რუთ. -**ø**: წახ. -**ø**: კრიწ. -**ø** // -**ϑ**: ბუდ. -**ø** // -**ϑ**: უდ. -**ω**: არჩ. -**ø** [ხანმაგომედოვი 1958: 20; თოფურია 1967: 207]. ე. ბოკარევი კი აქ *-**ა** // -**ä** ვარაუდობს [ბოკარევი 1960: 49].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოზაზრება იმის შესახებ, რომ უდიურში -**ω** ფორმატიანი გენიტივი უნდა იყოს ლოკატიური წარმოშობისაა და მისი მაწარმოებელი საერთოლეზგიურ *-**ც**- აფიქსს უნდა უკავშირდებოდეს

---

[56] უნდა აღინიშნოს, რომ ***ლჲ** ბგერის რეკონსტრუქცია საერთოლეზგიურ ფუძე-ენაში (ს. სტაროსტინის მიხედვით – ლეზგ. **ლ**: თაბ. **ლ**: აღ. **ლ**: რუთ. **ლ**: წახ. **ლ** // **ლ́** // **ჾ**: კრიწ. **ლ**: ბუდ. **ლ**: უდ. **ლ**: არჩ. **თ** // **თჲ** [სტაროსტინი 1975] ეჭვს იწვევს. ორიენტირზე ლოკალიზაციის მაჩვენებლად ჩვენ გვესახება *-**ლ** მაწარმოებელი.

[57] ამ რეკონსტრუქციის შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ ***ც** ბგერის პოსტულირება საერთოლეზგიური ფუძე-ენისათვის, რომელიც, ს. სტაროსტინის აზრით, შემდეგ ფორმულას ემაყარება ლეზგ. **ც** // **ω** // **ø**: თაბ. **ც** (// **ω**): აღ. **ც** // **ø**: რუთ. **ც** // **ø**: წახ. **ც** // **ø**: კრიწ. **ც** // **ϑ** // **ø**: ბუდ. **ც** // **ø**: უდ. **ც** // **ø**: არჩ. **ც** // **ø** [სტაროსტინი 1975], გარკვეულ ეჭვს აღძრავს.

[ალექსეევი 1985: 50]. კავკასიის ალბანურშიც თანდებულიან ბრუნვათა შორის არ ჩანს ამ მაჩვენებლის შესატყვისი. ამდენად, მზად ვართ გავიზიაროთ მ. ალექსეევის მოსაზრება -**ჲ** ფორმატიანი გენიტივის ლოკატიური წარმოშობის შესახებ.

"ორიენტირთან" ლოკალიზაციის საერთოლეზგიური მაჩვენებელი *-**ლ‘ʷ**-[58] ლეზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებით წარმოდგენილი: ლეზგ. -**ჸ̂**: თაბ. -**ხ̋** (**ჶ**): აღ. -**ჸ̂**: რუთ. -**ხ̋ʷ**: კრიწ. -**ჸ̂**: ბუდ. -**ჸ̂**: უდ. -**ხ**: არჩ. -**ლ‘უ** [ალექსეევი 1985: 51-52].

ვფიქრობთ, რომ კავკასიის ალბანურშიც უდიურის მსგავსად ამ სერიულ მაჩვენებელს შეესატყვისება II დატივის აფიქსი -**ხ**. ეს ბრუნვა ლოკატიური წარმოშობისა ჩანს, მით უფრო, რომ ლოკატიური ფუნქციები მას დღემდე არ ჩამოსშორებია. II დატივს უდიურსა და კავკასიის ალბანურში სერიულობის ნიშნები აქვს შენარჩუნებული, რაც აგრეთვე მისი ლოკატიური წარმოშობის შესახებ მეტყველებს: უდიურში იგი ერთადერთი შემორჩენილი სერიის ნაშტად უნდა მივიჩნიოთ დატივი II-ს (-V**ხ**), აბლატივისა (-V**ხ-ო**) და კომიტატივის (-V**ხ-ოლ**) წარმოება, ხოლო კავკასიის ალბანურში II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება ხუთი ბრუნვა, ესენია: აბლატივი II (-V**ხ-ოც**), სუპერესივი III (-V**ხ-ოლ**), ანტეაბლატივი II (-V**ხ-ოსტაჲ**), კომიტატივი (-V**ხ-ოშ**) და დირექტივი (-V**ხ-უ**).

ამ ბრუნვით ჯერ პირდაპირი ობიექტის მარკირება დაიწყო (აბსოლუტივის პარალელურად), რაც კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში აისახა (ანუ მივიღეთ აკუზატივის ტიპის ბრუნვა), უდიურში კი მოგვიანებით მოხდა ამ ბრუნვისა და დატივის სინტაქსური ფუნქციების აღრევა. უფრო შორს წავიდა ეს პროცესი ნიჯურ კილოში, რომელშიც დატივი ფაქტობრივად უნიფიცირებულია, ანუ -**ხ** ფომანტიანი დატივი (დატივი II) თითქმის არ იხმარება.

"ორიენტირთან უშუალო შეხება" ლოკალიზაციის საერთოლეზგიური მაჩვენებელი *-**ქ**- ლეზგიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -**ქ**: თაბ. -**ქ**: აღ. -**ქ**: რუთ. -**ქ**: წახ. -**ქ**: კრიწ. -**ქ**: ბუდ. -**ქ**: არჩ. -**ქ** [ალექსეევი 1985: 52].

[58] ჩვენი აზრით, საერთოლეზგიურში აღდგება არა ლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ – ლაბიალური კომპლექსები (Cw).

კავკასიის ალბანურში, უდიურისაგან განსხვავებით, გვქონდა ამ სერიის მაჩვენებლის შესატყვისი, თუმცა მას სერიულობა დაკარგული აქვს და მხოლოდ ერთი ბრუნვის – I ადესივის – ფორმაში დასტურდება: -**ქ**(**ა**).

“ორიენტირის უკან” ლოკალიზაციის საერთოლეზგიური მაჩვენებელი *-**ჴ**- ლეზგიურ ენებში შემდეგი კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -**ჴ**: თაბ. -**ჴ**: აღ. -**ჴ**: რუთ. -**ხ** // **ჴ**: წახ. -**ჴა**: კრიწ. -**ხ**: ბუდ. -**ხ**: არჩ. -**ხ** (?): ხინ. **ხ**: უდ. **ხ** [ბოკარევი 1960: 47]. აღსანიშნავია, რომ *-**ჴ**- მაწარმოებელი (ან -**ჴ̈ა** “ორიენტირის უკან”, “ორიენტირთან” [ალექსეევი 2003: 163]) საერთოდაღესტნურ დონეზე აღდგება [გიგინეიშვილი 1976: 36].

ეჭვი გვეპარება, რომ -**ხ** სუფიქსი უდიურ ენაში, რომელიც დატივი II-სა და, შესაბამისად, მისგან მიღებული თანდებულიანი ფორმების მაწარმოებელია, საერთოდაღესტნური *-**ჴ**-საგან მომდინარეობდეს. უდიურის მსგავსად საერთოლეზგიური *-**ჴ**- მაჩვენებლის შესატყვისი კავკასიის ალბანურშიც არ ჩანს.

ერთი მხრივ, **ხ** უდიურსა და კავკასიის ალბანურში საერთოდაღესტნური ***ჴ** ბგერის შესატყვისად არ დასტურდება[59] და, მეორე მხრივ, II დატივის მაწარმოებელი უდიურსა და კავკასიის ალბანურში, როგორც იქნა ნაჩვენები, საერთოლეზგიურ “ორიენტირთან” ლოკალიზაციის მაჩვენებელს (*-**ლ̈°**- ან, ჩვენი აზრით – *-**ლ̈ʷ**) უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა მ. ალექსეევს შესაძლებლად მიაჩნია, რომ უდიურში -**ხ** ფორმანტში მოხდა საერთოლეზგიურ *-**ლ̈ʷ**- და *-**ჴ**- მაწარმოებლების ნეიტრალიზაცია (ალექსეევი 1985: 54). ამ მოსაზრების ბოლომდე უგულვებელყოფა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ -**ხ** მაწარმოებლიანი დატივის ფორმაზე დაყრდნობით კავკასიის ალბანურში ხუთი ლოკატიური ბრუნვა იწარმოება.

“ორიენტირთა შორის” ლოკალიზაციის საერთოლეზგიური მაჩვენებელი *-**ყ‘**- ლეზგიურ ენებში შემდეგი აფიქსებითაა წარმოდგენილი: თაბ. -**ყ‘** // -**ღ‘**: აღ. -**ღ‘**: არჩ. -**ჴ‘** [კახაძე 1973: 42]. შესაძლებელია, რომ კავკასიის ალბანურში ამ მაწარმოებელს ექვატივის -**ღა** ფორმანტი უკავშირდებოდეს.

---

59 აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საპირისპირო მოსაზრება გამოითქვა [თალიბოვი 1980: 305-306], თუმცა აუსლაუტში საერთოლეზგიური *ჴ ბგერის შესატყვისად უდიურში **ხ** უეჭველად არ დასტურდება.

“ორიენტირის ქვეშ” ლოკალიზაციის საერთოლეზგიური მაჩვენებელი *-**ლ̣ჿ**-ლეზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -**ქ**: თაბ. -**ქჾ**: აღ. -**ქჾ**: რუთ. -**ქ**: წახ. -**ქ**: კრიწ. -**ქ**: ბუდ. -**ქ**: არჩ. -**ლ̣ʷ**: ხინ. -**კ** [ალექსეევი 1985: 55]. იმის მიუხედავად, რომ უდიურს ამ მაწარმოებლის ანალოგი არ მოეპოვება, კავკასიის ალბანურში მას შეესატყვისება სუბესივის ფორმანტი -**ყ**,[60] რომელსაც სერიულობა უკვე დაკარგული ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ *-**ლ̣ჿ**- ფორმანტი საერთოდარესტნურ დონეზეც აღდგება [დუმეზილი 1933: 84-85; ბოკარევი 1960: 48; გიგინეიშვილი 1976: 35], შდრ. ანდ. -**ლ̣ჿ**ი: ახვ. -**ლ̣ჿ**ი: დიდ. -**ლʹჾ**: დარგ. -**ცუ**- (ურახ.) // -**გუ** (კუბაჩ.)...

ამას გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოლეზგიურისათვის ნავარაუდევია შემგები ლოკალიზაციის მაჩვენებლები:

-**ჰ**- – ივარაუდება “ორიენტირის წინ” ლოკალიზაციის მაჩვენებლად [ალექსეევი 1985: 54], თუმცა პოსტულირებულია მხოლოდ თაბასარანული და აღულური ენების ჩვენების მიხედვით, რაც საეჭვოდ ხდის მის არსებობას არათუ საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ საერთოსამურულ და, შესაძლოა, საერთო-აღმოსავლურ-სამურულ ქრონოლოგიურ დონეზეც კი.

-**რ**- – ივარაუდება ლოკალიზაციის მაჩვენებლად, რომლის ზუსტი სემანტიკა უცნობია. შესაძლებელია, იგი აბლატივის საერთოლეზგიურ ნიშანს უკავშირდებოდეს [ალექსეევი 1985: 55]. აღდგება არჩიბულისა და შაჰდაღის ენების (მათ შორის, ხინალუღურის) მანაცემთა მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ მაწარმოებლის აღდგენა ხერხდება საერთოანდიურ (*-**რუ**) და საერთოდიდოურ (*-**რ**) ქრონოლოგიურ დონეებზე [დუმეზილი 1933: 82]. ამ ფორმანტის შესატყვისი კავკასიის ალბანურში არ დასტურდება.

---

[60] როგორც უდიურში, ისე კავკასიის ალბანურში საერთოლეზგიურ ***ლ̣ჿ**-ს რეგულარულად შეესატყვისება **ყ** ბგერა – საერთოლეზგიური ***ტ̣ʻჾ** შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: არჩ. **ლ̣ჿ**: ლეზგ. **ქ**/**კ**: თაბ. **ქჾ**: აღ. **ქჾ**: რუთ. **გ**/> **ჯ**: წახ. **გ**/**ქჾ**: კრიწ. **ქ**: ბუდ. **ქ**: უდ. **ყ**: კავკ.-ალბ. **ყ**: ხინ. **კ**/**ქჾ**. მაგ.:

არჩ. **ლ̣ჿ**ალ: ლეზგ. **კ**ელ || **ქჾ**ელ (ახტ.): თაბ. **ჩჾ**ილ < ***ქჾ**ილ: აღ. **ქჾ**ელ || **კ**ელ: რუთ. **გ**ʼლ: წახ. **გ**ეუ̂ < ***გ**ელ: კრიწ. **ქ**ელ: ბუდ. **ქ**ელ: უდ. **ყ**ალ: ხინ. **კ**უ < ***კ**ულ „ბატკანი“;

არჩ. ბო**ლ̣ჿ**: ლეზგ. ჲა**ქ**: თაბ. ჲა**ქჾ**: აღ. ჲა**ქჾ**: რუთ. ჲა**ქ**: ბუდ. ჲე**ქ**: უდ. ე**ყ**: ხინ. ლგ**ქჾ**ა „ხორცი“...

რაც შეეხება მიმართულების მაჩვენებლებს: როგორც აღინიშნა, კავკასიის ალბანურში იკვეთება დაშორებისა და მოახლოების აღმნიშვნელი სუფიქსები: ჩვენი ვარაუდით, ესენია:

*-**ოც** – დაშორებითი (აბლატივი), რომელიც დასტურდება აბლატივი I-ის (-**ოც** < *-V-**ოც**), აბლატივი II-ს (-V-**ხ-ოც**), ანტეაბლატივი I-ისა (V-**ს-თ-ახ-ოც**; V-**ს-ახ-ოც**) და სუპერაბლატივის ფორმებში (V-**ლ-ოც**);

*-**ოშ** – ჩვენი აზრით – ისტორიული ლატივის ნიშანია, რომელიც კომიტატივისა (-V-**ხ-ოშ**) და სუპერესივ II-ში (-V-**ლ-ოშ**) დასტურდება.

საწყისი (უძრაობის) მაჩვენებელი კი (ლოკატივი), როგორც საერთოლეზგიურისათვის ივარაუდება, კავკასიის ალბანურშიც არამარკირებული უნდა ყოფილიყო.

კავკასიის ალბანური აბლატივის ფორმანტი -**ოც**, ჩვენი აზრით, უკავშირდება შემდეგ მაწარმოებლებლებს: ხუნძ. -**სჿა**:[61] დიდ. -**ზა**: ბეჟ. -**ს** / -**სო** / -**შ**: ხვარშ. -**ჟო** || -**ზ(ი)** (ინხ.); ამას გარდა, -**ოც** ფორმანტი არჩიბულსა და ხინალუღურში დადასტურებულ აბლატივის -**შ** სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს. იმის მიუხედავად, რომ **ც** თანხმოვანი რეგულარულად არ შეესატყვისება წარმოდგენილ აფიქსებში დადასტურებულ **შ** კონსონანტს,[62] არც რაიმე დაუძლეველი ფონეტიკური დაბრკოლება გვაქვს.

-**ოშ** მაწარმოებელი, თავის მხრივ, უნდა უკავშირდებოდეს არჩიბულ -**ში** და დარგუულ -**შუ** || -**შჿუ** || -**ჩუ** (*-**შუ** [მუსაევი 1984: 65]) ლატივის აფიქსებს.

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის მორფოლოგიური სტრუქტურა და, სახელდობრ – ბრუნვათა სისტემა, ძალიან ახლოსაა უდიურისა და სხვა ლეზგიური ენების ანალოგიურ სისტემებთან როგორც ინვენტარის, ისე ფუნქციების მხრივ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კავკასიის ალბანური განსაკუთრებულ მსგავსებას უდიურთან ავლენს.

---

[61] შესაძლებელია, კავკასიის ალბანური აბლატივის ფორმანტი (-**ოც**) უკავშირდებოდეს ხუნძურ ერგატივის ნიშანს -**ცჿა** (ხუნძურში აბლატივებისა და ერგატივის ფუნქციური და ფორმობრივი მსგავსების შესახებ იხ.: [კლიმოვი, ალექსეევი 1980: 224-226].

[62] ამ სქემის მიხედვით (ხუნძ. **ცჿ** (იხ. წინა სქოლიო): დიდ. **ს**: არჩ. **შ**...) ამოსავალში, საერთოდაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ *-**ცჿ** ბგერა (შდრ.: [გიგინეიშვილი1977: 95]), თუმცა ხინალუღური **შ** ვერ ჯდება ამ სქემაში.

მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის ალბანურსა და სხვა ლეზგიურ ენათა შორის შეინიშნება არამარტო ბრუნების ინვენტარის ფორმობრივი და ფუნქციური მსგავსება, არამედ ბრუნვის ნიშნებში გვაქვს რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა მაგალითები. გვხვდება იდენტური (ბგერათიგივეობანი) და არაიდენტური ბგერათშესატყვისობები:

სახელობითი: კავკ.-ალბ. **-ø** – ს.-ლეზგ. ***-ø** > ლეზგ. **-ø**: თაბ. **-ø**: აღ. **-ø**: რუთ. **-ø**: წახ. **-ø**: კრიწ. **-ø**: ბუდ. **-ø**: არჩ. **-ø**: ხინ. **ø**;

გენიტივი: კავკ.-ალბ. **-Vნ** – ს.-ლეზგ. ***-ნ** > ლეზგ. **-ნ**: თაბ. **-ნ**: აღ. **-ნ**: წახ. **-ნ**: უდ. **-ნ**: არჩ. **-ნ**;

დატივი: კავკ.-ალბ. **-Vს** (დატივი III) – ს.-ლეზგ. ***-სː** > ლეზგ. **-ზ**: თაბ. **-ზ**: აღ. **-ს**: რუთ. **-ს**: წახ. **-ს/-სː**: კრიწ. **-ს**: ბუდ. **-ზ**: არჩ. **-სː**;

*“**ორიენტირზე**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ლ** (სუპერესივი) – ს.-ლეზგ. ***-ლ-** > ლეზგ. -**ალ**: თაბ. **-ლ**: აღ. **-ლ**: რუთ. **-ლ**: წახ. **-ლ́**: ბუდ. **-ლ**: უდ. **-ლ**: არჩ. **-თ** // **თː** (?);

*“**ორიენტირთან**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ხ** (დატივი II) – ს.-ლეზგ. ***-ლჼʷ** > ლეზგ. **-ჶ̂**: თაბ. **-ხ́** (**ჶ**): აღ. **-ჶ̂**: რუთ. **-ხ́ʷ**: კრიწ. **-ჶ̂**: ბუდ. **-ჶ̂**: უდ. **-ხ**: არჩ. **-ლჼ**უ;

*“**ორიენტირთან უშუალო შეხება**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. -**ქ**(**ა**) (ადესივი I) – ს.-ლეზგ. ***-ქ-** > ლეზგ. **-ქ**: თაბ. **-ქ**: აღ. **-ქ**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუდ. **-ქ**: არჩ. **-ქ**;

*“**ორიენტირის ქვეშ**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ყ** (სუპერესივი) – ს.-ლეზგ. ***-ლ̣ჼ-** > : ლეზგ. **-ქ**: თაბ. **-ქː**: აღ. **-ქː**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუდ. **-ქ**: არჩ. -**ლ̣ᵛ**: ხინ. **-კ**...

აღსანიშნავია, რომ ოთხივე ლოკალიზაციის მაჩვენებელთა შემთხვევაში, კავკასიის ალბანურ შესატყვისს დაცული აქვს საერთოლეზგიური მაჩვენებლის თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა (**-ხ** სუფიქსის გარდა, თუმცა, მის შემთხვევაშიც კი, თუ გავიზიარებთ მის კავშირს საერთოლეზგიურ “ორიენტირთან” ლოკალიზაციის მაჩვენებელთან, გასაგები ხდება მისი მეშვეობით

ნაწარმოები დატივი II-ს ევოლუცია ერთ-ერთი ლოკატივიდან პირდაპირი ობიექტის ბრუნვამდე). ამას გარდა, ოთხივე ფორმანტი კავკასიის ალბანურში (-**ლ**, -**ხ**, -**ქ**(ა), -**ყ**) არსებითად ლოკალიზაციის მაჩვენებლად წარმოგვიდგება, ანუ ეს ელემენტები იკავებენ ადგილს დატივი I-ის მაწარმოებელსა (რომელიც, როგორც აღინიშნა, ისტორიულად ირიბი ფუძის ფორმანტი უნდა იყოს) და მიმართულების მაჩვენებლებს შორის. ორი მაწარმოებელი (-**ლ**, -**ხ**) სამივე ფორმას აწარმოებს (ლოკატივი, ლატივი, აბლატივი. -**ხ** მაწარმოებელი კი, ამას გარდა, კიდევ სამ ფორმას), ორი კი (-**ქ**(ა), -**ყ**) – მხოლოდ ლოკატივებს.

2.2.2.2. **რიცხვის კატეგორია**

კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ორი რიცხვი დასტურდება – მხოლოობითი და მრავლობითი. მხოლოობითისა და მრავლობითი რიცხვის დაპირისპირება შეიძლება იყოს გამოხატული როგორც მორფოლოგიურად, სპეციალური მაწარმოებლის მეშვეობით (არსებითი სახელებში, ზედსართავი სახელებში, ზოგიერთ რიცხვით სახელსა და ზმნაში), ისე ლექსიკურად (ნაცვალსახელთა, რიცხვით სახელთა და ზოგიერთი ზმნისართის მეშვეობით). სპეციალურ მაწარმოებელს ითხოვს მრავლობითი რიცხვის ფორმა, ხოლო მხოლოობითი ყოველთვის არამარკირებულია. ირიბ ბრუნვათა ფორმებში მრავლობითის აღმნიშვნელი აფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს.

კავკასიის ალბანურ ენაში მრავლოთი რიცხვის მაწარმოებელ აფიქსთა შორის ყველაზე პროდუქტიულია -**უხ** სუფიქსი (სახელობითში) და -**უღ**- სუფიქსი (ირიბ ბრუნვათა ფორმებში). გვხვდება ამ მაწარმოებლების ფონეტიკური ვარიანტებიც: -**ღ**-, -**იხ**, -**იღ**, -**ახ**. ამას გარდა, დასტურდება შემდეგი მაწარმოებლები: -**რ**-, -**რ-ღ-**, -**ურ**, -**რუხ**, -**ურუხ**, -**ბურ**, -**მ**-, -**მუხ**.

კავკასიის ალბანურის მსგავსად უდიურსაც ახასიათებს მრავლობითი რიცხვის ნიშანთა მრავალფეროვნება:

	ბრუნვები	ვართაშნული	ნიჯური
1	სახელობითი	-უხ, -ურ, -ურ-უხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ, -ორ	-უხ//-ხო, -ურ, -ურ-უხ// -ურ-ხო, -მ-უხ, -ურ-მ-უხ
2	ირიბი ბრ.	-ღ//-ოღ, -მ-უღ, -ურ-მ-უღ, -ურ-უღ//-ურ-ღ	-ღ//-ხ, -ოხ, -ურ-უხ//-ურ-ხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ

ამათგან, სახელობითში ყველაზე პროდუქტიულია -**უხ** (ვართაშნულში) და -**უხ**//-**ხო** (ნიჯურში) სუფიქსები, ხოლო ირიბ ბრუნვებში – -**ღ**//-**ოღ** (ვართაშნულში) და -**ღ**//-**ხ** (ნიჯურში).

ლეზგიურ ენებში მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა სიმრავლე არ გვაძლევს საშუალებას ისინი ერთ არქეტიპამდე დავიყვანოთ. საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე არა ერთი, არამედ რამდენიმე მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლის რეკონსტრუქცია მიგვაჩნია მიზანშეწონილად (წარმოგიდგენთ მხოლოდ იმ ფორმულებს, რომლებშიც კავკასიის ალბანური მასალაცაა მოხმობილი):

***ურ** – არჩ. -ორ/-ურ: უდ. -ურ: კავკ.-ალბ. -ურ;

***ბ-ურ** – ლეზგ. -ბურ: აღ. -ბურ, -ვურ: რუთ. -ბგრ: წახ. -ბგ: ხინ. -(ა)ბგრ: არჩ. -ბურ: კავკ.-ალბ. -ბურ. ეს ფორმანტი უნდა იყოს ნივთთა (III) კლასის მაწარმოებლით (-**ბ**) გაფორმებული წინა (*-**ურ**) სუფიქსი.

შესაძლებელია, რომ *-**ურ** და ***ბ-ურ** მაწარმოებლები საერთოლეზგიურ *-**არ** მაწარმოებელს დავუკავშიროთ, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ხმოვანთა შორის არ გვექნება კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა.

*-(**V**)**მ** – რუთ. -მ- (-მ-არ სუფიქსში), იხრ. -გმ: კრიწ. -იმ: ბუდ. -იმ: ხინ. -ამ(ზგრ): არჩ. -ომ/-უმ: უდ. -მ- (-მ-უხ სუფიქსში): კავკ.-ალბ. -მ (ირიბ ბრუნვათა ფორმებში).

ამას გარდა, შესაძლებლად გვესახება, რომ ერთმანეთს დავუკავშიროთ:

არჩ. -**ღ**- (ქულ „ხელი“ – ქურ-**ღ**-ულ „ხელები“) ~ უდ. -**უხ**, -**ხ**, -**ხო**, -**ოხ**,/-**უღ**, -**ღ**, -**ოღ**: კავკ.-ალბ. -**უხ**, -**ხ**, -**იხ**, -**ახ**,/-**უღ**, -**ღ**, -**იღ**.

2.2.2.3. გრამატიკული კლასის კატეგორია

კავკასიის ალბანურში გრამატიკული კლას-კატეგორია მოშლის პირას იყო. გენდერულ სხვაობათა აღნიშვნა იყო ნიშანდობლივი ძირითადად სახელებისათვის (სუბსტანტივებისა და გასუბსტანტივებული ატრიბუტივებისთვის), ხოლო ზმნაში – ოდენ III პირის ფორმებისათვის, რაც უჩვეულოა იმ იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, რომლებიც გრამატიკულ კლას-კატეგორიას განარჩევენ.

კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დასტურდება ნაცვალსახელური წარმოშობის კლასიფიკატორთა სერია, რომელიც სუფიქსის სახით დაერთვის ზედსართავ სახელებს, მიმღეობასა და ზმნისართებს და ე. წ. მასუბსტანტივებელი აფიქსის (*Referentialiser*, შდრ. უდ. -**ო**) ფუნქციას ითავსებს (დამოკიდებული ატრიბუტივი არ განარჩევს მასთან შეწყობილი არსებითი სახელის კლასს):

ბრუნვები	**მამაკაცი (I კლ.)**		**ქალი (II კლ.)**		**არაგონიერი (III კლ.)**	
	მხოლ.	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**
სახელობითი ირიბი ბრ.	-ო -ო-	-ო‘˜რ -ო‘˜-	-აღ -აღ-	-აღურ -აღრ-	-ო -(ე)ტ-	-ებურ -ედღ-

ეს სერია წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს. ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც III პირის ნაცვალსახელთა მაგივრობასაც გვიწევს, კავკასიის ალბანურში ნეიტრალურია (resp. არ გვაქვს დისტანციური კონტრასტი) და კლასების მიხედვით იცვლება:

ბრუნვები	**მამაკაცი (I კლ.)**		**ქალი (II კლ.)**		**არაგონიერი (III კლ.)**	
	მხოლ.	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**
სახელობითი ირიბი ბრ.	ო(ო) ო-	ო‘˜რ ო‘˜-	აღ აღ-	აღურ აღრ-	ჲა // ეე ედ/ტ- // ო-	ებურ ედღ-

ამ ნაცვალსახელებისაგან წარმოიშვა ზმნური კლასის ნიშნებიც, რომელიც III პირის ფორმებს დაერთვის. ზმნური ფორმების კლასის ნიშნებით მარკირება

სუბიექტისა ან ობიექტის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული, შდრ.:

*იშუ აცე-ჺ-**ნე** „კაცი წავიდა“,

*იშუ აცე-ჺ-**ნა-ვა** „ის კაცი წავიდა“;

*იშუ იღ-ა-**ø** „კაცი მიდის“,

*იშუ იღ-ა-**ø-ვა** „ის კაცი მიდის“...

	მხ. რიცხვი				მრ. რიცხვი			
	III პ.	I კლ.	II კლ.	III კლ.	III პ.	I კლ.	II კლ.	III კლ.
აბსოლუტივი	-ნ(ე/ა) ~ -ø +	-ვა	-აღ	-ჺა	-ნ(ე/ა) ~ -ø +	-ა‘~რ	-აღ-ურ	-ებურ
ერგატივი		-ჵ-ენ	-აღ-ენ	-ტ-ენ ?		-ა‘~ნ	-აღ-რ-ონ	-(ე)დ-ღ-ონ
I დატივი		-ჵ-უ	-აღ-უ	-(ე)ტ-უ		-ა‘~ა	*-აღ-რ-ჵ	*-ედ-ღ-ჵ
II დატივი		-ჵ-უხ	-აღ-უხ	-ტ-უხ		-ა‘~ახ	*-აღ-რ-ოხ	-ედ-უხ
III დატივი		-ჵ-უს	*-აღ-უს	*-(ე)ტ-უს		-ა‘~ას	*-აღ-რ-ოს	*-ედ-ღ-ოს

ამას გარდა, კავკასიის ალბანურში დასტურდება არსებით სახელთა სპეციალური არტიკლი:

მამაკაცი (I კლ.)		**ქალი (II კლ.)**		**არაგონიერი (III კლ.)**	
მხოლ.	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**
ჵ	ე	ა	ე	ე	ე

არტიკლის დისტრიბუცია კავკასიის ალბანურში ბოლომდე ნათელი არ არის. როგორც ჩანს, არტიკლიც, ზმნური კლასის ნიშნების მსგავსად, განსაზღვრულობის გადმოცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მრავლობითი უნიფიცირებულია (III კლასის არტიკლით აღინიშნება), რაც უპირისპირდება ნაცვალსახელური წარმოშობის კლასიფიკატორებში დადასტურებულ ვითარებას.

აღსანიშნავია, რომ გენდერის აღნიშვნის ეს სისტემა, რომელიც უჩვეულოა იბერიულ-კავკასიური ენებისთვის, ჰპოვებს საინტერესო პარალელებს ხინალუღურ ენაში. ხინალუღურში დასტურდება კლასის ნიშანთა ორი სერია. საყურადღებოა, რომ მეორე სერიაში გაერთიანებულია ნაცვალსახელური წარმოშობის კლასიფიკატორები: I კლ. – **დუ**; II-III კლ. – **და̈**; IV კლ. – **ჯი**; მრავლობითში – **დურ** (I-II კლ.); **ჯით** (III-IV). ეს სერია თავისი წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელთაგან და ფუნქციათა თვალსაზრისით კავკასიის ალბანურში დადასტურებულ კლასიფიკატორთა მსგავსია.

კავკასიის ალბანურში გრამატიკული კლას-კატეგორიის ისტორია ასე წარმოგვიდგება:

ოთხკლასიანი სისტემა მხოლოობითში, რომელშიც I-II კლასების მრავლობითობა III კლასის ნიშნებით აღინიშნება, ხოლო III-IV კლასებისა – IV კლასის ნიშნებით (როგორც ეს იყო საერთოლეზგიურში) > არაგონიერთა კლასებისა (III და IV) და, შესაბამისად, მრავლობითობის აღნიშვნის უნიფიკაცია > ნაცვალსახელური წარმოშობის კლასიფიკატორთა სერიის ჩამოყალიბება და კლასიფიკატორთა ორი სერიის თანაარსებობა, როგორც ეს არის ხინალუღურში > კლასიფიკატორთა „პირველი“ (თავდაპირველი) სერიის მოშლა, რის შედეგადაც ჩვენ ვიღებთ კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დადასტურებულ ვითარებას.

რაც შეეხება არტიკლს, რომელიც უცხოა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის როგორც გენდერის აღნიშვნის საშუალება, ვფიქრობთ, რომ მისი გაჩენა კავკასიის ალბანურში უცხო ენათა გავლენით მოხდა (სავარაუდოდ – ირანული ენების გავლენით). თუმცა არ არის გამორიცხული კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში არტიკლი ხელოვნური ხასიათისა იყოს. მაგალითისთვის გამოდგება მეზობელ სომხეთში არსებული ელინოფილური სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა. მათ იმისთვის, რომ მეტად დაეცვათ თარგმანის სიზუსტე, სომხური ენის გრამატიკულ წყობაში შეიტანეს მთელი რიგი ცვლილებები, მაგ., ბერძნულის მსგავსად შემოიღეს გრამატიკული სქესის კატეგორია, მრჩობლობითი რიცხვი, პრევერბები და სხვ.

2.3. ზედსართავი სახელი.

2.3.1. ზოგადი.

კავკასიის ალბანურ ენაში ზედსართავი სახელის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფის საფუძველი არც გვექნებოდა, მისთვის დამახასიათებელი რომ არ იყოს თავისებური, არსებითი სახელისაგან განსხვავებული ბრუნება, რომელიც მას აახლოვებს რიცხვით სახელებსა და ზოგიერთ ნაცვალსახელებთან. ატრიბუტივად გამოყენებული ზედსართავი სახელი არ იბრუნვის, ხოლო სუბსტანტივის მნიშვნელობით გამოყენებული ზედსართავი სახელი დაირთავს „მასუბსტანტივებელს“ (სავარაუდოდ, ენკლიტიკაა) და მასთან ერთად იბრუნვის.

სხვა მხრივ არსებით და ზედსართავ სახელებს შორის ზღვარის დადება ძნელდება: ზედსართავ სახელს არ მოეპოვება რაიმე მაწარმოებელი აფიქსი; არსებითი და ზედსართავი სახელების სიტყვაწარმოება მსგავსია – ზოგჯერ გამოიყენება ერთი და იგივე სიტყვაწარმოებითი აფიქსები (-**უნ**, -**ენ**, -**ოʻყე**); ერთი და იგივე სახელი, როგორც წესი, გამოიყენება ატრიბუტივის და სუბსტანტივის მნიშვნელობით.

ატრიბუტივად გამოყენებული ზედსართავი სახელი არ განარჩევს მასთან შეწყობილი არსებითი სახელის კლასს, თუმცა სუბსტანტივად გამოყენებული I და III კლასში დაირთავს -**ო**-, ხოლო II კლასში -**აღ**- მაწარმოებლებს. ეს ე. წ. მასუბსტანტივებელია (შდრ. უდ. -**ო**), წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელია. იგი დაერთვის ზედსართავ სახელებს, მიმღეობას, ზმნისართებს; იხ. ამ ფორმანტის ბრუნება:

ბრუნვები	მამაკაცი		ქალი		არაგონიერი	
	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
აბსოლუტივი	-ო	-ო‘˜-რ	-აღ	-აღ-ურ	-ო	-ებურ
ვოკატივი	?	?	?	?	?	?
ერგატივი	-ო-ენ	-ო‘˜-ნ	-აღ-ენ	-აღ-რ-ო-ნ	-(ე)ტ-ენ	-ედ-ღ-ო-ნ
ნათესაობითი	-ო-ჲა	-ო‘˜-ჲ	-აღ-ჲა	-აღ-რ-ოჲ	-(ე)ტ-ა	-ედ-ღ-ოჲ
დატივი I	-ო-უ	-ო‘˜-ა	-აღ-უ	-აღ-რ-ო	-(ე)ტ-უ	-ედ-ღ-ო
დატივი II	-ო-უ-ხ	-ო‘˜-ახ	-აღ-უ-ხ	-აღ-რ-ო-ხ	-(ე)ტ-უ-ხ	-ედ-ღ-ო-ხ
დატივი III	-ო-უ-ს	-ო‘˜-ს	-აღ-უ-ს	-აღ-რ-ო-ს	-(ე)ტ-უ-ს	-ედ-ღ-ო-ს
აბლატივი I	-ო-უ-ც	-ო‘˜-ც	-აღ-უ-ც	-აღ-რ-ო-ც	-(ე)ტ-უ-ც	-ედ-ღ-ო-ც
ადესივი I	-ო-უ-ქ(ა)	-ო‘˜-ქ(ა)	-აღ-უ-ქ(ა)	-აღ-რ-ო-ქ(ა)	-(ე)ტ-უ-ქ(ა)	-ედ-ღ-ო-ქ(ა)
ადესივი II	-ო-უ-ჭ	-ო‘˜-ჭ	-აღ-უ-ჭ	-აღ-რ-ო-ჭ	-(ე)ტ-უ-ჭ	-ედ-ღ-ო-ჭ
ექვატივი	-ო-უ-ღა	-ო‘˜-ღა	-აღ-უ-ღა	-აღ-რ-ო-ღა	-(ე)ტ-უ-ღა	-ედ-ღ-ო-ღა
სუბესივი	-ო-უ-ყ	-ო‘˜-ყ	-აღ-უ-ყ	-აღ-რ-ო-ყ	-(ე)ტ-უ-ყ	-ედ-ღ-ო-ყ
აბლატივი II	-ო-უ-ხ-ოც	-ო‘˜-ხ-ოც	-აღ-უ-ხ-ოც	-აღ-რ-ო-ხ-ოც	-(ე)ტ-ხ-ოც	-ედ-ღ-ო-ხ-ოც
სუპერესივი III	-ო-უ-ხ-ოლ	--ო‘˜ხ-ოლ	-აღ-უ-ხ-ოლ	-აღ-რ-ო-ხ-ოლ	-(ე)ტ-უ-ხ-ოლ	-ედ-ღ-ო-ხ-ოლ
ანტეაბლატივი II	-ო-უ-ხ-	-ო‘˜-ხ-ოსტაჲ	-აღ-უ-ხ-	-აღ-რ-ო-ხ-	-(ე)ტ-უ-ხ-	-ედ-ღ-ო-ხ-
	ოსტაჲ	-ო‘˜-ხ-ოშ	ოსტაჲ	ოსტაჲ	ოსტაჲ	ოსტაჲ
კომიტატივი	-ო-უ-ხ-ოშ	-ო‘˜-ხ-უ	-აღ-უ-ხ-ოშ	-აღ-რ-ო-ხ-ოშ	-(ე)ტ-უ-ხ-ოშ	-ედ-ღ-ო-ხ-ოშ
დირექტივი	-ო-უ-ხ-უ	-ო‘˜-ს-თახ-	-აღ-უ-ხ-უ	-აღ-რ-ო-ხ-უ	-(ე)ტ-უ-ხ-უ	-ედ-ღ-ო-ხ-უ
ანტეაბლატივი I	-ო-უ-ს-თახ-	ოც	-აღ-უ-ს-თახ-	-აღ-რ-ო-ს-	-(ე)ტ-უ-ს-თახ-	-ედ-ღ-ო-ს-
	ოც	-ო‘˜-ლ	ოც	თახ-ოც	ოც	თახ-ოც
სუპერესივი I	-ო-უ-ლ	-ო‘˜-ლ-ოც	-აღ-უ-ლ	-აღ-რ-ო-ლ	-(ე)ტ-უ-ლ	-ედ-ღ-ო-ლ
სუპერაბლატივი	-ო-უ-ლ-ოც	-ო‘˜-ლ-ოშ	-აღ-უ-ლ-ოც	-აღ-რ-ო-ლ-ოც	-(ე)ტ-უ-ლ-ოც	-ედ-ღ-ო-ლ-ოც
სუპერესივი II	-ო-უ-ლ-ოშ		-აღ-უ-ლ-ოშ	-აღ-რ-ო-ლ-ოშ	-(ე)ტ-უ-ლ-ოშ	-ედ-ღ-ო-ლ-ოშ

2.3.2. ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხები.

ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხები აღწერითად იწარმოება. ამ ფუნქციით კავკასიის ალბანურში გამოიყენება კონსტრუქცია, რომელიც შედგება **იხოჲ** „მეტი“ ზმნისართისა და აბლატივის ფორმისაგან (შდრ. უდ.: მე ხოდ ტე ხოდ-ახო (აბლ.) ქალა-ნე „ეს ხე იმ ხეზე (ზედმიწ. ხისაგან) დიდია“...), მაგ.,

ბო‘ნ῀ი ედღოხოც იხოჲ ბუყანაუნ-ნე „ხოლო ამათში (ზედმიწ. ამათგან) უმეტესი სიყვარულია“ („ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს“) – 1 კორ. 13, 13;

ჩ˜ა-ჯ˜ატაჲ-ზუ-ჰეჲ ე ვაჭარუნახ აველ ბუკუსუნო‘ყეო‘˜ახოც იხოჲ ბეზი ჩინუხ-ჰანაჲო‘˜რ-კე-ჰეჲ „ასე რომ, აღვემატებოდი იუდეველობაში ყველა ტოლსწორს (ზედმიწ. ტოლსწორთაგან) ჩემი მოდგმისას“ („და წარვემატებოდე ჰურიაებასა

შინა უფროჲს მრავალთა ჰასაკისა სწორთა ჩემთა ნათესავთა შინა ჩემთა“) – გალ. 1, 14;

ჰატენკე იხოჲ ნ-აჰა-ნ-ენ̃ე სერუნუნ ბე‘ფი ჯიპნ̃ა-ბაალ̃იღოჲ უნ ფარისაუღოჲთხოც იხოჲ „თუკი თქვენი სიმართლე არ აღემატა მწიგნობართა და ფარისეველთა (ზედმიწ. ფარისეველთაგან) სიმართლეს...“ („უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა“) – მთ. 5, 20.

2.3.3. **ზედსართავი სახელი აგებულების მიხედვით.**

აგებულების მიხედვით უდიურში მარტივი, ნაწარმოები და რთულფუძიანი ზედსართავი სახელები გვხვდება:

მარტივფუძიანი ზედსართავი სახელების რიცხვი კავკასიის ალბანურში არ არის დიდი. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

ერთმარცვლიანი: **ეჲ** „კეთილი“, „კარგი“; **მალ** „პატარა“, „მცირე“; **ყაჭ** „ვიწრო“; **სერ** „ჭეშმარიტი“, „ნამდვილი“; **ღუჲ** „ცოცხალი“...

ერთზე მეტმარცვლიანი: **მუწჾურ** „სუფთა“, „წმინდა“; **ენ̃ი** „ახალი“; **aზი** „შორეული“; **მიი** „ცივი“, „გრილი“; **ბო‘ნ̃ი** „დიდი“; **ჰიოშ̃ა** „ყრუ“; **აყაჭჾი** „შიშველი“; **იქიჲა** „ბრძენი“; **ალ̃ე** „მოხუცი“; **ბუ‘ი** „მძიმე“, **ბაი** „სავსე“, **აცი** „დაბალი“, **კიჲე** „მდიდარი“, **ბუხი** „ძლიერი“...

ნაწარმოებ-ფუძიანი ზედსართავი სახელი. -**ენ** მაწარმოებლიანი (წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტი): ტე‘გ-**ენ** „ჭეშმარიტი“ (**ტე‘გ** „ნიშანი“ (ღვთიური); **ტე‘გ**-უნ „ჭეშმარიტება“)...

-**უნ** მაწარმოებლიანი (წარმოშობით გენიტივის ნიშანი): ღარეუ-**უნ** „საბავშვო“ (**ღარ** „ბავშვი“, „ძე“); მარღავენ-**უნ** „წინასწარმეტყველური“ (**მარღავენ** „წინასწარმეტყველი“)...

-**ჲა** მაწარმოებლიანი (წარმოშობით გენიტივის ნიშანი): დაიზდე-**ჲა** „ოქროსი“, „ოქროსფერი“ (**დაიზდე** „ოქრო“)...

-**ინ** მაწარმოებლიანი (წარმოშობით გენიტივის ან ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტი): კოჯ-**ინ** „სახლისა“, „ოჯახური“ (**კოჯ** „სახლი“); ჰელ-**ინ** „სულიერი“ (**ჰელ** „სული“)...

-**ნუთ** – წარმოშობით უარყოფის ბოლოსართოვანი ნაწილაკია, მნიშვნელობით უდრის ქართულ **უ**- ... -**ო** ცირკუმფიქსს. -**ნუთ** ძირითადად სუფიქსია, იშვიათად კი – პრეფიქსად გვევლინება, მაგ., ღარ-**ნუთ** „უძეო“, „უშვილო“; კი-**ნუთ** „ღარიბი“; გო-**ნუთ** „უცოდველი“; ო‘-ბიჲაჲ-**ნუთ** „მოუმზადებელი“...

-**ნ῎ა** – რელაციური სუფიქსია, მაგ., გელ-**ნ῎ა** „დამნაშავე“, „ბრალეული“ (**გელ** „მოვალე“); ჯიპ-**ნ῎ა** „წიგნიერი“, „წიგნთან დაკავშირებული“ (**ჯიპ** „წიგნი“)...

-**ო‘ყე** – სუფიქსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ქართულში **თანა**-ელემენტს უდრის, მაგ., აშარკეტუნ-**ო‘ყე** „თანამოაზრე“; ბეტალინ-**ო‘ყე** „თანამფლობელი“; ბუკუსუნ-**ო‘ყე** „თანატოლი“... ეს მაწარმოებელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის.

რთულფუძიანი ზედსართავი სახელი: **მალ**-**პი‘**-**უნ** „დროებითი“; „წარმავალი“ (**მალ** „რამდენიმე“, **პი‘** „დრო“)…

2.4. ნაცვალსახელი

2.4.1. პირის ნაცვალსახელი

კავკასიის ალბანურში დასტურდება მხოლოდ I და II პირის ნაცვალსახელები: **ზუ** „მე“; **ვუნ** „შენ“; **ჟან** „ჩვენ“; **ვა‘ნ** „თქვენ“:

	I პირის		II პირის	
	მხოლოობითი	მრავლობითი	მხოლოობითი	მრავლობითი
სახელობითი/ ერგატივი	ზუ	ჟან	ვუნ	ვა‘ნ
ნათესაობითი	ბეზი	ბეში	ვეჲ	ბე‘ჶი
მიცემითი I	ზა	ჟა	ვა	ვა‘
მიცემითი II	ზახ	ჟახ	ვახ	ვა‘ხ
მიცემითი III	ზას	ჟას	ვას	ვა‘ს

უდიურის მსგავსად კავკასიის ალბანურს არ მოეპოვება III პირის ნაცვალსახელები: ამ ფუნქციით კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება.

კავკასიის ალბანური და უდიური ენების პირის ნაცვალსახელები თითქმის არ განსხვავდება, შდრ. პირის ნაცვალსახელები უდიურ ენაში:

	I პირის		II პირის	
	მხოლოობითი	მრავლობითი	მხოლოობითი	მრავლობითი
სახელობითი ერგატივი	ზუ –	ჲან –	უნ*//ჰუნ** –	ვა‘ნ//ე‘ჶან ვა‘ნ
ნათესაობითი	ბეზი	ბეში	ვი	ე‘ჶი*//ეჶი**
მიცემითი I	ზა	ჲა	ვა	ვა‘
მიცემითი II	ზახ*	ჲახ	ვახ*	ვახ‘

შენიშვნა:

* წარმოდგენილი ფორმები მხოლოდ ვართაშნულ კილოში გვხვდება;

** აღნიშნული ფორმები მხოლოდ ნიჯურ კილოში გვხვდება.

კავკასიის ალბანური ენის პირის ნაცვალსახელები წარმოშობით სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებში დადასტურებულ ფორმებს უკავშირდება:

ზუ, მიც. **ზა-**, ნათ. **ბეზი** „მე“; **უდ. ზუ**, მიც. **ზა-**, ნათ. **ბეზი** „მე“, შდრ. ლეზგ. **ზუნ**, **ზა**, ნათ. **ზი(ნ)**; თაბ. **უზუ**, ნათ. **ჲიზ**; ბურშ. **ზუნ**, **ზა-**, ნათ. **ჲაზ**; რუთ. **ზგ**, **ზა**, ნათ. **იზ-დგ**; წახ. **ზგ**, **ზა-**, ნათ. **ჲიზ-გნ**; არჩ. **ზონ**, **ზა-**, ნათ. **-ის**, **ჳ-ის**, **დ-ის**, **ბ-ის**, მიც. **-ეზ**, **ჳ-ეზ**, **დ-ეზ**, **ბ-ეზ**; კრიწ. **ზგნ**, **ზӓ-**; ბუდ. **ზგნ**, **ზ̂**; ხინ. **ზӓ** ~ ხუნძ. **დუ-ნ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 228; გიგინეიშვილი 1977: 70; ჩკელ: 1084 (ს.-ლეზგ. ***ზო-ნ**, ***ზა-**, ნათ. ***-იზ**)].

ვუნ, **ვა-** (მიც.) **ვეჲ** (ნათ.); **უდ.** ვართ.-ზინ. **უნ**, მიც. **ვა-**, ნათ. **ვი** „შენ“, შდრ. ლეზგ. **ჳუნ**, ირ. ფუძე **ჳა-**, ნათ. **ჳი(ნ)**; თაბ. **უჳუ**, ნათ. **ჲაჳ**; ბურშ. **ჳუნ**, ირ. ფუძე **ჳა-**, ნათ. **ჲაჳ**; რუთ. **ჳგ**, **ჳა**; წახ. **ჳუ**, ირ. ფუძე **ჳა-**; არჩ. **უნ**, ირ. ფუძე **ჳა-**; კრიწ. **ჳგნ**, **ჳӓ-**; ბუდ. **ჳგნ**, **ჳ̂**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **მუ-ნ** < ***ჳუ-ნ**, ლაკ. **ჳი-ლ** (ნათ.) და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 72; ჩკელ: 1014 (ს.-ლეზგ. ***ჳ̆ო-ნ**, ***ჳ̆ა**, ნათ. ***-იჳ̆**)]. შდრ. აგრეთვე: **უდ.** ნიჯ. **ჰუ-ნ** „შენ“ (II პირის მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელის მეორე ფუძე, რომელიც, შესაძლებელია, პარადიგმატულად უპირისპირდებოდა პირველს, მაგ.: ხინ. მიც. **ოხ** „შენ“ **ჳგ** „შენ“ (სახ.); შდრ. **ას** „მე“ (მიც.), **ზგ** „მე“), შდრ. შინ. **ღუ**; წახ. **ღუ**, ნათ. **ჲგღ-ნა**; შდრ. აგრეთვე: ჩეჩნ., ინგ., ბაცბ. **ჰ̃ო**, დარგ. **ჰ̃უ** „შენ“. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 483 ***ღუ-**].

ჟან „ჩვენ“, მიც. **ჟა-**, ნათ. **ბეში**, **უდ. ბეში** „ჩვენი“ (ნათ.), შდრ. ლეზგ. **ჩუნ**, ირ. ფუძე **ჩა**, ნათ. **ჩი(ნ)**; თაბ. **უჩუ**, ნათ. **იჩ**; აღ. **ჩინ**, ნათ. **იჩ**; შინ. **ჟი**, ნათ. **იშ-დგ**; წახ. **ში**, ნათ. **ჲიშ-**; კრიწ. **ჟინ**, ირ. ფუძე **ჟӓ-**; ბუდ. **ჟინ** „ჩვენ“ (ექსკლ.); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ნიჟ**, ლაკ. **ჟუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1089 (ს.-ლეზგ. ***ჯი-ნ**, ***ჯა**, ნათ. ***იჯ**)]. **უდ. ჲან**, მიც.

ჲა- „ჩვენ“, შდრ. თაბ. **უხ́უ**, ნათ. **იხ́**; ბურშ. **შინ**, ნათ. **იშ**; რუთ. **ჲა̈**, ნათ. **იხ́-დგ**; არჩ. ნათ. **ოლო**, **ულუ**, **დ-ოლო**, **ბ-ოლო**, მიც. **-ელ**, **ჵ-ელ**, **დ-ელ**, **ბ-ელ**; ირ. ფუძე **ლა-**; კრიწ. **ჲინ**, ირ. ფუძე **ჲა̈**-; ბუდ. **ჲინ**, ირ. ფუძე **ჲგ̂-** „ჩვენ“ (ინკლ.); სხვ. დაღ.: ანდ. **ილჾი-ლ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ: 786 (ს.-ლეზგ. ***დლა̈-ნ**, ***დლა**, ნათ. *-**იდლ**)].

ვა‘ნ, მიც. ***ვა‘-**, ნათ. **ბე‘ჶი**; **უდ**. **ვა‘ნ**, ნათ. **ე‘ჶი** „თქვენ“, შდრ. ლეზგ. **ქჶ-ნ**, ირ. ფუძე **ქʷე-**; თაბ. **უჩ°უ**, ნათ. **იჩ°**; ბურშ. **ჩ°უნ**, ნათ. **იჩ°**; რუთ.(Ш) **ჵე‘**, ნათ. **უშ-დგ**; წახ. **შუ**, ნათ. **ჵუშ-**; არჩ. **ჟ°ენ**, ნათ. **ჵიშ**; კრიწ. **ჵინ**, ირ. ფუძე **ჵე**; ბუდ. **ჵინ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ნუჟ**, ლაკ. **ზუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; თალიბოვი 1960: 301; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1087 (ს.-ლეზგ. ***χ°[ე‘]-ნ**, ***χ°ა‘**, ნათ. *-**ი‘χ°**)].

2.4.2. ჩვენებითი ნაცვალსახელი

კავკასიის ალბანურში ჩვენებითი ნაცვალსახელები III პირის ნაცვალსახელთა მაგივრობასაც გვიწევს. ჩვენებით ნაცვალსახელი ალბანურში ნეიტრალურია (resp. არ გვაქვს დისტანციური კონტრასტი), თუმცა კლას-კატეგორიას განარჩევს:

ბრუნვები	მამაკაცი		ქალი		არაგონიერი	
	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
სახელობითი ირიბი ბრ.	ო(ო) ო-	ოʻ-რ ოʻ-	აღ აღ-	-აღურ აღრ-	ჲა ~ ეე ედ/ტ- ~ ო-	ებურ ედღ-

2.4.3. უკუქცევითი ნაცვალსახელი

კავკასიის ალბანურში ამგვარი ფუნქციით დასტურდება ნაცვალსახელი **იჩ** „თვით“, „თვითონ“. **იჩ** ნაცვალსახელი სუბსტანტივის მნიშვნელობით გამოიყენება და არსებითი სახელების მსგავსად იბრუნვის. დასტურდება შემდეგი ფორმები:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	იჩ „თვითონ“	—
ერგ.	იჩ-ენ//იჩ-ინ	—
ნათ.	იჩ-ეჲ	იჩ-აჲ
მიც.	იჩ-უ	—
აბლ. II	იჩ-უხოც	—

აღსანიშნავია, რომ უდიურისაგან განსხვავებით, ამ ნაცვალსახელს არა აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა, გარდა გენიტივისა (**იჩ-აჲ**), მაგ.:

ჟ˜დუღოხ-ალ **იჩაჲ** ილ˝გალ-ანკე ვა‘ხ „...**თავიანთ** სინაგოგებში მათრახით გცემენ თქვენ“ („შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ“) – მთ. 10, 17.

2.4.4. **საურთიერთო ნაცვალსახელი**

ამ ფუნქციით კავკასიის ალბანურში გვევლინება ***სუნსუნ**, შდრ. უდ. **სუნ-სუნ**//**სუნ-სუნ-ო** „ერთმანეთი“. ეს რთული შედგენილობის ფუძეა, რომელიც რედუპლიკაციის შედეგად მიღებულ **-უნ** სუფიქსით გართულებულ **სა** „ერთი“ რიცხვით სახელს წარმოადგენს (***სუნ-სუნ** < ***სა-უნ-სა-უნ**). ბრუნებისას, ეს ნაცვალსახელი **სუსნ-** ფუძეს ეყრდნობა. დასტურდება მხოლოდ გენიტივის, მიცემითი II-ს, მიცემითი III-ს, აბლატივი II-სა და კომიტატივის ფორმები. ამ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა არ დასტურდება:

ნათ.	სუსნ-აჲ
მიც. II	სუსნ-ახ
მიც. III	სუსნ-ას
აბლ.	სუსნ-ახოც
კომ.	სუსნ-ახოშ

უჰუ-ო‘ომ ჟან ე აველო‘˜რ-ალ სა მარმინ-ჟან ქ¨სახ სა იშუიჩეჲ **სუსნაჲ** შ˜უ-ჟან „ასევე ჩვენც, მრავალნი, ერთი სხეული ვართ ქრისტეში, ხოლო ცალ-ცალკე

ერთმანეთის ასოები ვართ“ („ეგრეთცა ჩუენ ყოველნი ერთ გუამ ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო თითოეული **ურთიერთას** ასოებ ვართ“) – რომ. 12, 5.

2.4.5. **კითხვითი ნაცვალსახელი**

კავკასიის ალბანურში დასტურდება შემდეგი კითხვითი ნაცვალსახელები: **ჰაშუ** „ვინ?“ (შდრ. უდ. **შუ** „id”), **ჲა** „რა?“, **ჰამაჲ** „სად?“, **ჰამოსტაჲ** „საიდან?“, **ჰამოჩ** „როდის?“, **ჰამატუნ** „რამდენი?“, **ჰანაჲ** „რომელი?“... უკანასკნელი ფორმა იშვიათად გამოიყენება. მას, როგორც წესი, **-კე** კლიტიკა დაერთვის და აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელს **ჰანაჲ-კე** „რომელიც“.

თვალში საცემია, რომ კითხვით ნაცვალსახელთა უმეტესობას შეიძლება გამოეყოს **ჰა-** ელემენტი, ხოლო ძირის სახით გვრჩება **-მV-**, რომელსაც სხვადასხვა დაბოლოება დაერთვის.

2.4.6. **მიმართებითი ნაცვალსახელი**

მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებულია კითხვითი ნაცვალსახელი **ჰანაჲ** „რომელი?“, რომელთაც **-კე** კლიტიკა დაერთვის (მნიშვნელობით უდრის ქართულ **-ც** ნაწილაკს) – **ჰანაჲ-კე** „რომელიც“.

წინადადებაში ეს ნაცვალსახელი, როგორც წესი, შემასმენელს მოსდევს. იგი იბრუნვის, რიცხვისა და კლასის მიხედვითაც იცვლება:

ბრუნვ.	**მამაკაცი**		**ქალი**		**არაგონიერი**	
	მხოლ.	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**	**მხოლ.**	**მრავლ.**
სახ.	ჰ[ანაჲ-ო-]კე	ჰანაჲ-ო‘̃-რ-კე	ჰანაჲ-ალ-კე	ჰანაჲ-ალ-ურ-კე	ჰ[ანაჲ-ო-]კე	ჰანაჲ-ებურ-კე
ერგ.	ჰანაჲ-ო-ენ-კე	ჰანაჲ-ო‘̃-ნ-კე	ჰანაჲ-ალ-ენ-კე	ჰანაჲ-ალ-რ-ო-ნ-კე	ჰანაჲ-ტ-ენ-კე	ჰანაჲ-(ე)დ-ლ-ო-ნ-კე
ნათ.	ჰანაჲ-ო-ჲა-კე	ჰანაჲ-ო‘̃-ჲ-კე	*ჰანაჲ-ალ-ჲა-კე	*ჰანაჲ-ალ-რ-ოჲ-კე	ჰანაჲ-ტ-ა-კე	*ჰანაჲ-(ე)დ-ლ-ოჲ-კე
დატ. I	ჰანაჲ-ო-უ-კე	ჰანაჲ-ო‘̃-ა-კე	*ჰანაჲ-ალ-უ-კე	*ჰანაჲ-ალ-რ-ო-კე	ჰანაჲ-ტ-უ-კე	*ჰანაჲ-(ე)დ-ლ-ო-კე
დატ. II	ჰანაჲ-ო-უ-ხ-კე	ჰანაჲ-ო‘̃-ახ-კე	*ჰანაჲ-ალ-უ-ხ-კე	ჰანაჲ-ალ-რ-ო-ხ-კე	ჰანაჲ-ტ-უ-ხ-კე	*ჰანაჲ-(ე)დ-ლ-ო-ხ-კე
დატ. III	*ჰანაჲ-ო-უ-ს-კე	ჰანაჲ-ო‘̃-ს-კე	*ჰანაჲ-ალ-უ-ს-კე	*ჰანაჲ-ალ-რ-ო-ს-კე	*ჰანაჲ-ტ-უ-ს-კე	*ჰანაჲ-(ე)დ-ლ-ო-ს-კე

დასტურდება ამ ნაცვალსახელის ზოგიერთი ლოკატიური ბრუნვის ფორმაც.

2.4.7. **განსაზღვრებითი ნაცვალსახელი**

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია კავკასიის ალბანურში **ცეხ** „ყველა“, „ყოველი“; **ლუშ˜უ** „ყველა“, „მთელი“; **ქანაჲ** „ყველა“, „მთელი“; **ენ̆ელ** „სხვა“; **ჰუ‘-ო‘˜რ** „ზოგი“, „ზოგიერთი“ (**ჰუ‘** „ნაწილი“, შდრ. უდ. **ყ‘ი** „id“). საყურადღებოა, რომ ნაცვალსახელი **ცეხ** სხვაგვარად აწარმოებს მრავლობითს (ცეხ-**არ** „ყველანი“, „ყოველნი“, ერგ. ცეხ-**არ**-ან, გენ. ცეხ-**არ**-აჲ, I დატ. ცეხ-**არ**-ა და ა. შ.). სხვა განსაზღვრებითი ნაცვალსახელების რიცხვის ცვლა ხდება ე. წ. მასუბსტანტივებელი ფორმანტის მეშვეობით, რომელიც კლასისა და რიცხვის მიხედვით იცვლება.

2.4.8. **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი**

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით ძირითადად გამოყენებულია არსებითი სახელები **იშუ** „კაცი“ > „ვიღაცა“, „ვინმე“ და **ჰილ‘** „საგანი“ > „რაღაცა“, „რამე“. ამას გარდა, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვით ნაცვალსახელთაგან -**კე** მაწარმოებლის დართვით: **ჰაშ-კე** (< *__ჰაშუ-კე__) „ვიღაცა“, **ჲაკე** „რაღაცა“, „რომელიღაცა“.

2.5. რიცხვითი სახელი.

2.5.1. ზოგადი.

კავკასიის ალბანურში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, თვლის სისტემა ოცობითია. როდესაც რიცხვითი სახელი მსაზღვრელ სიტყვადაა გამოყენებული, იგი, წესისამებრ, არ იცვლება, ხოლო სუბსტანტივს გატოლებული რიცხვითი სახელი ზედსართავი სახელისა და ნაცვალსახელის მსგავსად იბრუნვის.

2.5.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი

კავკასიის-ალბანურში დასტურდება როგორც მარტივი, ისე რთული (თხზული) რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მარტივ რიცხვით სახელებს მიეკუთვნება: **სა** „ერთი“; **პა‘** „ორი“; **ხიბ** „სამი“; **ბიპ** „ოთხი“; **ჴო** „ხუთი“; **უ‘ჴ** „ექვსი“; **ვუ‘ღ** „შვიდი“; *****მუ‘ღ** „რვა“; **ვუჲ** „ცხრა“; **ვიწ̄** „ათი“; **ბაჭ˜** „ასი“. დანარჩენი რაოდენობითი რიცხვითი სახელები ორი ან სამი მარტივი ფუძისაგან შემდგარ სიტყვებს წარმოადგენენ:

	კავკასიის ალბანური	უდიური
1	სა	სა
2	პა‘	ფ·ა‘
3	ხიბ	ხიბ
4	ბიპ	ბიფ·
5	ჴო	ჴო
6	უ‘ჴ	უჴ (ნ.)//უჴ‘
7	ვუ‘ღ	ვუღ‘
8	*მუღ‘	მუღ‘
9	ვუჲ	ვუჲ

10	ვიწ	ვიცᵓ
11	*სა-წ-არ	საცᵓცᵓე
12	პა-წ-არ	ფᵓა‘ცᵓცᵓე
20	ყო‘	ყა//იჲირმი (ნ.)
30	*სა-ყო‘-ვიწ	საჴᵓოვიწ(ვ.)//ოთუზ //ხიბვიცᵓ (ნ.)
40	პა‘-ყო‘	ფᵓაჴᵓო (ვ.)//ყგრხ//ბიფᵓვიცᵓ //ფᵓაჴᵓა (ნ.)
100	ჴო-ყო‘//ბაჭ~	საბაჩ~//ბაჩ~//ვიცᵓაოვიცᵓ (ნ.)

თვლის სისტემა, როგორც აღინიშნა, ოცობითია. ერთეულების, ათის, ოცისა და ასის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელები შესაბამისი საერთოლეზგიური რიცხვითი სახელებისაგან მომდინარეობს (ზოგჯერ მათი პარალელები მონათესავე ენების სხვა ქვეჯგუფებისა და ჯგუფებში მოიძებნება):

სა; **უდ. სა** „ერთი“, შდრ. ლეზგ. (ყველა დიალექტში) **სა**; თაბ. **სა-ბ**, დიუბ. **სა-ჶ**; აღ., ფიტ., ბურკ. **სა-დ**; ბურშ. **სᵊა-რ**; ფიტ. **სა**; წახ., გილმ. **სა**; არჩ. **ოს**, **სᵊეჲ-ტუ**; კრიწ. **სӑ-დ**; ბუდ. **სა-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ცო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 69; გიგინეიშვილი 1977: 89; ჩკელ: 323 (ს.-ლეზგ. ***სᵊა**)].

პა‘; **უდ. ფᵓა‘** (< ***ყ‘ʷა**) „ორი“, შდრ. ლეზგ. **ჴᵓʷე-დ**; თაბ. **ყ‘უ-ბ**; დიუბ. **ყ‘უ-ჶ**; აღ., ფიტ. **ყ‘უ-დ**; ბურშ. **ყ‘უ-რ**; ბურკ. **ცად**; თფიღ. **ცუ-დ**; რუთ. **ჴᵓ‘ʷა-დ**; გილმ. **ყ‘ო-ლლӑ**; არჩ. **ჴᵓ‘ʷე**; კრიწ. **ჴᵓʷა-დ**; ბუდ. **ყა-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **კი-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 137; ჩკელ: 924 (ს.-ლეზგ. ***ჴᵓ‘ʷӓ**)].

ხიბ; **უდ. ხიბ** „სამი“, ლეზგ. **ფᵊუ-დ**; თაბ. **შუბუ-ბ**; დიუბ. **შიბბუ-ბ**; აღ. **ხ́იბუ-დ**; ბურშ. **შიბუ-რ**; რუთ. **ხ́იბგ-დ**; გილმ. **ხ́ებგ-ლლӑ**; არჩ. **ლ‘ებ**; კრიწ. **შიბი-დ**; ბუდ. **შუბუ-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ‘აბ-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 191; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 76; ჩკელ: 768 (ს.-ლეზგ. ***ლ‘ეფᵊგ**)].

ბიპ; **უდ. ბიფᵓ** (< ***ბიყʷ**) „ოთხი“, შდრ. ლეზგ. **ყუ-დ**; თაბ. **ჲუყუ-ბ**; აღ. **ჲაყუ-დ**; რუთ. **ჲუყუ-დ**; გილმ. **ჲოყუ-ლლӑ**; არჩ. **ებყ**; კრიწ. **ჲუყუ-დ**; ბუდ. **ჲუყუ-ბ**; სხვ. დაღ.:

ლაკ. **მუყ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ზოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 233; გიგინეიშვილი 1977: 135; ჩკელ: 489 (ს.-ლეზგ. ***ჲეჳ̂ყგ**)].

ჯო; უდ. ჯო „ხუთი“, შდრ. ლეზგ. **ჳ̂ა-დ**; თაბ. **ხ́უ-ბ**; დიუბ. **ხ́უ-ჳ̂**; აღ. **ჵა-ფუ-დ**; რუთ. **ხ́უ-დ**; წახ. **ხ́ო-ლლ̈**; არჩ. **ლ̈ო, ლ̈ʷეჲ-ტუ**; კრიწ. **ფგ-დ**; ბუდ. **ფგ-დ**; სხვ. დაღ.: დიდ. **ლ̈ე-ნო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 193; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ: 426 (ს.-ლეზგ. ***ლ̈ʷე**)].

უʻჯ; უდ. უჯʻ „ექვსი“, შდრ. ლეზგ. **რუგუ-დ**; ნუტ. **რუღუ-დ**; თაბ. **ჲირხ́უ-ბ**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერხ́ი-დ**; ბურშ. **ჲერ-ში-რ**; რუთ. **რიხ́გ-დ**; წახ. **ჲიხ́გ-ლლ̈**; არჩ. **დილʻ, დილʻიჲტუ**; კრიწ. **რგხ́გ-დ**; ბუდ. **რგხ́გ-დ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **რაʻზ-**, ხუნძ. **ანლ̈-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 192–193; ჩკელ: 219 (ს.-ლეზგ. ***რილ̆გ**)].

ვუʻღ; უდ. ვუღʻ „შვიდი“, შდრ. ლეზგ. **ირი-დ**; ყა*ნდ. **ურღუ-ბ**; დიუბ. **ურგუ-ჳ̂**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერი-დ**; ბურშ. **ჲერე-რ**; რუთ. **ჲიჳ̂გ-დ**; გილმ. **ჲიღგ-ლლ̈**; არჩ. **ჳ̂ილ̆**; კრიწ. **ჲგღგ-დ**; **ბუდ. ჲიჲი-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ანლ̈-**, ლაკ. **არულ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ჩკელ: 247 (ს.-ლეზგ. ***ჳ̆ირლ̈გ-**)].

***მუʻღ; უდ. მუღ** „რვა“, შდრ. ლეზგ. **მჳ̆ჟჳ̆-დ**; თაბ. **მირჟი-ბ**; დიუბ. **მიჟუ-ჳ̂**; აღ., ბურკ. **მუჲა-დ**; ბურშ. **მუჲა-რ**; ფიტ. **მუჲი-დ**; რუთ. **მგჲე-დ**; წახ. **მოლი-ლლ̈**; არჩ. **მელ̆ე**; კრიწ. **მიღი-დ**; ბუდ. **მგჲგ̂-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **მილ̈-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ლექსიკა 1971: 236; გიგინეიშვილი 1977: 86; ჩკელ: 315 (ს.-ლეზგ. ***მენლ̈ა̈**)].

ვუჲ; უდ. ვუჲ „ცხრა“, შდრ. ლეზგ. **კჳ̆-დ**; ყურაღ. **ჭჳ̆-დ**; თაბ. **ურჭ˚უ-ბ**; დიუბ. **ჰურჭუ-ჳ̂**; აღ. **ჲარჭუʻ-დ**; ბურშ. **ჲერჭ˚უ-რ**; ფიტ. **ჲერკჳ̆-დ**; ბურკ. **ჲერჭუʻ-დ**; რუთ. **ჰუჭუ-დ**; წახ. **ჲიჭუ-ლლ̈**; არჩ. **უჭ**; კრიწ. **ჲიჭი-დ**; ბუდ. **ჳ̂იჭი-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **იჭ-**, ლაკ. **ურჭ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 208 (ს.-ლეზგ. ***ჳ̆**[ი]**ლჭ˚გ-**)].

ვიწ; უდ. ვიცʼ „ათი“, შდრ. ლეზგ. **წუ-დ**; თაბ. **ჲიწუ-ბ**; აღ., ბურკ. **იწუ-დ**; ბურშ. **ჲიწუ-რ**; ფიტ. **ჲიწუ-დ**; რუთ. **ჲიწგ-დ**; გილმ. **ჲიწე-ლლ̈**; არჩ. **ჳ̂იწ**; კრიწ. **ჲიწგ-დ**; ბუდ. **ჲიწგ-დ**; სხვ. დაღ.: დარგ. **ჳ̂ეწ-ალ**, ხუნძ. **ანწ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ზოკარევი 1961: 70; ჩკელ: 245 (ს.-ლეზგ. ***ჳ̆იწგ-**)].

ყო‘; **უდ**. **ჴˀა** „ოცი“, შდრ. ლეზგ. **ჴˀა-დ**; თაბ. **ჴˀა-ბ**; აღ. **ჴˀა-დ**; რუთ. **ჴˀā-დ**, გილმ. **ჴˀა-ლლა̈**; არჩ. **ყა**; კრიწ. **ჴˀა-დ**; ბუდ. **ჴˀა-დ** (**ჴა-დ**?); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ყო-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 238; გიგინეიშვილი 1977: 108; ჩკელ: 456 (ს.-ლეზგ. ***ყˀა**)].

ბაჭ̃; **უდ**. **ბაჩ̃** „ასი“, შდრ. ლეზგ. **უ̂იშ**; თაბ. **უ̂არჟ**; დიუბ. **უ̂არჟა**; აღ. **ბა‘რშ**; ბურშ. **უ̂ა̈რშ**; რუთ. **უ̂ა̈შ**; გილმ. **უ̂ა‘შ**, **-ენ**; არჩ. **ბა‘შა-**; სხვ. დაღ.: ლაკ. **თˀ-ურშ**, ახვ. **ბეშანო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 588 (ს.-ლეზგ. ***უ̂ა‘ლშ-**)].

2.5.3. **რიგობითი რიცხვითი სახელი**

რიგობითი რიცხვითი სახელები კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილია ფრაგმენტულად. თუ არ ჩავთვლით „პირველი“-სა და „მეორე“-ს აღმნიშვნელ ლექსემებს, რიგობითი რიცხვითი სახელები ნაწარმოებია შესაბამის რაოდენობით რიცხვით სახელთაგან -**არ-უნ** რთული სუფიქსის დართვით, რომლის მეორე კომპონენტი წარმოშობით გენიტივის ნიშანი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ -**უნ** სუფიქსი უდიურშიც აწარმოებს რიგობით რიცხვით სახელებს.

თავის მხრივ, „პირველი“-სა და „მეორე“-ს შემთხვევაში, რომელთაც იგივე -**არ-უნ** დაერთვის, როგორც ფუძეში, ისე აღნიშნულ მაწარმოებელში გარკვეულ ფონეტიკური ცვლილებები შეინიშნება (**სერბ-ა-უნ** „პირველი“; **პუ-რ-ან-უნ** „მეორე“). ვფიქრობთ, ამ ფორმებში გაქვავებული სახით გვხვდება III (ლესემაში „პირველი“) და IV კლასის (ლექსემაში „მეორე“) ნიშნები – ***ბ** და ***რ**, რაც არ არის უჩვეულო თუ მონათესავე ლეზგიური ენების მონაცემებს გავითვალისწინებთ:

თაბ. სა-**ბ** „ერთი“, დიუბ. სა-**უ̂**; სა-**ბ**-ფი „პირველი“;

ლეზგ. ჴˀʷე-**დ**; აღ., ფიტ. ყ‘უ-**დ**; ბურშ. ყ‘უ-**რ**; ბურკ. ცა**დ**; თფიღ. ცუ-**დ**; რუთ. ჴˀ‘ʷა-**დ**; კრიწ. ჴˀʷა-**დ**; ბუდ. ყა-**ბ** „ორი“.

აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ შემდეგ რეკონსტრუქციას:

სერბ-ა-**უნ** „პირველი“ < ***სა-ბ-არ-უნ**

პუ-რ-ან-უნ „მეორე“ < ***პა‘-რ-არ-უნ**

„პირველი“-ს აღსანიშნავად დასურდება ალტერნატიული ფორმა **ბუ‘ა**, რომლის წარმომავლობის დადგენა ძნელია, ხოლო **პურან** ფორმა ზოგჯერ როადენობითი რიცხვითი სახელის ფუნქციით გამოიყენება (შდრ. უდ. **პურან** „ისევ“), მაგ.:

ბუ-ნე-ჰეჲ პეტროს ნეპახ **პურან** ჰი‘ზუ‘ნ-ჟინუჴ ბუ‘ღა „პეტრეს **ორ** ჯარისკაცს შორის ეძინა“ („მას ღამესა ეძინა პეტრეს შორის **ორთა** ერისაგანთა“) – სქმ. 12, 6.

რაც შეეხება სხვა რიგობით რიცხვით სახელებს – კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დასტურდება:

ხიბ-არ-უნ „მესამე“;

ვუ‘ღ-არ-უნ „მეშვიდე“;

მუ‘ღ-არ-უნ „მერვე“.

2.5.4. **ჯერობის რიცხვითი სახელი**

ჯერობის რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის გაუფორმებელ ფუძეზე **-ომ** სუფიქსის დართვით. ამასთან, ჯერობის რიცხვითი სახელის შემდგომ ხშირად გამოიყენება ლექსემა **ჩარ** „დრო“, „დრონი“: **სომ** (**ჩარ**) (< ***სა-ომ**) „ერთხელ“, „ერთგზის“; **ხიბ-ომ** (**ჩარ**) „სამგჯერ“, „სამგზის“; **ჴო-ომ** (**ჩარ**) „ხუთჯერ“, „ხუთგზის“; **ჴო-ყო‘-ომ** (**ჩარ**) „ასჯერ“, „ასგზის“. სხვაგვარას იწარმოება ჯერობის რიცხვითი სახელი „ორჯერ“, „ორგზის“, რომელიც არ დაირთავს **-ომ** სუფიქსს: **პა‘-ჩარ**. მოსალოდნელი ფორმა კი (**პა‘-ომ**) დასტურდება ზმნისართში **პა‘ომ-უნ** „ისევ“.

-ომ სუფიქსი ზოგიერთ სხვა ლექსემაშიც დასტურდება (ზოგჯერ სხვა ფუნქციით): **აველ-ომ ჩარ** „ბევრჯერ“ (**აველ** „ბევრი“); **ო‘-ომ** „იგივე“, „ზუსტად ის“...

2.5.5. **განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელი**

კავკასის ალბანურში ასეთ რიცხვით სახელთაგან დასტურდება **აველ** „ბევრი“ და **მალ** „რამდენიმე“.

2.6. ზმნა.

2.6.1. ზოგადი.

კავკასიის ალბანურ ზმნას ახასიათებს მორფოლოგიურ კატეგორიათა მრავალფეროვნება. კავკასიის ალბანურში ზმნისთვის სისტემებრ ნიშანდობლივია პირის [და რიცხვის], დროის, კილოს, ასპექტის, ტრანზიტულობის, კაუზატივისა და ლოკალიზაციის (პრევერბის) კატეგორიები. მრავლობითი რიცხვი ზმნაში სპეციალური აფიქსით არ გამოიხატება და პირისა და კლასის საშუალებით გადმოიცემა. პირისა და კლასის ფორმანტებად, სავარაუდოდ, კლიტიკები გვევლინება, ხოლო მათი განაწილება ფრიად საინტერესო სურათს გვიჩვენებს. კლასისიფიკატორებად ზმნაში ნაცვალსახელური წარმოშობის კლასის ნიშანთა „ახალი“ სერია გვევლინება, „ძველი“ კლასიფიკატორები კი მოიშალა, თუმცა თვალში საცემია მათი ნაშთი გაქვავებული პრეფიქსების სახით.

2.6.2. ზმნური სიტყვაფორმის სტრუქტურა.

2.6.2.1. მარტივი აგებულების ზმნები.

კავკასიის ალბანურში გვხვდება როგორც მარტივი აგებულების (არანაწარმოები), ისე რთული აგებულების (ნაწარმოები) ზმნები. მარტივი აგებულების ზმნების რიცხვი კავკასიის ალბანურ ენაში არ არის დიდი. მათი დიდი ნაწილი ერთმარცვლიანია და C, VC, CV, CVC სტრუქტურისაა:

C: **ყ**-ესუნ „დაკავება“, „შეპყრობა“; (**უ**)**ფ**-ესუნ „თქმა“.

V: **ა‘**-ე‘სუნ „ცდუნება“, „ცდა“.

VC: **აკ**-ესუნ „ნახვა“, „დანახვა“; **აპ**-ესუნ „დგომა“, „მოსვლა“, „მოღწევა“, „ხლება“; **ატ**-ესუნ „დაკარგვა“; **ა‘ზ**-ესუნ „განტევება“, „გაშვება“; **ეფ**-ესუნ „მეტყველება“; **ეჶ**-ესუნ „შენახვა“, „ქონა“, „ყოლა“; **იგ**-ესუნ „ცემა“, „გვემა“; **იღ**-ესუნ „სვლა“; **იჰ**-ესუნ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“; **ოტ**-ესუნ „შერცხვენა“; (**უ**)**ფ**-ესუნ „თქმა“; **უქ**-ესუნ „ჭამა“; ***უ‘ღ**-ესუნ „დალევა“...

VCC: **ო‘ცკ**-ესუნ „რეცხვა“.

CV: **ბო**‘(ჳ)-ესუნ „სვლა“, „ფიქრი“, „ზრახვა“...

CVC: **ბაჴ**-ესუნ „პოვნა“; **ბეს**-ესუნ „ძიება“, „თხოვნა“; **ბეღ**-ესუნ „ვალის ქონა“, „ხედვა“, „ხილვა“; **ბით**-ესუნ „წაქცევა“; **ბიჲ**-ესუნ „კეთება“; **ბიტ**-ესუნ „თესვა“; **ბიყ**-ესუნ „შეპყრობა“, „მიღება“; **ბიხ**-ესუნ „შექმნა“, „შობა“; **ბოკ**-ესუნ „წაყვანა“; **ბო**‘(ჳ)-ესუნ „სვლა“, „ფიქრი“, „ზრახვა“; **ბურ**-ესუნ „დგომა“; **ბუყ**-ესუნ „ყვარება“, „ნდომა“; **დაღ**-ესუნ „მიცემა“; **ზეტ**-ესუნ „გაკოჭვა“, „შეკვრა“; **კეს**-ესუნ „ჩაცმა“ (?); **ყოყ**-ესუნ „ყლაპვა“; **ძეხ**-ესუნ „დადება“, „შეყენება“, „შესმა“, „შეკეთება“, „გასწორება“; **ჰეღ**-ესუნ „მოსვლა“; **ჰეყ**-ესუნ „მიღება“, „აღება“...

CVCC: **ბიცხ**-ესუნ „ჩვენება“, „უწყება“; **ქარხ**-ესუნ „ხსნა“, „გამოხსნა“, **ბაჩხ**-ესუნ „მალვა“, **ჩალხ**-ესუნ „ცოდნა“, „გაცნობიერება“, **ბასკ**-ესუნ „ძილი“, **ბიწკ**-ესუნ „გაწმენდა“, **ბათქ**-ესუნ „შებრუნება“, „დაბრუნება“, „გასვლა“, **ბართ**-ესუნ „დატოვება“, „მიტოვება“, „გაშვება“...

იშვიათად გვხვდება ორმარცვლიანი მარტივი აგებულების ფუძეები, მაგ., **ბოკოკ**-ესუნ „წვა“, „ხრუკვა“, **ბოხოხ**-ესუნ „შენება“...

2.6.2.2. **რთული აგებულების ზმნები.**

კავკასიის ალბანურ ენაში ზმნური ლექსემების დიდი ნაწილი რთული აგებულების ფორმებს წარმოადგენს. ზმნური კომპოზიტების პირველი ინგრედიენტი მარტივი არაუღვლებადი ფუძეა (როგორც წესი, წარმოშობით სახელია ან ადვერბიალური სიტყვა. იშვიათად პირველ ინგრედიენტად შეიძლება შეგვხვდეს ზმნური ფუძე), ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილი – ზმნა. არანაწარმოებ ზმნათაგან პროდუქტიულია (ანუ აწარმოებს რთული აგებულების ზმნებს) შემდეგი ლექსემები:

იჰესუნ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“ (81), **ბიჲესუნ** „კეთება“ (79), **(უ)ფესუნ** „თქმა“ (44), **ბოკესუნ** „მიყვანა“ (13), **იღესუნ** „სვლა“ (9), **ეფესუნ** „მეტყველება“ (9), **დაღესუნ** „მიცემა“ (8), **ძეხესუნ** „დადება“, „შეყენება“, „შესმა“, „შეკეთება“, „გასწორება“ (6), **ბო‘(ჳ)ესუნ** „ფიქრი“, „ზრახვა“, „სვლა“ (6), **ეჶესუნ** „შენახვა“ (6), **ბიყესუნ** „მიღება“ (4), **ჰეყესუნ** „მიღება“ (4), **აკესუნ** „ნახვა“, „დანახვა“ (3), **ბიტესუნ**

„თესვა“ (3), **ბურესუნ** „დგომა“ (3), **ჰეღესუნ** „მოსვლა“ (3), **ბათქესუნ** „შებრუნება“, „დაბრუნება“, „გასვლა“ (2), **აპესუნ** „დგომა“, „მოსვლა“, „მოღწევა“, „ხლება“ (1), **აზესუნ** „განტევება“, „გაშვება“ (1), **ბეღესუნ** „ვალის ქონა“, „ხედვა“, „ხილვა“ (1), **ბიცხესუნ** „ჩვენება“, „თხრობა“ (1); **იგესუნ** „ცემა“, „გვემა“ (1); **ქარხესუნ** „ხსნა“, „გამოხსნა“, „გადარჩენა“ (1); **უქესუნ** „ჭამა“ (1) (ფრჩხილებში მოცემულია კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დამოწმებული რთული აგებულების ზმნების რაოდენობა, რომლებსაც აწარმოებს აღნიშნული ფორმა).

ამრიგად, ამ ზმნათაგან ყველაზე პროდუქტიულია სამი: **იჰესუნ** „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“, **ბიჲესუნ** „კეთება“, (**უ**)**ფესუნ** „თქმა“. აღსანიშნავია, რომ უდიურშიც რთული აგებულების ზმნების მეორე კომპონენტს, როგორც წესი, **ბაქ-ეს** „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“, **ბ-ეს** „კეთება“ და **ფ-ეს** „თქმა“, „ქმნა“ ლექსემები წარმოადგენს.

გვხდება რთული აგებულების ზმნები, რომელთა უღვლებად კომპონენტს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ესენია: **კ-ესუნ** (**კიბო-კესუნ** „შეძლება“, **კიბო** „შემძლე“; **კ-ესუნ** ელემენტი შეიძლება სხვა ზმნებსაც გამოეყოს: ბასკესუნ „ძილი“, ბიწკესუნ „გაწმენდა“, ო‘ცკესუნ „რეცხვა“); **ტ-ესუნ** (**აცი-ტესუნ** „დაწოლა“, **აცი** „ქვევით“; **ჰალ-ტესუნ** „ასვლა“, „ამაღლება“, **ჰალ** „ზევით“).

კავკასიის ალბანურში რთული აგებულების ზმნებში გამოიყოფა ასევე სხვა ელემენტები: **ყ**-, **დ**-, **ზ**-, **ხ**-. ამ ელემენტების გამოყოფა ხერხდება მხოლოდ სიტყვაწარმოებითი ანალიზის ან ეტიმოლოგიური ძიების საშუალებით: **ყ-ესუნ** (**ქანა-ყესუნ** „აუცილებელია“, „მნიშვნელოვანია“), **დ-ესუნ** (**ბა‘ი-დესუნ** „განთავისუფლება“, „უარყოფა“), **ღ-ესუნ** (**და-ღესუნ** „მიცემა“, შდრ. აწმყ. ფუძე **ლუ-ღა**), **ზ-ესუნ** (**ჰაჲ-ზესუნ** „ასვლა“), **ხ-ესუნ** (ბოხო**ხ**ესუნ „შენება“, ქარ**ხ**ესუნ „ხსნა“, „გამოხსნა“, „გადარჩენა“, ბიც**ხ**ესუნ „ჩვენება“, „თხრობა“, ბაჩ**ხ**ესუნ „მალვა“, ჩალ**ხ**ესუნ „შესრულება“ – ყურადღებას იქცევს **ხ** ბგერაზე დაბოლოებული ორმარცვლიანი ან CVCC სტრუქტურის ერთმაცვლიანი ზმნური ფუძეების სიმრავლე კავკასიის ალბანურში)

დასტურდება ისეთი რთული აგებულების ზმნებიც, რომელთა მეორე კომპონენტი ცალკე აღებული კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში არ დასტურდება, თუმცა მას დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგ., **ბიშ-ესუნ** (მნიშვნელობა დაუდგენელი, გვხვდება **იხ-ბიშესუნ** „მოშურნეობა“, **იხ-ბიშალა-იჰესუნ** „ყოფნა მოშურნისა“, ***იხ** „მოშურნეობა“ (?); **ყუ‘-ბიშესუნ** „შეშინება“, **ყუ‘** „შიში“), ***ბიჩხ-ესუნ** „ხრჩობა“, „ჩაძირვა“ (?) (**აცი-ბიჩხესუნ** „დახრჩობა“, „ჩაძირვა“, **აცი** „ქვევით“), ***ეფეტ-ესუნ** „გამოთქმა“ (**ყუ‘მან-ეფეტესუნ** „ნუგეშისცემა“, **ყუ‘მან** „ნუგეში“), **ჯ̄ათ-ესუნ** (მნიშვნელობა დაუდგენელია; **ჩ̄ა-ჯ̄ათესუნ** „გაგრძელება“, **ჩ̄ა** „სახე“ (> „წინ“).

2.6.2.3. **მეშველი ზმნები.**

მეშველი ზმნის ფუნქციით კავკასიის ალბანურში შეიძლება მოგვევლინოს:

დეფექტური ზმნა **ბუ** „არის“, რომელიც მხოლოდ აწმყოსა და იმპერფექტის (**ბუ-ჰეჲ**) ფორმებს აწარმოებს, მაგ.,

ბუ-ჟახოშ-ჰეჲ ვუ‘ღ იშე-ბურ

ყოფნა-ჩვენ:COM-ყოფა:PAST-PAST შვიდი ძმა-PL

ჩვენ შორის იყო შვიდი ძმა (მთ. 22, 25)...

ზმნა **ბუ**-ს პარადიგმას **იჰ**-ესუნ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“ ნამყოს ფორმები (**ჰეჲ** და **იჰეჲ**) ავსებენ. აღსანიშნავია, რომ უდიურშიც **ბუ** ზმნას მხოლოდ აწმყოსა და იმფერფექტის ფორმები მოეპოვება და დანარჩენ პარადიგმას **ბაქ**-სუნ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“, „შეძლება“ ზმნის ფორმები ავსებენ.

ისევე, როგორც უდიურში (მაგ., ტე ხოდ ქალა-**ნე** „ის ხე დიდია“; ტე ხოდ ქალა-**ნე-ჲ** „ის ხე დიდი იყო“), კავკასიის ალბანურშიც მეშველი ზმნის ფუნქციით ხშირად ოდენ პირის ნიშანი გვევლინება (ნამყოს გარდა), მაგ.,

ზუ-ზუ ე შ̄უმ გუჲუნ

მე-1 SG ART პური სიცოცხლე-GEN

„მე ვარ პური სიცოცხლისა“ (ინ. 6, 35)...

2.6.2.4. **პრევერბი.**

პრევერბს კავკასიის ალბანურში შეუძლია გამოხატოს ლოკალიზაცია და მიმართულება. მიმართულების აღმნიშვნელია **თა-** და **ჰე-** პრევერბები, შდრ. უდ. **თა-** და **ე-**:

თა-იღესუნ „წასვლა“ ~ **ჰე**-ღესუნ „წამოსვლა“;

თა-ბოკესუნ „წაყვანა“ ~ **ჰე**-ბოკესუნ „მოტანა“ < *„მოყვანა“...

ლოკალიზაციის აღმნიშვნელ პრევერბებს განეკუთვნება:

ა- „ახლოს“;

აცი- „ქვევით“;

ბაჰა- „-ში“, „შიგნით“;

ეშ̃(ა)- „უკან“, „შემდეგ“;

უყ(ა)- „ქვეშ“;

ჭე- „-გან“, „გარეთ“, „გვერდით“;

ჰალა- „ზედ“;

ჰაΩ- „ზევით“;

ჰორო- „ირგვლივ“.

მაგალითები:

აცი-ბოʻჰესუნ „ჩასვლა“ – **ბაჰა**-ბოʻჰესუნ „შესვლა“, „შემოყვანა“ – **ჭე**-ბოʻჰესუნ „გამოსვლა“ – **ჰაΩ**-ბოʻჰესუნ „ასვლა“;

აცი-ჰეყესუნ „ჩამოტანა“ – **ჰაΩ**-ჰეყესუნ „ატანა“ – **აცი**-**ჰაΩ**-ჰეყესუნ „ზემოდან ჩამოტანა“;

ჭე-ბოკესუნ „ჭიმვა“ – **ეშ̃**-ბოკესუნ „ძიება“, „კვლევა“ – **ჰაΩ**-ბოკესუნ „აყვანა“;

ეშ̃ა-იღესუნ „უკან მიდევნება“, „უკან გაყოლა“ – **ჰაΩ**-იღესუნ „ასვლა“ – ჰორო-იღესუნ „ირგვლივ სიარული“, „გზის აბნევა“;

აცი-ფესუნ „დახრა“ – **ჰალა**-ფესუნ „ჩაცმა“ – **ჰაΩ**-ფესუნ „ხმამაღლა საუბარი“ – **უყ**-უფესუნ „ხმადაბლა საუბარი“;

აცი-საქ-ფესუნ „ჩამოგდება“ – **ჭე**-საქ-ფესუნ „გადადება“;

აცი-ტესუნ „დაწოლა“ – **ჰალ**-ტესუნ „ადგომა“, „ასვლა“...

ამ პრევერბთაგან **ჰალა**- „ზედ“ და **უყ**(ა) „ქვეშ“ უკავშირდება საერთოლეზგიურ პრევერბებს *__ალ__- და *__ლ̥ᶻ̌__:

*__ალ__- („ორიენტირზე“ მყოფობას გადმოსცემს): ლეზგ. **ალ**-/**ილ**-/**ელ**-: თაბ. **ალ**-/**ილ**-: აღ. **ალ**-: რუთ. **ლ**-: წახ. **ალ**-/**ილ**-/**ულ**-: უდ. **ლ**-.

ეს პრევერბები განსაკუთრებით პროდუქტიულია ლეზგიურ, თაბასარანულ, აღულურ, რუთულურ და წახურ ენებში, უდიურში **ლ**- პრევერბი სულ რამდენიმე ზმნაში გვხვდება, ხოლო შაჰდაღის ენებში ამ მაწარმოებელს ცვლის **ყ**- პრეფიქსი.

ამ პრევერბს შეიძლება დავუკავშიროთ **ლ**(ა)- ელემენტი ხინალუღურში, რომელიც ორიენტირთან მოახლოების სემანტიკის გამომხატველ პრევერბთა შემადგენლობაში დასტურდება.

*__ლ̥ᶻ̌__- („ორიენტირის ქვემოთ“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): ლეზგ. **კ**⁽ʷ⁾-: თაბ. **ქᵃ**-: აღ. **ქᵃ**-: რუთ. **გ**-: წახ. **გ**-: კრიწ. **ქ**-: ბუდ. **ჩ**-.

უდიურსა და არჩიბულში საერთოეზგიური *__ლ̥ᶻ̌__ პრევერბის შესატყვისი, როგორც ჩანს, მოგვეძევება ზმნისართებში: უდ. ოყა „ქვემოთ“; არჩ. **ლ̥ʷ**ირ „id“. ამას გარდა, საერთოლეზგიური *__ლ̥ᶻ̌__-ს კანონზომიერი რეფლექსი შემონახულია ბუდუხურშიც იგივე ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელ ზმნისართში: **ქ**ორგნ „ქვემოთ“.

2.6.3. პირისა [რიცხვის] და კლასის კატეგორიები.

კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელია ზმნის ცვლა პირის მიხედვით. როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნასთან აღინიშნება სუბიექტის პირი, იშვიათად კი – ობიექტის პირიც. ზოგჯერ ერთ ზმნურ ფორმაში აღნიშნულია ორივეს პირი, მაგ., ქარხეს-ყა-**ნ-ო-ენ-ჟახ**-ბიჲაჲ (ეს. 35, 4) „**ის ჩვენ** გვაცხოვნებს“; აჰ-**უნ-ზა** (ლკ. 4, 34) „**მე** (მიც.) გიცნობ **შენ**“. ამ მხრივ კავკასიის ალბანურში დასტურდება მონათესავე ენათაგან განსხვავებული ვითარება, მათ შორის, უდიური ენის მიმართაც: ერთი მხრივ, უდიური ენაში ობიექტის პირი საერთოდ არ აღინიშნება, ხოლო, მეორე მხრივ, იბერიულ-კავკასიურ ენებში კლას-

კატეგორიისა და პირის კატეგორიის თვალსაზრისითაც, გარდამავალი ზმნის ფორმისათვის პირველადი უნდა იყოს ობიექტის ასახვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, რომლებშიც განვითარდა პიროვანი უღვლილება (თაბასარანული ენა (სამხრული კილო), ქართველური ენები, ჩერქეზული ენები და უბიხური), გარდამავალ ზმნაში აღინიშნება როგორც სუბიექტის, ისე რეალური ობიექტის პირი, ხოლო იმ ენებში, რომლებშიც კლასოვანი ან კლასოვან-პიროვანი უღვლილება გვაქვს (თაბასარანული ენა [ჩრდილოური კილო], ლაკური და დარგუული ენები, ბაცბური ენა) გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის კლასი აღინიშნება.

პირის ნიშნები კავკასიის ალბანურში, სავარაუდოდ, კლიტიკებია (როგორც წესი – ენკლიტიკები). უდიურისაგან განსხვავებით, პირის ნიშნები ძირითადად გვხვდება ზმნურ ფორმებთან. თითქმის არ დასტურდება ე. წ. ენდოკლიზისი (კლიტიკის მოხვედრა ზმნური ფუძისა ან ძირის შიგნით, რაც დამახასიათებელია უდიურისათვის). ზოგჯერ კლიტიკა (არამხოლოდ პირის ნიშანი) შეიძლება შეგვხვდეს რთული აგებულების ზმნების ინტერფიქსურ პოზიციაზე, მაგ., ქარხეს-ყა-**ნ-ო-ენ-ჟახ**-ბიჲაჲ (ეს. 35, 4) „**ის ჩვენ** გვაცხოვნებს“...[63] ან პროკლიტიკის სახით მოგვევლინოს (ოღონდ სხვა პროკლიტიკას უნდა მისდევდეს), მაგ., მა-ყა-**ნუნ**-ბიჲაჲ „არ გააკეთებთ“...

ძირითადი პირის ნიშნებია კავკასიის ალბანურში (აბსოლუტივსა და ერგატივში):

-**ზუ** (I მხ.), -**ნუნ** (II მხ.), -**ნ**(ე) ~ -**ø** (III მხ.); -**ჟან** (I მრ.), -**ნან** (II მრ.), -**ნ**(ე) ~ -**ø** (III მრ.)

III პირის ნიშნი -**ნ**(ე) დასტურდება მხოლოდ ნამყოსთან, პლუსკვამპერფექტთან, ჰორტატივსა და II პროჰიბიტივთან. სხვა დრო-კილოებთან (აწმყო, იმპერფექტი, მყოფადი-კონიუნქტივი, კონდიციონალი) III პირის ნიშანი ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი. სხვა პირის ნიშანთაგან განსხვავებით III პირის ნიშანი მხოლობითსა და მრავლობითში უნიფიცირებულია.

[63] ამ შემთხვევაში, საეჭვოა აღნიშნულ სიტყვას მხოლოდ ერთი მახვილი ჰქონდეს. ვფიქრობთ, ეს ლექსემა, სულ მცირე, ორმახვილიანი უნდა იყოს.

III პირის ნიშანი ხშირად დაირთავს კლასის ნიშნებს, რომლებიც წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია. ეს ნიშნები კლას-კატეგორიის გარდა რიცხვსაც განარჩევს.

III პირის ნიშანი მხოლოობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დაირთავს არა **ო**-ს, რომელიც I კლასის ჩვენებითი ნაცვალსახელია, არამედ **ვა**-ს. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს და მამაკაცის კლასის *-**ვ** ნიშანს უკავშირდებოდეს. ამ კლასის ნიშნის დართვისას პირის ნიშანში ხდება ფონეტიკური ცვლილება – -**ნე** > -**ნა**. აღსანიშნავია, რომ კლასის ნიშნებს, პირის ნიშანთაგან განსხვავებით, სახელობითსა და ერგატივში საზიარო ფორმები არ მოეპოვებათ:

მხ.

აბსოლუტივი: -**ნ**(ე) + **ვა** > -**ნა**-**ვა**

ერგატივი: -**ნ**(ე) + -**ო**-**ენ** > -**ნ**-**ო**-**ენ**

მრ.

აბსოლუტივი: -**ნ**(ე) + -**ო‘̃რ** > -**ნ**-**ო‘̃რ**

ერგატივი: -**ნ**(ე) + -**ო‘̃რ** > -**ნ**-**ო‘̃რ**

III პირის ნიშნის მიერ ჩვენებითი ნაცვალსახელის დართვა სუბიექტისა ან ობიექტის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული, შდრ.:

*იშუ აცე-ჲ-**ნე** „კაცი წავიდა“,

*იშუ აცე-ჲ-**ნა**-**ვა** „ის კაცი წავიდა“;

*იშუ იღ-ა-**ø** „კაცი მიდის“,

*იშუ იღ-ა-**ø**-**ვა** „ის კაცი მიდის“...

ჯამში ჩვენ ვიღებთ პირის ნიშანთა შემდეგ სისტემას:

	მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი	
	I პ.	II პ.	I პ.	II პ.
აბსოლუტივი	-ზუ	-ნუნ	-ჟან	-ნან
ერგატივი	-ზუ	-ნუნ	-ჟან	-ნან
I დატივი	-ზა	-ვა	-ჟა	-ვა‘
II დატივი	-ზახ	-ვახ	-ჟახ	-ვა‘ხ
III დატივი	*-ზას	*-ვას	-ჟას	-ვა‘ს

განსაკუთრებით მრავალფეროვანია III პირის (და კლასის) ნიშანთა სისტემა:

	მხ. რიცხვი				მრ. რიცხვი			
	III პ.	I კლ.	II კლ.	III კლ.	III პ.	I კლ.	II კლ.	III კლ.
აბსოლუტივი	-ნ(ე/ა) ~ -ø +	-ვა	-აღ	-ჹა	-ნ(ე/ა) ~ -ø +	-ა‘~რ	-აღ-ურ	-ებურ
ერგატივი		-ო-ენ	-აღ-ენ	-ტ-ენ ?		-ა‘~ნ	-აღ-რ-ონ	-(ე)დ-ღ-ონ
I დატივი		-ო-უ	-აღ-უ	-(ე)ტ-უ		-ა‘~ა	*-აღ-რ-ო	*-ედ-ღ-ო
II დატივი		-ო-უხ	-აღ-უხ	-ტ-უხ		-ა‘~ახ	*-აღ-რ-ოხ	-ედ-უხ
III დატივი		-ო-უს	*-აღ-უს	*-(ე)ტ-უს		-ა‘~ას	*-აღ-რ-ოს	*-ედ-ღ-ოს

ამას გარდა, სხვა ბრუნვათა ფორმებიც დასტურდება: I მხ. -**ზა-ხოც** (აბლ. II); I მრ. -**ჟა-ხოშ** (კომ.); II მრ. -**ვა‘-ხუ** (დირ.), -**ვა‘-ხოლ** (სუპ. III); III მხ. (I კლ.) -**ო-ჹა** (გენ.), -**ო-უქ** (ად. I), -**ო-ულ** (სუპ. I), -**ო-უხუ** (დირ.), -**ო-უხოც** (აბლ. II), -**ო-უხოსტაჹ** (ანტ. II); III მხ. (III კლ.) -**ჭ-ა** (?), -**ტ-უნ** (გენ. ?), -**ტ-ალ** (სუპ. I), -**თ-ხოც** (აბლ. II); III მრ. (I კლ.) -**ო‘~ჹ** (გენ.), **ო‘~ლ** (სუპ. I), **ო‘~ახოშ** (კომ.); III მრ. (III კლ.) -**დ-ღ-ოლოც** (სუპ.).

პირის ნიშნები კავკასიის ალბანურში გენეტურად ამა თუ იმ ბრუნვაში დასმული პირის ნაცვალსახელებია. ეს თვალსაჩინო გახდება, თუ პირის

მაწარმოებლებს შესადარებლად სათანადო პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს მუვუყენებთ, შდრ.:

	I პირის		II პირის	
	მხოლოობითი	მრავლობითი	მხოლოობითი	მრავლობითი
სახელობითი/ ერგატივი	ზუ	ჟან	ვუნ	ვა‘ნ
მიცემითი I	ზა	ჟა	ვა	ვა‘
მიცემითი II	ზახ	ჟახ	ვახ	ვა‘ხ
მიცემითი III	ზას	ჟას	ვას	ვა‘ს

III პირის ნიშანი წარმოშობით ფოკუსის მარკერი უნდა იყოს, როგორც -**ნი** მაწარმოებელი წახურში [გიპერტი და სხვ. 2009: II-54]. ალბათ II პირის ნიშნების ჩამოყალიბება მოხდა ამ მაწარმოებლის დახმარებით: *-**ნე-ვუნ** > -**ნუნ** (მხოლოობითში), *-**ნე-ვა‘ნ** > -**ნან** (მრავლობითში) [გიპერტი და სხვ. 2009: II-54]. ამ მოსაზრებას თითქოს უპირისპირდება ის, რომ ზოგჯერ II ნიშნის ფუნქციით მხოლოობითში დასტურდება -**უნ** ფორმა, მაგ., აჷ-**უნ**-ზა (ლკ. 4, 34) „მე (მიც.) გიცნობ **შენ**“. ვფიქრობთ, რომ ეს მომდევნო ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს.

2.6.4. დრო-კილოთა წარმოება

2.6.4.1. ზოგადი.

დრო-კილოთა რიცხვი კავკასიის ალბანურში საკმაოდ შეზღუდულია. დროთაგან კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში მხოლოდ ოთხია დადასტურებული, რომელთაგან ორი მათგანი ანალიტიკურად იწარმოება. ყველა დრო-კილოს წარმოება (იმპერატივს თუ არ ჩავთვლით) ხდება აწმყოსა და ნამყოს ფუძეებზე დაყრდნობით. კავკასიის ალბანურში არ დასტურდება მყოფადი, მის ნაცვლად გამოიყენება სხვადასხვა მოდალური კონსტრუქსიები.

2.6.4.2. **საწარმოებელი ფუძე**

ამოსავალს დრო-კილოთა წარმოებისათვის კავკასიის ალბანურში წარმოადგენს მარტივი (პირველადი, ნეიტრალური) ფუძე. მასზე დაყრდნობით **-ა** და **-ე** თემატური ხმოვნების მეშვეობით იწარმოება ოთხი საწარმოებელი (საყრდენი) ფუძე, რომლებიც, თავის მხრივ, საფუძველს წარმოადგენენ ფინიტურ და ინფინიტურ ფორმათა უმეტესობისათვის, ესენია:

აწმყოს ფუძე: (აწარმოებს **-ა**)

ნამყოს ფუძე (**-ა**/**-ე**)

მასდარის ფუძე (**-ე**)

იმპერატივის ფუძე (**-ა**)

	აწმყ. ფუძე	ნამყ. ფუძე	მასდარის ფუძე	იმპერატივის ფუძე
„ხედვა“, „ხილვა“	ბეღ-ა	ბეღ-ე	ბეღ-ე	ბეღ-ა
„მიღება“, „აღება“	ჰეყ-ა	ჰეყ-ა	ჰეყ-ე	ჰეყ-ა

თითქოსდა არ არსებობს საფუძველი აწმყოსა და იმპერატივის ფუძეების განცალკევებისა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ არარეგულარული ზმნების ჩვენებას, იმპერატივის ფუძის გამოყოფა ცალკე მიზანშეწონილია, შდრ.:

(უ)კა- (აწმყ.) – **(უ)ფა**- (იმპ.) „თქმა“;

იღა- (აწმყ.) – **უქალ**-/**ექე**- (იმპ.) „სვლა“;

ჰეღა- (აწმყ.) – **ჰექალ**- (იმპ.) „მოსვლა“;

ლუღა- (აწმყ.) – **დაღა**- (იმპ.) „მიცემა“, „მოცემა“...

ნამყოს ფუძე წარმოდგენილია ორი თემატური ხმოვნით – **-ე** და **-ა**. **-ე**-ს მეშვეობით იწარმოება:

ა‘-ე‘სუნ „ცდუნება“, „ცდა“ > ა‘-**ე‘**; აკ-ესუნ „ნახვა“, „დანახვა“ > აკ-**ე**; აპ-ესუნ „მოსვლა“, „მოღწევა“, „ხლება“ > აპ-**ე**; ბაჩხ-ესუნ „მალვა“ > ბაჩხ-**ე**; ბასკ-ესუნ „ძილი“ > ბასკ-**ე**; ბათქ-ესუნ „შებრუნება“, „დაბრუნება“, „გასვლა“ > ბათქ-**ე**; ბაჴ-ესუნ „პოვნა“ > ბაჴ-**ე**; ბო‘(ჰ)-ესუნ „ფიქრი“, „ზრახვა“, „სვლა“ > ბო‘-**ე**; ბეს-ესუნ „ძიება“,

„თხოვნა“ > ბეს-**ე**; ბეღ-ესუნ „ხედვა“, „ხილვა“ > ბეღ-**ე**; ბიცხ-ესუნ „ჩვენება“, „უწყება“ > ბიცხ-**ე**; ბით-ესუნ „წაქცევა“ > ბით-**ე**; ბიხ-ესუნ „შექმნა“, „შობა“ > ბიხ-**ე**; ბოკ-ესუნ „წაყვანა“ > ბოკ-**ე**; ბუყ-ესუნ „ყვარება“, „ნდომა“ > ბუყ-**ე**; დაღ-ესუნ „მიცემა“ > დაღ-**ე**; ეფ-ესუნ „მეტყველება“ > ეფ-**ე**; ეჶ-ესუნ „შენახვა“, „ქონა“, „ყოლა“ > ეჶ-**ე**; იჰ-ესუნ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“ > (ი)ჰ-**ე**; *იჰ-ესუნ „სმენა“ > იჰ-**ე**; (უ)ფ-ესუნ „თქმა“ > ფ-**ე**; ქარხ-ესუნ „ხსნა“, „გამოხსნა“ > ქარხ-**ე**; ჩალხ-ესუნ „ცოდნა“, „გაცნობიერება“ > ჩალხ-**ე**...

-**ა** აწარმოებს ნამყოს ფუძეს შემდეგ ზმნურ ლექსემებში:

ბართ-ესუნ „დატოვება“, „მიტოვება“, „გაშვება“ > ბართ-**ა**; *ბილ́-ესუნ „მოკვდომა“, „მოკვდინება“ > ბილ́-**ა**; ბიჲ-ესუნ „კეთება“ > ბიჲ-**ა**; ბიყ-ესუნ „მიღება“ > ბიყ-**ა**; ბიწკ-ესუნ „გაწმენდა“ > ბიწკ-**ა**; ბუტ-ესუნ „შეხვევა“, „ჩაკეტვა“ > ბუტ-**ა**; ზეტ-ესუნ „შეკვრა“ > ზეტ-**ა**; იგ-ესუნ „ცემა“, „გვემა“ > იგ-**ა**; *ყოყ-ესუნ „ყლაპვა“ > ყოყ-**ა**; ძეხ-ესუნ „დადება“, „შეყენება“, „შესმა“, „შეკეთება“, „გასწორება“ > ძეხ-**ა**; ჰეყ-ესუნ „მიღება“, „აღება“ > ჰეყ-**ა**...

სუფიქსაციის გარდა, საყრდენი (საწარმოებელი) ფუძე იწარმოება აგრეთვე ინფიქსაციითა და აბლაუტით.

ინფიქსაცია არ არის ხშირი მოვლენა და სულ რამდენიმე ზმნაში (აწმყოს ფუძეში) დასტურდება. ინფიქსად დაერთვის -**ლ**(**ე**)- (~ -**ლ́**(**ე**)- – წინა რიგის **ი** ხმოვნების შემდეგ) მაწარმოებელი. აღსანიშნავია, რომ ინფიქსთან ერთად შენარჩუნებულია თემატური ხმოვანიც, მაგ., იგ-ესუნ „ცემა“, „გვემა“ > ი-**ლ́ე**-გ-ა, ზეტ-ესუნ „გაკოჭვა“, „შეკვრა“ > ზე-**ლ**-ტ-**ა**, ძეხ-ესუნ „დადება“, „შეყენება“, „შესმა“, „შეკეთება“, „გასწორება“ > ძე-**ლე**-ხ-**ა**, ბო‘(ჰ)-ესუნ „სვლა“, „ფიქრი“, „ზრახვა“ > ბო‘-**ლ**-ა.

ზოგიერთ შემთხვევაში, თანხმოვანი დაკარგულია და ინფიქსად გამოყენებულია ოდენ -**ე** ხმოვანი, მაგ., *ა(რ)ც-ესუნ „ჯდომა“, „დაჯდომა“ > არ-**ე**-ც-ა (აწმყ.), ბათქ-ესუნ „შებრუნება“, „დაბრუნება“, „გასვლა“ > ბათ-**ე**-ქ-ა, ბიწ-ესუნ/ბილ́წ-ესუნ „ლპობა“, „წყალში გახსნა“ > ბილ́-**ე**-წ-ა, ბიცხ-ესუნ „ჩვენება“, „უწყება“ > ბიც-**ე**-ხ-ა, ჩალხ-ესუნ „ცოდნა“, „გაცნობიერება“ > ჩალ-**ე**-ხ-ა.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ამ ფუნქციით კავკასიის ალბანურში -**რ**- ინფიქსიც გამოიყენება [გიპერტი და სხვ. 2009: II-44], რასაც ვერ გავიზიარებთ. ეს ვარაუდი, თუ არ ჩავთვლით ჰაჲზ-ესუნ / ჰა**რ**ზ-ესუნ ზმნას, რომლის მეორე ვარიანტში დადასტურებული -**რ**- ელემენტი, მკვლევართა დაშვებით, ისტორიულად ამ ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ერთი, ჩვენი აზრით, – საეჭვო მაგალითით არის ილუსტრირებული: *ა(რ)ც-ესუნ „ჯდომა“, „დაჯდომა“ > ა-**რე**-ც-ა (აწმყ.). ამ ზმნის მასდარის ფორმა კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში არ არის დადასტურებული, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მასში **რ** თანხმოვანი უნდა ყოფილიყო (შდრ. უდ. ა**რ**ც-ესუნ „ჯდომა“, „დაჯდომა“). აქედან გამომდინარე, **რ** თანხმოვანი ა**რ**ეცა ფორმაში ფუძისეულია (ისევე, როგორც ჰა**რ**ზ-ესუნ ფორმაშიც) და არა ინფიქსია. ინფიქსად ამ მაგალითში გვევლინება ოდენ -**ე**- ხმოვანი, რომელიც სხვა ზმნურ ფორმებშიც დასტურდება (იხ. წინა აბზაცი).

აწმყოს ფუძის წარმოებისას ზოგიერთ ზმნურ ძირში დასტურდება აბლაუტი (**ი** > **ა**), მაგ., ბ**ი**ჲ-ესუნ „კეთება“ > ბ**ა**-(ა) (აწმყ.), შდრ. ბ**ი**ჲ-ა (ნამყ.); **ი**ჰ-ესუნ „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“ > **ა**ჰ-ა (აწმყ.), შდრ. (**ი**)ჰ-ე (ნამყ.). ამ ფორმათა რიცხვს შესაძლებელია დავუმატოთ ბ**ი**ყ-ესუნ/ბ**ა**ყ-ესუნ „შეპყრობა“, „მიღება“ > ბ**ა**ყ-ა (აწმყ.).

ამას გარდა, გვაქვს ზმნები, რომლებიც ატიპიურად, არარეგულარულად, სუპლეტურად იწარმოება, მაგ.:

	აწმყო	ნამყო	მასდარი	იმპერატივი
„თქმა“	(უ)კა-	(უ)ფე-	(უ)ფეს-	(უ)ფა-
„სვლა“	იღა-	(ა)ცე-	იღეს-	უქალ-/ექე-
„მოსვლა“	ჰეღა-	არ-	ჰეღეს-	ჰექალ-
„მოკვლა“, „მოკვდომა“	ბილ῾ა-	პურ-/ბილ῾ა-	უპეს-/- *ბილ῾ეს-	ბილ‘ა-
„მი(მო)ცემა“	ლუღა-	დაღე-	დაღეს-	დაღა-

2.6.4.3. **დრო.**

კავკასიის ალბანურში მხოლოდ აწმყოსა და ნამყო დროის ფორმები დასტურდება. აწმყოს ფორმა აწმყოს ფუძეს იმეორებს, ნამყოს ფორმა ნამყოს ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება -**ჲ**/-**ი** მაწარმოებლის დართვით. ორი ფორმა კი, როგორც უკვე აღინიშნა, ანალიტიკურად იწარმოება, ესენია იმპერფექტი და პლუსკვამპერფექტი. ამ ფორმებს **ჰეჲ** (< **იჰ**-ესუნ „ყოფნა“, „გახდომა“) მეშველი ზმნის ნამყოს ფორმა აწარმოებს, რომელიც იმპერფექტის წარმოებისას ერთვის აწმყოს ფორმას, ხოლო პლუსკვამპერფექტის წარმოებისას – ნამყოს ფორმას. რომ შევაჯამოთ, დროების წარმოება შეიძლება წარმოვადგინოთ ამ სქემის სახით:

	აბლაუტი /ინფიქსი	თემატური ხმოვანი	სუფიქსი	მეშვ. ზმნა
აწმყო	-ა-, -(ლ/ლ̋)ე	-ა-	ø	
იმპერფექტი	-ა-, -(ლ/ლ̋)ე	-ა-	ø	-ჰეჲ
ნამყო	-ი-	-ა-/-ე-	-ჲ/-ი	
პლუსკვამპერფექტი	-ი-	-ა-/-ე-	-ჲ/-ი	-ჰეჲ

2.6.4.3.1. **აწმყო.**

აწმყოს დრო აწმყოს ფუძეს ემთხვევა, ანუ -**ა** თემატური ხმოვანი, რომელიც აწმყოს ფუძეს აწარმოებს, შეიძლება აწმყოს დროის მაწარმოებელ სუფიქსად მივიჩნიოთ, მაგ.,

უკ-**ა**-ზ ვა‘ს

თქმა:PRES-PRES-1SG თქვენ:DAT III

(მე) გეუბნებით თქვენ (ინ. 6, 47 და სხვ.);

ჟან-ალ ბიცეხ-ა-ჟან ვა‘

ჩვენ-FOC უწყება:PRES-PRES-1 PL თქვენ: DAT I

ჩვენ გაუწყეთ თქვენ (1 ინ. 1, 5)...

აწმყოს -**ა** მაწარმოებელი, რომელიც ამ ფუნქციით უდიურშიც დასტურდება, საინტერესო პარალელებს ავლენს ანდიურ და ნახურ ენებში დადასტურებულ ანალოგიურ ფორმანტებთან.

2.6.4.3.2. **იმპერფექტი** (**ნამყო-უწყვეტელი**).

ანალიტიკური ფორმაა. იწარმოება აწმყოს ფორმაზე **ჰეჲ** მეშველი ზმნის დართვით, მაგ.,

ნუ-ბეს-**ა**-ჟან-**ჰე-ჲ** გოʿხუნ-უნ

NEG-ძებნა-PRES-1 PL-ყოფნა:PAST-PAST დიდება-GEN

არ ვეძებთ (ჩვენ) დიდებას (1 თეს. 2, 6);

ბოʿგალ-ბა-**ა**-ზ-ჲა-**ჰე-ჲ**

ნადავლი-კეთება:PRES-PRES-1 SG-ის:III-ყოფნა:PAST-PAST

(მე) ვარბევდი (მას) (გალ. 1, 13)...

2.6.4.3.3. **ნამყო**.

ნამყო დროს აწარმოებს -**ჲ**/-**ი** სუფიქსი, რომელიც ნამყოს ფუძეს ერთვის. ამ სუფიქსის მეორე ვარიანტი -**ი** მხოლოდ რამდენიმე ფორმაში დასტურდება: პურ-**ი** (< ბიჲ-ესუნ „მოკვდომა“), ბურ-**ი** (< ბურ-ესუნ „დგომა“), არ-**ი** (< ჰეღ-ესუნ „მოსვლა“). ამ სუფიქსს შევხვდებით კიდევ ერთ ზმნაში, რომლის მეორე კომპონენტად ჰეღ-ესუნ > არ-**ი** ზმნა გვაქვს: აც-არ-**ი** „იჯდა“, „დაჯდა“:

ილʿუ-კორ-ბიჲაჲ-ნ-ო-ენ ოʿ~ა

სიტყვა-უკან-კეთება-3 SG-ის-I-ERG ისინი:I-DAT I

მიუგო (ის) მათ (ინ. 9, 27);

ჰე-ბიჲა-**ჲ**-ნ-ო-ენ ალ˝ე-ოʿ~რ ვაჭარ-ულ-ოჲ

გაგზავნა:PAST-PAST-3 PL-I-ERG უხუცესი-I PL ებრაელი-PL-GEN

მიუგზავნა ებრაელი უხუცესები (ლკ. 7, 3)...

2.6.4.3.4. **პლუსკვამპერფექტი**.

პლუსკვამპერფექტი იწარმოება ნამყოს ფორმაზე **ჰეჵ** მეშველი ზმნის დართვით, მაგ.,

ნა‘-ჟ̃იჟ̃-აცე-**ჵ**-**ჰე**-**ჵ**-ზუ

ნავი-დამსხრევა:PAST-PAST-ყოფნა:PAST-PAST-1 SG

ნავი დამემსხვრა (2 კორ. 11, 25);

ცამ-ფე-ჵ ჰამაჵ-კე-ჰე-ჵ

წერა-თქმა:PAST-PAST რომელიც-REL-ყოფნა:PAST-PAST

რომელშიც ეწერა (ლკ. 4, 17)...

2.6.4.4. **კილო**.

კავკასიის ალბანურში დასტურდება შემდეგი კილოები: კავშირებითი, კონდიციონალი, ბრძანებითი, ჰორტატივ-ოპტატივი, პროჰიბიტივი. ამას გარდა, აუცილებლობისა და შეუძლობლობის გამასახატად გამოიყენება სპეციალური შაბლონები.

2.6.4.4.1. **კავშირებითი კილო** (**კონიუნქტივი/სუბიუნქტივი**).

ეს კილო რეგულარულად გამოიყენება მყოფადის აღსანიშნავად. მას აწარმოებს -**ალ** მაწარმოებელი, რომელსაც, როგორც წესი, მოსდევს -**ანკე** კავშირი, მაგ.,

ქარხ-ეს-ბა-ალ-ანკე-ო̨-ენ ჟახ

გადარჩენა-MASD-კეთება-PRES-PART:PRES-CONJ-ის:I-ERG ჩვენ:DAT II

რათა გამოვეხსენით ჩვენ (ტიტ. 2, 14);

ახაჵ-ბო̨კ-ალ-ანკე ედუხ

ღია-წაყვანა-PART-PRES-CONJ ის:III-DAT II

რათა განაქარვოს (გაანადგუროს) იგი (ებრ. 2, 14)...

ზოგჯერ -**ანკე** კლიტიკას ენაცვლება მიმართებითი ნაცვალსახელი **ჰანაჲ-კე**, მაგ.,

ჰაშუ-ნე გელ-ნ̋-ა-ბა-ალ ჰანაჲ-ო-ენ-კე

ვინ:ABS-3 PS ბრალი-STA-GEN-კეთება:PRES-PART:PRES რომელი-REF:I-ERG-REL

ვინ არის დამსჯელი (მსჯავრმდები)? (რომ. 8, 34).

გვხვდება შემთხვევები, როდესაც კავშირებითი კილო ჩვეულებრივი მყოფადის აღსანიშნავად გამოიყენება, მაგ.,

ბილ̋-ა ჰანაჲ-ო-ენ-კე ბა‘ზ-ე-გელ

მოკვლა:PRES-PRES რომელი-REF:I-ERG-REL სასამართლო-GEN-ბრალი

აჰ-ალ-ანკე-ვა ბა‘ზ-ახ

ყოფნა:PRES-PART:PRES-CONJ-ის:ABS:I სასამართლო-DAT II

რომელიც მოკლავს, დამნაშავე იქნება სასამართლოში [სასამართლოს წინაშე] (მთ. 5, 21).

2.6.4.4.2. **პირობითი კილო** (**კონდიციონალი**).

აწმყო ფორმის კონდიციონალი იწარმოება აწმყოს ფუძის ფორმაზე დაყრდნობით -**ენ̋ე** ფორმანტის დართვით (შდრ. უდ. -**იჲი**). წარსულის დროის კონდიციონალი კი იყენებს იმპერფექტის ფორმას, რომელსაც -**ენ̋ე** მაწარმოებელი დაერთცის, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ფორმა აწმყო დროის კონდიციონალისაგან იმით განსხვავდება, რომ მას იმპერფექტის (და პლუსკვამპერფექტის) მაწარმოებელი -**ჰეჲ** მეშველი ზმნა დაერთვის.

კონდიციონალი, როგორც წესი, **ჰატენკე** „თუ“ კავშირთან გამოიყენება. კონდიციონალი კავკასიის ალბანურში შეიძლება შეგვხვდეს რთული ქვეწყობილი წინადადების როგორც დამოკიდებულ, ისე მთავარ წინადადებაში, მაგ.,

ჰატენკე ზახ აა-ენ́ე-ვა‘ ეჭჾნ დეხ ბეზი-ალ

თუ მე:DAT II ცოდნა-COND-2 PL:DAT I მაშინ მამა-DAT II ჩემი-FOC

აა-ენ́ე-ვა‘-ჰე-ჲ

ცოდნა-COND-2 PL:DAT I-ყოფნა:PAST-PAST

თქვენ რომ მე მიცნობდეთ, მაშინ მამაჩემსაც იცნობდით (ინ. 8, 19);

ჰატენკე ზუ ფულაჲგან-აჰა-ენ́ე-ზუ

თუ მე მოწმე-ყოფნა-COND-1 SG

მე რომ ვმოწმობდე (ინ. 5, 31)...

უნდა აღინიშნოს, რომ კონდიციონალის ფორმა ვერ იგუებს III პირის ნიშანს - **ნ**(ე)-ს.

2.6.4.4.3. **ბრძანებითი კილო** (**იმპერატივი**).

იმპერატივის ფუძე, როგორც უკვე აღინიშნა, იწარმოება უშუალოდ ზმნის ფუძეზე დაყრდნობით **-ა** სუფიქსის დართვით (შდრ. უდ. -ა). **-ა** სუფიქსი აწმყოს ფუძესაც აწარმოებს და იმპერატივის ფუძის გამოყოფის საფუძველი არც გვექნებოდა, რომ არ მიგვეღო მხედველობაში ინფიქსაციითა და აბლაუტის მეშვეობით ნაწარმოები და არარეგულარული ზმნების ჩვენება, შდრ.:

	აწმყო	იმპერატივი
„თქმა“	(უ)კა-	(უ)ფა-
„სვლა“	იღა-	უქალ-/ექე-
„მოსვლა“	ჰეღა-	ჰექალ-
„მი(მო)ცემა“	ლუღა-	დაღა-
„ყოფნა“	აჰა-	იჰა-
„აღება“	ბაყა-	ბიყა-
„კეთება“	ბა(ა)-	ბიჲა-
„დადება“...	ძე-ლე-ხა-	ძეხა-

იმპერატივის ფორმას, როგორც წესი, მოსდევს პირის ნიშანი, მაგ., ჰეყა-**ნუნ** „აიღე!“, დაღა-**ნ[უ]ნ** „მომეცი!“, ბიჲა-**ნუნ** „გააკეთე!“, ბუყანა-ბიჲა-**ნან** „შეიყვარეთ!“, უფა-**ნან** „უთხარით!“... კლიტიკა არ გამოიყენება, როდესაც იმპერატივის ფორმას მოსდევს სხვა იმპერატივი ან ვოკატივი, მაგ.,

ჰუ‘კ-ელ-ბ-ა იშე-ბურ-ო ე ბორზუნ ბეში

გული-SUPERESS I-კეთება-IMP ძმა-PL-VOC ART შრომა ჩვენი

გახსოვთ, ძმანო, ჩვენი შრომა (1 თეს. 2, 9)...

კავკასიის ალბანურსა და უდიურში დადასტურებულ იმპერატივის **-ა** სუფიქსს მოეპოვება პარალელები სხვა ლეზგიურ ენებში: ლეზგ. -ა (ქილიგ-ა „უყურე!“, ალუკ-ა „ჩაიცვი!“), არჩ. **-ა** (აკ-**ა** „გარეკე!“).

2.6.4.4.4. **ჰორტატივ-ოპტატივი**.

ამ კილოს კავკასიის ალბანურში აწარმოებს პროკლიტიკა **-ყა** (შდრ. უდ. იუსივის მაწარმოებელს **-ყა**). ეს მაწარმოებელი, უმეტეს შეთხვევაში, ნამყო ფორმებს ერთვის და იკავებს ადგილს ნამყოს ფორმანტის **-ჲ**-ს შემდეგ, მაგ.,

ბო‘ე-ჲ-ყა-ნან

ფიქრი:PAST-PAST-HORT-2 PL

(თქვენ) განიხილეთ (იაკ. 1, 2);

ჰებიჲა-ჲ-ყა-ზ-ჲა ვაჴუ

გაგზავნა:PAST-PAST-HORT-1 SG-ის III თქვენ:DIR

(მე) მოგივლენთ თქვენ (ინ. 16, 7)...

ზოგიერთ შემთხვევაში ჰორტატივ-ოპტატივის ნიშანი არანამყო ფორმებს ერთვის, მაგ.,

ნ-უკ-ა-ყა-ჟან

NEG-თქმა:PRES-PRES-HORT-1 PL

არ გეუბნებით (თქვენ) (2 კორ. 9, 4)...

2.6.4.4.5. **პროჰიბიტივი**.

კავკასიის ალბანურში პროჰიბიტივის ორი ფორმა დასტურდება და ოროვეს აწარმოებს პროკლიტიკა **მა-**. ერთ-ერთი იმპერატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება. ეს ფორმა კატეგორიულ აკრძალვას გამოხატავს, მაგ., **მა-ბოʻა-ნან** „ნუ გგონიათ!“, **მა-ბიჲა-ნუნ** „ნუ გააკეთებ!“, **მა-ბიჲა-ნან** „ნუ გააკეთებთ!“, **მა-იჰა-ნუნ** „ნუ იქნები!“, **მა-ცამ-ფა-ნუნ** „ნუ დაწერ!“...

პირველი ფორმისაგან განსხვავებით პროჰიბიტივის მეორე ფორმა ნაკლებად კატეგორიულია. ეს ფორმა ჰორტატივ-ოპტატივს ეფუძნება, ოღონდ ჰორტატივ-ოპტატივის მაწარმოებელი კლიტიკა **-ყა-** უშუალოდ **მა-** უარყოფას მოსდევს და იკავებს ადგილს ზმნური ფუძის წინ, შდრ., ბიჲაჲ-**ყა**-ნუნ „უნდა გააკეთო!“ – **მა-ყა-**ბიჲაჲ-ნუნ „არ უნდა გააკეთო!“...

მა-ყა კლასტერს შეიძლება სხვა კლიტიკებიც დაემატოს. ეს, როგორც წესი, პირის ნიშნებია. აღსანიშნავია, რომ პროჰიბიტივის პირველი ფორმისაგან განსხვავებით, რომელსაც მხოლოდ II პირის ნიშნები ერთვის, მეორე პროჰიბიტივში სხვა პირის კლიტიკებიც გვხვდება, მაგ., მა-ყა-**ზუ**-ჰე-ბიჲაჲ „[მე] არ გავაძევებ“; მა-ყა-**ნ**-ბითეჲ „[ის] არ დავარდება“ და ა. შ.

დასტურდება რამდენიმე მაგალითი, როდესაც ეს ფორმა **-ყა-** კლიტიკის გარეშე იწარმოება: **მა-ნა-ვა-პაʻჰუʻკ-ჰეჲ** „[ის] არ უნდა დაეჭვდეს“ (ზედმიწ. შეორგულდეს) (იაკ. 1, 6); **მა-ნან-ბაჰა-ბოʻჰეჲ** „[თქვენ] ვერ შეხვალთ“ (მთ. 5, 20). გვაქვს მაგალითი, სადაც **მა-** კლიტიკა ზმნური ფუძის შემდეგ დასტურდება, რაც უჩვეულოა: ჰეღა-**მა**-კე „არ მოიწიოს“ (საქმ. 13, 40). ამას გარდა, ყურადღებას იქცევს **მაყუნდაღეჲ** „არ მისცემ“ (საქმ. 13, 35), რომელიც, სავარაუდოდ, **მა-ყა-ნუნ-დაღეჲ** ფორმის რედუქციით უნდა იყოს მიღებული.

პროჰიბიტივის **მა-** ფორმანტი საერთოლეზგიურ ***მ-** მაწარმოებელს უკავშირდება, შდრ.: თაბ. **მ**-აპ-ან „არ გააკეთო“; აღ. **მა**-ღა „არ წაიღო“, **მ**-უხა „არ დალიო“; რუთ. **მ**გჲახ „არ ირბინო“, **მ**იჲეთ „არ სცემო“; წახ. **მ**ეხ̆ე „ნუ ხარ“, **მ**აწახ̆ე „ნუ იცნობ“; კრიწ. **მა**-ჯუ „ნუ წვავ“; **მ**-უგუ „ნუ დაწვავ“... უდიურში **მა** პრეფიქსი,

კავკასიის ალბანურის მსგავსად, ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ნაწილაკის სახით: **მა** ბა „არ გააკეთო“, **მა** ექე „არ მოხვიდე“...

2.6.4.4.6. **სხვა კილოები.**

წარმოდგენილი კილოების გარდა, უნდა აღინიშნოს რამდენიმე მყარი კონსტრუქცია, რომელიც აუცილებლობის, შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის გამოსახატად გამოიყენება. აუცილებლიბის გადმოსაცემად იხმარება ლექსემა **ბეღა** „უნდა“ და მასდარის I მიცემითში მდგარი ფორმა, მაგ.,

ბეღა ანაკე-ოუ პური-ემ-ოც ჰარზ-ეს-ა

უნდა რომ-ის:I-DAT I მკვდარი-PL-ABL II ადგომა-MASD I-DAT I

რომ მკვდრეთით უნდა აღდგეს (ინ. 20, 9);

ბეღა ო უს-ბ-ოს ბუყანა-ბიჲ-ეს-ა იჩაჲ ჩიბუხ

უნდა ART კაცი-PL-DAT III საყვარელი-კეთება-MASD I-DAT I REF:GEN:PL ცოლი-PL

ქმრებს უნდა უყვარდეთ თავისი ცოლები (ეფ. 5, 28)...

შეძლებისა და შეუძლებლობის აღსანიშნავად კავკასიის ალბანურში გამოიყენება კონსრუქციები, რომელიც შედგება ლექსემებისა **კიბო-კა** „შემძლე“ (ერთ მაგალითში მხოლოდ **კიბო** – **კიბო**-ჟან-ჰეჲ „ჩვენ შეგვეძლო“ – 1 თეს. 2, 7) ან **ნიკბოკა**- „არ შემძლე“ (< ***ნუ-კიბო-კა** < **კიბო-კესუნ** „შეძლება“, „გამარჯვება“, **ნუ**- – უარყოფითი ნაწილაკია) და მასდარის I დატივის ფორმებისაგან, მაგ.,

კიბო-კა ჰანაჲ-ო-ენ-კე ჰელ უნ მარმინ

შემძლე-LV:PRES რომელი-REF:I-ERG-REL სული და ხორცი

ატ-ეს-ბიჲ-ეს-ა გეჰენ-ა

წარწყმედა-MASD I-კეთება-MASD I-DAT I ჯოჯოხეთი-DAT I

რომლებსაც შეუძლია წარწმიდოს სული და ხორცი ჯოჯოხეთში (მთ. 10, 28);

ნი-კბო-კა ქალაქ ბაჩხ-ეს-ა ბუ-ალ ჰალა

NEG-შემძლე-LV:PRES ქალაქი დამალვა-MASD I-DAT I მთა-SUPERESS I ზედ

ბურა-ჰ˜კე

დგომა-PRES-რომელი:ABS:REL

ვერ დაიმალება ქალაქი, რომელიც დგას ზედ მთაზე (მთ. 5, 14)...

2.6.5. **უარყოფა ზმნაში**.

კავკასიის ალბანურში უარყოფა ზმნაში ოთხი კლიტიკის საშუალებით აღინიშნება, ესენია: **თე**-, **ნუ**-, **ნუთ**- // -**ნუთ**. ამათგან **თე**- საერთოლეზგიური წარმოშობისა,[64] ხოლო **ნუ**- (და **ნუთ**- // -**ნუთ**) შეიძლება ქართულ **ნუ** ნაწილაკს უკავშირდებოდეს [გიპერტი და სხვ. 2009: II-54].

თე კავკასიის ალბანურში გამოიყენება ცალკე, როგორც პასუხი კითხვებზე (მაგ., ინ. 1, 21, ინ. 9, 9), გვხვდება უარყოფით ზმნისართებისა და კავშირების სტრუქტურაში, მაგ., **თე**-ხამოჩკე „არასოდეს“ (ებრ. 2, 16), **თე**-ჲანკე „არც ის, რომ“ (ინ. 6, 46). თუმცა ყველაზე ხშირად **თე**- ზმნაში გვხვდება, მაგ., **თე**-ნ-აა-ვა‘ „არ იცით [თქვენ]“, **თე**-ნე-ბიჲაჲ „არ გაუკეთებია“, **თე**-ნ-ოუ-აკეჲ „არ უხილავს“, **თე**-ზუ-არი „არ მოვედი“, **თე**-ზუ-ვა‘ს-ფეჲ „არ მითქვამს“ და ა. შ.

ნუ- და **ნუთ** (< ***ნუ-თე** ?) **თე**-სთან შედარებით უფრო აქტიურად გამოიყენება დერივაციული ფუნქციით, განსაკუთრებით **ნუთ**, რომელიც alpha privativum ტერმინებს აწარმოებს (მნიშვნელობით ქართულ **უ**- -**ო** კონფიქსს უდრის). ზმნაშიც ხშირად გვხვდება ეს მაწარმოებლები, მაგ., **ნა**-აკალ-ანკე-ვა‘ „ვეღარ მიხილავთ“, **ნ**-აანა-ენ˝ე-ნან „რომ არ იცოდეთ“, **ნ**-აა-ნ-ანაკე-ჟა „არ ვიცით“, **ნ**-აა-ოუ-ჰეჲ „არ იცოდა“, **ნ**-აა-ვა „არ იცი“, **ნა**-აა-ზა „არ ვიცი“, **ნ**-აა-ჟა „არ ვიცით“, **ნუ**-აა-ანაკე „რადგან არ იცის“, **ნ**-უკა-ზ „არ გითხარი“ და ა. შ. როგორც წარმოდგენილი

---

[64] შეესატყვისება საერთოლეზგიურ *-**დ** მორფემას. ეს მორფემა შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით რეკონსტრუირდება:

*__დ__-: ლეზგ. **თ̣**-: თაბ. **დ**-: აღ. **დ**-: რუთ. **ჯ**-: წახ. **დ**-: კრიწ. **დ**-: ბუდ. **დ**-: არჩ. -**ტ**-: უდ. **თ**-: კავკ.-ალბ. **თ**-.

ამ ფორმულაში არ არის კანონზომიერი რუთულური და არჩიბული რეფლექსები (მოსალოდნელი იყო რუთ. **დ** და არჩ. **თ̣**). ალბათ აქ საქმე გვაქვს რაიმე მორფონოლოგიურ პროცესებთან, რომლის დადგენა ამ ეტაპზე ჭირს.

მაგალითებიდან ჩანს, **უ** ხმოვანი **ნუ**- კლიტიკაში ხშირად განიცდის ასიმილაციას ან საერთოდ იკარგება (**ნუ**- > **ნა**-, **ნი**-, **ნ**-).

ნუ- კლიტიკა ზმნურ ფორმაში ყოველთვის საწყის პოზიციაზე იმყოფება, გარდა ერთი მაგალითისა ყა‘-**ნუ**-კა-ნ ანაკე-ოენ „არ აყვედრის“ (იაკ. 1, 5).

ნუთ კლიტიკა, როგორც წესი, გამოიყენება კონდიციონალთან, -**ალ** მაწარმოებლიან მიმღეობებთან და დამხმარე ზმნებთან. იგი ხშირად გვხვდება -**ანკე**- და -**ანაკე**- კავშირებთან, მაგ., **ნუთ**-ანაკე-ნან ჰეყაჲ „რადგან არ მიგიღიათ“, **ნუთ**-ანაკე-ზუ ჰეყაჲ „რადგან არ მიმიღია“, **ნუთ**-ანაკე ოჲა ჰეჲ „რადგან მას არ ჰყავდა“, **ნუთ**-ანაკე-ჲა „რომ არ არის“, **ნუთ**-ანაკე-ზუ „რადგან არ ვარ“; **ნუთ**-ანკე-ტენ ეჶალ „რომ არ ჰქონდეს“, **ნუთ**-ანკე-ვა აჰალ „რომ არ უნდა იყოს“; **ნუთ**-ბახეჲ “ვერ უპოვეს“...

2.7. სახელზმნური ფორმები

2.7.1. ზოგადი.

კავკასიის ალბანურში სახელზმნური ფორმებიდან დასტურდება მასდარის ორი და მიმღეობის ოთხი ფორმა.

ყველა სახელზმნურ ფორმას ახასიათებს როგორც ზმნური, ისე სახელური თვისებები; ზმნური თვისებებაა – მოქმედებისა ან მდგომარეობის გამოხატვა, ხოლო უმთავრესი სახელური თვისება, რომელიც ნაზმნარ სახელს ახასიათებს, არის ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიათა ქონა.

2.7.2. მასდარი

კავკასიის ალბანურში გვხვდება ორი თითქმის ერთგვარი ფუნქციის მქონე ფორმა. პირველი იწარმოება ზმნის ფუძეზე დაყრდნობით **-ეს** სუფიქსის[65] დართვით, ხოლო მეორე – პირველ ფორმაზე დაყრდნობით **-უნ** სუფიქსის[66] დართვით.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, **-ეს** სუფიქსიანი ფორმა ინფინიტივია, ხოლო მეორე (**-ეს-უნ** ფორმანტიანი) – მასდარი [გიპერტი და სხვ. 2009: II-46-47].

ამ მოსაზრებას თითქოსდა მხარს უჭერს სხვა ლეზგიური ენების მონაცემები. საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე უეჭველად აღდგება ინფინიტივის ფორმა. ინფინიტივის მაწარმოებლად *-**ს** გვევლინება:

ლეზგ. -**ზ**: თაბ. -**ზ**: აღ. -**ს**: რუთ. -**ს**: წახ. -**ს**: კრიწ. -**ს**: არჩ. -**ს**: უდ. -**ს**: კავკ.-ალბ. -**ს**.

ლეზგ. ყაჩუ-**ზ** „აღება“, რეყი-**ზ** „მოკვდომა“; თაბ. აპუ-**ზ** „კეთება“, აგუ-**ზ** „ძებნა“; აღ. აგუა-**ს** „ნახვა“, დიუა-**ს** „გაქაჩვა“; რუთ. ლეშუა-**ს** „აღება“, ლუზუა-**ს** „დგომა“; წახ. -**ს**: კრიწ. ჴიკა-**ს** „მოკვდომა“, ყალიჴა-**ს** „წოლა“; არჩ. ატი-**ს** „გაშვება“,

---

[65] **-ეს**, როგორც ჩანს, საერთო ლეზგიურის მიცემითი ბრუნვის ნიშანს (*-**ს**) უკავშირდება [ალექსეევი 1985: 45, 100].

[66] ეს ნიშანი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია.

აკა-**ს** „გარეკვა“; კრიწ. ჶუჲი-**ს** „მიცემა“, ზგმგ-**ს** „რეცხვა“; უდ. ბ-**ეს** „კეთება“, ბაქ-**ეს** „ყოფნა“, „არსებობა“, გახდომა“, უღ̔-**ეს** „დალევა“; კავკ.-ალბ. ბიჲ-**ეს** „კეთება“ და ა.შ.

ინფინიტივისაგან განსხვავებით, მასდარის ფორმები ლეზგიურ ენებში წარმოების ჰეტეროგენურობით გამოირჩევა. ამის მიუხედავად, შესაძლებლად გვესახება მასდარის საერთო ნიშნის რეკონსტრუქცია (*-**ნ**), რომელიც წარმოშობით, შესაძლოა, გენიტივის ფორმანტს უკავშირდებოდეს, ისევე, როგორც ინფინიტივის მაწარმოებელი (*-**ს**) დატივისას.

მასდარის საერთოლეზგიური ფორმანტი (*-**ნ**) აღდგება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

ლეზგ. -**ნ**: რუთ. -**ნ**: ბუდ. -**ნ**: უდ. -**უნ**: კავკ. ალბ. -**უნ**. ამავე რიგისა შეიძლება იყოს არჩიბული მასდარის მაწარმოებელი -**მ**-**ულ**.

დანარჩენ ენებში სხვადასხვა ცვლილებები განვითარდა.

მასდარის ამ მაწარმოებლის პარალელები სხვა ნახურ-დაღესტნურ ენებშიც მოგვეპოვება. ნახურ-დაღესტნური ენები მასდარის ნიშანთა სიმრავლით გამოირჩევა, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებულია -(**V**)**ნ**(**V**) ნიშანი, რომელიც ყველა ჯგუფსა და ქვეჯგუფში დასტურდება:

ხუნძურში II უღვლილების ზმნები მასდარს აწარმოებენ -**ინ**, -**ენ** სუფიქსებით, (რეტ-**ინ** „ჩაცმა“, კოჩ-**ე**-**ნ** „დავიწყება“...); ანდიურში II უღვლილების ზმნათა მასდარული ფორმები მთლიანად ემთხვევა ნამყო ძირითადის ფორმებს, რომელიც -**Vნ** სტრუქტურის სუფიქსთა მეშვეობით იწარმოება, მაგ.: ბიჟ-**უნ** „შექმნა“ (ნამყო. ძირ. „id.”), ბახ-**ონ** „შეკერვა“ (ნამყო ძირ. „id.”), ბოს-**ან** „მოყოლა“, თხრობა“ (ნამყ. ძირ. „id.”) და ა.შ. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ II უღვლილების ზნმათა მასდარის დერივატად ზოგ ენაში (ჭამალური, ახვახური) ნაზალიზებული ხმოვანი გამოიყენება, მაგ.: ახვ. ბაც-**ე**^{ნ} (<*ბაც-**ენ**) „თხრობა“, რაწ$_{ა}$-**ე**^{ნ} (<*რაწ-**ენ**) „შეკითხვა“...

გენეზისურად ხუნძურ-ანდიურ ენებში დადასტურებული -**Vნ** ტიპის მაწარმოებლები დიდიურ ენათა მასდარის ნიშნებს უნდა უკავშირდებოდეს: საკ. დიდ. -**ნი**: ხვარშ. -**ნუ**: ბეჟ. -**ნი**. ამ უკანასკნელს კი უკავშირდება დარგ. -**ნი**, ლაკ. -**ნ** და ზემოთ წარმოდგენილი ლეზგიური ენების კორესპონდენციები.

ნახურ ენებში საერთო-ნახურ-დაღესტნური მასდარის მაწარმოებელის შეიძლება უკავშირდებოდეს ინფინიტივის სუფიქსი **-ნ**, ანდა **მ-** ფორმანტი, რომელიც, როგორც აღინიშნა, ნაზმნარი სახელის კიდევ ერთ ფორმას აწარმოებს.

საბოლოო ჯამში ფორმულა ასეთ სახეს იღებს:

ხუნძ. **-ინ**: ანდ. **-ნ**: ჭამ **-ნ**: ახვ. **-ნ**: საკ. დიდ. **-ნი**: ხვარშ. **-ნუ**: ბეჟ. **-ნი**: დარგ. **-ნი**, ლაკ. **-ნ** (ინფ.): ლეზგ. **-ნ**: რუთ. **-ნ**: ბუდ. **-ნ**: უდ. **-უნ**: კავკ. ალბ. **-უნ**: ჩეჩნ. **-მ/-ნ** (ინფ.): ინგ. **-მ/-ნ** (ინფ.): ბაცბ. **-მ/-ნ** (ინფ.):

ეს მასალა გვაძლევს უტყუარ საფუძველს, რომ საერთო-ნახურ-დაღესტნურისათვის აღვადგინოთ მასდარის მაწარმოებლად *-**ნ** სუფიქსი.

ამის მიუხედავად, ვერ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებას. ზემოაღნიშნული ორივე სახელზმნური ფორმა იბრუნვის, რაც მათ აახლოვებს მასდართან. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ფორმებს ინფინიტივის ნიშნები არ ახასიათებს (ეს ფორმები არ განარჩევენ დროსა და გვარს; განსაზღვრებად მასთან გამოყენებულია ზედსართავი სახელი, ისევე, როგორც ჩვეულებრივ სახელთან), ორივე მათგანს ვუწოდებთ მასდარს – **მარტივმაწარმოებლიანი მასდარი**, **მასდარი I** და **რთულმაწარმოებლიანი მასდარი**, **მასდარი II**.

2.7.2.1. **მარტივმაწარმოებლიანი მასდარი**

როგორც ზემოთ აღინიშნა, მასდარის ეს ფორმა **-ეს** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება: ბიჲ-**ეს** „კეთება“, „ქმნა“; (უ)ფ-**ეს** „თქმა“; ი̂ჳ-**ეს** „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“; უქ-**ეს** „ჭამა“; ბიხ-**ეს** „შობა“, „შექმნა“...

მარტივმაწარმოებლიანი მასდარი იბრუნვის, მაგ.:

სახ.	ბიჲ-ეს „კეთება“
ერგ. (ინსტრ.)	ბიჲ-ეს-ენ „კეთებით“
ნათ.	ბიჲ-ეს-უნ „კეთება“ (< *კეთებით)
მიც. I	ბიჲ-ეს-ა „კეთება“, „საკეთებელად“
მიც. II	ბიჲ-ეს-ახ „კეთებისას“

წარმოდგენილი ფორმების გარდა, კავკასიის ალბანურში დასტურდება კომიტატივის ფორმებიც, მაგ., ა‘**-ეს̀-ახოშ** „ცდუნებისას“ (ზედმიწ. „ცდუნებასთან“), ბაიჰ-**ეს-ახოშ** „დასრულებასთან“, ჰარზ-**ეს-ახოშ** „აღდგომასთან“, ჰეღ-**ეს-ახოშ** „მოსვლასთან“...

მარტივმაწარმოებლიანი მასდარის სახელობითი ბრუნვის ფორმა არ განსხვავდება რთულ-მაწარმოებლიანი მასდარის (resp. გენიტივის ფორმის) მნიშვნელობას. იგი წინადადებაში შეიძლება, აგრეთვე, გამოხატავდეს მოქმედების მიზან-მიზეზს, მისწრაფებასა და მიზან-დასახულობას. მსგავს მნიშვნელობას ატარებს მარტივმაწარმოებლიანი მასდარის I მიცემითის ფორმაც, რომელიც კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება. ევროპულ ენებზე თარგმნისას მიცემითის ფორმა ინფინიტივის გაგებას გვაძლევს, მაშინ როდესაც სხვა ფორმები – სახელით (ნაზმნარი სახელით) გადმოიცემა, მაგ.,

ბისა-ჲ-ალ ჰანაჲ-ჭ·ა გო‘ენ-კე ზახ

ცხება:PAST-PAST-FOC რომელი-REF:III:GEN იმიტომ-REL მე:DAT III

ო-ენ ჯ̃უ-დაღ-ეს-ა

ის-I-ERG ახალი ამბავი-მიცემა-MASD I-DAT I

კინუთო‘̃ა ჰე-ბიჲა-ჲ-ნ ოენ

სიმდიდრე-NEG-REF:PL:I:DAT I გაგზავნა:PAST-PAST-3PS ის:I-ERG

ზახ თაბიტ-ეს-ა ბო‘გალ-ინ

მე:DAT II ქადაგება-MASD I-DAT I ალაფი-GEN

ბოკე-ჲ-ო‘̃ა ბართ-ესუნ კაჭ̃ი-ო‘̃ა-ალ

წაყვანა:PAST-PAST-REF:PL:I:DAT I გაშვება-MASD II ბრმა-REF:PL:I:DAT I

აკ-ესუნ ფარფ-ეს-ა

ნახვა-MASD II განთავისუფლება-MASD I-DAT I

ფარფე-ჲ-ო‘̃რ ბართ-ესუნ-ენ

განთავისუფლება:PAST-PAST-REL:PL:I გაშვება-MASD II-ERG

რომლისთვისაც მცხო გლახაკთა მახარებლად (გამოტოვებულია: და გულით შემუსვრილთა მკურნალად) და მომავლინა მე ქადაგებად ტყვეთა (ზედმიწ. ალაფით წაყვანილთა) განთავისუფლებისა, ბრმათა თვალის ახილვისა (ზედმიწ.

ნახვისა), განთავისუფლებულთა (უნდა იყოს: დაჭრილთა ან ტანჯულთა) განთავისუფლებისა გაშვებით (გაშვების გზით) (ლკ. 4, 18-19).

2.7.2.2. რთულმაწარმოებლიანი მასდარი

მეორე ტიპის მასდარი (რთულმაწარმოებლიანი მასდარი; მასდარი II) იწარმოება მარტივმაწარმოებლიანი მასდარის ფორმაზე -**უნ** სუფიქსის დართვით: ბიჲ-ეს-**უნ** „კეთება“, „ქმნა“; (უ)ფ-ეს-**უნ** „თქმა“, „ლაპარაკი“; იჰ-ეს-**უნ** „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“; უქ-ეს-**უნ** „ჭამა“; ბიხ-ეს-**უნ** „შობა“, „შექმნა“...

რთულმაწარმოებლიანი მასდარიც იბრუნვის; მასდარს მრავლობითი არ ეწარმოება:

სახ.	ბიჲ-ეს-უნ „კეთება“
ერგ. (ინსტრ.)	ბიჲ-ეს-უნ-ენ „კეთებით“
ნათ.	ბიჲ-ეს-უნ-უნ „კეთების“
მიც. I	ბიჲ-ეს-უნ-ა „საკეთებელად“
მიც. II	ბიჲ-ეს-უნ-ახ „კეთებისას“

რთულმაწარმოებლიანი მასდარის ფორმის მნიშვნელობა ემთხვევა პირველი ტიპის მასდარის მნიშვნელობას. მარტივმაწარმოებლიან მასდართან შედარებით, რთულმაწარმოებლიან მასდარს მკაფიოდ აქვს გამოხატული ზმნის (მოქმედების) სახელის (რუს. „Имя глагола“) შინაარსი.

2.7.3. მიმღეობა

კავკასიის ალბანურ ენაში დასტურდება მიმღეობის ორი ძირითადი ფორმა; ესენია: სრული სახის მიმღეობა და უსრული სახის მიმღეობა, რომელიც, შესაბამისად, დასრულებული (სრული სახის) ან დაუსრულებელი (უსრული სახის) მოქმედებისა ან მდგომარეობისათვის გამოიყენება (მათ შეგვიძლია ვუწოდოთ, აგრეთვე, ნამყოს მიმღეობა და აწმყო-მყოფადის მიმღეობა). კავკასიის

ალბანურში მიმღეობას გააჩნია სხვადასხვაგვარი ფუნქციები, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე, მაგალითად, ქართული ენის მიმღეობისა.

სრული სახის მიმღეობა ზმნის ნამყოს ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება -**ჲ**/-**ი** სუფიქსის მეშვეობით, ხოლო უსრული სახის მიმღეობა ემთხვევა ზმნის აწმყოს ფუძეს. უკანასკნელი ფორმა იშვიათად იხმარება, ძირითადად, – ატრიბუტივის ფუნქციით გვხვდება. მას, როგორც წესი, ცვლის -**ალ** (აწმყოს ფუძე + -**ლ**) ფორმანტიანი მიმღეობა. ეს მაწარმოებელი (-**ალ**) აგრეთვე ხშირად მონაწილეობს დერივაციაში და აწარმოებს კავშირებით კილოს (-**ანკე**-სთან ერთად).

-**ლ** ფორმანტი, სავარაუდოდ, უკავშირდება სხვა დაღესტნურ ენებში დადასტურებულ მაწარმოებლებს: ხუნძ. -**ლა** (აწმყო.-მყოფ.) დარგ. -**ლი** (აბს.), არჩ. -**ლი**, უდ. -**ლ** (მყოფ.). -**ლ** ან -**ალ** უდიურშიც უსრული სახის მიმღეობას აწარმოებს.

ამას გარდა, დასტურდება კიდევ ორი მიმღეობური ფორმა: -**ალა** მაწარმოებლიანი უსრული სახის მიმღეობა (როგორც ჩანს, ისტორიულად -**ალ** ფორმანტიანი მიმღეობის დატივის ფორმაა) და -**ანა** მაწარმოებლიანი სრული (?) სახის მიმღეობა. ეს უკანასკნელი ფორმანტი უშუალოდ ზმნის „სუფთა“ ფუძეს დაერთვის, ანუ მას ნამყოს თემატური ხმოვანი არ გადაჰყვება. მისი გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია. პალიმფსესტებში იგი დასტურდება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: ბუყ-**ანა** „საყვარელი“, „შეყვარებული“, ა-**ანა** „ცნობილი“, ჰიმიყ-**ანა** „არასაკმარისი“, ი‘-ბიყ-**ანა** „დამჯერი“, „მორჩილი“ (მხოლოდ 2 კორ. 9, 13-ში), ტე‘გენუნ-აჰ-**ანა** „ჭეშმარიტების მცოდნე“ (1 თიმ. 2, 4).

-**ანა** მაწარმოებელი, როგორც ჩანს, უკავშირდება ნახურ-დაღესტნურ ენებში დადასტურებულ ნამყოს აბსოლუტივის ან ნამყო განუსაზღვრელის ნიშნებს: ნახურ ენებში ნამყოს აბსოლუტივის ნიშნად რეკონსტრუირდება *-**ნა**. ამავე რიგშია ხუნძ. -**ნა** (ნამყ.), დიდ. -**ნო**, ხვარშ., ბეჟ. -**ნა**, ლეზგ. -**ნა**, აღ. -**ნა**, თაბ. -**ნუ**, ლაკ. -**უნ**-.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კავკასიის ალბანურ ენაში სრული ან უსრული მიმღეობის ფორმა ემთხვევა ნამყოსა და აწმყოს ფორმებს. სრული სახის მიმღეობას ემთხვევა ნამყოს ფორმა (-**აჲ**/-**ეჲ** ფორმანტიანი სრული სახის მიმღეობის ფორმა + პირის ნიშანი); უსრული სახის მიმღეობის ფორმას ემთხვევა აწმყოს ფორმა (-**ა** მაწარმოებლიანი უსრული სახის მიმრეობის ფორმა + პირის ნიშანი).

ყველა მიმღეობა ლაბილურია. მიმღეობურ ფორმებს, ისევე როგორც სხვა ატრიბუტივებს, შეუძლიათ მოგვევლინონ სუბსტანტივის ფუნქციით, როდესაც მათ ერთვის ნაცვალსახელური წარმოშობის ე. წ. მასუბსტანტივებელი ფორმანტი, მაგ., **ბა-ალ-ო** „მკეთებელი“, **ქარხეს-ბა-ალ-ო** „მხსნელი“, „მაცხოვარი“, **ეფ-ეჲ-ო** „სათქმელი“, **ჰე-ბიჲ-აჲ-ოჲა** „გაგზავნილი“, „მოციქული“, **გო-ქარხ-ეჲ-ო‘˜ჲ** „ცოდვილების“, **ბუყ-ანა-ო** „საყვარელი“, „შეყვარებული“, „მეგობარი“, **ა-ანა-ედღოჲ** „ცნობილების“ (III კლ.), **ბეღ-ა-ეთჯოც** „საჭიროდან“... მიმღეობის ფორმანტსა (ბოლოკიდური ა-ს შემდეგ) და მასუბსტანტიველს შორის ხშირად თავს იჩენს ჩანართი -**ჲ**-, მაგ., ბეღ-ა-**ჲ**-ო „საჭირო“ (შდრ. **ბეღ-ა-ეთჯოც**), ბუყ-ა-**ჲ**-ო, ბუყ-ანა-**ჲ**-ო „საყვარელი“, „შეყვარებული“, „მეგობარი“ (შდრ. **ბუყ-ანა-ო**), ბილ˝ა-**ჲ**-ო „მომკვდავი“...

2.8. ფორმაუცვლელი სიტყვები

2.8.1. ზმნისართი

კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დასტურდება შემდეგი სახის ზმნისართები:

ადგილის: **ემე** „აქ“, **ეტე/ეტიშ** „იქ“, **ეშე** „აქ“, „იქ“, **ჭოჰოც** „გარედან“, **ბაჰოც** „შიგნიდან“, **ა'ზი** „შორს“, **იშ˜ა** „ახლოს“, **აცი** „დაბლა“, **ჰალა** „მაღლა“, **იშ˜ა** „ახლოს“...

დროის: **სომა** „ჯერ“, „სანამ“, **პურან** / **პოʻმუნ** „ისევ“, **ეტუაჴაჲ** „შემდეგ“, „შემდგომ“, **პონ̃ე** „ახლა“, „ამის შემდეგ“, **ღე** „დღეს“...

მოდალური: **ჲანკე** „ასე“, **იხოჲ** „მეტად“...

კავკასიის ალბანურში ხშირად ემთხვევა მარტივი ზედსართავი სახელისა და ზმნისართის ფორმა, მაგ.: **ეჲ** „კეთილი“, „კარგი“ / „კეთილად“, „კარგად“; **მალ** „პატარა“, „მცირე“ / „მცირედ“; **ყაჭ** „ვიწრო“ / „ვიწროდ“; **სერ** „ჭეშმარიტი“, „ნამდვილი“ / „ჭეშმარიტად“, „ნამდვილად“; **ღუჲ** „ცოცხალი“ / „ცოცხლად“; **მუწ̃ურ** „სუფთა“, „წმინდა“ / „სუფთად“, „წმინდად“; **მიი** „ცივი“, „გრილი“ / „ცივად“, „გრილად“; **ბოʻწ̃ი** „დიდი“ / „დიდად“; **ჰიოშ˜ა** „ყრუ“ / „ყრუდ“; **აყაჭ̃ი** „შიშველი“ / „შიშვლად“; **ბუʻი** „მძიმე“ / „მძიმედ“; **ბაი** „სავსე“ / „სავსედ“; **ბუხი** „ძლიერი“ / „ძლიერად“...

ზოგიერთი ზმნისართი კავკასიის ალბანურში საერთოლეზგიური ფორმებიდან მომდინარეობს, მაგ.,

იშ˜ა; **უდ**. ნიჯ. **იʻშ˜ა** // **გʻშ˜ა** „ახლოს“, „ახლოს მყოფი“, „ახლობელი“, შდრ. თაბ. **იშ°**, **-ჲ** (-ა-) „ადგილი“; დიუბ., ულძ. **ჲიშ°**; ბურშ. **ისʷ** „ადგილი“; ფიტ. **უს**; იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 119; ჩკელ: 683 (ს.-ლეზგ. ***ჲისʷ**, **-ა** „ადგილი“)].

ჰალა; **უდ**. **ლახო** „მაღლა“, შდრ. ლეზგ. **ჲარღი**; თაბ. **ჲარხი**; აღ. **ჲარხʻე-ც**, რუთ. **ხულჰ̈-დი**; წახ. **ხგლი-ნ**; არჩ. **ლახა**; ბუდ. **ლახა** „მაღლა“; სხვ. დაღ.: დარგ. **ხალა-ლ** „დიდი“, ლაკ. **ჰალხა-** „მაღალი“, „გაზრდილი“, ხუნძ. **ხალა-თ-აბ** „გრძელი“ და სხვ. შდრ. [ლექსიკა 1971: 219; გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 551 (ს.-ლეზგ. *[ჰʻ]**ალხ̈** „გრძელი“)].

ღე; **უდ. ღე** „დღეს“, შდრ. ლეზგ. **ჴˤე**; თაბ. **ღი**; დიუბ. **ჴˤი**; რუთ. **ღი-ღა**; წახ. **ღი-ნ**,ა; წახ. კილ. **ჴˤგ-ნა**; არჩ. **ჴი** „დღისით“; კრიწ. **ჴˤე**; ბუდ. **ჴˤე**; *__ჴˤი__ // **ჴˤä**. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 97; ჩკელ: 622 (ს.-ლეზგ. *__ჲიჴˤ__ „დღე“)].

2.8.2. **თანდებული**

თანდებულები კავკასიის ალბანურში შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. **შერწყმული** (**სუფიქსური მნიშვნელობის**) **თანდებულები**, რომელიც დაერთვიან სახელს (თანდებულიანი ბრუნვების ფორმანტები); მათ ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვთ და ეს თანდებულები იმგვარადაა შერწყმული ბრუნვის ფორმასთან, რომ მათი გამოყოფა საძნელო ხდება;

ცალკე ხმარებული თანდებულები. ასეთი თანდებულების მნიშვნელობით გამოყენებულია, როგორც წესი, წარმოშობით ადგილის ან სხვა ზმნისართები, რომლებიც კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში მხოლოდ თანდებულის ფუნქციით გამოიყენება. ადვერბიალური (ზმნისართული) წარმოშობის ეს თანდებულები, მოსდევენ-რა სახელს და მართავენ მას ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაში. ყველაზე ხშირად თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში, შემდეგ დატივსა და სუპერესივში, ხოლო თითო-თითო შემთხვევაში – III დატივში, კომიტატივსა და სუბესივში. კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დასტურდება შემდეგი თანდებულები:

თანდებული	**მნიშვნელობა**	**ბრუნვა**	**წარმოშობა**	**უდიურში**
ბუʻა	„წინ“	დატივი	*ბუʻ + დატ. -ა	ბე-შ˜
ბუʻღა	„-ში“, „შუაში“	გენიტივი	*ბუʻღ „შუა“ + დატ. -ა	ბიღʻ/ბგღʻ
ჩ˜აჩ˜აუს	„პირისპირ“	დატივი	ჩ˜ა „პირი“ + დატ. III -უს	ჩ˜ო-ბა-ჩ˜ო
ეშ˜ა	„უკან“	გენიტივი	*ეშ˜ „დასასრული“ +	ოშ˜ა

			დატ. -ა	
გო'ენ	„-თვის“	გენიტივი	გო „ვალი“ + ერგ. -ენ ?	–
ჰალა	„-ზე“, „ზედ“	სუპერესივი	*ლა-ჰა (მეთათეზა) *ა > ჰა (დატ.) ?	ლა-ხო
ჰეყალა	„ერთად“	კომიტატივი	„მოსული“ (მიმღ.)	–
იშ-ა	„ახლოს“	დატივი III	*იშ- + დატ. -ა ?	იშ-ა
ლამენ	„-ვით“, „მსგავსად“	გენიტივი	*ლამ „სურათი“ + ერგ. -ენ ?	–
უყა	„ქვეშ“	სუბესივი	*უყ + დატ. -ა ?	ოყა
-ტუნ(-კე)	„-მდე“	სუპერესივი	*ტ + გენ. -უნ ?	–

2.8.3. **ნაწილაკი**

კავკასიის ალბანურში დადასტურებულ ნაწილაკთაგან ზოგი მხოლოდ სახელთან იხმარება, ზოგი – ზმნასთან, ზოგი კი – სახელთან, ზმნასთან და მეტყველების სხვა ნაწილებთანაც. ზოგიერთი ნაწილაკი სხვა სიტყვასთან შერწყმულია, ხოლო ზოგიერთი – შეურწყმელად, ცალკე იხმარება. გვხვდება ერთმარცვლიანი, ღია ან დახურული მარცვლისაგან შემდგარი ნაწილაკები და ორ ან ორზე მეტ მარცვლისაგან შემდგარი ნაწილაკები. კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში გვხვდება:

უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები: **თე**- „არ“, **ნუ**-„არ“, **მა**- „ნუ“, „არ“, **ნუთ**-//-**ნუთ** „არ“. გამოხატავს უარყოფას ზმნაში. გაქვავებული სახით გვხვდება სახელშიც.

მოდალობის გამომხატველი ნაწილაკი -**ყა**-. აწარმოებს კავშირებით კილოს ზმნაში.

ნაწილაკი -**ალ**. მნიშვნელობით უდრის ქართულ -**ც**, -**ცა** ნაწილაკებს. გამოიყენება არსებით, რიცხვით სახელებთან, ნაცვალსახელთან, გასუბსტანტივებულ სიტყვებთან, ზმნისართებთან, ზმნაშიც.

სხვა ნაწილაკებიდან აღსანიშნავია: -**კა** – ფრაზის დასასრულის აღმნიშვნელი ნაწილაკი, მნიშვნელობით უდრის ქართ. -**მეთქი**, -**თქო** და -**ო** ნაწილაკებს. წარმოშობით უკავშირდება ზმნა (**უ**)**ფ**-ესუნ „თქმა“ აწმყო ფორმას (**უკა**-); **აჰა** „აი“, „აგერ“, „აჰა“ (ქართ., სომხ. **აჰა** „id“); **უჰუ** „მხოლოდ“; **სომა** „ჯერ“; **ჰიმი** „-ღა“, **მეწიყაჲ** (ნაწილაკი, რომელიც გამოიყენება რიტორიკული კითხვების დასასმელად).

2.8.4. კავშირი

კავკასიის ალბანურში დასტურდება როგორც მაერთებელი, ისე მაქვემდებარებელი კავშირები:

იშ˜ა; **უდ**. ნიჯ. **იʻშ˜ა** // **გʻშ˜ა** „ახლოს“, „ახლოს მყოფი“, „ახლობელი“, შდრ. თაბ. **იშ˚**, **-ჸ** (-ა-) „ადგილი“; დიუბ., ულძ. **ჸიშ˚**; ბურშ. **ის^{w}** „ადგილი“; ფიტ. **უს**; იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 119; ჩკელ: 683 (ს.-ლეზგ. ***ჸის^{w}**, **-ა** „ადგილი“)].

ენ˝ი (< ***წ-ენ˝ი**); **უდ**. **ინი** „ახალი“, შდრ. ლეზგ. **წიჸი**; თაბ. **წიჸი**; აღ. **წაჸე-ჶ**; რუთ. **წინ-დგ**; წახ. კილ. **წე-დ-გნ**; არჩ. **მაწა**; კრიწ. **წიჸა̈**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წი-ჸაბ**, კარ. **წინო-ბ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ბოკარევი 1961: 70; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკელ: 357 (ს.-ლეზგ. ***წენჸა̈-** // **წენუ̂ა̈**)].

ჰალა; **უდ**. **ლახო** „მაღლა“, შდრ. ლეზგ. **ჸარღი**; თაბ. **ჸარხი**; აღ. **ჸარხʻე-ც**, რუთ. **ხულა̈ხ-დი**; წახ. **ხგლი-ნ**; არჩ. **ლახა**; ბუდ. **ლახა** „მაღლა“; სხვ. დაღ.: დარგ. **ხალა-ლ** „დიდი“, ლაკ. **ჰალხა-** „მაღალი“, „გაზრდილი“, ხუნძ. **ხალა-თ-აბ** „გრძელი“ და სხვ. შდრ. [ლექსიკა 1971: 219; გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 551 (ს.-ლეზგ. *[**ჰʻ**]**ალხა̈** „გრძელი“)].

აʻხი; **უდ**. **ახʻილ** „შორეული“, შდრ. ლეზგ. **ჸარღალ**; თაბ. **ჸარხლა**; აღ. **უ̂არხა** „შორს“; რუთ. **ხგრგ-დგ** „id“; არჩ. **ახ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **არხჷ-სა** „შორეული“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1975: 106; ჩკელ: 269 (ს.-ლეზგ. ***ცარხჷ(ა̂ლ)**].

მიი „ცივი“, „გრილი“; **უდ**. **მი** „სიცივე“, შდრ. ლეზგ. **მეყი**; დიუბ. **მერჭული**; ბურშ. **მიკლე-რ**; რუთ. **მგყ-დგ**; წახ. **მგკან** „სიცივე“; (შდრ. ლეზგ. **მეყ** „ცივი“; თაბ.

მიკ, აღ. **მეკ** „ქარი“). სხვ. დაღ.: ხუნძ. **მარტ** < ***მარლ̣ʷ** „თრთილი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 809 (ს.-ლეზგ. ***მელ̣ʷა̈** „ცივი“)].

ღე; **უდ. ღე** „დღეს“, შდრ. ლეზგ. **ჯჼე**; თაბ. **ღი**; დიუბ. **ჯჼი**; რუთ. **ღი-ღა**; წახ. **ღი-ნ**,ა; წახ. კილ. **ჯჼგ-ნა**; არჩ. **ჯი** „დღისით“; კრიწ. **ჯჼე**; ბუდ. **ჯჼე**; ***ჯჼი** // **ჯჼა̈**. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 97; ჩკელ: 622 (ს.-ლეზგ. ***ჲიჯჼ** „დღე“)].

ბო‘ნ̃ი „დიდი“, „უდიდესი“, შდრ. აღ. **ბა-ბა-ჶ**; კრიწ. **ბუ**; ბუდ. **ბუც-ლუ** „დიდი“, „ძველი“.

ჰიოშჼა „ყრუ“, შდრ. ლეზგ. **ბიში, ფჼში**; თაბ. **ბიში**; აღ. **ბუ̃შე-ჶ**; რუთ. **ბიშ-**; წახ. **ბოშჼუ-**; კრიწ. **ბეში**; ხინ. **ბა̈შ**.

აყაჭჼი, უდ. **აყაჭი** [შიფნერი 1863: 74] „შიშველი“; შდრ. ლეზგ. **ყეწილ**; თაბ. **ყაწლი**; აღ. **ყაწულ-ჶ**; რუთ. **ჰაʻწულ**; წახ. **წელერ**; კრიწ. **ყაწუ-ნ**; ბუდ. **ყაწუ-ნ**.

ელუხ „კეცის“, შდრ. თაბ. **ქილ**; წახ. **ჭულ**; ბუდ. **გილ**.

ეჲ „კეთილი“, „კარგი“, „უფროსი“, შდრ. თაბ. **უჯუ-**; წახ. **ჲუგ-**; სხვ. ნახ.-დაღ.: დიდ. **-იგუ**; ხვარშ. **-აგუ**; ჰინ. **-ეგი**; ჩეჩნ. **-იქა** „კეთილი“, „კარგი“.

იქიჲა „ბრძენი“, შდრ. ხვარშ. **აქელლუ**; ჰინ. **აქელიშ**.

დოგ „ძალიან“, შდრ. ჩამ. **ეკუ-**; ჰუნზ. **ტოკა-ბ**; ჩეჩნ. **დ-უყა** „კიდევ“.

***-ჯ-ოშ** (*ორიენტირთან უკნიდან მოახლოების მაწარმოებელი), **-ოშ** (*ლატივის მაწარმოებელი); **უდ. ჯო-შ** „უკან“, „შემდგომ“, შდრ. ყანდ. **ჯა**; რუთ. **ჯუც-სურ** „უკანა ნაწილი“; არჩ. **ხი-რ** // **ხა-რა**; იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 1027 (ს.-ლეზგ. ***ჯა̂-**)].

ნაცვალსახელები:

ზუ, მიც. **ზა-**, ნათ. **ბეზი** „მე“; **უდ. ზუ**, მიც. **ზა-**, ნათ. **ბეზი** „მე“, შდრ. ლეზგ. **ზუნ, ზა**, ნათ. **ზი(ნ)**; თაბ. **უზუ**, ნათ. **ჲიზ**; ბურშ. **ზუნ, ზა-**, ნათ. **ჲაზ**; რუთ. **ზგ, ზა**, ნათ. **იზ-დგ**; წახ. **ზგ, ზა-**, ნათ. **ჲიზ-გნ**; არჩ. **ზონ, ზა-**, ნათ. **-ისჼ, ჟ̂-ისჼ, დ-ისჼ, ბ-ისჼ**, მიც. **-ეზ, ჟ̂-ეზ, დ-ეზ, ბ-ეზ**; კრიწ. **ზგნ, ზა̈-**; ბუდ. **ზგნ, ზგ̂**; სხვ. დაღ.: ხინ. **ზა̈**, ხუნძ. **დუ-ნ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 228; გიგინეიშვილი 1977: 70; ჩკელ: 1084 (ს.-ლეზგ. ***ზო-ნ, *ზა-**, ნათ. ***-იზ**)].

ვუნ, **ვა-** (მიც.) **ვეჲ** (ნათ.); **უდ**. ვართ.-ზინ. **უნ**, მიც. **ვა-**, ნათ. **ვი** „შენ“, შდრ. ლეზგ. **ჸუნ**, ირ. ფუძე **ჸა-**, ნათ. **ჸი(ნ)**; თაბ. **უჸუ**, ნათ. **ჲაჸ**; ბურშ. **ჸუნ**, ირ. ფუძე **ჸა-**, ნათ. **ჲაჸ**; რუთ. **ჸგ**, **ჸა**; წახ. **ჸუ**, ირ. ფუძე **ჸა-**; არჩ. **უნ**, ირ. ფუძე **ჸა-**; კრიწ. **ჸგნ**, **ჸä-**; ბუდ. **ჸგნ**, **ჸგ̂**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **მუ-ნ** < ***ჸუ-ნ**, ლაკ. **ჸი-ლ** (ნათ.) და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 72; ჩკელ: 1014 (ს.-ლეზგ. ***ჸ̆ო-ნ**, ***ჸ̆ა**, ნათ. ***-იჸ̆**)]. შდრ. აგრეთვე: **უდ**. ნიჯ. **ჳუ-ნ** „შენ“ (II პირის მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელის მეორე ფუძე, რომელიც, შესაძლებელია, პარადიგმატულად უპირისპირდებოდა პირველს, მაგ.: ხინ. მიც. **ოხ** „შენ“ **ჸგ** „შენ“ (სახ.); შდრ. **ას** „მე“ (მიც.), **ზგ** „მე“), შდრ. შინ. **ღუ**; წახ. **ღუ**, ნათ. **ჲგღ-ნა**; შდრ. აგრეთვე: ჩეჩნ., ინგ., ბაცბ. **ჳო**, დარგ. **ჳუ** „შენ“. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 483 ***ღუ-**].

ჟან „ჩვენ“, მიც. **ჟა-**, ნათ. **ბეში**, **უდ**. **ბეში** „ჩვენი“ (ნათ.), შდრ. ლეზგ. **ჩუნ**, ირ. ფუძე **ჩა**, ნათ. **ჩი(ნ)**; თაბ. **უჩუ**, ნათ. **იჩ**; აღ. **ჩინ**, ნათ. **იჩ**; შინ. **ჟი**, ნათ. **იშ-დგ**; წახ. **ში**, ნათ. **ჲიშ-**; კრიწ. **ჟინ**, ირ. ფუძე **ჟä-**; ბუდ. **ჟინ** „ჩვენ“ (ექსკლ.); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ნიჟ**, ლაკ. **ჟუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1089 (ს.-ლეზგ. ***ჯი-ნ**, ***ჯა**, ნათ. ***იჯ**)]. **უდ**. **ჲან**, მიც. **ჲა-** „ჩვენ“, შდრ. თაბ. **უხ́უ**, ნათ. **იხ́**; ბურშ. **შინ**, ნათ. **იშ**; რუთ. **ჲä**, ნათ. **იხ́-დგ**; არჩ. ნათ. **ოლო**, **ულუ**, **დ-ოლო**, **ბ-ოლო**, მიც. **-ელ**, **ჸ-ელ**, **დ-ელ**, **ბ-ელ**; ირ. ფუძე **ლა-**; კრიწ. **ჲინ**, ირ. ფუძე **ჲä-**; ბუდ. **ჲინ**, ირ. ფუძე **ჲგ̂-** „ჩვენ“ (ინკლ.); სხვ. დაღ.: ანდ. **ილ̌ი-ლ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ: 786 (ს.-ლეზგ. ***დლä-ნ**, ***დლა**, ნათ. ***-იდლ**)].

ვა‘ნ, მიც. ***ვა‘-**, ნათ. **ბე‘ჶი**; **უდ**. **ვა‘ნ**, ნათ. **ე‘ჶი** „თქვენ“, შდრ. ლეზგ. **ქŭ-ნ**, ირ. ფუძე **ქʷე-**; თაბ. **უჩ°უ**, ნათ. **იჩ°**; ბურშ. **ჩ°უნ**, ნათ. **იჩ°**; რუთ.(Ш) **ჸე‘**, ნათ. **უშ-დგ**; წახ. **შუ**, ნათ. **ჸუშ-**; არჩ. **ჟ°ენ**, ნათ. **ჸიშ**; კრიწ. **ჸინ**, ირ. ფუძე **ჸე**; ბუდ. **ჸინ**; სხვ. დაღ. (ხუნძ. **ნუჟ**, ლაკ. **ზუ** და სხვ.). იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; თალიბოვი 1960: 301; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1087 (ს.-ლეზგ. ***ჯ°[ე‘]-ნ**, ***ჯ°ა‘**, ნათ. ***-ი‘ჯ°**)].

უდ. **მე** „ეს“ (ახლოს მყოფი); კავკასიის ალბანურში ეს ფორმა შემონახულია ადგილის ზმნისართში **ემე** „აქ“; შდრ. ლეზგ. **-მ** ჩვენებით ნაცვალსახელთა ე. წ.

მასუბსტანტივებელი (**ი-მ, ა-მ, ატა-მ** და ა. შ.); თაბ. **-მუ** ჩვენებით ნაცვალსახელებში (**დუ-მუ, ქჾუ-მუ, ღუ-მუ**); დიუბ. **მუ** „ეს“; აღ. **მი** „ეს“; რუთ. **მი** „ეს“; წახ. **მა-ნ** „ეს“; არჩ. **-მუ ჲა-მუ** ფორმაში „ის“ (მოსაუბრესთან ახლოს); სხვ. დაღ.: ლაკ. **მუ** „ის“ (მოსაუბრესთან ახლოს) და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 843 (ს.-ლეზგ. ***მჴ** „ეს“)].

უდ. **თ›ე** „ის“;კავკასიის ალბანურში ეს ფორმა შემონახულია ადგილის ზმნისართში **ეტე** „იქ“; შდრ. აღ. **თი**; რუთ. **თი**; არჩ. **თო-ჶ**, აგრეთვე: თაბ. **დუ-მუ**, ლეზგ. **ა-ტა**; სხვ. დაღ.: ლაკ. **თა**, ხუნძ. **დო-** „ის“. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 404 (ს.-ლეზგ. ***თგ-** „ის“)].

იჩ; **უდ. იჩ** „თვითონ“,შდრ. ლეზგ. **ჟუჶ**; თაბ. **ჟ˚უჶ**; რუთ. **ჶუჯ** I, **რიჯ** II, მიც. **ჯუ-ს** I, **ჯი-ს** II; წახ. **ჶუჯ** I, **ჲიჯ** II, ნათ. **ჯუ-ნა** I, **ჯე-ნა** II; არჩ. **ინჟ**, ერგ. **ჟუ** I, **ჟე** II; კრიწ. **იჯ** II; სხვ. დაღ.: ანდ. **ჟი-** ‘сам’ და სხვ. შდრ. აგრეთვე: ლეზგ. **ჶიჩ**, მრ. **ჩებ**; თაბ. **უჩ˚**, ნათ. **ჩან**, მრ. **ჩიბ**; ბურშ. **იჩ˚**, ერგ. **ჩე**, მრ. **ჩაჶ**; წახ. ნათ. **ჩი-ნა** III, **ჩი-ნ** IV; სხვ. დაღ.: დარგ. მრ. ერგ. **ჩუ-ლი**, მიც. **ჩუ-ს** და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 114; თალიბოვი 1980: 299; ჩკელ: 347 (ს.-ლეზგ. ***ციჟ** (**უ-იჟ** I, **რ-იჟ** II), ირ. ფუძე ***ჟ˚ი-** I, ***ჟე-** II ***ციჩ**; (***ჶ-იჩ**, ***ჲ-იჩ**), ირ. ფუძე ***ჩი-** „თვითონ“ (III–IV)].

ჰანაჲ „რომელი“, შდრ. ლეზგ. **ჰინ**; აღ. **ნეჲე**; წახ. **ნე-ნ-**; კრიწ. **ჰან-**; არჩ. **ჰანნუ**; სხვ. დაღ.: დიდ. **ნჵ**; ბეჟ. **ნინ-ჲო**.

ჰილ´ „რაიმე“, შდრ. არჩ. **ჰელʷანა**; სხვ. დაღ.: დარგ. **სა-კალ**.

რიცხვითი სახელები:

სა; **უდ. სა** „ერთი“, შდრ. ლეზგ. (ყველა დიალექტში) **სა**; თაბ. **სა-ბ**, დიუბ. **სა-ჶ**; აღ., ფიტ., ბურკ. **სა-დ**; ბურშ. **სჾა-რ**; ფიტ. **სა**; წახ., გილმ. **სა**; არჩ. **ოს**, **სჾეჲ-ტუ**; კრიწ. **სა̈-დ**; ბუდ. **სა-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ცო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 69; გიგინეიშვილი 1977: 89; ჩკელ: 323 (ს.-ლეზგ. ***სჾა**)].

პა‘; **უდ. ფ›ა‘** (< ***ყ‘ʷა**) „ორი“, შდრ. ლეზგ. **ჴ›ʷე-დ**; თაბ. **ყ‘უ-ბ**; დიუბ. **ყ‘უ-ჶ**; აღ., ფიტ. **ყ‘უ-დ**; ბურშ. **ყ‘უ-რ**; ბურკ. **ცად**; თფიღ. **ცუ-დ**; რუთ. **ჴ›‘ʷა-დ**; გილმ. **ყ‘ო-ლლა̈**; არჩ. **ჴ›‘ʷე**; კრიწ. **ჴ›ʷა-დ**; ბუდ. **ყა-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **კი-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე:

[თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 137; ჩკელ: 924 (ს.-ლეზგ. ***ჴა‘ʷა̈**)].

ხიბ; **უდ. ხიბ** „სამი“, ლეზგ. **ფჾუ-დ**; თაბ. **შუბუ-ბ**; დიუბ. **შიბბუ-ბ**; აღ. **ხ́იბუ-დ**; ბურშ. **შიბუ-რ**; რუთ. **ხ́იბგ-დ**; გილმ. **ხ́ებგ-ლლჷ̈**; არჩ. **ლ‘ებ**; კრიწ. **შიბი-დ**; ბუდ. **შუბუ-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ‘აბ-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 191; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 76; ჩკელ: 768 (ს.-ლეზგ. ***ლ‘ეფჾგ**)].

ბიპ; **უდ. ბიფ›** (< ***ბიყʷ**) „ოთხი“, შდრ. ლეზგ. **ყუ-დ**; თაბ. **ჲუყუ-ბ**; აღ. **ჲაყუ-დ**; რუთ. **ჲუყუ-დ**; გილმ. **ჲოყუ-ლლჷ̈**; არჩ. **ებყ**; კრიწ. **ჲუყუ-დ**; ბუდ. **ჲუყუ-ბ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **მუყ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 233; გიგინეიშვილი 1977: 135; ჩკელ: 489 (ს.-ლეზგ. ***ჲეუ̂ყგ**)].

ჴო; **უდ. ჴო** „ხუთი“, შდრ. ლეზგ. **უ̂ა-დ**; თაბ. **ხ́უ-ბ**; დიუბ. **ხ́უ-უ̂**; აღ. **ჵა-ჶუ-დ**; რუთ. **ხ́უ-დ**; წახ. **ხ́ო-ლლჷ̈**; არჩ. **ლჾო, ლ‘ʷეჲ-ტუ**; კრიწ. **ჶგ-დ**; ბუდ. **ჶგ-დ**; სხვ. დაღ.: დიდ. **ლ‘ე-ნო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 193; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ: 426 (ს.-ლეზგ. ***ლჾ‘ʷე**)].

უ‘ჴ; **უდ. უჴ‘** „ექვსი“, შდრ. ლეზგ. **რუგუ-დ**; ნუტ. **რუჹუ-დ**; თაბ. **ჲირხ́უ-ბ**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერხ́ი-დ**; ბურშ. **ჲერ-ში-რ**; რუთ. **რიხ́გ-დ**; წახ. **ჲიხ́გ-ლლჷ̈**; არჩ. **დილ‘, დილ‘იჲტუ**; კრიწ. **რგხ́გ-დ**; ბუდ. **რგხ́გ-დ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **რაზ-**, ხუნძ. **ანლჾ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 192–193; ჩკელ: 219 (ს.-ლეზგ. ***რილ̆გ**)].

ვუ‘ღ; **უდ. ვუღ‘** „შვიდი“, შდრ. ლეზგ. **ირი-დ**; ყანდ. **ურჹუ-ბ**; დიუბ. **ურგუ-უ̂**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერი-დ**; ბურშ. **ჲერე-რ**; რუთ. **ჲიუ̂გ-დ**; გილმ. **ჲიჹგ-ლლჷ̈**; არჩ. **უ̂ილ̆**; კრიწ. **ჲგჹგ-დ**; **ბუდ. ჲიჲი-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ანლ̣ჾ-**, ლაკ. **არულ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ჩკელ: 247 (ს.-ლეზგ. ***უ̂ირლჾ̆გ-**)].

მუ‘ღ; **უდ. მუღ** „რვა“, შდრ. ლეზგ. **მუ̈ჟუ̈-დ**; თაბ. **მირჟი-ბ**; დიუბ. **მიჟუ-უ̂**; აღ., ბურკ. **მუჲა-დ**; ბურშ. **მუჲა-რ**; ფიტ. **მუჲი-დ**; რუთ. **მგჲე-დ**; წახ. **მოლი-ლლჷ̈**; არჩ. **მელ̆ე**; კრიწ. **მიჹი-დ**; ბუდ. **მგჲგ̂-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **მილ̣ჾ̆-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ლექსიკა 1971: 236; გიგინეიშვილი 1977: 86; ჩკელ: 315 (ს.-ლეზგ. ***მენლჾ̆ა̈**)].

ვუჲ; **უდ. ვუჲ** „ცხრა“, შდრ. ლეზგ. **კუ̈-დ**; ყურაღ. **ჭუ̈-დ**; თაბ. **ურჭ̊უ-ბ**; დიუბ. **ჰურჭუ-ჸ**; აღ. **ჲარჭუ‘-დ**; ბურშ. **ჲერჭ̊უ-რ**; ფიტ. **ჲერკუ̈-დ**; ბურკ. **ჲერჭუ‘-დ**; რუთ. **ჰუჭუ-დ**; წახ. **ჲიჭუ-ლლა̈**; არჩ. **უჭ**; კრიწ. **ჲიჭი-დ**; ბუდ. **ჸიჭი-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **იჭ-**, ლაკ. **ურჭ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 208 (ს.-ლეზგ. ***ჸ**[ი]**ლჭ̊გ-**)].

ვიწ; **უდ. ვიც›** „ათი“, შდრ. ლეზგ. **წუ-დ**; თაბ. **ჲიწუ-ბ**; აღ., ბურკ. **იწუ-დ**; ბურშ. **ჲიწუ-რ**; ფიტ. **ჲიწუ-დ**; რუთ. **ჲიწგ-დ**; გილმ. **ჲიწე-ლლა̈**; არჩ. **ჸიწ**; კრიწ. **ჲიწგ-დ**; ბუდ. **ჲიწგ-დ**; სხვ. დაღ.: დარგ. **ჸეწ-ალ**, ხუნძ. **ანწ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 70; ჩკელ: 245 (ს.-ლეზგ. ***ჸიწგ-**)].

ყო‘; **უდ. ჴ›ა** „ოცი“, შდრ. ლეზგ. **ჴ°ა-დ**; თაბ. **ჴ°ა-ბ**; აღ. **ჴ°ა-დ**; რუთ. **ჴ°ა̄-დ**, გილმ. **ჴ°ა-ლლა̈**; არჩ. **ყა**; კრიწ. **ჴ°ა-დ**; ბუდ. **ჴ°ა-დ** (**ჴა-დ**?); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ყო-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 238; გიგინეიშვილი 1977: 108; ჩკელ: 456 (ს.-ლეზგ. ***ყ°ა**)].

ბაჭ~; **უდ. ბაჩ~** „ასი“, შდრ. ლეზგ. **ჸიშ**; თაბ. **ჸარჟ**; დიუბ. **ჸარჟა**; აღ. **ბა‘რშ**; ბურშ. **ჸა̈რშ**; რუთ. **ჸა̈შ**; გილმ. **ჸა‘შ**, **-ენ**; არჩ. **ბა‘შა-**; სხვ. დაღ.: ლაკ. **თ°-ურშ**, ახვ. **ბეშანო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 588 (ს.-ლეზგ. ***ჸა‘ლშ-**)].

ზმნები და ნაზმნარი სახელები:

ბუ; **უდ. ბუ** „ყოფნა“ (მეშვ. ზმნა), შდრ. ლეზგ. **ჲა**; თაბ. **ჸუ**; დიუბ. **ჸუჺუ**; აღ. **ე**; ბურშ. **ჸუ**; რუთ. **ჲ-იჺი**; წახ. **ჸო-** (კლასის ნიშნით: **ჸო-რ**, **ჸო-ბ**, **ჸო-დ**); არჩ. **ი**; კრიწ. **-ი**; ბუდ. **ჸი**; სხვ. დაღ.: კარ. **ი-და** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 252 (ს.-ლეზგ. ***ჺე**)].

ბაჲ (< ***ბაწ**); **უდ. ბუჲ** (< ***ბუწ**) „სავსე“, შდრ. ლეზგ. **აწუზ**, **აწუნა**; თაბ. **ა-ø-წუზ**; აღ. **აწას**; რუთ. ტერმ. **ა-ჸ-წგრ**; წახ. **გ,აწა̄ს**; არჩ. **ა-ბ-წას**; კრიწ. **ჵაწა̈-დ** „სავსე“; ბუდ. **სარწარ**, **სĝ-ბ-წĝჯი** (კაუზ. **სერწი**); სხვ. დაღ.: ხუნძ. **წე-ზე**, ლაკ. **-უწი-ნ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ლექსიკა 1971: 255; გიგინეიშვილი 1977: 100; ჩკელ: 526 (ს.-ლეზგ. ***ჰ‘აწგ** „ავსება“, „გავსება“)].

ჰო‘ჲა; **უდ. ვა‘** „მორწმუნე“, „რწმენა“, შდრ. ხნუხ. **ჰუ-ჳ-ღას** (IV **ჰაღʷას**) „აღსრულება“ (იმედის); არჩ. **არჰას, არჰარ** „ფიქრი“; კრიწ. **ჳურღაჯ**; სხვ. დაღ.: დარგ. **არღეს** „გაგება“, ხუნძ. **ურღ-იზე** „ფიქრი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 132].

ბო‘(ჰ)ესუნ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა, „გონება“, „ფიქრი“, „შერაცხვა“, „ზრახვა“; შდრ. შდრ. ლეზგ. **ჶი-**; თაბ. **ღუ-ბ**; აღ. **ხი-ს**; რუთ. **ჲი-რ-ხ‘ʷ-ას**; წახ. **ცა-ლ-ჰ-ას**; კრიწ. **იხʷ-** მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები; არჩ. ა-რ-ჰ-ას „ფიქრი“, „გონება“; შდრ. აგრეთვე: **უდ. ბაქსუნ** „გახდომა“, „ყოფა“, შდრ. რუთ. **ჳ-გქგს**; არჩ. **ქეს**.

(უ)**ფესუნ**; **უდ. ფესუნ** „თქმა“, შდრ. ლეზგ. **ლუჰუზ**, **ლაჰანა**; თაბ. **ფუზ**; აღ. **ფას**; წახ. **ეჰეს** „ლაპარაკი“; არჩ. **ბოს**, **ჳარ**; კრიწ. **ლგფგჯ**, **ლური**, პროჰ. **მუცუ**; ბუდ. **ჲუცუ**, **ჲგფჱჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **ე-ს** „თქმა“, ხუნძ. **ა-ბ-იზე** „ლაპარაკი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 88; გიგინეიშვილი 1977: 138; თალიბოვი 1980: 277; ჩკელ: 625 (ს.-ლეზგ. ***ციც‘ʷგ**)].

უკა- „თქმა (აწმყოს ფუძე)“; **უდ. უქჾ-** „თქმა“ (მყოფ. ფუძე) **უქჾალ** „მთქმელი“, „მთხრობელი“, შდრ. ლეზგ. **ლჳკჳნიზ** „თქმა“, „ლაპარაკი“; თაბ. **ბ-იკუზ**; ბურშ. **ლი-კანას**; წახ. **ოკანას, ო-ბ-კგნ**; სხვ. დაღ.: დარგ. **ლუკეს** „წერა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 261; ხაიდაკოვი 1973: 134; ჩკელ: 634 (ს.-ლეზგ. ***ცილკან** „წერა“ (< „მოყოლა“?)].

ბოკოკესუნ; **უდ. ბოქჾ-სუნ** „წვა“, „ხრუკვა“, შდრ. ლეზგ. **ქჾუზ, ქჾუნა**; თაბ. **უ-რ-გუზ**; აღ. **უგʷას**; ბურშ. **იგის**; არჩ. **ბ-ოქჾას** // **ბ-უქჾას, ბ-ორქჾურ**; კრიწ. **უგაჯ**; ბუდ. **სუგორ**, **სუგოჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **იგეს** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 245; გიგინეიშვილი 1977: 79; ჩკელ: 860 (ს.-ლეზგ. ***ცოქჾʷგ**)].

ა(რ)ცესუნ; **უდ. არცესუნ** „ჯდომა“, „დაჯდომა“, შდრ. თაბ. **დუ-ø-სუზ** „დასმა“; სხვ. დაღ.: კარ. **კ-უს-ალ‘ა** „დაჯდომა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 282 (ს.-ლეზგ. ***ც[ო]სჾჵ**)].

საქ-ფესუნ; **უდ. საქსუნ** „დაქცევა“, „ხელიდან გავარდნა“, შდრ. თაბ. **ალდა-ø-ქუზ**; აღ. **ალღადარქას** „წაქცევინება“; ბურშ. **ალთჾარქის** „დასაძინებლად დაწოლა“; წახ. კილ. **ჰიღ‘აჲქარას, ჰიღ‘ა-ბ-ქგრ**; არჩ. **ე-ბ-ქას, ბ-ერქურ**; ბუდ. **ჭაშქი,**

ჵაქგ̂ჯი; სხვ. დაღ.: დარგ. **ქა-ბ-ი-რქეს** „წაქცევა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 144; ჩკელ: 266 (ს.-ლეზგ. ***ცერქგრ** (// ***ცა**-)].

ბოშესუნ; **უდ. ბოშ˜ესუნ** „დასაფლავება“, დამარხვა“, „ციხეში ჩასმა“, შდრ. თაბ. **ღიტი-ø-შ°უზ**; რუთ. **ა̈-ჷ-შ°ას**; წახ. **ჴეშეს**; ბუდ. **ჵარშუ, ჵაშუჯი** „შერჭმა“; სხვ. დაღ.: ლაკ. **ბ-აშ॰ა-ნ** „ყრუდ დახურვა“, „ამოკეტვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 205 (ს.-ლეზგ. ***ცა̈შ°გ** „გარჭმა“)].

ახაჲ „ღია“; **უდ. ჴაჲ** „ნათელი“, „ღია“, შდრ. ლეზგ. **აჴა** „ღია“, „გაღებული“; აღ. **დაჴას**; წახ. კილ. **აჴას**; არჩ. **დახა-ას**; ?ბუდ. **ჴ॰აჴუ, ჴ॰აჴაჯი** „გათქმა“ (საიდუმლოსი); სხვ. დაღ.: ლაკ. **ცაცაჴა-ნ** „ფართოდ გაღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 68; ლექსიკა 1971: 259; გიგინეიშვილი 1977: 134; ჩკელ: 264 (ს.-ლეზგ. ***ცაჴა** „გაღება“)].

ბოჴესუნ; **უდ.** ნიჯ. **ბაღʻა-ჲესუნ** „პოვნა“, შდრ. ?თაბ. **რა-ø-ჴʻუზ**; დიუბ. **ა-ჷ-ჴʻუს**; ბურშ. **რაჴʻას**; რუთ. **გა-ჷ-ჴ॰ას**, მრ. **გა-დ-ჴ॰ეს** „თვალთვალი“, „ყურება“; კრიწ. **ი-ბ-ჴა̈ჯ**; ბუდ. **ირჴი, გ-ბ-ჴაჯი**; სხვ. დაღ.: ჩირაღ. **-აჳʻ-** „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 121; ჩკელ: 547 (ს.-ლეზგ. ***ცარყ॰ʻა̈** „ნახვა“)].

ბართესუნ; **უდ. ბართესუნ** „გაშვება“, „დატოვება“, შდრ. ლეზგ. **თაზ, თუნა**; თაბ. **ღ-ი-ø-თუზ**; აღ., ბურშ. **ათას**; რუთ. **ს-ა-ბ-თას**; მრ. **სა-ლ-თას**; არჩ. **ა-ბ-თის**; კრიწ. **ჲა-ბ-თგრ-იჯ**; ბუდ. **ჲორთუ, ჲე-ბ-თირჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **თე-ზე** „დატოვება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 257; გიგინეიშვილი 1977: 80; ჩკელ: 271 (ს.-ლეზგ. ***ჲათა̈რ**)].

ბოდესუნ; **უდ. ბოსთ॰უნ** (< ***ბოთ॰-სუნ**) „ჭრა“, „თარგის გამოჭრა“, შდრ. ლეზგ. **ატაზ, ატუნა**; თაბ. **ქთა-ø-ტუზ**; აღ. **ატას**; ბურშ. **ატის**; რუთ. **ჳა-ბ-ტʷას**; წახ. **ჳა-ბა-ტას** „გაუკაცრიელება“; არჩ. **ა-ბ-ტას, ბ-არტურ**; ბუდ. **ჲორო-ტუ, ჲო-ბ-ტუჯი**; კრიწ. **ჲა-ბ-ტგრიჯ**; სხვ. დაღ.: ურახ. **არტ-უს** „თარგის გამოჭრა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 252; თალიბოვი 1980: 285; ჩკელ: 272 (ს.-ლეზგ. ***ჲატʷგ**)].

აკესუნ; **უდ. აქ॰სუნ** „ნახვა“, შდრ. ლეზგ. **აქ॰ʷაზ, აქ॰უნა**; თაბ. **ა-ø-გუზ** „ძებნა“; აღ. **აგʷას**; ბურშ. **აგʷას // უგას** „ძებნა“; რუთ. **ა-ჷ-გʷას**, მრ. **ა-დ-გʷეს**; წახ.

ჰა̄გʷას, **ჰა-ჶ-გუ** „ჩვენება“; არჩ. **ბ-აქ̇უს, ბ-არქ̇ურ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **ქ̇ʷაქ̇ʷა-ნ** „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 65; ლექსიკა 1971: 243; გიგინეიშვილი 1977: 78; ჩკელ: 255 (ს.-ლეზგ. ***ცაქ̇ʷა̈***)].

ბიყესუნ, **ბაყესუნ**, **ჰეყესუნ**; **უდ**. **აჯ·-სუნ** „აღება“, „ჭერა“, შდრ. ლეზგ. **ყაზ**, **ყუნა**; თაბ. **ღადა-ø-ღუზ**; დიუბ. **ა̄-ჶ-ჯ̇უს** „გამოღება“; ბურშ. **აჯ̇ას**; რუთ. **ჰა-ჶ-ჯ̇ას**, მრ. **ჰა-დ-ჯ̇ეს**; წახ. **ა-ჶ-ჯ̇ას, ა-ჶ-ჯ̇გ**, დურ. **ა-ჶ-ჯ̇ა̄ჯ̇ა**; არჩ. **ბ-აყ̇ას** „დატოვება“; კრიწ. **ჲიჯრიჯ**; ბუდ. **სურჯუ, სუ̆-ჯუ̆რჯი**; სხვ. დაღ.: დიდ. **-იჯირა** „დაჭერა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 124; ჩკელ: 254 (ს.-ლეზგ. ***ცაყ̇ა̈რ***)].

კალა; **უდ**. ვართ.-ზინ. **ქ·ალა** „კოჭლი“, შდრ. თაბ. **ლაკ ხ́უზ** „გადავარდნა“; რუთ. **არკას** „კოჭლობა“, **ალკა-დ** „კოჭლი“; გილმ. **კაჶა-ნ** „id“, არჩ. **ლანკ-ბოს** „კოჭლობა“; სხვ. დაღ.: დარგ. **-ალკა** „კოჭლი“, ლაკ. **ჶ-ალკა ტუნ** „ფეხის არევა“, „ქანაობა“, **ლინკ** „კოჭლობა“, ჩეჩნ. **ლა̈ნკა** „კოჭლი“ (იხმარება უარყოფით კონტექსტში). იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 261 (ს.-ლეზგ. ***ცალკა̈-** // ***ლაკა̈-** „კოჭლობა“)].

ჰეღესუნ „მოსვლა“; **უდ. ეღალო** „მოსული“, ვართ.-ზინ. **ე-სუნ**, ნიჯ. **ეჲ-სუნ** „მოსვლა“, შდრ. ლეზგ. **ჯ‘ʷეზ** „მოსვლა“; თაბ. **ღ‘უზ** „id“; **ღ‘აზ**; ყანდ. **ღ‘უზ**, **აღ‘უზ**; დიუბ. **ჯ‘უს, აჯ‘უს**; ?წახ. **ჰოღა**; აღ. **ბა’ს**; თფიღ. **ჶა̈ს**; რუთ. **ჯ‘უღ‘უს** „წასვლა“; არჩ. **ჯ‘ეს**, დურ. **ორჯ‘ირ**; **ბ-ერჯ‘ას**; ბუდ. **ჩაღარ** (შდრ. **ჩიღი** „წაღება“); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ყ̇ოყ̇ინე** „გზის დაწყება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 572 (ს.-ლეზგ. ***ციჯ‘ʷა̈** „წაღება“)]. შდრ. აგრეთვე: ლეზგ. **აყაზ, აყუნა** „მოხვედრა“, „მორტყმა“; თაბ. **რუ-ø-ყუზ**; აღ. **რუყას**; რუთ. **ლა̈-ჶ-ყას** (შდრ. აგრეთვე **ქ-იყას** „შეხება“); წახ. კილ. **აჶაჲყარას** „დაწევა“; არჩ. **ე-ბ-ყის**; კრიწ. **ჶოყუჯ** „პოვნა“; ბუდ. **ჩურაყარ**; სხვ. დაღ.: ახვ. **-უყუ** „მიღწევა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 269 (ს.-ლეზგ. ***ირყა̈რ** „მიღწევა“)].

ბიხესუნ; **უდ. ბიხსუნ** „შობა“, „გაჩენა“ (შდრ. უდ. **ხოჲ** „შთამომავლობა“), შდრ. ლეზგ. **ხაზ, ხანა**, ბრძ. **ხუხ** // **რუხუხ**; თაბ. **ხუზ**; აღ. **უხას**; ბურშ. **რუხას**; რუთ. **ჰუ-ხʷას**; წახ. **უხას**; კრიწ. **ხუჲიჯ, რუხრი**, ბრძ. **სა̈ხგრ**; ბუდ. **ხოსუ**; იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 576 (ს.-ლეზგ. ***ციხʷა**)].

ბიყესუნ, **ბაყესუნ**; **უდ. ბიჯ·სუნ** „ჭერა“, „პყრობა“, შდრ. თაბ. **დ-იჯუზ**; არჩ. **ხოს**; სხვ. დაღ.: ჰუნძ. **-ოხა** „აღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 98; ჩკელ: 646 (ს.-ლეზგ. ***ც̣იჯგ** „პოვნა“)].

***ჰეჩესუნ** (< **ჰეჩალ** სრ. სახის მიმღ.); **უდ. ეჩ-სუნ** „მოტანა“, „მოყვანა“, შდრ. ლეზგ. **ჯ·აჩუზ**, **ჯ·აჩუნა**; წახ. **სა-ბა-ჩეს** „მიღება“, „წაღება“; სხვ. დაღ.: დარგ. **-უჩ-ეს** „კრეფა“, ხუნძ. **-აჩ·-იზე** „წაღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 254 (ს.-ლეზგ. ***ც̣აჩ°გ** „აღება“)].

ბუკუს „საზომი“; **უდ. უსქ·სუნ** „აზომვა“, შდრ. ლეზგ. **ალცუმიზ**; თაბ. **ჸე-რ-ცუზ**; აღ. **ალცას**; ბურშ. **ალცანას**; ხნუხ. **ჰა-ბ-ცʷას**, დურ. **ჳ̂ა-რაცურ**; არჩ. **ა-ბ-სმუს**; კრიწ. **ჳ̂ა̆ცნიჯ**; ბუდ. **სოხსუ**, **სე-ბ-სინჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ორცინე** „აზომვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 250-251; გიგინეიშვილი 1977: 90; ჩკელ: 260 (ს.-ლეზგ. ***ც̣ალცʷან** „აზომვა“, „აწონვა“)].

ბიჸესუს; **უდ. ბესუნ** „კეთება“, შდრ. ლეზგ. **იჸიზ**, **აჳ̂უნა**, ბრძ. **აჸა**; თაბ. **აპუზ** (შდრ. **აც̣უზ** „ჩაჭედვა“); რუთ. **ჳ̂-აც̣ას**; წახ. **ჰა̄ს** // **ჰაც̣ას**; არჩ. **ას**; კრიწ. **ჸერიჯ** // **ჸა̆ც̣ა̆ჯ**; ბუდ. **სიც̣ი**, **სჳ̂ც̣ჳ̂რჯი**; სხვ. დაღ.: ლაკ. **ა-ნ** „კეთება“, „შობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 124; ჩკელ: 257 (ს.-ლეზგ. ***ჸაც̣ა**)].

ყარი-ბიჸესუს „გახმობა“; **უდ. ჯ·არი** „მშრალი“, შდრ. ლეზგ. **ყურაზ**, **ყურანა**; თაბ. **უ-რ-ჯ·უზ** „გახმობა“ (პურისა); აღ. **რუჯʻʷას**; ბურშ. **ურჯʻʷას**; არჩ. **ყურას**, ბრძ. **ყურაყ·ა**; **ჯ·ʷას** „შეშრობა“, „აორთქლება“. იხ. აგრეთვე: ლეზგ. **ყურუ**, ხლუტ. **ჯ·ურჯ·ურ**, აღ. **რუჯ·უ-ჶ**, რუთ. **ჯ·ურუ-დ**; წახ. **ჯ·ურუ-ნ**, ბუდ. **ჯ·ურუ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-აყ·ʷა-ზე** „ხმობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; გიგინეიშვილი 1977: 108; ჩკელ: 632 (ს.-ლეზგ. ***ც̣იყ·ʷარ** „ხმობა“)].

დაი „მწვანე“; **უდ. და̈ჸ** // **და̈ჸი** „უმი“, „მწვანე“ (ვართ.-ზინ. **დხი** „მწვანე“), შდრ. ხივ. **ურხ́უზ** „მოშარდვა“; რუთ. **სა̈-ჳ̂-ხ́ას**; წახ. **ალეხ́ას** „დნობა“; ბუდ. **სოხ́ურუ** „მოშარდვა“; იხ. აგრეთვე: აღ. **დიხ́ე-ჶ** „სველი“. სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ილʻ-იზე** „გადასვლა თხევად მდგომარეობაში“, **ლʻალʻა-ზე** „მორწყვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 278 (ს.-ლეზგ. ***ც̣ილʻარ** „დასველება“)].

უპ, აწმყოს ფუძე **ბი-ლ´ა-**; **უდ. ბიჲე-სუნ** „მოკვდომა“, „მოკვლა“, შდრ. ლეზგ. **რეყიზ**, **ყენა**, ბრძ. **ჲიყ**; თაბ. **ჲი-ø-კუზ**; არჩ. **კის**, **კარ**; აღ. **კას**; ბურშ. **კის**; რუთ. **უ̂-იყეს**, მრ. **დგ-ყგრყას**; წახ. **ჴეკეს**; კრიწ. **ყӓ-ჲიჯ**, დურ. **რგყӓრი**, ბრძ. **სӓყ**; ბუდ. **სარყარ**, **საყაჯი**; სხვ. დაღ.: ახვ. **ილ̣ʷუ-რულʸა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; გიგინეიშვილი 1977: 103; ჩკელ: 662 (ს.-ლეზგ. ***ცილ̣ʷე**)].

ბუყესუნ, **უდ.** ვართ.-ზინ. **ბუჴ·სუნ** „ნდომა“, „ყვარება“, შდრ. ლეზგ. **კან ხ´უნ**; თაბ. **ქ·უნ ხ´უზ**; დიუბ. **გციჴუს**; აღ. **ქ·ან ხ´ას**; რუთ. **უ̂-გგას**; წახ. კილ. **გქ·ანას**; არჩ. **ლ̣ʷან**; კრიწ. **იქӓჯ**; ბუდ. ტერმ. **ჲიქ̂ჳჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ოლც‘-იზე** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ჩკელ: 645 (ს.-ლეზგ. ***ცილ̣ʸან**)].

ეხ, **უდ. ეხ** „მკა“, შდრ. აღ. **იხ´ეს**; კრიწ. **იხ´ӓჯ**; ბუდ. **სუხ´უ**, **სიხ´ოჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ‘ილ‘-იზე** „მკა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [კლიმოვი 1968: 227; ჩკელ: 663 (ს.-ლეზგ. ***ჲილʸ̂ა** „თიბვა“, „მკა“)].

უქესუნ, **უდ. უქსუნ** „ჭამა“, შდრ. არჩ. **ქუმმუს**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ქʷინე** და სხვ. შდრ. [გიგინეიშვილი 1977: 80-81; ჩკელ: 207 (ს.-ლეზგ. ***ციქʷა̂ნ**)].

ა‘ქ-ფესუნ „სირბილი“, „სწრაფვა“, შდრ. აღ. **ჴუქ·**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ექე-**.

და-ღ‘-ეს „მიცემა“, „მოცემა“, შდრ. ლეზგ. **ღ´-უნ** (< ***უ‘ღ´-უნ**); თაბ. **ღ´-უზ**; აღ. **ჲ-ეს**; რუთ. **ჴგ-უ̂-უნ**; წახ. **ჴი-ლ-ეს**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ̣ʸეზე**; დიდ. **ნე-ლʸ̈-ა**; დარგ. **ღ´-იზ || გ-ეზ**; ლაკ. **უ‘ლ-უნ**.

ძეხესუნ; **უდ. ლახსუნ** „დადება“, „ჩამოდება“, შდრ. ლეზგ. **ავახ´იზ** „ჩაგორება“, „ჩამოსვლა’, **აკახ´იზ** „ჩამოყრა“; თაბ. **ა-ø-ხ´უზ**; აღ. **ლარხ´ას**; რუთ. **ხ´ӓდ**, **ლი-ხ´-ინ**; წახ. **ყაცა-უ̂-ხ´ას**; ბუდ. **არახ´არ**; არჩ. **ელ‘ას**; ხინ. **ჩ·ე-შ-ირი** (< ***ჩ·ე-ხ´-ირი**) „დადება“, „ჩამოდება“; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ‘-ეზე**; ახვ. **ბი-ლ‘-ურ-ულʸა**; დარგ. [**ქა**]-**ბი-ხ´-ეს**; ლაკ. **ბი-შ-ინ** (< ***ბი-ხ´-ინ**, შდრ. ნამყოს ფორმა: **ბი-უ̂-ხ´-უნნი**) „id“.

იგესუნ „ცემა“, „გვემა“, „ტანჯვა“, „დაცემა“, შდრ. ლეზგ. **გა-თ-უნ**; წახ. **გე-თ-ას**.

ბეტალა-ბიჲესუნ „გაყოფა“, შდრ. წახ. **ბიტალ-აცას**; სხვ. დაღ. **ბურ-ტ-ეს**; ბეჟ. **ბ-იტალ**.

-**ოშ** (*ლატივის ფორმათა მაწარმოებელი), **უდ. ოშ**~ „ბოლო“, შდრ. ლეზგ. **სიჶ̂**, **-ი**; თაბ. **უშ̊**, **-ნი**; დიუბ. **უჟ̊უ**; აღ. **სიბ**, **-ი**; ბურშ. **სჼიჶ̂**; ფიტ., ბურკ. **სიჶ̂**; წახ. **სიჶ̂**, **-გნ** IV „კიდე“; არჩ. **სჼობ**, ლოკ. **სჼებე**, მრ. **-ოთ** IV; კრიწ. **სიჶ̂** // **სჶ̈ჶ̂** IV; ბუდ. **სიჶ̂** IV; შდრ. ლაკ. **სიჶ̂ა** „გვირაბი“ (< *“ხვრელი“) და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 108; თალიბოვი 1980: 314; ჩკელ: 584 (ს.-ლეზგ. ***სჼგჶ̂**, **-გ** „პირი“)].

4.2. ნასესხები ლექსიკა

კავკასიის ალბანურში გვხვდება ქართული, სომხური, ბერძნული, სირული, სპარსული და სხვა ენებიდან ნასესხები ლექსიკა. ზოგჯერ სესხების წყაროს დადგენა ჭირს. წარმოგიდგენთ ზოგიერთ ნასესხებ ლექსემას:

კავკ.-ალბ.	მნიშვნ.	ქართული	სომხური	ბერძნული	სირიული	სპარსული
აბა	აბბა	აბბა	Աբբա	Αββα	აბბა	
აბაზაკ	ავაზაკი	ავაზაკი	Աւազակ			*ā-ჶāზაქ
ავაზან	აბაზანა	ავაზანი	Աւազան		āჶზāნā	*ā-ჶაზāნ
ანგელოს	ანგელოზი	ანგელოზი		Αγγελος		
აშარკეტ	მოსწავლე		Աշակերտ			*აშāქგრთ
აჴწიბა(ჲ) /აჴსიბა(ჲ)	აღდგომა	აღვსება-ჲ				
აჰა, ააჰა	აჰა	აჰა	Ահա			
აჶრე (ფესუნ)	ქება		Աւհրնեմ			ā-ჶრჽ
ბაზმაცუნ	ვახშმის სტუმრები		Բազմական			ბაზმ (პართ.) საჭმელი
ბამგენ	კურთხეული					*ბāმგēნ
ბორზ (ფესუნ)	მუშაობა, შრომა					ჶარზ (პართ.)
ბოჯვარ	საცეცხლური	ბერვარი	Բուրվառ			*ბრდიზარ
გარაზმან	საფლავი		Գեռեզման			
დაგ(ი)ნ	დინარი	დანგი	Դանգ		დāნჴā	დāნგ
დახტაკ	ფიცარი		Տախտագ			თახთაგ
დევ/დეჶ̂	დევი	დევი	Դեւ			დēჶ̂
დურუდ	ხე, ძელი					დāრჶ̄ბდაგ

						ჯვარცმული (პართ.) ?
ეკლესი	ეკლესია	ეკლესია	Եկեղեցի	Εκκλησια	აჴლი̄სი̄ა̄	
ვარჟ	ჯილდო, ჯამაგირი		վարժ			ჰ̂არჟა (ახ. სპარს.)
ვარტაპეტ	მასწავლებელი		վարտապետ			*ვარდაფეთ
ვაშამაკ	სუდარი	ვარშამაგი	վարշամակ			ჰ̂’შ’მჲ (სოგდ.), ზა̄შა̄მა (ახ. სპარს.)
თარგმნან(უ)ნ	თარგმნა	თარგმანება	Թարգմանութիւն		*თარგუმა̄ნუ	
ისკაპოს	ეპისკოპოსი		Եպիսկոպոս	Επισκοπος	ეპისჴუ̄ფა̄	
კათოლიკეუ(ნ)	კათოლიკე	კათოლიკე	Կաթողիկէ	Καθολικη	ჴათʿო̄ლი̄ჴა̄	
კალა	კოჭლი		Կաղ			
კილტ	კლიტე	კლიტე		Κλεις	(ა)ჴლი̄და̄	
ლაჴეჲნ	თასი		Լակնա, Լական	Λακκος		ლაგან (ახ. სპარს.)
მადილ´/ მიდილ´	მადლი	მადლი				
მანანა	მანანა	მანანა	Մանանայ	Μαννα	მანნა̄	
მარმინ´	სხეული		Մարմին			
მარღავენ	წინასწარმეტყ-ველი		Մարգարէ			*მარღა-ჰ̂ე̄ნ/ -დ̥ე̄
მოგ	მოგვი	მოგუ-	Մոգ	Μαγος		მოგ
მუშაკ	მუშა	მუშაკი	Մշակ			
ნა‘	ნავი	ნავი	Նավ	Ναυς		ნა̄ჰ̂
პასექ	პასექი	პასექი	Պասեք	Φασεκ	ფასექ	
პაჭარ	მიზეზი		Պատճառ			*ფათ-ჩა̄რ
პილინძ	სპილენძი, ბრინჯაო	(ს)პილენძი	Պղինձ			ბრინჯ
სალმოს	ფსალმუნი	ფსალმუნი	Սաղմոս	Ψαλμος		
სა‘ურზელ	სავარძელი	სავარძელი				
სახეჲ	სახე	სახეჲ				
ტალავარ	კარავი	ტალავარი	Տաղաւար			თალაჰ̂ა̄რ (პართ.)
ფუსაკ	გვირგვინი		Պսակ			ფუსაქ (სოგდ.), ფუსაგ

						(პართ.)
ქალაქ	ქალაქი	ქალაქი	Քաղաք		ქარქ̄	
ქაჰანა	მღვდელი		Քահանայ		ქ̄ჰნ̄	
ქრობააჴ	ქერუბიმი	ქერობინი	Քրովբէք	Χερουβιμ	ქრ̄ბ̄	
შამბატ/ შანბატ	შაბათი	შაბათი	Շաբաթ	Σαββατον	შაბთ̱̄	შამბათ (პართ.)
ჭატარ	ტაძარი	ტაძარი	Տաչար			თაჩარა
ძანძამაკ	წინწილა	წინწილა	Ցնցղայ	Κυμβαλον	ს̣ეს̣ს̣გლ̄	
ხარტაკ	ნაწილი, ნაჭერი		Խորտակեմ			ხურდა < *ხ[w]გრთაქ
ხეხერ	ხერხი	ხერხი				
ხოშაკ	სიცხე, პაპანაქება	ხორშაკი	Խորշակ			ჰრ̄შ̄გ ცხელი ქარი
ხორან	საფარი		Խորան			*ხ̂უადვ̄ნ
ჯიპ	წიგნი, წერილი		Դպիր მწერალი			დიფī (ძვ. სპარს.)
ჰამბაჳ	ამბავი	ჰამბავი	Համբաւ			*ჰამ-ბჳ̌̂
ჰარიკ	ხარკი	ხარკი	Հարկ			ჰარგ, ჰარ̄გ
ჰეთანოს	წარმართი		Հեթանոս	Εθνος		

ალსანიშნავია კავკასიის ალბანურზე ქართული ენის გავლენა. ქართულიდან ალბანურმა ისესხა როგორც ქრისტიანული (**ახსიბა(ჲ)/ახწიბა(ჲ)** „აღდგომა“, **მადილ́/მიდილ́** „მადლი“), ისე საერო ტერმინები (**სა‘ურზელ** „სავარძელი“, **სახეჲ** „სახე“, **ხეხერ** „ხერხი“). ამას გარდა, ალბანურში სავარაუდოდ ქართულის მეშვეობით შევიდა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა **კილტ** „კლიტე“ (< სირ.**(ა)ჴლīდ̄ī**), **პილინძ** „სპილენძი“, **მუშაკ** „მუშაკი“ (შდრ. სომხ. **Մշակ მშაკ**), **ეკლესი** „ეკლესია“, **ანგელოს** „ანგელოზი“ და სხვა.

სომხურადან ალბანურში შევიდა **მარმინ́** „სხეული“, **კალა** „ბრმა“ და, სავარაუდოდ, **გარაზმან** „საფლავი“ (შდრ. სომხ. **Գերեզման გერეზმან**). სომხურის მეშვეობით უნდა იყოს შეთვისებული **სალმოს** „ფსალმუნი“, **ვაშამაკ** „სუდარი“, **ჰეთანოს** „წარმართი“ და სხვა.

ბერძნულიდან და სირიულიდან ნასესხები სიტყვები კავკასიის ალბანურში შესულია, როგორც წესი, სომხურისა ან (// და) ქართულის გზით. გამონაკლისია

სიტყვა **ქროზააჴ** „ქერუბიმი“ (სირ. **ქრო̄ზა̄**, შდრ. ქართ. **ქეროზინი**, სომხ. **Քրովբէք ქროვბჱქ**, ბერძ. **Χερουβιμ**).

განსხვავებით ამისა, სპარსული ნესესხობების უმეტესობა უშუალოდ სპარსულიდან ისესხა კავკასიის ალბანურმა, მაგ., **აფრე-(ფესუნ)** „ქება“ ~ საშ.-სპარს. **ა̄-ფრი̆**, შდრ. სომხ. **Աւհրնեմ აჳჰრნემ**; **ფუსაკ** „გვირგვინი“ ~ პართ. **ფუსაგ**, სოგდ. **ფუსაქ**, შდრ. სომხ. **Պսակ პსაკ** და სხვა. ზოგჯერ არაირანული წარმოშობის ლექსემა სპარსულის გზით უნდა იყოს მოხვედრილი ალბანურში, მაგ., **შამზატ/ შანზატ** „შაბათი“ ~ პართ. **შამბათ**, შდრ. ქართ. შაბათი, სომხ. **Շաբաթ შაბათ**, ბერძ. **Σαββατον**, სირ. **შაბთა̄** და სხვა.

4.3. **ონომასტიკა**

კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში გვხვდება მხოლოდ ბიბლიური საკუთარი სახელები. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

კავკ.-ალბ.	**ქართული**	**სომხური**	**ბერძნული**	**სირიული**	**ებრაული**
აბელ	აბელ	Աբել	Αβελ	ჰა̄ზ̌ელ	ჰა̄ზ̌ე̄ლ
აბრაჰამ	აბრა(ჰ)ამ	Աբրահամ	Αβρααμ	აზ̌რა̄ჰა̄მ	აზ̌რა̄ჰა̄მ
ანდრჱას	ანდრეა	Անդրեաս	Ανδρεας	ანდრე’ო̄ს	
ავ̂გუსტოს	აგჳსტოს	Աւգոստոս	Αυγουστος	აგუ̄სთო̄ს	
აჰარონ	აჰრონ	Ահարոն	Ααρων	აჰრო̄ნ	აჰა̆რო̄ნ
ბარაკ	ბარაკ	Բարակ	Βαηακ	ზა̄რა̄ჴ	ზა̄რა̄ჴ
გედეონ	გედეონ	Գեդեովն	Γεδεων	გედ̣ღ‘უ̄ნ	გიდ̣ღ‘ო̄ნ
დ[ავი]თ	დავით	Դաւիթ	Δαυιδ	და̄ვ̂ი̄დ̣	და̄ვ̂ი̄დ̣
ელი(ჲ)ა	ელია	Էղիա	Ηλιας	ელი̄ჲა̄	ე̄ლი̄ჲა̄ჰუ̄
ელისაბეთ	ელისაბეთ	Եղիսաբէթ	Ελισαβετ	ელი̄შზ̌ა‘	ე̆ლი̄შეზ̌ა‘
ელიშა	ელისე	Եղիսէ	Ελισαιος	ელი̄შა‘	ე̆ლი̄შა̄‘
ერემიჲა	იერემია	Երեմիա	Ιερεμιας	ერამჲა̄	ჲირღმჲა̄ჰუ̄
ეშაჲა/ისა	ესაია/ესაჲა	Էսայա	Ησαιας	ეშა‘ჲა̄	ჲღშა‘ჲა̄ჰუ̄

ზაქარი(ჲ)ა	ზაქარია	Զաքարիա	Ζαχαριας	ზჷქარჲა̄	ზჷქარიჲა̄ჰ
თომას	თომა	Թովմաս	Θωμας	თა̄’უმა	
ისაკ	ისა(ჰა)კ	Իսահակ	Ισαακ	ი̄სჰ̱ა̄ჴ	ჲის̣ჰ̱ა̄ჴ
ისთეფანოს	სტეფანე	Ստեփանոս	Στεφανος	ესთ̣ეფა̄ნო̄ს	
კირინეს	კჳრინჱს	Կիւրենիոս	Κυρηνιος	ჴუ̄რი̄ნო̄ს	
ლააზარ	ლაზარე	Ղազարոս	Λαζαρος	ლჷ‘ა̄ზარ	
ლუკას	ლუკა	Ղուկաս	Λουκας	ლუ̄ჴო̄ს	
მათეოს	მა(ტ)თეოს	Մատթէոս	Μαθθαιος	მათაჲ	
მართა	მართა	Մարթա	Μαρθα	მართა̄	
მარჲამ	მარიამ	Մարիամ	Μαριαμ	მარჲამ	
მუსე, მუსჱს	მოსე	Մովսէս	Μωυσης	მუ̄შე	მოშეჰ
ნაემან	ნემან	Նեեման	Ναιμαν	ნა‘მა̄ნ	ნა‘ა̆მა̄ნ
ნათანაელ	ნათანაჱლ, ნათანაელ	Նաթանայէղ	Ναταναηλ	ნათ̱ანაჲი̄‘ლ	ნჷთ̱ანჷ‘ე̄ლ
ჲაკობ, -ოს	იაკობ	Յակովբ	Ιακωβ	ჲა‘ჴუ̄ბ̥	ჲა‘ა̆ჴობ̥
ჲესო	ესავ	Եսաւ	Ησαυ	‘ი̄სუ̄	‘ეს'ა̄უ̂
ჲ[ესუ]ს	ი[ეს]უ	Յ[իսու]ս	Ιησους	ჲეშუ̄‘	ჲეშუ̄ა‘
ჲეშ	იესე	Յեսսէ	Ιεσσαι	ჲიშაჲ	ჲიშაჲ
ჲეშო	ისო	Յեսու	Ιησους	ჲეშუ	ჲეშუ̄ა‘
ჲო(ვ)ჰ(ან)ან	იოვანე, იოჰანე	Յովհաննէս	Ιωαννης	ჲუ̄ჰ̱ანა̄ნ	ჲო̄ჰ̱ა̄ნა̄ნ
ჲოსჱ	იოსეს, იოსჱტოს	Յովսէ	Ιωσης	ჲო̄სი̄	
ჲოსეფ, ჲოსჱფ	იოსეფ, იოსებ	Յովսէփ	Ιωσηφ	ჲაუ̂სეფ̄	ჲო̄სე̄ფ̄
ჲუდაჲ	იუდა	Յուդա	Ιουδας	ჲიჰუ̄დ̮ა̄	ჲჷჰუ̄დ̮ა̄ჰ
ჲუნან	იონა	Յովնան	Ιωνα	ჲუ̄ნა̄	ჲო̄ნა̄ჰ
პავლოს	პავლე	Պաւղոս	Παυλος	ფაუ̂ლო̄ს	
პეტროს	პეტრე	Պետրոս	Πετρος	ფეთ̣რო̄ს	

პილატოს	პილატე	Պիղատոս	Πιλατος	ფი̄ლათო̄ს	
რაქელ	(ჰ)რაქელ	Հռաքէղ	Ραχηλ	რაჳ̲ე̄ლ	რა̄ჳ̲ე̄ლ
სალომე	სალომე	Սաղովմէ	Σαλωμη	შა̄ლუ̄მ	
სამუ-ჱლ/ სამუ-ელ ?	სამოელ	Սամուէլ	Σαμουηλ	შგმუ̄’ე̄ლ	შგმუ̄’ე̄ლ
სიმონ	სიმონ	Սիմովն	Σιμων	შგმ‘უ̄ნ	შიმგ‘ო̄ნ
ტიმოთეოს	ტიმოთეოს	Տիմոթէոս	Τιμοθεος	თ̣ი̄მო̄თ̲ე’ო̄ს	
ტიტოს	ტიტე	Տիտոս	Τιτος	თ̣ი̄თ̣ო̄ს	
ფილიპ(პ)ოს	ფილიპე	Փիլիպպոս	Φιλιππος	ფი̄ლი̄ფფოს	
ქ[რისტო]ს	ქ[რისტ]ე	Ք[րիստո]ս	Χριστος		
ჰამუს	ამოს	Ամովս	Αμως	‘ამუ̄ს	‘ა̄მო̄ს
ჰეროდ-ეს/ ჰეროდ-ჱს	ჰეროდე	Հերովդէս	Ηρωδης	ჰერო̄დეს	
ჰეროდიუ	ჰეროდია	Հերովդիաս	Ηρωδιας	ჰერო̄დიჲა̄	

კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ბიბლიური სახელების ნაწილი ბერძნულ ტრადიციას ასახავს ისევე, როგორც ეს არის სომხურსა და ქართულში, ამასთან, მთელი წყება სახელებისა (**აბრაჰამ** „აბრაამი“, **აჰარონ** „აარონი“, **ელიშა** „ელისე“, **ეშაჲა** „ესაია“, **იოჰანან** „იოანე“, **მარჲამ** „მარიამი“, **მუსე** „მოსე“, **ლააზარ** „ლაზარე“, **ჲეშ** „იესე“, **ჲეშო** „ისო“, **ჲუნან** „იონა“, **ჰამუს** „ამოსი“) უშუალოდ სემიტური ენების ფორმებისაგან უნდა მომდინარეობდეს. ამავე რიგისა უნდა იყვნენ შემდეგი სახელები, როგორებიცაა – **ელიჲა** „ელია“, **ერემიჲა** „იერემია“, **ზაქარიჲა** „ზაქარია“, **ისა** „ესაია“ და **ისტეფანოს** „სტეფანე“, თუმცა უკანასკნელი ფორმა, შესაძლებელია, საკუთრივ ალბანურის ნიადაგზე წარმოქმნილი იყოს, რადგან კავკასიის ალბანურში არ დასტურდება თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში.

კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში გვხვდება შემდეგი გეოგრაფიული სახელები:

კავკ.-ალბ.	ქართული	სომხური	ბერძნული	სირიული	ებრაული
არაბიჲა	არაბია	Արաբիա	Αραβια	არაბ̱ი̄ჲა	‘ა̆რა̄ბ̱
არიმათა	არიმათია	Արիմաթեա	Αριμαθαια	რა̄მთ̱ა̄	
ბეთლაჰემ	ბეთლემ	Բեթղեեմ	Βηθλεεμ	ბე̄თ̱-ლჰ̣ემ	ბე̄თ̱-ლეჰემ
ბითანი	ბეთანია	Բէթանիա	Βητανια	ბე̄თ̱-‘ანჲა̄	
გალილეა/ გალილ´ეა	გალილეა	Գալիլեա	Γαλιλαια	გალი̄ლა̄	გა̄ლი̄ლ
დამასკოს	დამასკე	Դամասկոս	Δαμασκος	დარ-მსუ̄ჴ	დამმა̄ს́ეჴ
ერუსალემ	ი[ერუსა]ლ[ჱ]მ	Ե[րուսաղե]մ	Ιεροσολυμα	უ̄რუ̄შლემ	ჲჷრუ̄შა̄ლაიმ
ეფრაიმ	ეფრაიმ	Եփրայիմ	Εφραιμ	აფ̄რე̄მ	ეფ̄რა̄ჲიმ
იჰუდა	ჰურიასტან-ი	Հրէաստան	Ιουδαια	ჲჷჰუ̄და	
კანა	კანა	Կանա	Κανα	ჴა̄თ̣ნე	
კაფარნა(ჰ)ომ	კაფარნაომ/ კაფარნაუმ	Կափառնաում	Καφαρναουν	ქჷფ̄არნაჰ̱უ̄მ	
ნაზარეთ/ ნაზარჱთ	ნაზარეთ	Նազարեթ	Ναζαρα-εθ	ნა̄ს̣რათ̱	
ჲორდანან	იორდანე	Յորդանան	Ιορδανης	ჲუ̄რდნან	ჲარდე̄ნ
სერებთა	სარეფთა	Սարեփթա	Σαρεπτα	სარფათ̱	ს̓ა̄რჷფ̄ათ̱ა̄ჰ
სიონ	სიონ-ი	Սիովն	Σιων	ს̣ეჲუ̄ნ	ს̣ი̄ჲო̄ნ
ტიბერია	ტიბერია	Տիբերիաս	Τιβεριας	თ̣ი̄ბ̱ერი̄ჲო̄ს	
ქანანა	ქანაან-ი	Քանան	Χαωααν	ქჷნა‘ან	ქჷნა̄‘ან
შილოჰამ/ შილოჰან	სილოამ	Սիղովամ	Σιλωαμ	შილუ̄ჰ̱ა̄	შელაჰ̱
ჰერმონ	ერმონ-ი	Հերմոն	Ερμωνιμ	ჰ̱ერმო̄ნ	ჰ̱ერმონი̄მ
ჰრამა	ჰრამა	Հռամա	Ραμα	რა̄მთ̱ა̄	რა̄მა̄ჰ

ამ შემთხვევაშიც ალბანურ-სემიტური უშუალო პარალელები საგრძნობია: **არაბიჲა** „არაბეთი“, **ბეთლაჰემ** „ბეთლემი“, **იჰუდა** „იუდეა“, **კაფარნაჰომ** „კაპერნაუმი“, **ჲორდანან** „იორდანე“, **შილოჰამ/ შილოჰან** „სილოამი“.

ალბანურ პალიმფსესტებში გვხვდება შემდეგი ეთნონიმები:

კავკ.-ალბ.	ქართული	სომხური	ბერძნული	სირიული	ებრაული
ასორუნ	ასური	Ասորի	Συρος	არმა̄ჲა̄	

ასორუხ	ასურნი, ასურეთი	Ասորիք	Συρια	სუ̄რი̄ჲა̄	
გალილ(ე)აუხ	გალილეა	Գաղիղեացիք	Γαλιλαια	გალი̄ლა̄	გა̄ლი̄ლ
ებრაუნ	ებრაელი	Եբրայեցերէն	Εβραιστι	‘ებრაი̄თ̲	
ებრაუხ	ებრაელნი	Եբրայեցիք	Εβραιοι	‘ებრაი̄ჲე̄	
ეგიფტოსუხ	ეგვიპტე, მეგვიპტელნი	Եգիպտացիք	Αιγυπτος	მეს̣რე̄ნ	მის̣რა̄ჲგმა̄ჰ
ელლაუნ̃ა	ბერძენი	Յունարէն	Ελληνιστι	ჲაუ̂ნა̄ი̄თ̲	
ეფესაუხ	ეფესელნი	Եփեսացիք	Εφεσιοι	ეფ̄ესო̄ჲე̄	
ვაჩარ	ჰურია	Հրեայ	Ιουδαιος	ჲგჰუ̄და̄ჲა̄	ჲგჰუ̄და̄
ზადოკაუხ	სადუკეველნი	Սադուկեցիք	Σαδδουκαιοι	ზადუ̄ქა̄ჲე̄	
თესალონიკ(ე)უხ/ თესალონოკ(ე)უხ	თესალონიკელნი	Թեսաղոնիկեցիք	Θεσσαλονικεις	თესალო̄ნი̄ქა̄ჲე̄	
ი[სრაჲ]ჳლ	ისრაელი/ ისრაჳლი	Ի[սրայէ]ղ	Ισραηλ	ჲისრა̄’ე̄ლ	ჲის'რა̄’ე̄ლ
ი[სრაჲ]ჳლუნ	ისრაჳლიტელი	Ի[սրայէ]ղացի	Ισραηλιτης	ბარ ჲისრა̄’ელ	
ისკარჲოთ(ვ)უნ	(ი)სკარიოტელი	Իսկարիովտացի	Ισκαριωτης	სქარჲუ̄თ̣ა̄	
კორინთაუხ	კორინტელნი	Կորնթացիք	Κορινθιοι	ქუ̄რინთა̄ჲე̄	
მადელაუნ	მაგდა(ლჳ)ნელი	Մագդաղէնացի	Μαγδαληνη	მაგ̄დლა̄ჲათა̄	
ნაზორაუნ	ნაზარეველი/ ნაზორეველი	Նազովրեցի	Ναζαρηνος	ნას̣რა̄ჲა̄	
სამარ(ი)აუნ	სამარიტელი	Սամարացի	Σαμαριτης	შა̄მრა̄ჲათა̄	
სამარაუხ	სამარიტელნი	Սամարիցիք	Σαμαριται	შა̄მრა̄ჲე̄	შომგრონი̄მ
სიდონაუხ	სიდონია	Սիդովնացիք	Σιδωνια	ს̣აჲდა̄ნ	ს̣ი̄დო̄ნ
ფარისაუხ	ფარისეველნი	Փարիսեցիք	Φαρισαιοι	ფგრი̄შა̄ჲე̄	
ჰრომაუხ	ჰრომელნი	Հռովմայեցիք	Ρωμαιοι	რჰუ̄მა̄ჲე̄	

აქ ალბანურ-სემიტური უშუალო პარალელები არ არის დიდი. მათ რიცხვს შეიძლება მხოლოდ ერთი ფორმა **ზადოკაუხ** „სადუკეველნი“ მივაკუთვნოთ, მაშინ როდესაც ბერძნული ენიდან უეჭველად გვაქვს შემდეგი ფორმები: **ეგიფტოსუხ** „ეგვიპტელები“, **ისკარჲოთ(ვ)უნ** „ისკარიოტელი“, **სამარ(ი)აუნ**, **სამარაუხ** „სამარიტელი“, „სამარიტელნი“, **ფარისაუხ** „ფარისეველნი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფორმა **ელლაუნ̃ა** „ბერძენი“, რომელიც უშუალოდ ბერძნულიდან ნასესხებია და არ დასტურდება არც სომხურსა და არც ქართულში.

ანტროპონიმთა შორის სემიტურ-ალბანური პარალელების დიდი რაოდენობა, რომლებიც არ დასტურდება სომხურსა და ქართულში, მიგვანიშნებს

სირიულ-არამეულის დიდ გავლენაზე კავკასიის ალბანურ ენაზე. ეს შესაძლებელია აიხსნას როგორც სირიულ-არამეულის ფართო გავრცელებით კავკასიის ალბანეთში, ისე იმითაც, რომ ბიბლიის თარგმანი კავკასიის ალბანურ ენაზე, რომელიც შემოგვრჩა პალიმფსესტების სახით, განხორციელდა წმინდა მიწაზე, სადაც, თუ მოვსეს კალანკატუაცის ვენდობით, ალბანური სამონასტრო კერები არსებობდა.

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, სემიტური ნასესხობები კავკასიის ალბანურში მოხვდა არა უშუალოდ, არამედ ბიბლიის სომხური თარგმანის მეშვეობით, რომელიც ჩვენემდე არ მოღწეულა [გიპერტი და სხვ. 2009: II-84], თუმცა ეს მსჯელობა არცერთი არგუმენტით არ არის გამყარებული.

თავი V

კავკასიის ალბანური ენის ადგილი მონათესავე ენათა შორის

5.1. კავკასიის ალბანური და უდიური ენების ურთიერთობები

კავკასიის ალბანური ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიური ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს. ამასთან, დღეს არსებულ ენათგან ყველაზე ახლო ურთიერთობები კავკასიის ალბანურს აქვს უდიურ ენასთან. უეჭველია, რომ უდიური ერთადერთი შემორჩენილი ალბანური დიალექტია.

კავკასიის ალბანური ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე დიდ სიახლოვეს ავლენს უდიურ ენასთან, სახელდობრ:

ფონოლოგიურ სისტემათა მსგავსება: ხმოვანთა სისტემა კავკასიის ალბანურში 5 “მარტივი” ხმოვნისაგან (**ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ**) შედგება. იმის მიუხედავად, რომ ფარინგალიზებული ხმოვნები ანბანშია ასახული, ჩვენი აზრით, ისევე როგორც უდიურში, კავკასიის ალბანურშიც ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისებაა.

რაც შეეხება კონსონანტიზმს, კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელია ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა სამეულებრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი), სისინა და შიშინა აფრიკატთა ოთხეულებრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი, ინტენსიური აბრუპტივი) და სპირანტთა წყვილეულებრივი სისტემა (მჟღერი, ყრუ). ეს აახლოვებს კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემას უდიურთან, რომლის კონსონანტიზმსაც ახასიათებს ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა სამეულებრივი სისტემა (ოღონდ მჟღერი, ფშვინვიერი, **პრერუპტივი**. თუმცა აბრუპტივების გადასვლა პრერუპტივებში – გვიანდელი მოვლენაა. აბრუპტივები გადავიდნენ

პრერუპტივებში ნიჯურ კილოსა და ვართაშნელთა მეტყველებაში, ხოლო სოფ. ზინობიანში აბრუპტივები შემონახულია) და სპირანტთა წყვილეულებრივი სისტემა. აღსანიშნავია, რომ სხვა დაღესტნურ ენებში, როგორც წესი, დასტურდება ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა ოთხეულებრივი ან ხუთეულებრივი სიტემები და სპირანტთა სამეულებრივი სისტემები. ამრიგად, ხშულ-მსკდომთა სამეულებრივი სისტემისა და და სპირანტთა წყვილეულებრივი სისტემის ქონა საერთო რელევანტური ნიშანია კავკასიის ალბანურსა და უდიურისათვის.

უდიურსა და კავკასიის ალბანურს ახასიათებს დორსალურ და ლარინგალურ თანხმოვანთა სიღარიბე სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით. კავკასიის ალბანური და უდიური ენების ფონოლოგიურ სისტემებს არ მოეპოვებათ ფარინგალური და წინაველარული სპირანტები, მჟღერი უვულარული აფრიკატი, ლარინგალური ხშული. კავკასიის ალბანურს, ისევე როგორც უდიურს, არ მოეპოვება ინტენსიური (თუ არ ჩავთვლით სისინა და შიშინა ინტენსიურ აბრუპტივებს, თუმცა ამ ბგერათა ფონემური ღირებულება დაუზუსტებელია) და ლაბიალიზებული თანხმოვნები. ლაბიალიზებული კომპლექსები კავკასიის ალბანურში გამარტივდა. აღსანიშნავია, რომ ლეზგიურ ენათაგან, კავკასიის ალბანურის გარდა, ეს პროცესი განხორციელდა მხოლოდ უდიურსა და ბუდუხურ ენებში.

კავკასიის ალბანურთან შედარებით უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში მინიმალური ცვლილებები მოხდა: ვოკალიზმის სისტემა უდიურში გართულდა (წარმოიქმნა პალატალიზებული ხმოვნები, ე. წ. ირაციონალურმა ნიჯურ დიალექტში შეიძინა დისტინქციური ფუნქცია), ხოლო კონსონანტიზმის სისტემა – გამარტივდა (დაიკარგა ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატები (**წ**ა, **ჭ**ა), პალატალიზებული სონორები (**ნ́**, **ლ́**).

ალბანურ-უდიური პარალელები მორფოლოგიაშიც საგრძნობია – უდიურის მორფოლოგიური სტრუქტურა ძალიან ახლოსაა კავკასიის ალბანურთან როგორც მორფოლოგიური კატეგორიების ფუნქციათა, ისე ინვენტარის მხრივ. მასში დადასტურებულია ბევრი მოვლენა, რომელიც მხოლოდ ალბანური ენის მონაცემთა მოხმობით ჰპოვებს თავის ახსნას.

შდრ. კავკასიის ალბანურისა და უდიურის ძირითადი მორფოლოგიური ინვენტარი:

	კავკასიის ალბანური	**უდიური**
ერგატივ-ინსტრ.	-ე, -ენ, -ინ, -ჵნ, -ან	-ენ, -ინ, -ჵნ, -გნ
გენიტივი	-ი, -ჲ, -აჲ, -ეჲ, -ჲა, -უნ, -ინ	-ი, -აჲ, -ეჲ, -ჵჲ, -უნ, -ინ...
დატივი I	-ა, -ჵ, -ე, -ჵ, -უ	-ა, -ჵ, -ე, -ჵ, -უ...
დატივი II	დატივი I + -ხ	დატივი I + -ხ
აბლატივი	დატივი II + -ჵც	დატივი II + -ჵ
სუპერესივი	დატივი I + -ლ	დატივი I + -ლ
მრ. რიცხვი	-უხ... (სახ.); -უღ... (ირ. ბრ.)	-უხ...(სახ.); -უღ... (ირ.ბრ.)
დერივაციული აფიქსები	-უნ, -ალ, -ნუთ	-უნ, -ალ, -ნუთ
“მასუბსტანტ.” სუფიქსი	-ჵ	-ჵ
რაოდ. რიცხ. სახელთა		
მაწარმოებელი	-უნ	-უნ (> -უნ-ჯი//უმ-ჯი)
აწმყო	-ა	-ა
ნამყო	-ი/ -ჲ	-ი/ -ჲ
იმპერატივი	-ა	-ა
ოპტატივი	ყა-	ყა- (იუსივი)
მასდარი I	-ეს	-ეს
მასდარი II	-ეს-უნ	-ეს-უნ
სრული სახის მიმღეობა	-ი/ -ჲ	-ი/ -ჲ
უსრული სახის ...	-ალ/ -ალა	-ალ/ -ალა
პრევერბი	თა-, ჰე-, უყ(ა)-	თა-, ე-, ჵყა
უარყოფა ზმნაში	მა-, თე-, ნუ-, ნუთ-, -ნუთ	მა-, თე-, ნუ-, ნუთ-
პირის ნიშნები		
I მხ.	-ზუ	-ზუ- ...
II მხ.	-ნუნ	-ნუ- || -ნ- ...
III მხ.	-ნ(ე) // ø	-ნე- ...

I მრ.	-ჟან	-ჲან-
II მრ.	-ნან	-ნან- ...
III მრ.	-ნ(ე) // ø	-ყუნ-

სინტაქსის თვალსაზრისით მთავარი რელევანტური ნიშანია, რომელიც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, კავკასიის ალბანურსაც ახასიათებს – არის ერგატიული კონსტრუქციის წინადადება. კავკასიის ალბანურსა და უდიურს ახასიათებს წინადადების ერგატიული კონსტრუქციის ერთი თავისებურება – პირდაპირი დამატება ამ ენებში შეიძლება იყოს გადმოცემული სახელობითი ან II მიცემითის ფორმით. აღსანიშნავია, რომ მიცემითი ბრუნვა პირდაპირი ობიექტის გადმოსაცემად მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ კავკასიის ალბანურსა და უდიურს ახასიათებს.

უდიური ენის კავკასიის ალბანურისაგან წარმომავლობას ადასტურებს ალბანურ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი ტიპიური "უდიური" სიტყვაფორმები; ამ ეტაპზე გამოვლენილია დაახლ. 233 საერთო ძირი. აღსანიშნავია რომ პალიმფსესტებში დადასტურებული კავკასიის ალბანური ენის საკუთარი ლექსიკური ფონდი შეზღუდულია და სულ რაღაც 570 ერთეულს მოიცავს. ამდენად, 233 საერთო ძირი ამ ფონდის 40.9 % შეადგენს. საკუთარი ლექსიკური ფონდის გარკვეული ნაწილი ჰპოვებს პარალელს სხვა ლეზგიურ ან დაღესტნურ ენებში, ხოლო დაახლ. მესამედის ეტიმოლოგია დღეს ნათელი არ არის.

საყურადღებოა გლოტოქრონოლოგიის შედეგები: კავკასიის ალბანურში დასტურდება ასი სიტყვისაგან შემდგარი მ. სვოდეშის სიის 74 შესატყვისი. ამ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირების შედეგად მონათესავე ლეზგიურ ენების, ხუნძურისა და ლაკურის ანალოგიურ ლექსიკურ ერთეულებთან მივიღეთ შემდეგი ლექსიკოსტატისტიკური მონაცემები:

უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ხუნძ.	ლაკ.
55 (74.3%)	36 (48.6%)	34 (45.9%)	36 (48.6%)	32 (43.2%)	30 (40.5%)	33 (44.6%)	30 (40.5%)	22 (29.7%)	29 (39.1%)	26 (35.1%)	25 (33.8%)

გლოტოქრონოლოგიური მონაცემების მიხედვით კავკასიის ალბანურისა და უდიურის დაშლა დაახლ. 1800 წლის წინ უნდა მომხდარიყო, რაც დიდად არ აღემატება იმ შუალედს, რომელიც უდიურსა და კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის არსებობს. ამასთან, გასათვალისწინებელია უცხო ენათა ძლიერი გავლენა უდიურზე და უდიების თითქმის სრული ასიმილაცია.

აღსანიშნავია, რომ საერთო ლექსიკის პროცენტი უდიურთან მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ლეზგიური ენების მონაცემებს, რომელიც, ხინალუღურს თუ არ ჩავთვლით, დაახლოებით თანაბარია და 40-48% ფარლებში მერყეობს.

კავკასიის ალბანურში დასტურდება ლექსიკა, რომელიც კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისობებს იძლევა სხვა ლეზგიურ, დაღესტნურ და იბერიულ-კავკასიური ოჯახის სხვა ჯგუფების ენებთან. ამ ეტაპზე ასეთ ლექსიკას 133 ლექსიკური ერთეული მიეკუთვნება. მათ შორისაა – ადამიანის სხეულის ნაწილები, ნათესაობის, ადამიანის საქმიანობისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი, ადამიანთან დაკავშირებული სხვა სახელები, ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი სახელები, ნაგებობების, სურსათის, დროის ერთეულების, არაცოცხალი ბუნების ან მოვლენათა აღმნიშვნელი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნისართები, ნაცვალსახელები (პირის, ჩვენებითი, უკუქცევითი, კითხვითი), რიცხვითი სახელები (ერთიდან ცხრამდე, ათი, ოცი, ასი), ძირითადი ზმნები, ნაზმნარი სახელები... ბგერათშესატყვისობები აფიქსებშიც დასტურდება. მაგალითად, ბრუნვის ნიშნებში:

გენიტივი: კავკ.-ალბ. -V**ნ** – ს.-ლეზგ. *-**ნ** > ლეზგ. -**ნ**: თაბ. -**ნ**: აღ. -**ნ**: წახ. -**ნ**: უდ. -**ნ**: არჩ. -**ნ**;

დატივი: კავკ.-ალბ. -V**ს** (დატივი III) – ს.-ლეზგ. *-**ს**ₒ > ლეზგ. -**ზ**: თაბ. -**ზ**: აღ. -**ს**: რუთ. -**ს**: წახ. -**ს**/-**ს**ₒ: კრიწ. -**ს**: ბუდ. -**ზ**: არჩ. -**ს**ₒ;

*"**ორიენტირზე" ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ლ** (სუპერესივი) – ს.-ლეზგ. *-**ლ-** > ლეზგ. -**ალ**: თაბ. -**ლ**: აღ. -**ლ**: რუთ. -**ლ**: წახ. -**ლ́**: ბუდ. -**ლ**: უდ. -**ლ**: არჩ. -**თ** // **თ̇** (?);

*"**ორიენტირთან" ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. -**ხ** (დატივი II) – ს.-ლეზგ. *-**ლ̇ʷ** > ლეზგ. -**ჶ**: თაბ. -**ხ́** (**ჶ**): აღ. -**ჶ**: რუთ. -**ხ́ʷ**: კრიწ. -**ჶ**: ბუდ. -**ჶ**: უდ. -**ხ**: არჩ. -**ლ̇**უ;

*"**ორიენტირთან უშუალო შეხება" ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. -**ქ**(**ა**) (ადესივი I) – ს.-ლეზგ. *-**ქ-** > ლეზგ. -**ქ**: თაბ. -**ქ**: აღ. -**ქ**: რუთ. -**ქ**: წახ. -**ქ**: კრიწ. -**ქ**: ბუდ. -**ქ**: არჩ. -**ქ**;

*"**ორიენტირის ქვეშ" ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. -**ყ** (სუპერესივი) – ს.-ლეზგ. *-**ლ̣̌-** > : ლეზგ. -**ქ**: თაბ. -**ქ̇**: აღ. -**ქ̇**: რუთ. -**ქ**: წახ. -**ქ**: კრიწ. -**ქ**: ბუდ. -**ქ**: არჩ. -**ლ̣ʷ**: ხინ. -**კ**...

აღსანიშნავია, რომ ბგერათშესატყვისობათა ფორმულებში კავკასიის ალბანური და უდიური, იშვიათი გამონაკლისების გარდა, წარმოდგენილია ერთნაირი რეფლექსებით. ძირითადი ფონეტიკური პროცესები, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა კავკასიის ალბანურისა და უდიურის ფონოლოგიური სისტემები, ერთნაირად წარიმართა. აფრიკატებში უნდა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი ფონეტიკური ცვლილებები: დაიკარგა სუსტი (როგორც გლოტალური, ისე არაგლოტალური) აფრიკატები ანლაუტსა და ინლაუტში. უდიურში ეს პროცესი დასრულდა, ხოლო კავკასიის ალბანურში დასრულების სტადიაში იყო. აუსლაუტში მოხდა სუსტი არაგლოტალური აფრიკატების სპირანტიზაცია, ხოლო სუსტმა აბრუპტიულმა აფრიკატებმა არ განიცადეს ცვლილება. რაც შეეხება ინტენსიურ აფრიკატებს, ისინი შემონახულია ორივე ენაში, იმის გათვალისწინებით, რომ ინტენსივობის მიხედვით კორელაცია მოიშალა. ამას გარდა, ორივე ენაში მოხდა მჟღერი აფრიკატების სპირანტიზაცია. ლატერალური აფრიკატები გადავიდნენ შესაბამის უვულარულ აფრიკატებში (*ლ̌-ს გარდა, რომელმაც სპირანტიზაცია განიცადა).

ხშულ-მსკდომები ძირითადად უცვლელადაა დაცული, თუ არ ჩავთვლით *გ ბგერას, რომელიც კავკასიის ალბანურსა და უდიურში, როგორც წესი, გვაძლევს კ-ს.

სპირანტებში ორი ძირითადი ცვლილება განხორციელდა. მოიშალა ინტენსივობის მიხედვით კორელაცია და ლატერალური სპირანტები გადავიდნენ ყრუ უვულარულ სპირანტში (**ხ**).

სონორები, ძირითადად, უცვლელადაა დაცული.

ამრიგად, მიუხედავად მცირე განსხვავებისა, რომელიც შეინიშნება კავკასიის ალბანურსა და უდიურს შორის, არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წარმომავლობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ დაახლოებით 15 საუკუნოვან შუალედს თანამედროვე უდიურსა და კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის, ხოლო შუალედურ პერიოდში დამწერლობისა და სამწერლო ტრადიციის დაკარგვასა და უდიების ძლიერი ასიმილაციის პროცესს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოჩამოთვლილი ცვლილებები უმნიშვნელოა.

ამის მიუხედავად, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოდ, რომ უდური არ მომდინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანური ენის იმ დიალექტისაგან, რომლის წერილობითი ძეგლებიც შემოგვრჩა. ეს ვარაუდი ემყარება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ლექსემის შეპირისპირებისას უდიური უფრო „ძველ“, ამოსავალთან მიახლოებულ ვითარებას გვიჩვენებს, ვიდრე კავკასიის ალბანური, შდრ.:

ახაჲ „ღია“; **უდ. ჯაჲ** „ნათელი“, „ღია“, შდრ. ლეზგ. **აჯა** „ღია“, „გაღებული“; აღ. **დაჯას**; წახ. კილ. **აჯას**; არჩ. **დახა-ას**; ?ბუდ. **ჯ̈აჯუ**, **ჯ̈აჯაჯი** „გათქმა“ (საიდუმლოსი); სხვ. დაღ.: ლაკ. **ცაცაჯა-ნ** „ფართოდ გაღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 68; ლექსიკა 1971: 259; გიგინეიშვილი 1977: 134; ჩკელ: 264 (ს.-ლეზგ. ***ცაჯა** „გაღება“)].

ჰალა; **უდ. ლახო** „მაღლა“, შდრ. ლეზგ. **ჲარღი**; თაბ. **ჲარხი**; აღ. **ჲარხ‘ე-ც**, რუთ. **ხულჳ̈ხ-დი**; წახ. **ხგლი-ნ**; არჩ. **ლახა**; ბუდ. **ლახა** „მაღლა“; ლეზგიურში მოსალოდნელი ***ჰარხი-ს** მაგივრად გვაქვს **ჲარღი**. რუთულურში მოხდა რედუპლიკაცია. სხვ. დაღ.: დარგ. **ხალა-ლ** „დიდი“, ლაკ. **ჰალხა-** „მაღალი“,

„გაზრდილი“, ხუნძ. **ხალა-თ-აზ** „გრძელი“ და სხვ. შდრ. [ლექსიკა 1971: 219; გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 551 (ს.-ლეზგ. *[ჳ‘]**ალხჳ̈** „გრძელი“)].

ბიჲესუნ; **უდ. ბესუნ** „კეთება“, შდრ. ლეზგ. **იჲიზ**, **აჸ̂უნა**, ბრძ. **აჲა**; თაბ. **აპუზ** (შდრ. **აცუზ** „ჩაჭედვა“); რუთ. **ჸ̂-აცას**; წახ. **ჳა̄ს** // **ჳაცას**; არჩ. **ას**; კრიწ. **ჲერიჴ** // **ჲა̈ცა̈ჴ**; ბუდ. **სიცი**, **სუ̃ცუ̃რჴი**; სხვ. დაღ.: ლაკ. **ა-ნ** „კეთება“, „შობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 124; ჩკელ: 257 (ს.-ლეზგ. ***ჲაცა**)].

ბოʻ(ჳ)ესუნ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა, „გონება“, „ფიქრი“, „შერაცხვა“, „ზრახვა“; შდრ. შდრ. ლეზგ. **ჶი-**; თაბ. **ღუ-ბ**; აღ. **ხი-ს**; რუთ. **ჲი-რ-ხʻʷ-ას**; წახ. **ცა-ლ-ჳ-ას**; კრიწ. **იხʷ-** მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები; არჩ. ა-რ-ჳ-ას „ფიქრი“, „გონება“; შდრ. აგრეთვე: **უდ. ბაქსუნ** „გახდომა“, „ყოფა“, შდრ. რუთ. **ჸ̂-გქგს**; არჩ. **ქეს**.

ბოდესუნ; **უდ. ბოსთ·უნ** (< ***ბოთ·-სუნ**) „ჭრა“, „თარგის გამოჭრა“, შდრ. ლეზგ. **ატაზ, ატუნა**; თაბ. **ქთა-ø-ტუზ**; აღ. **ატას**; ბურშ. **ატის**; რუთ. **ჳა-ბ-ტʷას**; წახ. **ჳა-ბა-ტას** „გაუკაცრიელება“; არჩ. **ა-ბ-ტას**, **ბ-არტურ**; ბუდ. **ჲორო-ტუ**, **ჲო-ბ-ტუჴი**; კრიწ. **ჲა-ბ-ტგრიჴ**; სხვ. დაღ.: ურახ. **არტ-უს** „თარგის გამოჭრა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 252; თალიბოვი 1980: 285; ჩკელ: 272 (ს.-ლეზგ. ***ჲატʷგ**)].

ბართესუნ; **უდ. ბართესუნ** „გაშვება“, „დატოვება“, შდრ. ლეზგ. **თაზ, თუნა**; თაბ. **ღ-ი-ø-თუზ**; აღ., ბურშ. **ათას**; რუთ. **ს-ა-ბ-თას**; მრ. **სა-ლ-თას**; არჩ. **ა-ბ-თის**; კრიწ. **ჲა-ბ-თგრ-იჴ**; ბუდ. **ჲორთუ**, **ჲე-ბ-თირჴი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **თე-ზე** „დატოვება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 257; გიგინეიშვილი 1977: 80; ჩკელ: 271 (ს.-ლეზგ. ***ჲათა̈რ**)].

ბოკოკესუნ; **უდ. ბოქ›-სუნ** „წვა“, „ხრუკვა“, შდრ. ლეზგ. **ქ·უზ, ქ·უნა**; თაბ. **უ-რ-გუზ**; აღ. **უგʷას**; ბურშ. **იგის**; არჩ. **ბ-ოქ·ას // ბ-უქ·ას, ბ-ორქ·ურ**; კრიწ. **უგაჯ**; ბუდ. **სუგორ, სუგოჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **იგეს** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 245; გიგინეიშვილი 1977: 79; ჩკელ: 860 (ს.-ლეზგ. ***ცოქ·ʷგ**)].

ბუკუს „საზომი“; **უდ. უსქ›სუნ** „აზომვა“, შდრ. ლეზგ. **ალცუმიზ**; თაბ. **ჲე-რ-ცუზ**; აღ. **ალცას**; ბურშ. **ალცანას**; ხნუხ. **ჰა-ბ-ცʷას**, დურ. **ჳ̂ა-რაცურ**; არჩ. **ა-ბ-სმუს**; კრიწ. **ჳ̈ცნიჯ**; ბუდ. **სონსუ, სე-ბ-სინჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ორცინე** „აზომვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 250-251; გიგინეიშვილი 1977: 90; ჩკელ: 260 (ს.-ლეზგ. ***ცალცʷან** „აზომვა“, „აწონვა“)].

ბოჲესუნ; **უდ**. ნიჯ. **ბაღʻა-ჲესუნ** „პოვნა“, შდრ. ?თაბ. **რა-ø-ჲʻუზ**; დიუბ. **ა-ჳ̂-ჲʻუს**; ბურშ. **რაჲʻას**; რუთ. **გა-ჳ̂-ჲ·ას**, მრ. **გა-დ-ჲ·ეს** „თვალთვალი“, „ყურება“; კრიწ. **ი-ბ-ჲ̈აჯ**; ბუდ. **ირჲი, გ-ბ-ჲაჯი**; სხვ. დაღ.: ჩირაღ. **-აჰʻ-** „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 121; ჩკელ: 547 (ს.-ლეზგ. ***ცარყ·ʻა̈** „ნახვა“)].

ბიყესუნ, ბაყესუნ; **უდ. ბიჲ›სუნ** „ჭერა“, „პყრობა“, შდრ. თაბ. **დ-იჲუზ**; არჩ. **ხოს**; სხვ. დაღ.: ჰუნძ. **-ოხა** „აღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 98; ჩკელ: 646 (ს.-ლეზგ. ***ციჲგ** „პოვნა“)].

ბუყესუნ, **უდ**. ვართ.-ზინ. **ბუჲ›სუნ** „ნდომა“, „ყვარება“, შდრ. ლეზგ. **კან ხ̆უნ**; თაბ. **ქ·უნ ხ̆უზ**; დიუბ. **გციჲუს**; აღ. **ქ·ან ხ̆ას**; რუთ. **ჳ̂-გგას**; წახ. კილ. **გქ·ანას**; არჩ. **ლʷან**; კრიწ. **იქ̈აჯ**; ბუდ. ტერმ. **ჲიქჱჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ოლცʻ-იზე** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ჩკელ: 645 (ს.-ლეზგ. ***ცილʷან**)].

ფ ბგერა: საერთოლეზგიური ***ფ** ბგერა იდენტური ბგერათშესატყვისობის მიხედვით აღდგება, თუმცა **ფ** ბგერა ლეზგიურ ენებში შეიძლება ზოგიერთი კომბინატორული თუ სპონტანური ცვლილებების შედეგადაც იყოს მიღებული.

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	*ფ

(უ)**ფესუნ**; **უდ. ფესუნ** „თქმა“, შდრ. ლეზგ. **ლუჰუზ**, **ლაჰანა**; თაბ. **ფუზ**; აღ. **ფას**; წახ. **ეჰეს** „ლაპარაკი“; არჩ. **ბოს**, **ჳარ**; კრიწ. **ლგფგჯ**, **ლური**, პროჰ. **მუცუ**; ბუდ. **ჲუცუ**, **ჲგფგჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **ე-ს** „თქმა“, ხუნძ. **ა-ბ-იზე** „ლაპარაკი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 88; გიგინეიშვილი 1977: 138; თალიბოვი 1980: 277; ჩკელ: 625 (ს.-ლეზგ. ***ციც‘ʷგ**)].

ფულ; **უდ. ფულ** „თვალი“, შდრ. ლეზგ. **ჳილ**, **-ი**; ხლუტ. **ულ**; თაბ., დიუბ. **ულ**, **-ი**; აღ., ფიტ., ბურკ. **ულ**, **-ი**; ბურშ. **ილ**; რუთ. **ულ**, **-ი-**, მრ. **-აბგრ** III; წახ. **ულ**, **-ენ** III; არჩ. **ლ-ურ**, მრ. **-ომ** III (**-ურ** – *მრ. რიცხვის მაწარმოებელი); კრიწ. **ჵულ**, **-ი** III; ბუდ. **ჵულ** III; სხვ. დაღ.: დარგ. **ჰული**, ხუნძ. **ბერ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 53; ლექსიკა 1971: 106; გიგინეიშვილი 1977: 69; თალიბოვი 1980: 268; ჩკელ: 250 (ს.-ლეზგ. ***ცʷილ**)].

პ ბგერა: **პ** არ აღდგება არც საერთოდაღესტნურ და არც საერთოლეზგიურ დონეზე. კავკასიის ალბანურში **პ** ბგერის მიღების ორი გზა შეინიშნება:

ლაბიალიზებული კომპლექსიდან, რომელიც უვულარული აბრუპტიული თანხმოვნისა და ბილაბიალური სონანტისაგან შედგება (***ყჳ**);

ბაგისმიერთა რიგის მჟღერი წევრისაგან (***ბ**):

პა‘; **უდ. ფ›ა‘** (< ***ყ‘ʷა**) „ორი“, შდრ. ლეზგ. **ჴ›ʷე-დ**; თაბ. **ყ‘უ-ბ**; დიუბ. **ყ‘უ-ჳ**; აღ., ფიტ. **ყ‘უ-დ**; ბურშ. **ყ‘უ-რ**; ბურკ. **ცად**; თფიღ. **ცუ-დ**; რუთ. **ჴ›‘ʷა-დ**; გილმ. **ყ‘ო-ლლ̈**; არჩ. **ჴ›‘ʷე**; კრიწ. **ჴ›ʷა-დ**; ბუდ. **ყა-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **კი-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 137; ჩკელ: 924 (ს.-ლეზგ. ***ჴ›‘ʷა̈**)].

ბიპ; უდ. ბიფჾ (< *ბიყʷ) „ოთხი“, შდრ. ლეზგ. **ყუ-დ**; თაბ. **ჲუყუ-ბ**; აღ. **ჲაყუ-დ**; რუთ. **ჲუყუ-დ**; გილმ. **ჲოყუ-ლლ̈**; არჩ. **ებყ**; კრიწ. **ჲუყუ-დ**; ბუდ. **ჲუყუ-ბ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **მუყ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 233; გიგინეიშვილი 1977: 135; ჩკელ: 489 (ს.-ლეზგ. ***ჲეჳყჷ**)].

უპ, აწმყოს ფუძე **ბი-ლ́ა-**; **უდ. ბიჲე-სუნ** „მოკვდომა“, „მოკვლა“, შდრ. ლეზგ. **რეყიზ**, **ყენა**, ბრძ. **ჲიყ**; თაბ. **ჲი-ø-კუზ**; არჩ. **კის**, **კარ**; აღ. **კას**; ბურშ. **კის**; რუთ. **ჳ-იყეს**, მრ. **დჷ-ყჷრყას**; წახ. **ჴეკეს**; კრიწ. **ყ̈ა-ჲიჯ**, დურ. **რჷყ̈არი**, ბრძ. **ს̈ყ**; ბუდ. **სარყარ**, **საყაჯი**; სხვ. დაღ.: ახვ. **ილ̣ʷუ-რულ̓ა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; გიგინეიშვილი 1977: 103; ჩკელ: 662 (ს.-ლეზგ. ***ცილ̣ʷე**)].

პი; **უდ. ფჾი** „სისხლი“, შდრ. გილმ. **ე-ბი**, **-ჲინ** III; არჩ. **ბი** III; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ბი** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა. 1971: 114; ჩკელ: 879 (ს.-ლეზგ. ***ფჾიჲ**)].

დ ბგერა: იმის მიუხედავად, რომ ***დ** ბგერა ლეზგიურ ენებში ძირითადად უცვლელადაა დაცული, მაინც შეინიშნება გარკვეული კომბინატორული თუ სპონტანური ცვლილებები. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ლეზგიური ენა გამოირჩევა. დაბალი აწეულობის ხმოვნების წინ ხდება ***დ** ბგერის დაყრუება და იგი გვაძლევს **თ**-ს, **თჾ**-სა ან **ტ**-ს, ხოლო მაღალი აწეულობის ხმოვნების წინ ***დ** გადადის სისინა აფრიკატებში (**ც**, **ცჾ**, **წ**), ხოლო ზოგჯერ – შიშინა აფრიკატებში (**ჩ**, **ჩჾ**, **ჭ**). ამას გარდა, ლეზგიურ ენებში გავრცელებულია: ბოლოკიდური ***დ** ბგერის დაყრუება (რუთულური, ხინალუღური, აღულურის ზოგიერთი თქმა); ***დ**-ს გადასვლა **ნ** ბგერაში (წახური, არჩიბული, უდიური, ხინალუღური); ***დ** > **რ** (თაბასარანული და აღულური ენების ზოგიერთ თქმაში); ***დ** > **ჲ** (დიუბეკის თქმაში); ***დ** > **თჾ** ინტერვოკალურ პოზიციაში (არჩიბული). თაბასარანულსა და ხინალუღურში დადასტურებულია ***დ** ბგერის აფრიკატიზაცია და გადასვლა შიშინა აფრიკატებში, აღულურში კი – სისინა აფრიკატებში.

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
დ	დ, ნ, ø	დ, თ, ტ, თ°, ც, წ, ც°	დ (რ, ჲ)	დ (რ)	დ, თ	დ, ნ	დ	დ	დ, ნ, თ, ჩ°, ø	დ, ნ, თ°	*დ

დაი „მწვანე“; **უდ. და̈ჲ** // **და̈ჲი** „უმი“, „მწვანე“ (ვართ.-ზინ. **დხი** „მწვანე“); აღ. **დიხ́ე-ჶ** „სველი“. ს. ნიკოლაევისა და ს. სტაროსტინის მიერ შემოთავაზებული კავკასიის ალბანური **დაი**-სა და უდიური **და̈ჲ** // **და̈ჲი**-ს დაკავშირება სხვა ლეზგიური და დაღესტნური ენების ზოგიერთ ფორმასთან (ხივ. **ურხ́უზ** „მოშარდვა“; რუთ. **სა̈-ჶ̂-ხ́ას**; წახ. **ალეხ́ას** „დნობა“ (რუთულურში და წახურში გამოხატულია აბლაუტის საფეხური *-ა̈-); ბუდ. **სოხ́ურუ** „მოშარდვა“ < ს.-ლეზგ. ***ცილʼარ** „დასველება“; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ილʼ-იზე** „გადასვლა თხევად მდგომარეობაში“, **ლʼალʼა-ზე** „მორწყვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 278]) ეჭვს აღძრავს.

ხოდ; **უდ. ხოდ** „ხე“, შდრ. დიუბ. **ღურდ-ინ ჰარ**; რუთ. **ხგდ**, **-გრ-** III; ***-დ**, საფიქრებელია, არის ისტორიული დერივაციული სუფიქსი, რომელიც ხეების აღმნიშვნელ სხვა სახელწოდებებშიც გვხვდება, შდრ.: დარგ. **ხურ**, წუდახ. **ხ°ურ** „ცაცხვი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 1079 (ს.-ლეზგ. ***ხ°ორთ°** III „ცაცხვი“)].

დე „მამა“, შდრ. თაბ. **ადაშ**; აღ. **დად**; რუთ. **დიდ**; წახ. **დაქ́**; ბუდ. **ადგ**; არჩ. **დიჲა**; სხვ. ნახ.-დაღ.: დარგ. **ადა**; ჩეჩნ. **და**; ინგ. **და**; შდრ. აგრეთვე: უდ. **სეჲ-დე** „მამამთილი“.

დურუდ „ჯვარი“, „ხე (ძელი)“, უდ. **დურუთʼ** „ხის მასალა“, შდრ. ლეზგ. **თ°არ**; აღ. **დარ**; კრიწ. **დარ**; ბუდ. **დგრ** „ხე“, „ტყე“;

დაიზდე „ოქრო“ (ზედმიწ. „მწვანე რკინა“ (**დაი-ზ(ი)დე**), შდრ. უდ. **და̈ჲ** „მწვანე“ და **ზიდო** „რკინა“), შდრ. ჩეჩნ. **დეში**; ინგ. **დოშუ**; დარგ. **დუბსი** < **დაბს°ე**.

დოგ „ძალიან“, შდრ. ჩამ. **ეკუ-**; ჰუნზ. **ტოკა-ბ**; ჩეჩნ. **დ-უყა** „კიდევ“.

ბოდესუნ; **უდ. ბოსთ›უნ** (< ***ბოთ›-სუნ**) „ჭრა“, „თარგის გამოჭრა“, შდრ. ლეზგ. **ატაზ**, **ატუნა**; თაბ. **ქთა-ø-ტუზ**; აღ. **ატას**; ბურშ. **ატის**; რუთ. **ჰა-ბ-ტʷას**; წახ. **ჰა-ბა-ტას** „გაუკაცრიელება“; არჩ. **ა-ბ-ტას**, **ბ-არტურ**; ბუდ. **ჲორო-ტუ**, **ჲო-ბ-ტუჯი**; კრიწ. **ჲა-ბ-ტგრიჯ**; სხვ. დაღ.: ურახ. **არტ-უს** „თარგის გამოჭრა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 252; თალიბოვი 1980: 285; ჩკელ: 272 (ს.-ლეზგ. ***ჲატʷგ**)]. ამ მაგალითში, როგორც ჩანს, კავკასიის ალბანურში დადასტურებული **დ** ბგერა საერთოლეზგიური ***ტ** ბგერისაგან მომდინარეობს.

თ ბგერა: საერთოლეზგიური ***თ** ლეზგიურ ენებში უცვლელადაა დაცული და იდენტური ბგერათშესატყვისობის საფუძველზე აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	*თ

ბართესუნ; **უდ. ბართესუნ** „გაშვება“, „დატოვება“, შდრ. ლეზგ. **თაზ**, **თუნა**; თაბ. **ღ-ი-ø-თუზ**; აღ., ბურშ. **ათას**; რუთ. **ს-ა-ბ-თას**; მრ. **სა-ლ-თას**; არჩ. **ა-ბ-თის**; კრიწ. **ჲა-ბ-თგრ-იჯ**; ბუდ. **ჲორთუ**, **ჲე-ბ-თირჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **თე-ზე** „დატოვება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 257; გიგინეიშვილი 1977: 80; ჩკელ: 271 (ს.-ლეზგ. ***ჲათჳ̆რ**)].

თურ; **უდ. თურ** „ფეხი“, შდრ. ლეზგ. **ჲუთურ**; ხლუტ. **ჲათურ**; თაბ. **ჲათურ**; კრიწ. **ჲეთგრ** IV; ბუდ. **ჲოთურ** IV „ბარკალი“. ევგ. ჯეირანიშვილი უდიურ სიტყვას უკავშირებს ქართულ მასალას [ჯეირანიშვილი 1952]. შდრ. დარგ. **ურდურ** „ბარკალი“. იხ. აგრეთვე: [საადიევი 1969: 118; ხაიდაკოვი 1973: 29; ჩკელ: 674 (ს.-ლეზგ. ***ჲათურ**)].

ტ ბგერა: საერთოლეზგიური ***ტ** ბგერა ლეზგიურ ენებში, როგორც წესი, დაცულია, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც შეინიშნება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ტ	თʼ, ø	ტ, წ	ტ, წ, ჭ	ტ, თˤ, წ	ტ, დ	ტ, ø	ტ	ტ	ტ, ს	ტ	*ტ

ბეტალა-ბიჲესუნ „გაყოფა“, შდრ. წახ. **ბიტალ-აცას**; სხვ. დაღ. **ბურ-ტ-ეს**; ბეჟ. **ბ-იტალ**.

ეტე „იქ“; შდრ. **უდ. თʼე** „ის“; აღ. **თი**; რუთ. **თი**; არჩ. **თო-ჳ**, აგრეთვე: თაბ. **დუ-მუ**, ლეზგ. **ა-ტა**; სხვ. დაღ.: ლაკ. **თა**, ხუნძ. **დო-** „ის“. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 404 (ს.-ლეზგ. ***თგ-** „ის“)]. **ტ** ბგერა წარმოდგენილ მაგალითში, როგორც ჩანს, საერთოლეზგიურ ***დ**-ს უკავშირდება.

გ ბგერა: მაგალითები გვიჩვენებს, რომ საერთოლეზგიურ ***გ**-ს კავკასიის ალბანურში **გ** ბგერის გარდა **კ**-ც შეესატყვისება. ***გ** ბგერა, თავის მხრივ, ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
გ, კ	გ, ქʼ	გ, ქˤ	გ	გ	გ, ქˤ	გ	გ	გ	გ, ქˤ, კ	გ, ქ, ქˤ	*გ

იგესუნ „ცემა“, „გვემა“, „ტანჯვა“, „დაცემა“, შდრ. ლეზგ. **გა-თ-უნ**; წახ. **გე-თ-ას**.

დოგ „ძალიან“, შდრ. ჩამ. **ეკუ-**; ჰუნზ. **ტოკა-ბ**; ჩეჩნ. **დ-უყა** „კიდევ“.

აკესუნ; **უდ. აქʼსუნ** „ნახვა“, შდრ. ლეზგ. **აქˤʷაზ**, **აქˤუნა**; თაბ. **ა-ø-გუზ** „ძებნა“; აღ. **აგʷას**; ბურშ. **აგʷას** // **უგას** „ძებნა“; რუთ. **ა-ჳ-გʷას**, მრ. **ა-დ-გʷეს**; წახ.

ჰǯგʷას, **ჰა-ჶ-გუ** „ჩვენება“; არჩ. **ბ-აქ·უს**, **ბ-არქ·ურ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **ქ·ʷაქ·ʷა-ნ** „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 65; ლექსიკა 1971: 243; გიგინეიშვილი 1977: 78; ჩკელ: 255 (ს.-ლეზგ. ***ცაქ·ʷӓ**)].

ბოკოკესუნ; **უდ. ბოქ·-სუნ** „წვა“, „ხრუკვა“, შდრ. ლეზგ. **ქ·უზ**, **ქ·უნა**; თაბ. **უ-რ-გუზ**; აღ. **უგʷას**; ბურშ. **იგის**; არჩ. **ბ-ოქ·ას** // **ბ-უქ·ას**, **ბ-ორქ·ურ**; კრიწ. **უგაჯ**; ბუდ. **სუგორ**, **სუგოჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **იგეს** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 245; გიგინეიშვილი 1977: 79; ჩკელ: 860 (ს.-ლეზგ. ***ცოქ·ʷგ**)].

ქ ბგერა: საერთოლეზგიური *ქ ლეზგიურ ენებში არ განიცდის ცვლილებებს და იდენტური ბგერათშესატყვისობის საფუძველზე აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	*ქ

საქ-ფესუნ; **უდ. საქსუნ** „დაქცევა“, „ხელიდან გავარდნა“, შდრ. თაბ. **ალდა-ø-ქუზ**; აღ. **ალღადარქას** „წაქცევინება“; ბურშ. **ალთ·არქის** „დასაძინებლად დაწოლა“; წახ. კილ. **ჰიღ‘აǯქარას**, **ჰიღ‘ა-ბ-ქგრ**; არჩ. **ე-ბ-ქას**, **ბ-ერქურ**; ბუდ. **ჵაშქი**, **ჵაქჷჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **ქა-ბ-ი-რქეს** „წაქცევა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 144; ჩკელ: 266 (ს.-ლეზგ. ***ცერქგრ** (// ***ცა-**)].

უქესუნ, **უდ. უქსუნ** „ჭამა“, შდრ. არჩ. **ქუმმუს**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ქʷინე** და სხვ. შდრ. [გიგინეიშვილი 1977: 80-81; ჩკელ: 207 (ს.-ლეზგ. ***ციქʷჵნ**)].

ქაენ; **უდ. ქაǯ** „განთიადი“, შდრ. ლეზგ. **ექʷ**, **-ჶნი**; თაბ. **აქʷ**, **-ნუ**; აღ. **ჵაქʷ**, **-აǯი**; ფიტ. **ექʷ**; ბურშ., ბურკ., თფიღ. **ცӓქʷ**; რუთ. **ǯაქʷ**, **-ა-** IV; არჩ. **აქ·ონ** IV (შდრ. **აქ·უ-ქეს** – თაბ. **აქუ ხ́უზ** გათენება); სხვა დაღესტნური ენების მონაცემთა გათვალისწინებით (ახვ. **ქʷან** „სინათლე“, ხუნძ. **ქან-** „ნათელი“ და სხვ.), კავკ.-ალბ. **ქაენ** და არჩ. **აქ·ონ** არქაულ ფორმებად გვესახება და არა სუფუქსურ წარმოებად.

დანარჩენ ენებში **-ნ** ელემენტი დაკარგულია. ამას გარდა, სამურულ ენებში, როგორც ჩანს, მოხდა მეტათეზა. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; ლექსიკა 1971: 199; გიგინეიშვილი 1977: 80; ჩკელ: 703 (ს.-ლეზგ. ***ცაქʷა** „სინათლე“)].

ქულ; **უდ**. **ქულ** „ხელი“, შდრ. ლეზგ. **ქულ**, **-უნი** „მაჯა“, „მტევანი“; თაბ. **ქϋლ-ერ** „ვაზი“; ბურკ. **ქულ**, **-უ** „ტოტი“; რუთ. **ქϋლ-ӓგ** IV „იდაყვი“; არჩ. **ქულ**, **ქურა**, მრ. **ქურღულ** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ქʷერ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 86; ლექსიკა 1971: 124; გიგინეიშვილი 1977: 69, 80; თალიბოვი 1980: 288; ჩკელ: 707 (ს.-ლეზგ. ***ქʷილ**)].

ა‘ქ-ფესუნ „სირბილი“, „სწრაფვა“, შდრ. აღ. **ჰუქ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ექე-**.

იქიჲა „ბრძენი“, შდრ. ხვარშ. **აქელლუ**; ჰინ. **აქელიშ**.

“**ორიენტირთან უშუალო შეხება**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ქ(ა)** (ადესივი I) – ს.-ლეზგ. ***-ქ-** > ლეზგ. **-ქ**: თაბ. **-ქ**: აღ. **-ქ**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუდ. **-ქ**: არჩ. **-ქ**.

კ ბგერა: საერთოლეზგირი *კ ლეზგიურ ენებში თითქმის არ განიცდის ცვლილებებს და ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის საფუძველზე აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
კ	ქ‘	კ, ქ	კ	კ	კ, ც	კ	კ	კ	კ, ∅	კ	*კ

კალა; **უდ**. ვართ.-ზინ. **ქ‘ალა** „კოჭლი“, შდრ. თაბ. **ლაკ ხ́უზ** „გადავარდნა“; რუთ. **არკას** „კოჭლობა“, **ალკა-დ** „კოჭლი“; გილმ. **კაჶა-ნ** „id“; სხვ. დაღ.: დარგ. **-ალკა** „კოჭლი“, ლაკ. **ჶ-ალკა ტუნ** „ფეხის არევა“, „ქანაობა“. არჩიბულში ინლაუტში **-ნ-** ელემენტის გაჩენა **ლანკ-ბოს** „კოჭლობა“ ფორმაში გარკვევას მოითხოვს, შდრ. აგრეთვე ლაკ. **ლინკ** „კოჭლობა“, ჩეჩნ. **ლӓნკა** „კოჭლი“ (იხმარება უარყოფით კონტექსტში). იგი, შესაძლებელია, სპარსული გავლენის შედეგად იყოს

მიღებული, თუმცა უშუალო სესხება საეჭვოა. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 261 (ს.-ლეზგ. ***ჺალკა̈-** // ***ლაკა̈-** „კოჭლობა“)].

ჰუ‘კ; **უდ. უქ›** // **უ̂ქ›** „გული“, შდრ. ლეზგ. **რიკ, -ი**; თაბ. **ჲუკʷ, კʷა**; აღ. **ირკʷ, -ურა**; ბურკ. **ირკʷ**; ბურშ., ფიტ. **ჲირკʷ**; რუთ. **ჲიკ, -ი-** IV; წახ. **ჲიკ, -ენ** IV; არჩ. **იკʷ** IV; კრიწ. **ჲიკ, -ი** // **-ა** IV; ბუდ. **ჲგკ** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **რაკ**, დარგ. **ურკი** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 86; დიუმეზილი 1933: 16; ლექსიკა 1971: 124; გიგინეიშვილი 1977: 82; თალიბოვი 1980: 289; ჩკელ: 678 (ს.-ლეზგ. ***ჲირკʷ**)].

უკა- „თქმა (აწმყოს ფუძე)“; **უდ. უქ›-** „თქმა“ (მყოფ. ფუძე) **უქ›ალ** „მთქმელი“, „მთხრობელი“, შდრ. ლეზგ. **ლუ̂კუ̂ნიზ** „თქმა“, „ლაპარაკი“; თაბ. **ბ-იკუზ**; ბურშ. **ლი-კანას**; წახ. **ოკანას, ო-ბ-კგნ**; სხვ. დაღ.: დარგ. **ლუკეს** „წერა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 261; ხაიდაკოვი 1973: 134; ჩკელ: 634 (ს.-ლეზგ. ***ჺილკან** „წერა“ (< „მოყოლა“?)].

კუბ „ვენახი“, შდრ. დიდ. **კუდი**; ჰინ. **კუდი**; ხუნძახ. **კოდო**.

კ ბგერა კავკასიის ალბანურში, როგორც აღინიშნა, შეიძლება საერთოლეზგიურ ***გ** ბგერასაც უკავშირდებოდეს, შდრ. [ჩკელ: 255; 860]:

აკესუნ; **უდ. აქ›სუნ** „ნახვა“, შდრ. ლეზგ. **აქჾʷაზ, აქჾუნა**; თაბ. **ა-ø-გუზ** „ძებნა“; აღ. **აგʷას**; ბურშ. **აგʷას** // **უგას** „ძებნა“; რუთ. **ა-უ̂-გʷას**, მრ. **ა-დ-გʷეს**; წახ. **ჰა̄გʷას, ჰა-უ̂-გუ** „ჩვენება“; არჩ. **ბ-აქჾუს, ბ-არქჾურ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **ქჾʷაქჾʷა-ნ** „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 65; ლექსიკა 1971: 243; გიგინეიშვილი 1977: 78; ჩკელ: 255 (ს.-ლეზგ. ***ჺაქჾʷა̈**)].

ბოკოკესუნ; **უდ. ბოქ›-სუნ** „წვა“, „ხრუკვა“, შდრ. ლეზგ. **ქჾუზ, ქჾუნა**; თაბ. **უ-რ-გუზ**; აღ. **უგʷას**; ბურშ. **იგის**; არჩ. **ბ-ოქჾას** // **ბ-უქჾას, ბ-ორქჾურ**; კრიწ. **უგაჯ**; ბუდ. **სუგორ, სუგოჯი**; სხვ. დაღ.: დარგ. **იგეს** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 245; გიგინეიშვილი 1977: 79; ჩკელ: 860 (ს.-ლეზგ. ***ჺოქჾʷგ**)].

5.2.2.2. აფრიკატები.

კავკასიის ალბანურში აფრიკატთა ოთხი ლოკალური რიგი გამოიყოფა: წინაალვეოლარული (სისინა) (**ძ, ც, წ, წჾ**?); ალვეოლარული (შიშინა) (**ჯ, ჩ, ჭ, ჭჾ**?);

უვულარულ აფრიკატთა ნაკლული რიგი (ჴ, ყ). კიდევ ერთი ლოკალური რიგი ველარიზებულ შიშინათა რიგს წარმოადგენდა. თავის მხრივ, შიშინათა ველარიზაცია კავკასიის ალბანურში, ისევე როგორც უდიურში, ფარინგალიზაციის თანამდევი პროცესი უნდა იყოს.

ძ ბგერა: კავკასიის ალბანურში უდიურის მსგავსად საერთოლეზგიურ ***ძ**-ს შეესატყვისება **ზ** ბგერა. თვით საერთოლეზგიური ***ძ** ბგერა შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ზ	ზ, ც	ძ, ზ, ცჾ	ძ, ზ	ძ, ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ძ, ცჾ, წ	ც, ცჾ	*ძ

მუზ; **უდ. მუზ** „ენა“, შდრ. ლეზგ. **მეზ**, **მეცჾი**; თაბ. **მელძ**; დიუბ. **მილძი**; აღ. **მეზ**, **-ურა**; რუთ. **მიზ**, **-ი-** III; წახ. **მიზ**, **-ენ** III; არჩ. **მაც** III; კრიწ. **მეზ**, **მიზ** // **-ილ** III; ბუდ. **მეზ** III; სხვ. დაღ.: ხუნძ. **მაწ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 85; ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 127; გიგინეიშვილი 1977: 70, 84; თალიბოვი 1980: 293; ჩკელ: 802 (ს.-ლეზგ. *__მელცჾ__)].

ც ბგერა: კავკასიის ალბანურში საერთოლეზგიური ***ც** წარმოდგენილია ორი რეფლექსით: **ც** და **ს**. აღსანიშნავია, რომ იგივე რეფლექსები უდიურსაც ახასიათებს:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ც, ს	ც, ს, შ	ც, ს	ც, ს	ც, ს	ც, ს	ც, ს	ს	ც, ს	ც, ს, შ	ს	*ც

ა(რ)ცესუნ; **უდ. არცესუნ** „ჯდომა“, „დაჯდომა“, შდრ. თაბ. **დუ-ø-სუზ** „დასმა“; სხვ. დაღ.: კარ. **კ-უს-ალ'ა** „დაჯდომა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 282 (ს.-ლეზგ. ***ც[ო]სᶾ**)].

ბუკუს „საზომი“; **უდ. უსქ·სუნ** „აზომვა“, შდრ. ლეზგ. **ალცუმიზ**; თაბ. **ꝏე-რ-ცუზ**; აღ. **ალცას**; ბურშ. **ალცანას**; ხნუხ. **ჰა-ბ-ცʷას**, დურ. **ჶა-რაცურ**; არჩ. **ა-ბ-სმუს**; კრიწ. **ჶä̈ცნიჯ**; ბუდ. **სონსუ, სე-ბ-სინჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ორცინე** „აზომვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 250-251; გიგინეიშვილი 1977: 90; ჩკელ: 260 (ს.-ლეზგ. ***ცალცʷან** „აზომვა“, „აწონვა“)].

საერთოლეზგიური ***ცᶾ** ბგერის რეფლექსაცია შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ჩ	ჩ	ზ, ქ, გ	ჩ	ც, ჩ	შ	ც, ჩ	შ	შ	ცᶾ	ს, შ	*ცᶾ

ვიჩი; **უდ. ვიჩი** „ძმა“, შდრ. თაბ. **ჩ°ი, -ჩᶾ°ი**; აღ. **ჩუ, -ჩᶾუ**; ბურკ. **ჩუ**; ბურშ. **ჩ°უꝏ**; ფიტ. **ქüꝏ**; რუთ. **შუ**, მრ. **-ბä**; წახ. **ჩოჟ** // **ჩოჯ, -გნ**; არჩ. **უშ-დუ**, მრ. **ოშობ**; კრიწ. **შიდ**, მრ. **შიꝏიმბი**; ბუდ. **შიდ, შიꝏ-**; კავკასიის ალბანურსა და უდიურში დადასტურებული ფორმა ყველაზე არქაულია, შდრ. სხვ. დაღ.: ხუნძ. **ვ-აცᶾ**, დარგ. **უზი** „ძმა“ და სხვ. შდრ. აგრეთვე უდ. **ხუნ-ჩი** „და“. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 86; ლექსიკა 1971: 128; გიგინეიშვილი 1977: 95; ჩკელ: 669 (ს.-ლეზგ. ***ჩ°გꝏ** (< ****ჶä-ჩგꝏ**)].

წ ბგერა: **წ** თანხმოვანი კავკასიის ალბანურში შეიძლება მომდინარეობდეს როგორც არაინტენსიური გლოტალური სისინა აფრიკატისაგან (***წ**), ისე ინტენსიური აფრიკატისაგან (***წᶾ**). ***წ** ბგერა ლეზგიურ ენებში შემდეგ რეფლექსებს გვაძლევს:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
წ, ø	ც', ø	წ, ც	წ	წ	წ, ს	წ, ს	წ	წ, ჭ	წ, ჭ	წ	*წ

ვიწ; **უდ. ვიც'** „ათი“, შდრ. ლეზგ. **წუ-დ**; თაბ. **ჲიწუ-ბ**; აღ., ბურკ. **იწუ-დ**; ბურშ. **ჲიწუ-რ**; ფიტ. **ჲიწუ-დ**; რუთ. **ჲიწჷ-დ**; გილმ. **ჲიწე-ლლჳ̈**; არჩ. **ჸიწ**; კრიწ. **ჲიწჷ-დ**; ბუდ. **ჲიწჷ-დ**; სხვ. დაღ.: დარგ. **ჸეწ-ალ**, ხუნძ. **აწ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 70; ჩკელ: 245 (ს.-ლეზგ. ***ჸიწჷ-**)].

საერთოლეზგიური არაინტენსიური გლოტალური სისინა აფრიკატი უდიურში ყველა პოზიციაში აუსლაუტის გარდა წარმოდგენილია ნულოვანი რეფლექსაციით, ხოლო აუსლაუტში იგი გვაძლევს პრერუპტივს (სოფ. ზინობიანის მეტყველებაში – აბრუპტივს). ანლაუტსა და ინლაუტში **წ** ბგერის დაკარგვის პროცესი კავკასიის ალბანურშიც შეინიშნება (იხ. **ენ̈ი** „ახალი“), თუმცა ბოლომდე დასრულებული არ არის (იხ. **წე** „ცეცხლი“).

წე; **უდ. ა-რუხ** „ცეცხლი“ (***წა-რუხ** – Pl. Tantum), შდრ. ლეზგ. **წაჲ**, **წუ** (ხლუტ. **ჲჷწჷ**); თაბ. **წა**, **წი**; აღ. **წა**, **წი**; ბურშ., ბურკ. **წა**; ფიტ. **წაჲ**; რუთ. **წაჲ**, **წჷ** IV; იხრ. **წა̈**; ხნოვ. **წა**; წახ. **წა**, **-ჲჷნ**, IV; არჩ. **ოწ**, ლოკ. **წერე-ჴ'** IV; კრიწ. **წა̈**, **წჷრ** IV; ბუდ. **წჷ̂**, **-ჲილ-** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წა**, ლაკ. **წუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 83; ლექსიკა 1971: 193; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკელ: 354 (ს.-ლეზგ. ***წაჲ**)].

ენ̈ი (< ***წ-ენ̈ი**); **უდ. ინი** (< ***წ-ინი**) „ახალი“ (აზერბაიჯანულ **ჲენი**-სთან მსგავსება ან შემთხვევითია, ანდა აზერბაიჯანული ფორმა კავკასიის ალბანურისაგან უნდა იყოს მიღებული), შდრ. ლეზგ. **წიჲი**; თაბ. **წიჲი**; აღ. **წაჲე-ჶ**; რუთ. **წინ-დჷ**; წახ. კილ. **წე-დ-ჷნ**; არჩ. **მაწა**; კრიწ. **წიჲა̈**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წი-ჲაბ**, კარ. **წინო-ბ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ბოკარევი 1961: 70; გიგინეიშვილი 1977: 100; თალიბოვი 1980: 296; ჩკელ: 357 (ს.-ლეზგ. ***წენჲა̈-** // **წენჸა̈**)].

ბაჸ (< ***ბაწ**); **უდ. ბუჸ** (< ***ბუწ**) „სავსე“, შდრ. ლეზგ. **აწუზ, აწუნა**; თაბ. **ა-ø-წუზ**; აღ. **აწას**; რუთ. ტერმ. **ა-ჷ̂-წგრ**; წახ. **გ,აწ̄ს**; არჩ. **ა-ბ-წას**; კრიწ. **ჭაწ̈-დ** „სავსე“; ბუდ. **სარწარ, სგ̂-ბ-წგ̂ჯი** (კაუზ. **სერწი**); სხვ. დაღ.: ხუნძ. **წე-ზე**, ლაკ. **-უწი-ნ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; ლექსიკა 1971: 255; გიგინეიშვილი 1977: 100; ჩკელ: 526 (ს.-ლეზგ. ***ჳʻაწგ** „ავსება“, „გავსება“)]. ამ მაგალითში **წ** ბგერა კავკასიის ალბანურსა და უდიურში განიცდის პალატალიზაციას, რომლის მიზეზი ნათელი არ არის.

საერთოლეზგიური ***წᵒ** ბგერა შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
წ	ცˀ, ჩˀ	თ, ტ, წ	ცᵒ, ჩᵒ˚	თᵒ, ტ, თ	თ, თᵒ, დ	თ, თᵒ, დ	თ	თ	წ	წᵒ	*წᵒ

წი; **უდ. ცˀი** „სახელი“, შდრ. ლეზგ. **ტʷარ**, **-წი** // **-უნი**; ხლუტ. **თᵒʷარ**; თაბ. **ჩᵒ˚ურ**, **-ნუ**; დიუბ. **ძურ**, **-ი**; აღ. **თᵒურ**, **-ი**; რუთ. **დურ** IV; წახ., გილმ. **დო**, **-ჸგნ** IV; არჩ. **წორ**, მრ. **-ომ** IV; კრიწ. **თგრ**, **-ა** IV; ბუდ. **თურ** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **წᵒარ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 87; ლექსიკა 1971: 142; გიგინეიშვილი 1977: 68, 106; თალიბოვი 1980: 264, 297; ჩკელ: 1098 (ს.-ლეზგ. ***წᵒʷერ**)].

კავკასიის ალბანურში მეორე **წ** ბგერაც დასტურდება, რომელიც, სავარაუდოდ, ამ თანხმოვნის ინტენსიური ვარიანტი უნდა იყოს. ამ ვარაუდს ერთადერთი მაგალითიც ადასტურებს, რომელშიც ეს ბგერა როგორც საერთოლეზგიურ, ისე საერთოდაღესტნურ დონეზე ***წᵒ**-ს შეესატყვისება:

მუწᵒურ „სუფთა“, „წმინდა“; უდ. **აცˀარ** (< ***მაწარ**), **მაცˀი** „თეთრი“, შდრ. თაბ., ყანდ. **მარცᵒი**; დიუბ. **მარძი**; აღ. **მაʻრთᵒე-ჶ**; ხნუხ. **მგ̂თ-დგ** „გამჭირვალე“ (წყალზე ითქმის); ?წახ. **მ̈ʻთᵒგʻ-ნ**; არჩ. **მარწ** (შდრ. **მარწᵒ-ას** „გაწმენდა“); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ბა-წᵒ-ად**; ანდ. **ბერ-წᵒ-ომ**; ახვ. **მა-წᵒა-დაბე**; ბაგვ. **ბა-წ-არ-აბ**; ტინდ. **ბა-ცᵒ-აჸ-აბ**; ბეჟ. **ჸა^{ნ}-ც-**

ოჲო; ლაკ. **მარწ-**, **მარცჾ-**; დარგ. **უმუ-ზ-ი** „სუფთა“, „წმინდა“; შდრ. აგრეთვე: დიდ. **ბო-ცც-ჴსი** „გაწმენდილი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 71; ლექსიკა 1971: 227; გიგინეიშვილი 1977: 107 (ს.-დაღ.: ***ბა-წჾ-ად**); ჩკელ: 552 (ს.-ლეზგ. ***მა̒რწჾგ-** „სუფთა“); არდოტელი 2012: 20].

ჯ ბგერა: საერთოლეზგიური ***ჯ** ბგერა უდიურში სამი რეფლექსით არის წარმოდგენილი: **ჯ**, **ჩ**, **ჩ̓**. მათგან, მხოლოდ **ჩ** (როგორც მარტივი, ისე ველარიზებული) დასტურდება კავკასიის ალბანურში.

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ჩ, ჩ˜, შ˜	ჯ, ჩ, ჩ̓	ჯ, ჩჾ, ჭ	ჯ, ჩ, ჩჾ°	ჯ, ჩ	ჯ, ჩ, ჭ, ø	ჯ, ჭ	ჯ, ჩჾ	ჯ, ჩ, ჭ	ჯ, ჩ, ჭ	ჩ, ჭ, ø	*ჯ

იჩ; **უდ. იჩ** „თვითონ“,შდრ. ლეზგ. **ჟუჶ**; თაბ. **ჟ°უჶ**; რუთ. **ჶუჯ** I, **რიჯ** II, მიც. **ჯუ-ს** I, **ჯი-ს** II; წახ. **ჶუჯ** I, **ჲიჯ** II, ნათ. **ჯუ-ნა** I, **ჯე-ნა** II; არჩ. **ინჟ**, ერგ. **ჟუ** I, **ჟე** II; კრიწ. **იჯ** II; სხვ. დაღ.: ანდ. **ჟი-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 114; თალიბოვი 1980: 299; ჩკელ: 347 (ს.-ლეზგ. ***ɥიჟ** (**უ-იჟ** I, **რ-იჟ** II), ირ. ფუძე ***ჟ°ი-** I, ***ჟე-** II ***ɥიჩ**; (***ჶ-იჩ**, ***ჲ-იჩ**), ირ. ფუძე ***ჩი-** „თვითონ“ (III−IV)].

ჩ˜ა; **უდ. ჩ˜ო** „სახე“, შდრ. ლეზგ. **ჩჾინ**, **-ი**; ხლუტ. **ჲიჩჾინ**; კრიწ. **იჯინ** III; ბუდ. **იჯინ** III; სხვ. დაღ.: ლაკ. **ლაჟინ**, ახვ. **რიჟი** „სახე“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 296; ლექსიკა 1971: 116; ჩკელ: 678 (ს.-ლეზგ. ***ჲიჩჾინ**)].

აშ˜ალ; უდ. **ოჩ˜ალ** „დედამიწის ზედაპირი“, „ნიადაგი“, შდრ. ლეზგ. **ჩჾილ**; წახ. **ჭიჲე**; იხ. აგეთვე: [თალიბოვი 1980: 299].

ჩ ბგერა: **ჩ** ბგერა როგორც კავკასიის ალბანურსა, ისე უდიურში სხვადასხვა წარმოშობისაა. ის შეიძლება საერთოლეზგიური ინტენსიური სისინა არაგლოტალური თანხმოვნისა (***ცჾ**) ან ინტენსიური შიშინა არაგლოტალური

თანხმოვნისაგან (***ჩ°**) მომდინარეობდეს. თავის მხრივ, საერთოლეზგიურ ***ჩ** ბგერას კავკასიის ალბანურსა და უდიურში შეესატყვისება **შ** სპირანტი:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
შ (>) ჟ	შ	ჩ, შ	ჩ	ჩ, შ	ჩ, შ, ჟ	ჩ, შ	ჩ, ჟ	ჩ	ჩ, ჟ	შ	*ჩ

ბეში, **უდ. ბეში** „ჩვენი“ (ნათ.), შდრ. ლეზგ. **ჩი(ნ)**; თაბ. **იჩ**; აღ. **იჩ**; შინ. **იშ-დგ**; წახ. **ჲიშ-** „ჩვენ“ (ექსკლ.). იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1089 (ს.-ლეზგ. ***იჯ**)].

მუშ „ქარი“, „ჰაერი“; **უდ. მუშ** „ქარი“, შდრ. დიუბ. **მიჩ** „იმედი“; ბურშ. **მუშ** „იმედი“; წახ. კილ. **მგც**, **-გნ** III „ქარი“; წახურში შეინიშნება არაკანონზომიერი რეფლექსი *-**ჩ** > **-ც**; სხვ. დაღ.: ლაკ. **მარჩ** „ქარი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 180; გიგინეიშვილი 1977: 92; ჩკელ: 826 (ს.-ლეზგ. ***მუჩ**)].

ჟან, მიც. **ჟა-** „ჩვენი“ (ნათ.), შდრ. ლეზგ. **ჩუნ**, ირ. ფუძე **ჩა**; თაბ. **უჩუ**; აღ. **ჩინ**; შინ. **ჟი**; წახ. **ში**; კრიწ. **ჟინ**, ირ. ფუძე **ჟä-**; ბუდ. **ჟინ** „ჩვენ“ (ექსკლ.) სხვ. დაღ.: ხუნძ. **ნიჟ**, ლაკ. **ჟუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 79; ბოკარევი 1961: 66; გიგინეიშვილი 1977: 114; ჩკელ: 1089 (ს.-ლეზგ. ***ჯი-ნ**, ***ჯა**)].

საერთოლეზგიური ***ჩ°** ბგერა შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	შ	ჩ, შ	?	?	ჩ°	შ	*ჩ°

***ჰეჩესუნ** (< **ჰეჩალ** სრ. სახის მიმღ.); **უდ. ეჩ-სუნ** „მოტანა“, „მოყვანა“, შდრ. ლეზგ. **ჴ°აჩუზ**, **ჴ°აჩუნა**; წახ. **სა-ბა-ჩეს** „მიღება“, „წაღება“; სხვ. დაღ.: დარგ. **-უჩ-ეს**

„კრეფა“, ხუნძ. **-აჩ̇-იზე** „წაღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 254 (ს.-ლეზგ. ***ცაჩ̊გ** „აღება“)].

იჩ; **უდ. იჩ** „თვითონ“,შდრ. ლეზგ. **ჸიჩ**, მრ. **ჩებ**; თაბ. **უჩ̊**, ნათ. **ჩან**, მრ. **ჩიბ**; ბურშ. **იჩ̊**, ერგ. **ჩე**, მრ. **ჩაჸ**; წახ. ნათ. **ჩი-ნა** III, **ჩი-ნ** IV; სხვ. დაღ.: დარგ. მრ. ერგ. **ჩუ-ლი**, მიც. **ჩუ-ს** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 347 (ს.-ლეზგ. ***ციჟ** (**უ-იჟ** I, **რ-იჟ** II), ირ. ფუძე ***ჟ̊ი-** I, ***ჟე-** II ***ციჩ**; (***ჸ-იჩ**, ***ჲ-იჩ**), ირ. ფუძე ***ჩი-** „თვითონ“ (III–IV)].

ვიჩი; **უდ. ვიჩი** „ძმა“, შდრ. თაბ. **ჩ̊ი**, **-ჩ̇̊ი**; აღ. **ჩუ**, **-ჩ̇უ**; ბურკ. **ჩუ**; ბურშ. **ჩ̊უჲ**; ფიტ. **ქჷჲ**; რუთ. **შუ**, მრ. **-ბӓ**; წახ. **ჩოჟ** // **ჩოჯ**, **-გნ**; არჩ. **უშ-დუ**, მრ. **ოშობ**; კრიწ. **შიდ**, მრ. **შიჲიმბი**; ბუდ. **შიდ**, **შიჲ-**; კავკასიის ალბანურსა და უდიურში დადასტურებული ფორმა ყველაზე არქაულია, შდრ. სხვ. დაღ.: ხუნძ. **ვ-აც̇**, დარგ. **უზი** „ძმა“ და სხვ. შდრ. აგრეთვე უდ. **ხუნ-ჩი** „და“. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 86; ლექსიკა 1971: 128; გიგინეიშვილი 1977: 95; ჩკელ: 669 (ს.-ლეზგ. ***ჩ̊გჲ** (< ****ჸჰ-ჩგჲ**)]. ეს მაგალითი საერთოლეზგიური ***ც̇** ბგერისაგან არის მიღებული.

ჩიბუხ „ქალი“, „ცოლი“, შდრ. უდ. **ჩუბუხ** (ვართ.-ზინ.), **ჩუვუხ** (ნიჯ.); თაბ. **შიჸ**; წახ. **ხ́უნაშ̇ე**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ჭუჭუ**; ლაკ. **შარშა**; ჩეჩნ. **ზუდა**. **ჩ** ბგერა ამ მაგალითში, საფიქრებელია, საერთოლეზგიურ ***შ** ბგერას უკავშირდება.

ჭ ბგერა: საერთოლეზგიური ***ჭ** ბგერა კავკასიის ალბანურში წარმოდგენულია ნულოვანი რეფლექსაციით და სხვა შესატყვისი მას არ დაეძებნება. ეს, როგორც ჩანს, იმითაა გამოწვეული, რომ უდიურში არაინტენსიური ***ჭ** ბგერა შემონახულია მხოლოდ სიტყვის აუსლაუტში (უფრო ზუსტად – პრერუპტივშია გადასული, თუ სოფ. ზინობიანის მეტყველებას არ მივიღებთ მხედველობაში, რომელშიც აბრუპტივი შენარჩუნებულია), ხოლო ყველა დანარჩენ პოზიციაში ის ნულოვან რეფლექს გვაძლევს („ცხრა“ ლექსემის აუსლაუტში, სადაც **ჭ** ბგერა საერთო წესის მიხედვით უნდა შენარჩუნებულიყო, ის, უდიურის მსგავსად, პალატალიზაციას განიცდის და გადადის **ჲ** ბგერაში). თავის მხრივ, საერთოლეზგიური ***ჭ** ბგერა შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ø, ჯ?	ჩʾ, ø	ჯ	ჯ, ჩჾ°	ჯ	ჯ	ჯ	ჯ, წ, კ	ჯ	ჯ, ზ, კ	ჯ	*ჯ

ილ̃(უ) „სიტყვა“, „ხმა“, „მეტყველება“, შდრ. ლეზგ. **ჭალ**; თაბ. **ჭალ**; აღ. **ჭალ**; რუთ. **ჭელ**; კრიწ. **ჭელ**; ბუდ. **ჭელ**; არჩ. **ჭათ**.

ვუჲ; **უდ. ვუჲ** „ცხრა“, შდრ. ლეზგ. **კუ̃-დ**; ყურაღ. **ჭუ̃-დ**; თაბ. **ურჭ°უ-ბ**; დიუბ. **ჰურჭუ-უ̃**; აღ. **ჲარჭუʻ-დ**; ბურშ. **ჲერჭ°უ-რ**; ფიტ. **ჲერკუ̃-დ**; ბურკ. **ჲერჭუʻ-დ**; რუთ. **ჰუჭუ-დ**; წახ. **ჲიჭუ-ლლჿ**; არჩ. **უჭ**; კრიწ. **ჲიჭი-დ**; ბუდ. **უ̃იჭი-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **იჭ-**, ლაკ. **ურჭ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 208 (ს.-ლეზგ. ***უ̃**[**ი**]**ლჭ°გ-**)].

კავკასიის ალბანურში ასევე არ ჩანს საერთოლეზგიური ***ჭჾ** ბგერის რეფლექსი, რომელიც შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
?	ჩʾ	ჯ	ჩჾ	ჯ	ჯ, ჩ	ჯ	ჯ, ჩ	ჯ	ჯ	ჯ, ჯჾ	*ჯჾ

თავის მხრივ, კავკასიის ალბანურში სავარაუდოდ მოგვეპოვება **ჭჾ** ბგერა (მისი ფონემური ღირებულება დადგენილად ვერ ჩაითვლება), რომელიც უდიურ **ჭ** ბგერას შეესატყვისება, თუმცა ერთადერთი მაგალითის მიხედვით ის თითქოსდა საერთოლეზგიურ ***წ**-ს უკავშირდება, რაც ამ ბგერის კანონზომიერ რეფლექსად ვერ ჩაითვლება:

აყაჭჾი, უდ. **აყაჭი** [შიფნერი 1863: 74] „შიშველი“; შდრ. ლეზგ. **ყეწილ**; თაბ. **ყაწლი**; აღ. **ყაწულ-ჶ**; რუთ. **ჰაʻწულ**; წახ. **წელერ**; კრიწ. **ყაწუ-ნ**; ბუდ. **ყაწუ-ნ**.

ველარიზებული (ფარინგალიზებული) შიშინა აფრიკატები: კავკასიის ალბანურს მოეპოვება ველარიზებული შიშინა აფრიკატების სამეული. როგორც აღინიშნა, შიშინათა ველარიზაცია, ისევე როგორც უდურში, ფარინგალიზაციის პროცესს უნდა უკავშირდებოდეს.

ჩ˜ ბგერა თითო-თითო მაგალითის მიხედვით უკავშიდება საერთოლეზგიურ *ჯ და *ძ ბგერებს. მეორე შემთხვევაში კავკასიის ალბანური რეფლექსი კანონზომიერად ვერ ჩაითვლება:

ჩ˜ა; **უდ. ჩ˜ო** „სახე“, შდრ. ლეზგ. **ჩჾინ**, **-ი**; ხლუტ. **ჲიჩჾინ**; კრიწ. **იჯინ** III; ბუდ. **იჯინ** III; სხვ. დაღ.: ლაკ. **ლაჟინ**, ახვ. **რიჟი** „სახე“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 296; ლექსიკა 1971: 116; ჩკელ: 678 (ს.-ლეზგ. ***ჲიჩჾინ**)]. აქ ამოსავალია საერთოლეზგიური ***ჯ** ბგერა.

ჩ˜უდუ „ცა“, შდრ. ლეზგ. **ცჾაჶ**; თაბ. **ძაჶ**, **ზაჶ**; აღ. **ძაჶ**, **ზაჶ**; კრიწ. **ზოვ**; ბუდ. **ზგვ**; ხინ. **ძო**. აქ ამოსავალი უნდა იყოს საერთოლეზგიური ***ძ** ბგერა.

საერთოლეზგიურ ***ჯ** ბგერას ველარიზებული **შ˜**-ც უკავშირდება. აქ საქმე მეორად სპირანტიზაციასთან უნდა გვქონდეს.

აშ˜ალ; უდ. **ოჩ˜ალ** „დედამიწის ზედაპირი“, „ნიადაგი“, შდრ. ლეზგ. **ჩჾილ**; წახ. **ჭიჲე**; იხ. აგეთვე: [თალიბოვი 1980: 299].

ჭ˜ კავკასიის ალბანურში ერთი მაგალითის მიხედვით საერთოლეზგიური ***შ** ბგერისაგან მომდინარეობს:

ბაჭ˜; **უდ. ბაჩ˜** „ასი“, შდრ. ლეზგ. **ჸიშ**; თაბ. **ჸარჟ**; დიუბ. **ჸარჟა**; აღ. **ბა‘რშ**; ბურშ. **ჸა̈რშ**; რუთ. **ჸა̈შ**; გილმ. **ჸა‘შ**, **-ენ**; არჩ. **ბა‘შა-**; სხვ. დაღ.: ლაკ. **თჾ-ურშ**, ახვ. **ბეშანო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 51; ჩკელ: 588 (ს.-ლეზგ. ***ჸა‘ლშ-**)]. ამ მაგალითში კავკასიის ალბანური რეფლექსი არაკანონზომიერია. ხომ არ მოხდა აქ მეორადი აბრუპტივიზაცია?

საეთოლეზგიურ დონეზე აღდგება უვულარულ აფრიკატთა ხუთეული: ***ჴ**, ***ჳ**, ***ჳჾ**, ***ყ**, ***ყჾ**. ამათგან, კავკასიის ალბანურში დასტურდება მხოლოდ ორი უვულარული აფრიკატი (**ჳ**, **ყ**).

უვულრული ხუთეულის მჟღერი წევრი საერთოლეზგიურში შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ღ	ღ, ხ	ღ, ჯ^{ვ}	ღ, ჯ^{ვ}	ღ, ჟ, ჯ^{ვ}, ყ	ღ, ჯ^{ვ}	ღ, ჯ^{ვ}	ღ, ჯ^{ვ}	ღ, ჯ^{ვ}	ღ, კ, ყ	ჯ, ხ^{ვ}	*ჲ

ბე‘ღ; **უდ. ბეღ‘** „მზე“, შდრ. ლეზგ. **რაღ**, **რაჯ^{ვ}ინი**; თაბ. **რიღ**, **-დი**; აღ. **რაღ**, **-უ**; რუთ. **ჳ̂ირიღ**, **-რღი-** III; წახ. **ჳ̂ირგღ** // **ჳ̂ერგღ**, **-რღენ** III; არჩ. **ბარჯ**, **ბერჯე** III; კრიწ. **ჳ̂ირაღ** III; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ბაყ^{ვ}** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1930: 82; დიუმეზილი 1933: 20; ლექსიკა 1971: 184; გიგინეიშვილი 1977: 75; ჩკელ: 1051 (ს.-ლეზგ. ***ჳ̂ირაჯ^{ვ}**)].

ღი; **უდ. ღი** „დღე“, შდრ. ლეზგ. **ჲუღ**, **ჲიჯ^{ვ}ა**; თაბ. **ჲიღ**, **-ა**, დიუბ. **ჲიჯ^{ვ}ი**; აღ. **ჲაღ**, **-უჲინ**; ფიტ., ბურკ. **ჲაღ**; ბურშ. **ჲაჟ**; რუთ. **ჲიღ**, **-ა-** IV; წახ. **ჲგღ**, **-გნ** IV; არჩ. **იჯ** IV; კრიწ. **ჲიღ**, **-ø** // **-ა** IV; ბუდ. **ჲიღ** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ყო** და სხვ. შდრ. [ტრუბეცკოი 1930: 82; ლექსიკა 1971: 183; გიგინეიშვილი 1977: 85; თალიბოვი 1980: 303; ჩკელ: 622 (ს.-ლეზგ. ***ჲიჯ^{ვ}**)].

ღე; **უდ. ღე** „დღეს“, შდრ. ლეზგ. **ჯ^{ვ}ე**; თაბ. **ღი**; დიუბ. **ჯ^{ვ}ი**; რუთ. **ღი-ღა**; წახ. **ღი-ნ,ა**; წახ. კილ. **ჯ^{ვ}გ-ნა**; არჩ. **ჯი** „დღისით“; კრიწ. **ჯ^{ვ}ე**; ბუდ. **ჯ^{ვ}ე**; ***ჯ^{ვ}ი** // **ჯ^{ვ}ӓ**. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 97; ჩკელ: 622 (ს.-ლეზგ. ***ჲიჯ^{ვ}** „დღე“)].

ჯ ბგერა: საერთოლეზგიური *ჯ ბგერა როგორც უდიურსა, ისე კავკასიის ალბანურში წარმოდგენილია ნულოვანი რეფლექსაციით. სხვა ლეზგიურ ენებში კი *ჯ ბგერის რეფლექსაცია ასეთია:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ø	ø	ხ, ჯ	ხ, ჯ	ხ, ჯ	ხ, ჯ	ხ, ჯ	ხ, ჯ	ხ, ჯ	ჯ	ხ	*ჯ

მუ, **უდ**. მუ „ქერი“, შდრ. ლეზგ. **ნეხʷ** (ერთგვარი მარცვლეული, ლათ. Tríticum spélta); ?არჩ. **ბუყ**, **-არი** III; სხვ. დაღ.: ანდ. **ნიხა**; ახვ. **ნიჯა**, **მუყა**; ხვარშ. **ნიხა**; დარგ. **ნიჯ̈**; ლაკ. **ნეჯა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 92; ჩკელ: 1058 (ს.-ლეზგ. ***მუყ**)].

საერთოლეზგიური გემინირებული აფრიკატი ***ჯჾ** შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ჯ?	ჯ	ჯ, ღ	ჯ	ჯ	ხ, ჯ	ჯ	ხ, ღ	ჯ	ქ	ხ	*ჯჾ

***-ჯ-ოშ** (*ორიენტირთან უკნიდან მოახლოების მაწარმოებელი), **-ოშ** (*ლატივის მაწარმოებელი); **უდ**. **ჯო-შ** „უკან“, „შემდგომ“, შდრ. ყანდ. **ჯა**; რუთ. **ჯუჲ-სურ** „უკანა ნაწილი“; არჩ. **ხი-რ** // **ხა-რა**; იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 1027 (ს.-ლეზგ. ***ჯ̄-**)].

ბოჯესუნ; **უდ**. ნიჯ. **ბაღ‘ა-ძესუნ** „პოვნა“, შდრ. ?თაბ. **რა-ø-ჯ‘უზ**; დიუბ. **ა-ჷ-ჯ‘უს**; ბურშ. **რაჯ‘ას**; რუთ. **გა-ჷ-ჯჾას**, მრ. **გა-დ-ჯჾეს** „თვალთვალი“, „ყურება“; კრიწ. **ი-ბ-ჯ̈ჯ**; ბუდ. **ირჯი**, **გ-ბ-ჯაჯი**; სხვ. დაღ.: ჩირაღ. **-აჳ‘-** „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 121; ჩკელ: 547 (ს.-ლეზგ. ***ყარყჾ‘ჵ** „ნახვა“)].

აქ მაგალითების მიხედვით შესაძლებელია როგორც საერთოლეზგიური ***ჯჾ**-სა, ისე სუსტი ***ჯ**-ს პოსტულირება.

ჯ ბგერა კავკასიის ალბანურში ხშირად საერთოლეზგიური ლატერალური აფრიკატების რეფლექსად გვევლინება (იხ. „საერთოლეზგიური ლატერალური აფრიკატების შესატყვისობანი“).

ჯო; **უდ. ჯო** „ხუთი“, შდრ. ლეზგ. **ჲა-დ**; თაბ. **ხ´უ-ბ**; დიუბ. **ხ´უ-ჲ**; აღ. **ჵა-ფუ-დ**; რუთ. **ხ´უ-დ**; წახ. **ხ´ო-ლლჾ**; არჩ. **ლჾო, ლʼʷეჲ-ტუ**; კრიწ. **ფგ-დ**; ბუდ. **ფგ-დ**; სხვ. დაღ.: დიდ. **ლʼე-ნო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 193; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ: 426 (ს.-ლეზგ. ***ლჾʷე**)].

უʻჯ; **უდ. უჯʻ** „ექვსი“, შდრ. ლეზგ. **რუგუ-დ**; ნუტ. **რუღუ-დ**; თაბ. **ჲირხ´უ-ბ**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერხ´ი-დ**; ბურშ. **ჲერ-ში-რ**; რუთ. **რიხ´გ-დ**; წახ. **ჲიხ´გ-ლლჾ**; არჩ. **დილʻ, დილʻიჲტუ**; კრიწ. **რგხ´გ-დ**; ბუდ. **რგხ´გ-დ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **რაჱ-**, ხუნძ. **ანლჾ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 192–193; ჩკელ: 219 (ს.-ლეზგ. ***რილ̆გ**)].

ეʻჯალ „წვივი“, შდრ. რუთ. **ღილ**; წახ. **ღელ´**; კრიწ. **ღილ**; ბუდ. **ღილ**; არჩ. **მოლჾოლ**.

ყ ბგერა: **ყ** ბგერა კავკასიის ალბანურში სხვადასხვა წარმოშობისაა: ის შეიძლება საერთოლეზგიურ ***ყ** ბგერას უკავშირდებოდეს, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება მომდინარეობდეს როგორც საერთოდაღესტნური უვულარული აფრიკატისაგან (***ყ**), ისე საერთოდაღესტნური ფარინგალიზებული უვულარული ხშულ-მსკდომისაგან (***ყʻ**). ხშირად **ყ** ბგერა კავკასიის ალბანურში საერთოლეზგიური ლატერალური აფრიკატების რეფლექსად გვევლინება.

საერთოლეზგიური სუსტი უვულარული გლოტალური აფრიკატი ***ყ** შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ყ, ღ	ჯ̄, ღ, ø	ყ	ყ	ყ, ჵ	ყ	ყ, კ	ყ	ყ	ყ, კ, ღ	ყ	*ყ

აყაჭ᾽ი, უდ. **აყაჭი** [შიფნერი 1863: 74] „შიშველი“; შდრ. ლეზგ. **ყეწილ**; თაბ. **ყაწლი**; აღ. **ყაწულ-ჶ**; რუთ. **ჰა‘წულ**; წახ. **წელერ**; კრიწ. **ყაწუ-ნ**; ბუდ. **ყაწუ-ნ**.

ბუ‘ღა; ნიჯ. **ბიღ‘** // **ბჹღ‘** „შუაწელი“, შდრ. ლეზგ. **ჲუყ**, **-ჶა** „შუაწელი“, „წელი“; თაბ. **ჲუჴ᾽‘ʷ**, **-ჲ** (-ა-) „წელი“; ყანდ. **ჲიყ** „ზურგი“; დიუბ. **ჲიყი** „წელი“; აღ. **იყ‘** „შუაწელი“; ბურშ. **ჲიყ‘** „ზურგი“; თფიღ. **ჲაც** „ზურგი“; ფიტ. **ჲიყ** „შუაწელი“; ბურკ. **ჲაც** „შუაწელი“; რუთ. **ჲჹყ‘** IV „ზურგი“; წახ. **ჲჹყ‘**, **-ან** IV „ზურგი“; არჩ. **იღ‘-და** (<*__იყ‘-და__) „შუაში“; კრიწ. **ჲიყ**, **-ი** IV „წელი“,„ზურგი“; ბუდ. **ჲიყ-იჯ** IV „ზურგი“; სხვ. დაღ.: ახვ. **რაჴ᾽ʷა-ლ’ი** „ზურგი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 126; თალიბოვი 1980: 307; ჩკელ: 577 (ს.-ლეზგ. *__ჲიჴ᾽‘ʷ__)].

ლაბიალიზებული *__ყჶ__ კომპლექსი კავკასიის ალბანურში ხშირად გვაძლევს **პ**-ს (უდიურში **ფ᾽**-ს):

ბიპ; **უდ. ბიფ᾽** (< *__ბიყʷ__) „ოთხი“, შდრ. ლეზგ. **ყუ-დ**; თაბ. **ჲუყუ-ბ**; აღ. **ჲაყუ-დ**; რუთ. **ჲუყუ-დ**; გილმ. **ჲოყუ-ლლ̈**; არჩ. **ებყ**; კრიწ. **ჲუყუ-დ**; ბუდ. **ჲუყუ-ბ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **მუყ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 233; გიგინეიშვილი 1977: 135; ჩკელ: 489 (ს.-ლეზგ. *__ჲეჶყჹ__)].

პა‘; **უდ. ფ᾽ა‘** (< *__ყ‘ʷა__) „ორი“, შდრ. ლეზგ. **ჴ᾽ʷე-დ**; თაბ. **ყ‘უ-ბ**; დიუბ. **ყ‘უ-ჶ**; აღ., ფიტ. **ყ‘უ-დ**; ბურშ. **ყ‘უ-რ**; ბურკ. **ცად**; თფიღ. **ცუ-დ**; რუთ. **ჴ᾽‘ʷა-დ**; გილმ. **ყ‘ო-ლლ̈**; არჩ. **ჴ᾽‘ʷე**; კრიწ. **ჴ᾽ʷა-დ**; ბუდ. **ყა-ბ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **კი-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 137; ჩკელ: 924 (ს.-ლეზგ. *__ჴ᾽‘ʷ̈__)]. ამ მაგალითში **პ** ბგერა საერთოდაღესტნური ფარინგალიზებული უვულარული ხშულ-მსკდომისაგან (*__ყ‘__) მომდინარეობს.

საერთოლეზგიური გემინირებული უვულარული გლოტალური აფრიკატი *__ყ᾽__ შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ყ	ჴ᾽, ჴ, ქ᾽	ყ, ჴ	ყ, ჴ	ყ, ჴ	ყ, ჴ, ø	ჴ, ჴ᾽	ჴ, ხ	ჴ, ხ	კ	ყ, ø	*ყ᾽

ყარი-ბიჲესუნ „გახმობა“; **უდ. ჴ›არი** „მშრალი“, შდრ. ლეზგ. **ყურაზ**, **ყურანა**; თაბ. **უ-რ-ჴჾუზ** „გახმობა“ (პურისა); აღ. **რუჴ‘ʷას**; ბურშ. **ურჴ‘ʷას**; არჩ. **ყურას**, ბრძ. **ყურაყჾა**; **ჴ›ʷას** „შეშრობა“, „აორთქლება“. იხ. აგრეთვე: ლეზგ. **ყურუ**, ხლუტ. **ჴჾურჴჾურ**, აღ. **რუჴჾუ-ჶ**, რუთ. **ჴჾურუ-დ**; წახ. **ჴჾურუ-ნ**, ბუდ. **ჴჾურუ**; რუთულურში, წახურსა და ბუდუხურში დადასტურებული **ჴჾურუ-** შეიძლება ნასესხები იყოს, შდრ. აზ. **გურუ** „მშრალი“; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-აყჾʷა-ზე** „ხმობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; გიგინეიშვილი 1977: 108; ჩკელ: 632 (ს.-ლეზგ. ***ციყჾʷარ** „ხმობა“)].

ლ̆აყ; **უდ. ჲაჴ›** „გზა“, შდრ. ლეზგ. **რეჴ**, **რეყი**; ნუტ. **რა‘ჴ‘**; მრ. **რეყერ**; ხლუტ. **რაყ‘**, **-ი**; თაბ. **რაჴ‘**, **-უ**; დიუბ. **რაჴ‘ა**; აღ., ბურშ., თფიღ. **რაჴ‘**, **-უ**; ბურკ. **რეჴჾ**; რუთ. **რაჴ‘**, **რგჴ‘გ-** III; წახ. **ჲაჴ‘**, **ჲაჴ‘გნ** III; არჩ. **დეყ‘**, ლოკ. **დეყჾ‘უ** III; სხვ. დაღ.: დარგ. **და‘ყ** „ბილიკი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 20; ლექსიკა 1971: 142; გიგინეიშვილი 1977: 109; თალიბოვი 1980: 264; ჩკელ: 604 (ს.-ლეზგ. ***რჾ̆ყჾ‘**)].

ყო‘; **უდ. ჴ›ა** „ოცი“, შდრ. ლეზგ. **ჴჾა-დ**; თაბ. **ჴჾა-ბ**; აღ. **ჴჾა-დ**; რუთ. **ჴჾა̄-დ**, გილმ. **ჴჾა-ლლჾ̆**; არჩ. **ყა**; კრიწ. **ჴჾა-დ**; ბუდ. **ჴჾა-დ** (**ჴა-დ**?); სხვ. დაღ.: ხუნძ. **ყო-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; ლექსიკა 1971: 238; გიგინეიშვილი 1977: 108; ჩკელ: 456 (ს.-ლეზგ. ***ყჾა**)].

ბიყესუნ, **ბაყესუნ**, **ჰეყესუნ**; **უდ. აჴ›-სუნ** „აღება“, „ჭერა“, შდრ. ლეზგ. **ყაზ**, **ყუნა**; თაბ. **ღადა-ø-ღუზ**; დიუბ. **ა̄-უ̂-ჴჾუს** „გამოღება“; ბურშ. **აჴჾას**; რუთ. **ჰა-უ̂-ჴჾას**, მრ. **ჰა-დ-ჴჾეს**; წახ. **ა-უ̂-ჴჾას**, **ა-უ̂-ჴჾგ**, დურ. **ა-უ̂-ჴჾა̄ჴჾა**; არჩ. **ბ-აყჾას** „დატოვება“; კრიწ. **ჲიჴრიჯ**; ბუდ. **სურჴუ**, **სუ̈-ჴუ̈რჯი**; სხვ. დაღ.: დიდ. **-იჴირა** „დაჭერა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 124; ჩკელ: 254 (ს.-ლეზგ. ***ცაყჾჾ̆რ**)].

ბიყესუნ, **ბაყესუნ**; **უდ. ბიჴ›სუნ** „ჭერა“, „პყრობა“, შდრ. თაბ. **დ-იჴუზ**; არჩ. **ხოს**; სხვ. დაღ.: ჰუნძ. **-ოხა** „აღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 98; ჩკელ: 646 (ს.-ლეზგ. ***ციჴგ** „პოვნა“)].

ყ ბგერა კავკასიის ალბანურში ხშირად საერთოლეზგიური ლატერალური აფრიკატებისაგან მომდინარეობს (იხ. „საერთოლეზგიური ლატერალური აფრიკატების შესატყვისობანი“).

ბუყესუნ, **უდ**. ვართ.-ზინ. **ბუჭ·სუნ** „ნდომა“, „ყვარება“, შდრ. ლეზგ. **კან ხ̆უნ**; თაბ. **ქ·უნ ხ̆უზ**; დიუბ. **გციჭუს**; აღ. **ქ·ან ხ̆ას**; რუთ. **ჵ̂-გგას**; წახ. კილ. **გქ·ანას**; არჩ. **ლ̣ᵛან**; კრიწ. **იქ̈ჴ**; ბუდ. ტერმ. **ჲიქ̂ჯი**; იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ჩკელ: 645 (ს.-ლეზგ. ***ცილ̣ᵞან**)].

ყუ‘(ე); **უდ**. **ჭ‘ი** (ვ.)// **ჭ·გ** (ნ.) „შიში“, შდრ. არჩ. **ილ̣ᵛ** (**ილ̣ᵛ** < ***ლ̣ᵞი**), **-ი** // **-ლი** IV; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ̣ᵞერ-იზე** „შიშინება“, დიდ. **-ოლᵞა** „შიში“ (ზმნ.) და სხვ.

“**ორიენტირის ქვეშ**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ყ** (სუპერესივი) – ს.-ლეზგ. ***-ლ̣ᵞ-** > : ლეზგ. **-ქ**: თაბ. **-ქ·**: აღ. **-ქ·**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუდ. **-ქ**: არჩ. **-ლ̣ᵛ**: ხინ. **-კ**.

საერთოლეზგიური ლატერალური აფრიკატების შესატყვისობანი: საერთოლეზგიურში სამი ლატერალური აფრიკატი აღდგება, ესენია ***ლ̄ᵛ**, ***ლᵞ** და ***ლ̣ᵞ**, ხოლო საერთოდაღესტნურ დონეზე ხუთი ლატერალური აფრიკატი დასტურდება: ***ლ̄ᵛ**, ***ლᵛ**, ***ლᵞ**, ***ლ̣ᵛ**, ***ლ̣ᵞ**.

საერთოლეზგიური ***ლ̄ᵛ** ბგერა შესატყივსობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ღ, ?	ღ, ლ	ჭ·, ღ̆	ღ̆	ჲ, ხ̆	ჲ, ხ̆, ჵ̂	ღ, ლ	ღ̆, ჭ·	ჲ, ჭ·	კ	ლᵞ	*ლ̄ᵛ

თუ უდიურში საერთოლეზგიური ***ლ̄ᵛ** ბგერა ორი კანონზომიერი რეფლექსით დასტურდება (**ღ**, **ლ**), კავკასიის ალბანურში კი **ლ** რეფლექსი არ ჩანს.

ვუ‘ღ; **უდ**. **ვუღ‘** „შვიდი“, შდრ. ლეზგ. **ირი-დ**; ყანდ. **ურჲუ-ბ**; დიუბ. **ურგუ-ჵ**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერი-დ**; ბურშ. **ჲერე-რ**; რუთ. **ჲიჵ̂გ-დ**; გილმ. **ჲიჲგ-ლლ̄**; არჩ. **ჵილᵛ**; კრიწ. **ჲგჲგ-დ**; **ბუდ**. **ჲიჲი-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ანლ̣ᵞ-**, ლაკ. **არულ-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ჩკელ: 247 (ს.-ლეზგ. ***ჵირლᵞგ-**)].

მუ‘ღ; **უდ. მუღ** „რვა“, შდრ. ლეზგ. **მუ̈ჟუ̈-დ**; თაბ. **მირჟი-ბ**; დიუბ. **მიჟუ-ჳ̂**; აღ., ბურკ. **მუჲა-დ**; ბურშ. **მუჲა-რ**; ფიტ. **მუჲი-დ**; რუთ. **მგჲე-დ**; წახ. **მოლი-ლლჲ̈**; არჩ. **მელ̌ე**; კრიწ. **მიჹი-დ**; ბუდ. **მგჲჷ-დ**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **მილ̣̌-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 197; ლექსიკა 1971: 236; გიგინეიშვილი 1977: 86; ჩკელ: 315 (ს.-ლეზგ. ***მენლ̌ჲ̈**)].

და-ღ‘-ეს „მიცემა“, „მოცემა“, შდრ. ლეზგ. **ღ́-უნ** (< ***უ‘ღ́-უნ**); თაბ. **ღ́-უზ**; აღ. **ჲ-ეს**; რუთ. **ჴგ-ჳ̂-უნ**; წახ. **ჴი-ლ-ეს**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **ლ̣̌ეზე**; დიდ. **ნე-ლ̌-ა**; დარგ. **ღ́-იზ || გ-ეზ**; ლაკ. **უ‘ლ-უნ**.

საერთოლეზგიური ***ლ̌** ბგერა შესატყივსობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ჴ	ჴ	ღ́	ხ́	ხ́	ხ́, ჳ	ხ́	ხ́	ხ́	კ	ლ‘, ლ̌	*ლ̌

ჴო; **უდ. ჴო** „ხუთი“, შდრ. ლეზგ. **ჳ̂ა-დ**; თაბ. **ხ́უ-ბ**; დიუბ. **ხ́უ-ჳ̂**; აღ. **ჵა-ფუ-დ**; რუთ. **ხ́უ-დ**; წახ. **ხ́ო-ლლჲ̈**; არჩ. **ლ̌ო, ლ‘ᵂეჲ-ტუ**; კრიწ. **ჶგ-დ**; ბუდ. **ჶგ-დ**; სხვ. დაღ.: დიდ. **ლ‘ე-ნო** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 193; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ: 426 (ს.-ლეზგ. ***ლ̌ᵂე**)].

უ‘ჴ; **უდ. უჴ‘** „ექვსი“, შდრ. ლეზგ. **რუგუ-დ**; ნუტ. **რუჹუ-დ**; თაბ. **ჲირხ́უ-ბ**; აღ., ფიტ., ბურკ. **ჲერხ́ი-დ**; ბურშ. **ჲერ-ში-რ**; რუთ. **რიხ́გ-დ**; წახ. **ჲიხ́გ-ლლჲ̈**; არჩ. **დილ‘, დილ‘იჲტუ**; კრიწ. **რგხ́გ-დ**; ბუდ. **რგხ́გ-დ**; სხვ. დაღ.: ლაკ. **რაზ-**, ხუნძ. **ანლ̌-** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 192–193; ჩკელ: 219 (ს.-ლეზგ. ***რილ̌გ**)].

საერთოლეზგიური ***ლ̣̌** ბგერა შესატყივსობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ყ	ჴ̄, ø	ქ, კ	ქ̇	ხ́	ხ́, ჴ̄	ხ́	ხ́	ხ́	კ	ლ̓, ლ̓̄	*ლ̣ᵛ

ბუყესუნ, **უდ**. ვართ.-ზინ. **ბუჴ̄სუნ** „ნდომა“, „ყვარება“, შდრ. ლეზგ. **კან ხ́უნ**; თაბ. **ქ̇უნ ხ́უზ**; დიუბ. **გცʼიჴუს**; აღ. **ქ̇ან ხ́ას**; რუთ. **ჶ-გგას**; წახ. კილ. **გქ̇ანას**; არჩ. **ლ̣ᵛან**; კრიწ. **იქ̈ჯ**; ბუდ. ტერმ. **ჲიქჹჯი**; სხვ. დაღ.: ხუნძ. **-ოლცʼ-იზე** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ჩკელ: 645 (ს.-ლეზგ. ***ცილ̣ᵛ̌ან**)].

“**ორიენტირის ქვეშ**” **ლოკალიზაციის მაჩვენებელი**: კავკ.-ალბ. **-ყ** (სუპერესივი) – ს.-ლეზგ. *-**ლ̣ᵛ̌**- > : ლეზგ. **-ქ**: თაბ. **-ქ̇**: აღ. **-ქ̇**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუდ. **-ქ**: არჩ. -**ლ̣ᵛ**: ხინ. **-კ**.

ამას გარდა, საერთოდაღესტნურ დონეზე აღდგება კიდევ ორი ლატერალური აფრიკატი, ყრუ ფშვინვიერი და გლოტალური ბგერების სუსტი ვარიანტები (***ლ̌**, ***ლ̣ᵛ**).

საერთოდარესტნური სუსტი ლატერალური ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი (***ლ̌**) ლეზგიურ ენებში შემდეგ რეფლექსებს გვიჩვენებს:

კავკ.-ალბ.	უდ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
*ხ	ხ, ø	ხ́	ხ́	ხ́	ხ́	ხ́	ჶ <*ხ́	ø, ?	?	შ <*ხ́	*ლ̌

კავკასიის ალბანურში **ლ̌** ბგერის რეფლექსად ერთადერთი მაგალითის მიხედვით დასტურდება **შ** ბგერა, რომელიც ***ხჶ**-საგან უნდა მომდინარეობდეს:

